საქართველო:
მწვანე პოლიტიკის ისტორია

2013

საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია

გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

GEORGIA: HISTORY OF GREEN POLITICS

Publisher: Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013

© Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, 2013

ზოვრეთის ქ. 38, თბილისი 0160, საქართველო | 38 Zovreti Str., 0160 Tbilisi, Georgia

T +995 32 238 04 67/68, +995 32 291 37 39 | F +995 32 291 28 97

E info@ge.boell.org | W www.ge.boell.org | www.facebook.com/hbf.caucasus

ISBN 978-9941-0-5878-3

სარჩევი

გამომცემლის წინასიტყვაობა 5

თავი I: შესავალი 9

თამარ პატარაია

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა 13
2. მწვანეთა მოძრაობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მწვანეთა მოძრაობის თავისებურებები საქართველოში (1987-1992) 14
3. მწვანეთა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები 19
4. დასკვნა 27

თავი II: 1987-1992 33

ნინო ბექიშვილი

თავი III: 1992-1995

დავით კოპალიანი 53

თავი IV: 1995-2003

ირაკლი აბსანძე, დავით კოპალიანი 71

თავი V: ფექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია 91

დანართი: დოკუმენტები 137

პირთა საძიებელი 183

გამოყენებული საარქივო დოკუმენტაციის ნუსხა 199

წინასიტყვაობა

ნინო ლეჟავა

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა რთული და მრავალფეროვანი გზა გაიარეს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ე.წ. არაფორმალების ბირთვიდან ყალიბდებოდა, ზოგი მათგანი საბჭოთა იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, ანაც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციის გაგრძელებას შეეცადა. უკვე 1995 წელს, როცა საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო (24.08.1995) და მორიგი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებიც (5.11.1995) ჩატარდა, საქართველოში 54 პარტია და საარჩევნო კოალიცია იყო რეგისტრირებული.

„საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორიის“ მიზანი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების კონტექსტში მწვანე მოძრაობის და მწვანე დღის წესრიგის განვითარების ისტორიული ანალიზი და შეფასება (1987-2003 წლების მონაკვეთში). ჰაინრიჰ ბიოლის ფონდისთვის, როგორც ევროპული მწვანე პოლიტიკური ფონდისთვის, მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ რა წვლილი მიუძღვის მწვანეთა პარტიას ქართული პოლიტიკური სივრცის ქმედით დემოკრატიად ქცევაში და მის ევროპულთან დაახლოებაში. საქართველოს მწვანეთა პარტიის დამფუძნებლის და პრეს-სპიკერის ზურაბ ჟვანიას მიერ 1999 წელს ევროპის საბჭოში წარმოთქმული *„მე ვარ ქართველი, მაშასადამე – მე ვარ ევროპელი“* არის ფრაზა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სიმბოლურ აქტუალობას. ამ მომენტისთვის ზურაბ ჟვანია უკვე საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი და პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

წინამდებარე პუბლიკაციით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ქართულ პოლიტიკურ და აკადემიურ სივრცეს სთავაზობს საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის ანალიზს. ეს რეტროსპექტივა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმისათვის, რომ შევაფასოთ, თუ რა რესურსები არსებობს საქართველოში თანამედროვე მწვანე პოლიტიკური საკითხებისთვის პოლიტიკურ და საჯარო ველში.

ნაშრომის ოთხ თავში განხილულია, თუ როგორ და რატომ დაიწყო ეროვნული თვითგამორკვევის მოძრაობასთან ერთად აღმოცენებული ეს მძლავრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, როგორი გაგრძელება ჰპოვა მან ახალი ქართული სახელმწიფოს კონსოლიდაციის პირობებში და რამ გამოიწვია მისი დასუსტება. რატომ ვერ შედგა მწვა-

ნეთა პარტია საქართველოში? რატომ მოხვდა პოლიტიკური სივრცის მხოლოდ მარგინალურ ფლანგზე პარტია, რომელსაც თავიდან ჰქონდა საკმარისი ადამიანური რესურსიც და იდეებიც, რომ გადაქცეულიყო არა მხოლოდ კლასიკურ ოპოზიციად, ანდა თუნდაც არასაპარლამენტო, მაგრამ აქტიურ პარტიად, რომელიც საზოგადოებას ეკოლოგიურად ინოვაციურ ხედვებს შესთავაზებდა?

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ მწვანეთა პარტია, ევროპელი მწვანეებისგან განსხვავებით, ძირითადად მხოლოდ გარემოს დაცვის თემით შემოიფარგლებოდა. პაციფიზმი, ფემინიზმი, სქესთა შორის თანასწორობა, მულტიკულტურალიზმი, სოციალური თანასწორობა და ადამიანის უფლებები ნაკლებად ან საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ამ პარტიის საქმიანობასა და სამოქმედო გეგმაში. როგორც ირკვევა, სხვა პრობლემური ფაქტორების და რესურსების სიმწირის მიუხედავად, ვიწრო ეკოლოგიურმა პროფილმა არ გაამართლა; საარჩევნო კოალიციებში ადგილის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი იყო ზოგადი სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი და პოლიტიკური ალღოც.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემები სხვა პარტიებისთვისაც დამახასიათებელია. დამოუკიდებლობის ორი ათწლეულის შემდეგ, ის პარტიებიც კი, რომლებსაც შედარებით ხანგრძლივი პოლიტიკური ისტორია აქვთ (მაგალითად, რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), გარედან დახმარების გარეშე დღემდე ვერ აყალიბებენ ვერც მკაფიო იდეოლოგიურ პლატფორმას და ვერც გამართულ შიდაპარტიულ სტრუქტურებს, რაც უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი დემოკრატიული განვითარებისთვის.

სწორედ ამ დაკვირვების საფუძველზე გადაწყდა საქართველოს უახლოესი წარსულის და პოლიტიკური კულტურის გაანალიზება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა შესაძლებლობის ფარგლებში სიღრმისეულად ჩატარდა, წიგნის გამომცემელი ვერ დაიჩემებს, რომ ნაშრომმა სრულად მოიცვა 1987-2003 წლების პოლიტიკური პროცესები. ჩვენი აზრით, *„საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია“* მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის არა მარტო მწვანე პოლიტიკის მიმართ ინტერესის წახალისებისთვის და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპებზე პოლიტიკური კულტურის შესწავლისთვის, არამედ ზოგადად პარტიული ისტორიის კვლევისთვის.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება მწვანეთა პარტიის განვითარების ფონზე თვალი მიადევნოს იმ სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც მიმდინარეობდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

***

წინამდებარე გამოცემა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს პროექტის – „მწვანე მეხსიერება“ – ფარგლებში მომზადდა და 2012 წლიდან რამდენიმე ეტაპად წარიმართა. თავდაპირველად, „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის – SovLab“ მკვლევრებმა ირაკლი ხვადაგიანმა, დავით კოპალიანმა და ილია კრიხელმა მოიძიეს საქართველოში მწვანეთა მოძრაობის და პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული საარქივო მასალები. მათი ძალისხმევით მოხერხდა „საქართველოს მწვანეთა პარტიისა“ და „მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ 2007 წელს მუშტაიდის ბაღის ოფისიდან იძულებითი გამოსახლებისას გადარჩენილი დოკუმენტების მოპოვება, მოწესრიგება და გაციფრულება, რაც პრაქტიკულად ამ დოკუმენტების შენარჩუნების ერთადერთი საშუალება იყო. დახარისხებული არქივის ორიგინალები დარჩა შესაბამისად – საქართველოს მწვანეთა პარტიაში და მწვანეთა მოძრაობაში.

აღნიშნულ საქმიანობას საქართველოში მწვანეთა მოძრაობის უშუალო მოწმეებისა და მონაწილეების თანადგომა ახლდა, რაც ერთი მხრივ, დაუწერელი ისტორიის თხრობით და, მეორე მხრივ, ორგანიზაციების თუ კერძო არქივებში დაცული ვიზუალური მასალის გაზიარებაში გამოიხატა. ამ მხარდაჭერისთვის ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მადლობას უხდის ზურაბ ბიგვავას, გია გაჩეჩილაძეს, ნაირა გელაშვილს, ხათუნა გოგორიშვილს, მარიკა დარჩიას, თემურ კეპულაძეს, ეთერ მაისაშვილს, პეტრე მამრაძეს, რუსუდან სიმონიძეს, ნინო ქადაგიძე-ჟვანიას, მანანა ქოჩლაძეს, ნინო ჩხობაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პარტიის საქმიანობაში იყო ჩართული სხვადასხვა ეტაპზე. მათი პირადი ბიოგრაფიებიც ისტორიულ-პოლიტიკური მიჯნებისთვის დამახასიათებელი ბიოგრაფიებია.

საარქივო მასალის, სხვა წერილობითი და ზეპირი წყაროების საფუძველზე პროექტის მეორე ფაზაში დაიწერა აქ წარმოდგენილი კვლევის ოთხი თავი, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს მწვანეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის 1987-2003 წლების შეფასებას და ვიზუალურ დოკუმენტურ მასალას სთავაზობს.

კვლევის და პუბლიკაციის მომზადებისას მიღებული მხარდაჭერისთვის ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებს მანანა ქოჩლაძეს და ზვიად ქორიძეს. პროექტის წარმატებულად დასრულებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ

კავკასიის რეგიონული ბიუროს თანამშრომლებს მალხაზ სალდაძესა და ეკა წერეთელს.

დასასრულ, ეს წიგნი ეძღვნება ამ კვლევის შთამაგონებელ ორ ქალს: მწერალ ნაირა გელაშვილს, რომელმაც 1989 წელს გამოაქვეყნა „ტექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია“ (ეს წერილი შეგიძლიათ იხილოთ მე-5 თავში); რომელიც იდგა მწვანე კავკასიური მოძრაობის სათავეში და თავის არასრულწლოვან ქალიშვილსაც კავკასიაში საზოგადოებრივ თავყრილობებზე თან დაატარებდა. რომ არა სწორედ ანა მარგველაშვილის პირადი არქივიდან გამომზეურებული და 1989 წლით დათარიღებული ფოტო, შეიძლება, არც გაჩენილიყო ამ მოძრაობის ისტორიის თავიდან შესწავლისა და გაანალიზების იდეა ოცდახუთი წლის შემდეგ. ახლა უკვე ის დაატარებს თავის არასრულწლოვან ვაჟებს გარემოსდაცვით, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავ საპროტესტო ღონისძიებებზე.

საერთოდ კი, ეს წიგნი ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია წარსულში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათავისება მომავალზე მიმართული საქმიანობის და პოლიტიკური კულტურის გასაუმჯობესებლად.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

აქცია მესტიის ცენტრში, 1989 წელი
ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

I

შესავალი

თამარ პატარაია

შესავალი

თამარ პატარაია

2012-2013 წლებში ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ინიციატივით მკვლევრებმა შეისწავლეს მწვანეთა მოძრაობის როლი საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაში. კვლევის მიზანია დამოუკიდებელ საქართველოში ეკოლოგიური და მწვანე იდეოლოგიური ხედვის პოპულარობის შესწავლა და, ასევე, პოლიტიკური პარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა. საქართველოს პარტიული სისტემის უახლესი ისტორიის გაცოცხლების მიზნით მკვლევრებმა შეისწავლეს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის ოფისებში განთავსებული არქივები, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი, სადაც მოიძიეს ოფიციალური დოკუმენტები, ორიგინალური ჩანაწერები, საგაზეთო მასალები, ფოტოსურათები, ჩაატარეს ინტერვიუები მწვანეთა მოძრაობის ცნობილ წარმომადგენლებთან და შექმნეს მწვანეთა მოძრაობის ელექტრონული არქივი, რომელიც მოიცავს მწვანეთა საქმიანობას 1989-2003 წლებში.

ელექტრონული არქივის მონაცემების საფუძველზე, კვლევითმა ჯგუფმა აღწერა საქართველოში დაფუძნებული ერთ-ერთი ყველაზე პირველი, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე პოპულარული პარტიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები, სადაც ყურადღება გამახვილდა პარტიის იდეოლოგიურ პრინციპებზე და მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში გატარების წარმატებულ მაგალითებზე, ასევე, იმ კონკრეტულ წარუმატებელ გადაწყვეტილებებზე, რამაც მოგვიანებით საქართველოში მწვანეთა პარტიას პოპულარობა დაუკარგა.

მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობაზე გავლენა მოახდინა ევროპული ქვეყნების მწვანეთა პარტიების იდეოლოგიამ, ქართველ მწვანეთა თანამშრომლობამ ევროპელ პარტნიორებთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მწვანე იდეოლოგიის განვითარების თავისებურებებმა. ქართველი მწვანეები პოპულარობის პიკზე გამოირჩეოდნენ დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ერთგულებით და აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესს. მათი პოლიტიკური გეგმები და გახმოვანებული მიზნები ახლოს იდგა ევროპელი მწვანეებისათვის მნიშვნელოვან თემებთან, თუმცა იყო განსხვავებებიც.

კრებულის პირველ თავში წარმოდგენილია ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს საქართველოს მწვანეთა პარტია და მწვანეთა მოძრაობა ევროპული მწვანე იდეოლოგიის დამკვიდრებას ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. ეს პროცესი განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შეიქმნა მწვანეთა პარტია. არანაკლებ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები მომდევნო პერიოდში, როდესაც ქართული პოლიტიკური სისტემის გაძლიერებასთან ერთად მწვანეთა პარტიაც ძლიერდება, მაგრამ თავისი პოპულარობის მწვერვალზე, მწვანეთა პარტიის ლიდერები ტოვებენ პარტიას და მონაწილეობას იღებენ ძლიერი, ხელისუფლების მხარდამჭერი (ე.წ. სახელისუფლებო) პარტიის ჩამოყალიბებაში, რაც ნაწილობრივ განაპირობებს, ერთი მხრივ, მწვანეთა პარტიის დასუსტებას, ხოლო მეორე მხრივ, მწვანეთა მოძრაობის იდეოლოგიისა და ღირებულებების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის შენელებას.

მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ, ერთი შეხედვით, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების სიმწვავე და მნიშვნელობა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე არ იკლებს, მეორე მხრივ კი, საზოგადოება არც ისე მგრძნობიარეა გარემოსდაცვითი თემების მიმართ. ბევრი საკითხი, რომლის გარშემოც მწვანეთა მოძრაობა დაიწყო, დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას, ბევრი კარგად ცნობილი პრობლემა ხელახლა დგება პოლიტიკურ დღის წესრიგში (როგორიცაა ხუდონჰესის მშენებლობა, კანონმდებლობა ტყის მოხმარების, დაცული ტერიტორიების შესახებ), თუმცა უკვე 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, აშკარაა, რომ საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს ეს საკითხები, ხოლო თავად მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები, ვინც ბოლომდე დარჩა მწვანეთა პარტიაში, თანდათან საზოგადოების ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობენ.

კრებულის მომდევნო თავებში მწვანეთა მოძრაობისა და პარტიის ისტორია გადმოცემულია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ნაჩვენებია, რომ საქართველოში, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში, განვითარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა, პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების სპეციფიკამ, პოლიტიკური პარტიების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებებმა იმოქმედა ქართველ მწვანეებზე, როგორც პოლიტიკური პარტიის, ისე საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებასა და მის თანამდევ პროცესებზე.

ამ აზრით, საინტერესოა მწვანეთა მოძრაობის ისტორიული გამოცდილების განხილვა საქართველოს მსგავს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების პარტიული სისტემის განვითარების კონტექსტში. არსებული

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების სისტემა განვლილი პერიოდის განმავლობაში შეიძლება დახასიათდეს იმ ზოგადი კანონზომიერებებითა და ტენდენციებით, რომელიც ძალიან ახლოსაა სხვა გარდამავალ დემოკრატიულ სისტემებთან, რომელიც, ჰანტინგტონისეული განმარტების მიხედვით, ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის ინსტიტუციონალიზებული. საქართველოს პარტიულ სისტემაში ჯერ კიდევ არ არსებობს სტაბილურობის განცდა იმის შესახებ, თუ ვინ არის პოლიტიკური სისტემის ძირითადი მოთამაშე და კონკურენტი, არ არსებობს პარტიების კონკურენციის და ქცევის ფუნდამენტური წესები და საზღვრები. საკმაოდ მაღალია ცვლილებების მოლოდინი, რაც დასტურდება პოლიტიკური რეჟიმის, ეკონომიკური და ინსტიტუციური/საკანონმდებლო გარემოს არაწინასწარმეტყველებადი ხასიათით.

ამასთან, მწვანეთა პარტიის განვითარების ეტაპების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური წარმატებების შემდეგ, მწვანეთა პარტიის ლიდერები სისტემის განუსაზღვრელობის გამოწვევების საპასუხოდ სხვადასხვა, თუმცა, სხვა გარდამავალი დემოკრატიებისათვის უკვე ცნობილ ხერხს მიმართავენ – ეძებენ ძლიერ პარტიულ პარტნიორს და ირჩევენ მის მიმართ მიდევნების პოლიტიკას (ე.წ. ბენდვეგონინგს), ასევე, ერთიანდებიან კოალიციაში იდეოლოგიური ერთიანობის გარეშე. იყო შემთხვევები, როდესაც მწვანეთა პარტიის ლიდერები ტოვებდნენ პარტიას მომავალი პოლიტიკური წარმატებების მიღწევის მიზნით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ისევე, როგორც ქართული პოლიტიკური სისტემის სხვა აქტორებთან, მწვანეთა პარტიის ორგანიზებაშიც პიროვნების ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობდა, თანაც პარტიული პოლიტიკა არ ფარავდა ევროპელი მწვანეების იდეოლოგიური პრიორიტეტების სრულ სპექტრს, რაც წლების მანძილზე ხელს არ უწყობდა უფრო მეტი პოტენციური ამომრჩევლის ყურადღება მიეპყრო.

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა

წარმოდგენილ თავში მიმოხილულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა და განვითარება 1987 წლიდან. ეს პროცესი ხელს უწყობდა ევროპული მწვანე იდეოლოგიის დამკვიდრებას ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, რაც განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე.

2. მწვანეთა მოძრაობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მწვანეთა მოძრაობის თავისებურებები საქართველოში (1987–1992)

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში 60-იანი წლების ბოლოს სტუდენტური მოძრაობა შენელდა და დაიწყო ახალი ტიპის სოციალური მოძრაობა, რის საფუძველზეც მოხდა სრულიად სხვა საკითხების პოლიტიზება. კერძოდ, პოლიტიკური დებატების საგანი გახდა ახალი თემები, როგორიცაა ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ხმაური, მავნე ნივთიერებები და ბუნებრივი რესურსების გაფრთხილება, ურბანული განსახლება, ახალი გზების და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, ფემინიზმი და სამშვიდობო მოძრაობა. ბევრ ევროპულ ქვეყანაში, გარემოსდაცვითი თემების პოლიტიზაციამ საფუძველი ჩაუყარა გარემოსდამცველი ჯგუფების შექმნას ლოკალურ და რეგიონულ დონეზე. შემდგომ პერიოდში ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი გარემოსდაცვითი მოძრაობები გაერთიანდნენ ერთიან ეროვნულ ქოლგა ორგანიზაციებში. ამის შედეგად შეიქმნა გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი მოძრაობები გერმანიაში (1972), დედამიწის მეგობრები საფრანგეთში (1971) და ჰოლანდიაში (1972).

1970-იანი წლების შუა ხანებში ბირთვული ენერგეტიკის თემამ კიდევ უფრო გააძლიერა გარემოსდამცველების აქტივობა ევროპულ ქვეყნებში. ნავთობის ფასების მატების გამო მრავალი ევროპული ქვეყნის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეფართოებინა ბირთვული ენერგეტიკული პროგრამები. შედეგად, სულ უფრო მეტი ადგილობრივი ჯგუფი გაერთიანდა ეროვნული დონის „ანტიბირთვული ენერგეტიკის“ მოძრაობებში – დანიაში (1974), ჰოლანდიაში (1973), შვედეთში (1976), ავსტრიასა (1976) და ნორვეგიაში (1974)[1].

მოგვიანებით, 70-იანი წლების ბოლოს, ევროპულ ქვეყნებში სხვა თემებიც გახდა საზოგადოების წუხილის საგანი. კერძოდ: ნატოს[2] პოლიტიკა ევროპის ტერიტორიაზე საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების – „პერშინგების“, განთავსების თაობაზე. ანტიბირთვულმა მოძრაობამ გაზარდა სოლიდარობა სხვადასხვა ქვეყნების გარე-

1 Ferdinand Müller-Rommel, 1994. Green Parties under Comparative Perspective, Wien Universität, Working Paper n.99, Barcelona.

2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

მოსდამცველებს შორისაც, მოეწყო ფართომასშტაბიანი გამოსვლები და საპროტესტო აქციები, რომელთა უმეტესობის ორგანიზატორი ეროვნულ დონეზე მოქმედი მშვიდობისდამცველთა მოძრაობები გახდა.

ახალი ღირებულებების დამცველი ორგანიზაციები და მოძრაობები ცდილობდნენ მოეძებნათ ახლო კონტაქტები სოციალ-დემოკრატიულ ან სხვა მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებთან. თუმცა, ახლადჩამოყალიბებული მოძრაობების უარყოფითი გამოცდილება, დაახლოებოდნენ უკვე ჩამოყალიბებულ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს და გავლენა მოეხდინათ მათ პოლიტიკურ პროგრამაზე, მწვანეთა პოლიტიკური პარტიების შექმნის ძირითადი მიზეზი გახდა.

ამგვარად, მწვანეთა პარტიების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში ჰქონდა მსგავსი საფუძველი და მიზეზები. მათ დაიწყეს ფუნქციონირება, როგორც მოქალაქეთა საინიციატივო და თანამოაზრეთა ერთობებმა ადგილობრივ დონეზე, რომლებსაც სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები აერთიანებდათ.

ევროპელი მწვანე პარტიების მსგავსად, ქართულ სინამდვილეშიც მწვანეთა მოძრაობა დაიბადა სამოქალაქო მოძრაობიდან, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ეკოლოგიურ და გარემოს დაბინძურების საკითხებზე, რასაც სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართვის მცდელობით, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა იზიარებდა ევროპელი მწვანეების მიერ აღიარებულ იდეოლოგიურ საფუძველს. განვითრების საწყის ეტაპზე მოძრაობა ვითარდებოდა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის თავდაპირველ დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი პოლიტიკური მიზნების შესახებ.

ამასთან, მწვანეთა მოძრაობის ჩამოყალიბების დროს (1987) საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შემადგენლობაში შედიოდა და საერთაშორისო სისტემის მიერ არ იყო აღიარებული, როგორც სუვერენული სახელმწიფო.

ამავე წლებში, გორბაჩოვის[3] ინიციატივით, საბჭოთა კავშირში და-

3 მიხაილ გორბაჩოვი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი (1985-1991) და სახელმწიფოს მეთაური (1988-1991). მისი ხელმძღვანელობის დროს ქვეყანაში დასრულდა კომუნისტური პარტიის ერთპარტიული მმართველობა და დაიშალა თავად საბჭოთა კავშირიც.

იწყო „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ პერიოდი[4], ხოლო მკაცრმა ტოტალიტარულმა სისტემამ დაუშვა კერძო საკუთრება, მოხდა ფასების დემონოპოლიზაცია, ნებადართული გახდა აზრის თავისუფალი გამოხატვა მედიის და პუბლიკაციების საშუალებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა. გაცხადებული ცვლილებების შედეგადაც, სსრკ-ის რესპუბლიკებში და, განსაკუთრებით, საქართველოში, შეიქმნა და მომრავლდა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა ლიდერები თანდათან უფრო აქტიურად აცხადებდნენ სურვილს, მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროს პოლიტიკური სისტემა საქართველოში, და მთლიანად, საბჭოთა კავშირში, იწყებდა გახსნას და გათავისუფლებას ტოტალიტარული წნეხისაგან, რომელიც კრძალავდა კომუნისტური პარტიის გარდა სხვა პოლიტიკურად აქტიური ორგანიზაციის საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში, საქართველოს მსგავსად, მწვანეთა მოძრაობა დაიწყო ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც, მეზობელ სომხეთში და აზერბაიჯანში, ასევე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და თავად რუსეთშიც.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, სსრკ-ის არსებობის ბოლო წლებში შეიქმნა და ფუნქციონირებდა, როგორც მაშინ ახლადშექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობის – „რუსთაველის საზოგადოებასთან“ არსებული ეკოლოგიური ასოციაცია. მისი იდეოლოგიური საფუძვლები პრინციპულად განსხვავდებოდა იმ დროს არსებული საზოგადოებრივი და, მოგვიანებით, უკვე პოლიტიკური ორგანიზაციების იდეოლოგიისაგან, რადგანაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ წესდება ძირითადად ეხმიანებოდა ევროპული მწვანე ორგანიზაციების მიზნებსა და პრიორიტეტებს: „...ბრძოლა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვა, ეკოლოგიური ცოდნის და ცნობი-

4 „პერესტროიკა“ – ქართულად აგრეთვე ცნობილია, როგორც გარდაქმნა – იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც ასოცირდება საბჭოთა ლიდერის, მიხაილ გორბაჩოვის სახელთან და გულისხმობდა საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნას. პერესტროიკას მიიჩნევენ საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის მარცხისა და ცივი ომის დამთავრების მიზეზად. „გლასნოსტი“ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც ასოცირდება საბჭოთა ლიდერის, მიხაილ გორბაჩოვის სახელთან და საზოგადოებას და სახელმწიფო ინსტიტუტებს მოუწოდებდა მეტი ღიაობისა და გამჭვირვალობისაკენ.

ერების პროპაგანდა მასებში, ბუნებისადმი ტექნოკრატიულ-მომხმარებლობითი დამოკიდებულების აღმოფხვრა, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვა“.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1989-1990 წწ. ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, მწვანეთა მოძრაობა, თავისი რეალურად განხორციელებული ღონისძიებებით პასუხობდა ევროპელი მწვანეების სტანდარტებს და აქტიურად იყო ჩართული ეკოლოგიური თემების განხილვასა და განვითარების პოლიტიკურ პროცესში. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ორი წლით ადრე, მოძრაობის წევრები მკაცრად აკრიტიკებდნენ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობას საქართველოში. კერძოდ, მწვანეთა მოძრაობის გამოცდილი წევრების მიერ მომზადდა ანგარიშები და სამეცნიერო შეფასებები სხვადასხვა დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობების მიზანშეწონილობის თაობაზე, ასევე, მიწის, ტყეების, კერძო მებაღეობის, ჰაერის დაბინძურების თუ კავკასიის ცენტრალური გაზსადენის მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

1987 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით ჩატარდა პირველი ღონისძიებები, სადაც აქტიურად გაისმა გარემოსდაცვითი საკითხები – ეს იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის პროექტის განხილვა. მას მოჰყვა ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიიდან რუსეთის არმიის სამხედრო პოლიგონის გადატანის მოთხოვნა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც ევროპული მწვანე მოძრაობა, ქართველი მწვანეებიც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ ბირთვული იარაღისა და ბირთვული ენერგეტიკის თემას. განსაკუთრებით დიდ გაკვირვებას იწვევს მწვანეთა მოძრაობის წევრების დაინტერესება ბირთვული თემით საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1988 წლის 19 ნოემბერს, როდესაც „რუსთაველის საზოგადოების“ ეკოლოგიური ასოციაციის გამგეობა მიესალმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ მიერ ორი დღით ადრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (სკკპ ცკ) გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) პრეზიდენტისათვის გაგზავნილ წერილს ამიერკავკასიის ბირთვული შეიარაღებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ. ამავე წერილში, ცნობილი ქართველი ეკოლოგები, მწვანეთა მოძრაობის ლიდერები 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის გამო, მკაცრად აკრიტიკებენ საქართველო-

ში სასწავლო ბირთვული რეაქტორის, ასევე სომხეთის ტერიტორიაზე არსებული დროებით შეჩერებული რეაქტორის შესაძლო რეაბილიტაციას, ექსპლოატაციაში დაბრუნების პერსპექტივას და აღნიშნავენ, რომ „სადღეისოდ არსებული ტექნოლოგიისა და მშენებლობის კულტურის პირობებში“, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა ან ატომური ელექტროსადგურის ამუშავება რეგიონში დაუშვებელი იყო.

„რუსთაველის საზოგადოების“ ეკოლოგიური ასოციაციის წევრების (მწვანეთა მოძრაობის წევრების) მხრიდან ღიად გამოთქმული წუხილები საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა – გამოიკვეთა ბირთვული სასწავლო რეაქტორისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება, რის საფუძველზეც 1990 წლის 30 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება რეაქტორის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ სათანადო პირობების უზრუნველყოფის შემდეგ (1990 წლის 30 მარტის დადგენილება № 83).

ამგვარად, საქართველოს მწვანეთა მოძრაობას, ევროპელი პარტნიორების მსგავსად, ახასიათებდა აქტიურ საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის მაღალი ხარისხი და თავადაც გამხდარა არაერთი საპროტესტო აქციის ორგანიზატორი. გარდა ამისა, მსგავსად ევროპელი მწვანეებისა, მწვანეთა მიერ ინიცირებული საპროტესტო მოძრაობის ძირითადი ბირთვი – ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტები იყვნენ. მწვანეთა მოძრაობას ფართო ქსელი ჰქონდა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და უკვე 1989 წლიდან, რეგიონული ორგანიზაციებიც დაარსდა.

თავად მწვანეთა მოძრაობა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მეტწილად შედგებოდა მაღალპროფესიული მკვლევრებისა და აქტივისტებისაგან. საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრებს შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებათა დოქტორები და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებიც წარმოადგენდნენ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებს, სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ექსპერიმენტულ თუ თეორიულ ლაბორატორიებს, სახელმწიფო მუზეუმს. მათ შორის იყვნენ: გივი თუმანიშვილი, რევაზ ხუნწარია, შოთა ადამია, მიხეილ ღოღობერიძე, იულონ გაგოშიძე, გიორგი გაჩეჩილაძე, ნანა ნემსაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი, ზურაბ ჟვანია და სხვ.

მწვანეთა მოძრაობის დამფუძნებლები დღეს აცხადებენ, რომ მწვანეთა მოძრაობის ლიდერებმა, გივი თუმანიშვილმა და ზურაბ ჟვანიამ, 1980-იანი წლების ბოლოდან შეძლეს დასავლური ტიპის პირველი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა. ეს ორგანიზაცია საშუალებას აძ-

ლევდა მოძრაობის მონაწილეებს, შეენარჩუნებინათ პროფესიული ერთობა და თაობათა შორის კავშირი. მწვანეთა სამოქალაქო მოძრაობაში მონაწილეობდნენ ბიოლოგები, გეოლოგები, ჰიდროლოგები, სეისმოლოგები. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა, მათ შორის – სოფლის მეურნეობაზე, წყლის პროექტებზე. მწვანეთა მოძრაობაში ასევე მონაწილეობდნენ მომიჯნავე დარგების სპეციალისტები და მრავალდარგობრივი პროფესიონალები.

კონკრეტული პროფესიული დოკუმენტების შემუშავების გარდა, მწვანეთა მოძრაობის გამოცდილი წევრები ცდილობდნენ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პრეცედენტები შეექმნათ და სთავაზობდნენ რეკომენდაციებს, მიუთითებდნენ კანონმდებლობის დარღვევებზე, საჭირო კანონმდებლობის შემუშავებაზე: „თუკი საქართველოს მთავრობა და უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა დროულად არ იზრუნებს ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებისთვის, ძალზე ძნელი იქნება რესპუბლიკაში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის კონტროლი“ – ნათქვამია მწვანე მოძრაობის ერთ-ერთ დეკლარაციაში, რომელიც ხელისუფლებისადმია მიმართული.

უკვე 1989 წლის 12 მაისს, „რუსთაველის საზოგადოების“ ეკოლოგიური ასოციაციის პირველმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ასოციაციის დამოუკიდებელ ორგანიზაციად გარდაქმნის შესახებ. ახალ ორგანიზაციას „საქართველოს მწვანეები“ ეწოდა.

3. წვანეთა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები

1990 წელს, საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში (ჯერ კიდევ სსრკ-ის დაშლამდე) მონაწილეობის მისაღებად, მწვანეთა მოძრაობის აქტივისტებმა მწვანეთა პარტია შექმნეს. როგორც მწვანეთა მოძრაობის მონაწილენი იხსენებენ, პარტიის ლიდერს, ზურაბ ჟვანიას ესმოდა, რომ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარება პოლიტიკაში მოსვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ეს პერიოდი დაემთხვა განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობის პერიოდს საქართველოში, როდესაც ქვეყანა პირველი მრავალპარტიული არჩევნებისათვის ემზადებოდა და ბევრი სხვადასხვა პარტია იქმნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები მწვანეებისათვის არცთუ ისე წარმატებული გამოდგა და ვერცერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა ვერ შეძლო პარლამენტში შესვლა, მწვანეთა მოძრაობის ცნობადობა საზოგადოებაში კვლავაც მაღალი იყო – რაც პრაქტიკულად მემკვიდრეობით ერგო მწვანეთა პარტიას, როგორც მწვანეთა მოძრაობიდან

გამოსულს და განაპირობა მისი პოპულარობა მომავალი წლების განმავლობაში.

მწვანეთა პარტიის შექმნის შესახებ პირველი განაცხადი 1990 წლის 12 მარტს გაკეთდა, თუმცა რეალურად პარტია რეგისტრაციაში გატარდა 1992 წლის 24 აპრილს. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებში, მწვანეთა მოძრაობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის და პარტიის ინსტიტუციური გამიჯვნა უცებ არ მომხდარა. მომავალი წლების მანძილზე, მწვანეთა მოძრაობა და მწვანეთა პარტია იზიარებდა ერთიან მიზნებს და პრინციპებს ერთობის – საქართველოს მწვანეების ფარგლებში, რაც საშუალებას აძლევდა ორივე ორგანიზაციას, ერთობლივად განესაზღვრა ღონისძიებები დასახული მიზნების მისაღწევად.

მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის არქივებში შემონახულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მწვანეთა პარტიის იდეოლოგიას. 1991 წლის 2-3 მარტს გაიმართა საქართველოს მწვანეების გაერთიანებული II კონგრესი, რომელიც მასპინძლობდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის წევრებს და სადაც ჩამოყალიბდა საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები.

„ადამიანთა სიცოცხლე დღეს საფრთხეშია საარსებო გარემოს საყოველთაო დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების უმოწყალო გაჩანაგების გამო. ამ საფრთხის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად ჩვენი თითოეული მოქმედება“ – იყო აღნიშნული კონგრესზე მიღებულ პრინციპებში.

II კონგრესზე მიღებულ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ მწვანეებისათვის მიუღებელია ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ისინი მხარს უჭერენ სახელმწიფო მოწყობის ისეთ სისტემას, სადაც გამიჯნული იქნება ხელისუფლების შტოები: საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი, და უზრუნველყოფილი იქნება ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. ეკონომიკის სფეროში მწვანეებისათვის მისაღებია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას მონაწილეთა შორის და გახსნილი იქნება კერძო ინიციატივისათვის და სადაც გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები.

აღნიშნული პრინციპები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მწვანეები (რომელიც აერთიანებდა მწვანეთა პარტიასა და მწვანეთა მოძრაობას) თავის ძირითად როლს ხედავდნენ სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში აქტიურ მონაწილეობაში, სერიოზულად მსჯელობდნენ სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის მოწყობაზე, ძალთა ბალანსსა და

დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაზე, რომელიც ასევე ეხმაურებოდა ევროპელი მწვანეების ინტერესთა სფეროს.

ევროპელი მწვანეების მსგავსად, საქართველოს მწვანეები ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ ძალადობას და მხარს უჭერდნენ არაძალადობრივი, მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ასევე აცხადებდნენ, რომ მათთვის უცხოა ადამიანთა ყოველგვარი შევიწროება თუ დევნა მათი რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი შეხედულების გამო.

ამავე დროს, ევროპელი მწვანეებისაგან განსხვავებით, რომლებისთვისაც უცხო იყო ნაციონალისტური მიდგომების და განწყობების ხაზგასმა, საქართველოს მწვანეების ერთ-ერთ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა, პოპულარიზაცია გაეწიათ ეროვნული ფასეულობებისათვის. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, იყო ძალიან აქტიური თანადგომა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, რომელიც საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო. შესაბამისად, საქართველოს მწვანეები ეროვნულ კონგრესზე მიღებულ დოკუმენტში აცხადებენ, რომ მიზნად ისახავენ ეროვნული ფასეულობების პოპულარიზაციას, რადგანაც „ეროვნული კულტურა შეიცავს გარემომცველ სამყაროსთან მრავალათასწლოვანი მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეგუების უნიკალურ გამოცდილებას, ეროვნული კულტურის რღვევა იწვევს საარსებო გარემოს ნგრევას და პირიქით". საქართველოს მწვანეები აღიარებდნენ, რომ „უდიდეს" მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტრადიციული ინსტიტუტების, ბუნებასთან თანაარსებობის გამოცდილების აღდგენას, რადგანაც „საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი საზოგადოება ვერასდროს ვერ გადაწყვეტს განვითარების პრობლემებს" – ნათქვამია საქართველოს მწვანეების II კონგრესზე მიღებულ ძირითად პრინციპებში.

„ტრადიციული და ეროვნული ფასეულობების მხარდაჭერის" აღიარებულ მიზნებთან ერთად, საქართველოს მწვანეების იდეოლოგიას ევროპელ თანამოაზრეთაგან გამოარჩევდა, ასევე, მათი აქტიური მხარდაჭერა ეროვნული სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ. 1992 წლის 24 აპრილს მწვანეთა პარტია გადის რეგისტრაციას და ამტკიცებს წესდებას, სადაც მწვანეთა პარტიის მიზნებში ხაზგასმულია ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის და განმტკიცების თემა:

„...მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, მიზნად ისახავს ბუნებრივი, ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნისა და ცნობიერების

პროპაგანდას ხალხში, ბუნებისადმი ტექნოკრატიულ-მომხმარებლური დამოკიდებულების აღმოფხვრას, დემოკრატიული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნას, რეალური დემოკრატიის დამკვიდრებას, ერთა შორის ურთიერთობათა ჰარმონიზაციას, საქართველოს სრული სუვერენიტეტის აღდგენასა და განმტკიცებას".

მწვანეთა პარტიის წესდებაში აღიარებულ მიზნებს მთლიანად იზიარებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა. მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის იდეოლოგიური ერთობა კიდევ ერთხელ შედგა 1992 წლის 18-19 ივლისს საქართველოს მწვანეთა საპროგრამო (IV) კონგრესზე. საპროგრამო დოკუმენტში აღინიშნა, რომ „საქართველოს მწვანეები არის მსოფლიო მწვანეთა მოძრაობის შემადგენელი ნაწილი" და [...] წარმოადგენს მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის ერთობლიობას".

ზემოაღნიშნული დოკუმენტები მიუთითებენ, რომ საქართველოს მწვანეები იზიარებდნენ იდეოლოგიას, რომელიც ახლოსაა ევროპელი მწვანეთა პარტიების უმრავლესობასთან. თუმცა ხედვებს შორის არის განსხვავებაც, რომელიც ძირითადად ვლინდება ქართველი მწვანეების მონაწილეობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1980-1990-იან წლებში ევროპელი მწვანეების პრიორიტეტულ ღირებულებებს შორისაა თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა (განსაკუთრებით, უმცირესობებთან დაკავშირებით); ძლიერი ეკოლოგიური აზროვნება და ანტიბირთვული ენერგეტიკის მხარდაჭერა; მშვიდობა და განიარაღების მოთხოვნა; მესამე სამყაროს მიმართ სოლიდარობა და, ზოგადად, მემარცხენე ეგალიტარიანული პოზიცია, ასევე, ეფექტიანი ბუნებისდაცვითი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უარყოფს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის უპირობო მხარდაჭერას. ამასთან, ევროპელი მწვანეები, თავისი არსით, მემარცხენე იდეოლოგიის ორგანიზაციებთან პოულობენ მეტ სიახლოვეს. პოლიტიკურ სისტემაში მონაწილეობით მათ მოახერხეს კიდევ უფრო „გაეხსნათ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და აემაღლებინათ ხელისუფლების მგრძნობელობა საზოგადოებრივი მოთხოვნების მიმართ". ევროპულმა მწვანეთა პარტიებმა პასუხისმგებლობა აიღეს ასევე უმცირესობების და მიგრანტების უფლებების დაცვაზე და ისინი ყველა ფორმით ეწინააღმდეგებიან ნაციონალიზმსა და შოვინიზმს[5].

5 Ferdinand Müller-Rommel, 1994. Green Parties under Comparative Perspective, Wien Universität, Working Paper n. 99, Barcelona.

ის ფაქტი, რომ ევროპული მწვანეთა პარტიები მხარს უჭერენ ალტერნატიულ ღირებულებებს, ინდივიდუალიზმს, თვითრეალიზაციას და პიროვნულ თვითგამორკვევას, ნაკლებ აქცენტს აკეთებენ მატერიალურ სიკეთეებზე – ბევრ შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლების მიმართ და ხანდახან წინააღმდეგობაშიც კი მოდის ეროვნულ ინტერესებთან[6]. საქართველოსათვის დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის საკითხები პოლიტიკური დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო პოლიტიკურ სივრცეში საზოგადოების მხარდაჭერის მიღება. შესაბამისად, საქართველოს მწვანეთა პარტიაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებს და სახელმწიფოს წინაშე არსებული ეკოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემების გადაჭრას საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირებდა.

„ქართულ საზოგადოებაში მოშლილია საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფერო – მთლიანად დანგრეულია ეკონომიკური სისტემა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა. ჩვენ ვერ ვახერხებთ სპეციალისტების აღზრდას თუნდაც უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის, არ გაგვაჩნია თანამედროვე აღჭურვილობა და ტექნოლოგიები, განადგურების პირზეა მიყვანილი ჩვენი საარსებო გარემო, შექმნილია მეტად მძიმე დემოგრაფიული ვითარება, იმპერიალისტური სისტემის მარწუხებში მოქცეულებს არ ძალგვიძს ეთნოკონფლიქტების განუწყვეტელი პროვოცირების თავიდან აცილება და ა.შ. ეკოლოგიური პრობლემა დღეს მთელი კაცობრიობის წინაშე დადგა, როგორც ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ თუ დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოებს შეუძლიათ მთელი ენერგია მიმართონ სწორედ ამ პრობლემის გადაჭრისაკენ, ჩვენ ერთდროულად გაგვიხდა გადასაწყვეტი ეროვნული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური პრობლემები. არსებითად აღმოვჩნდით უმაგალითოდ მძიმე მდგომარეობაში... ჩვენ წინაშე არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სრული აღდგენის შემდეგ...“, აცხადებს მწვანეთა პარტიის სპიკერი, ზურაბ ჟვანია, თავის ცნობილ სტატიაში „მწვანე ალტერნატივა“, რომელიც გამოქვეყნდა მწვანეთა მოძრაობის გაზეთში 1990 წლის 10 აგვისტოს. წერილში ხაზგასმულია, რომ იმ პერიოდ-

6 Ferdinand Müller-Rommel, 1994. Green Parties under Comparative Perspective, Wien Universität, Working Paper n. 99, Barcelona.

ში, ქართველი პოლიტიკოსები საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღდგენის პროცესს დასრულებულად არ თვლიან და რუსეთიდან მომდინარე „იმპერიალისტური“ მიზნების განხორციელების შესაძლებლობას სერიოზულ წინააღმდეგობად მიიჩნევენ.

ასევე, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს მწვანეები და მწვანეთა პარტია აქტიურად იყენებდა ევროპულ ტრიბუნას საქართველოს უსაფრთხოების პრობლემებისადმი ყურადღების მისაქცევად და საქართველოს მიმართ ევროპელების მხარდაჭერისა და მონაწილეობის გასაზრდელად. ევროპულ საერთაშორისო ფორუმებზე, რომელიც ევროპელი მწვანეების ინიციატივით იმართებოდა, მწვანეთა პარტიამ არაერთხელ მიმართა თავის ევროპელ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს – რუსეთის აგრესიისაგან დაეცვათ სეცესიურ რეგიონებთან კონფლიქტებში ჩართული საქართველო. კერძოდ, 1992 წლის ივნისის ბოლოს, ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“ (საქართველო) განვითარებული მოვლენების შემდეგ, საქართველოს მწვანეებმა მიმართვა გაუგზავნეს ევროპულ მწვანე პარტიებს, მოქმედ პოლიტიკოსებს ევროპარლამენტში, ეროვნული პარლამენტის წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ საქართველო 1921 წლის შემდეგ მეორედ იდგა ახალი რუსული აგრესიის წინაშე და სთხოვეს მათ, მიეღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ეს აგრესია და საქართველოს კვლავაც არ დაეკარგა სუვერენიტეტი.

1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში განახლებულ სამხედრო დაპირისპირებასა და მასთან დაკავშირებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს მწვანეთა პარტიის პრესსამსახურის სახელით გავრცელდა პრესრელიზი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მწვანეთა პარტიის სპიკერმა, ევრომწვანეთა გაერთიანების თანათავმჯდომარემ ზ. ჟვანიამ მიმართა ევროპის მწვანეთა გაერთიანების თავმჯდომარეებს, ევროპის ქვეყნების პარლამენტების მწვანეთა ფრაქციის ლიდერებს და სთხოვა მათ, მხარი დაეჭირათ „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოსთვის და სოლიდარობა გამოეცხადებინათ მისი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძისათვის“[7]. ასევე, 1994 წლის 27-31 იანვარს, ქართული დელეგაცია, სპიკერ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, დაესწრო ქ. ვენაში ევრომწვანეთა ფედერაციის კონგრესს. ვენის კონგრესზე ზურაბ

7 საქართველოს მწვანეთა პრესსამსახურის პრესრელიზი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმართვის გადაცემის შესახებ ევროპის მწვანეთა გაერთიანების თანათავმჯდომარეების და ევროპარლამენტის მწვანეთა ფრაქციის ლიდერებისათვის მათი ქვეყნების მეთაურებისათვის გასაცნობად – აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, საარქივო დოკუმენტი.

ჟვანიამ გამოსვლისას ხაზი გაუსვა იმას, თუ რა შედეგები მოჰყვება აგრესიულ სეპარატიზმს, თუ რაოდენ დიდი საშიშროება ელის ახალ მსოფლიოს და ახალ ევროპას მისი სახით და სხვ[8].

ამგვარად, საქართველოს მწვანეების (პარტია, მოძრაობა) იდეოლოგიის განმსაზღვრელი დოკუმენტები, გარემოსდაცვითი თემების გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენასა და მის განმტკიცებას. თუმცა, მწვანეთა პარტიის ბოლო, 1998 წლის წესდებაში, საქართველოს მწვანეებისათვის იდეოლოგიის ძირითად ამოსავლად ეკოლოგიური თემები რჩება. აქ მთავარი აქცენტი ეკოლოგიურ და ბუნებისდაცვით საკითხებზეა გადატანილი, რასაც მოჰყვება ადამიანის უფლებების დაცვა, „რეალური დემოკრატიის“ განმტკიცება, დემოკრატიული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნა, „ერთა შორის ჰარმონიზაცია“. მართლაც, საქართველოს მწვანეთა პარტიის საქმიანობაში, ინიცირებულ საკანონმდებლო აქტებსა თუ ღონისძიებებში ეკოლოგიური და ბუნებისდაცვითი თემები უპირობოდ დომინირებს. ამავე დროს, მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინკლუზიური (მონაწილეობითი) დემოკრატიის მხარდაჭერა და დამკვიდრება, ინდივიდუალური თავისუფლების, მრავალფეროვნების, სოციალური სამართლიანობის, გენდერული თანასწორობის დაცვა. ევროპელი მწვანეებისათვის მნიშვნელოვანი თემების მიმართ უყურადღებობა შესამჩნევია იმ საკანონმდებლო ინიციატივების მიმოხილვითაც, რომელიც 1990-იან წლებში საქართველოს პარლამენტმა მწვანეთა ინიციატივის საფუძველზე და აქტიური მონაწილეობით მიიღო.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მწვანეთა პარტიამ დიდი წარმატება მოიპოვა და მისი 11 წევრი გახდა დეპუტატი, რომლებსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ პარალამენტის სხვადასხვა კომიტეტში (იხ. მომდევნო თავებში), მათ შორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, სამი ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო თავად მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანია, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. მწვანეთა მოძრაობის წამ-

8 1994 წლის 27-31 იანვარს, ქალაქ ვენაში ჩატარებულ ევრომწვანეთა კონგრესში საქართველოს მწვანეების წარმომადგენელთა მონაწილეობის და კონგრესის რეზიუმე, საარქივო დოკუმენტი.

ყვან პოლიტიკოსებს ეკავათ ბუნების დაცვის მინისტრის (შოთა ადამია) და მისი მოადგილის (ნინო ჩხობაძე) პოსტებიც.

ამ პერიოდში მწვანეთა ინიციატივით პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შინაარსი გარემოსდაცვითი ხასიათისა იყო, კერძოდ, კანონები: „ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების შესახებ"; „საკოლმეურნეო ტყეების შესახებ"; „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" (აიკრძალა ტოქსიკური რადიაქტიური ნარჩენების ნებისმიერი სახით შემოტანა და ტრანზიტი); „მცენარეთა დაცვის შესახებ" და სხვ.

მოგვიანებით, 1995 წლის მოწვევის პარლამენტის შემადგენლობაში, მწვანეთა პარტიის ყოფილი ლიდერები პარლამენტში საქმიანობისას აგრძელებენ ან იკავებენ აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებს სხვა პარტიის, არჩევნებში გამარჯვებული „მოქალაქეთა კავშირის", სახელით. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეთა პარტიამ დამოუკიდებლად არ მიიღო მონაწილეობა, ხოლო მისი ორი წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნებში გამარჯვებული პარტიის „მოქალაქეთა კავშირის" სიით გავიდა. 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტში მწვანეთა პარტიის ინიციატივით მიღებული კანონებიდან აღსანიშნავია კანონები წიაღის, გარემოსდაცვითი ნებართვების, ეკოლოგიური ექსპერტიზის, დაცული ტერიტორიების, კოლხეთის ეროვნული პარკის, ცხოველთა სამყაროს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, საშიში ქიმიური ნივთიერებების, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, პარკებში მშენებლობის აკრძალვის შესახებ, ასევე – ტყის კოდექსი. აღნიშნულმა კანონებმა შექმნა საქართველოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის საფუძველი. საკანონმდებლო საქმიანობაში მწვანეთა პარტიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება კონსტიტუციაში გარემოსდაცვითი შინაარსის მუხლის შეტანა (37-ე მუხლი).

ზემოჩამოთვლილი კანონების მიმოხილვიდან ჩანს, რომ 1990-იან წლებში მწვანეთა პარტიის ინიციატივით მართლაც ბევრი კანონი მიიღეს პარლამენტში, თუმცა პარტიის საქმიანობის საფუძველზე ვერ მოხდა საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება. უფრო მეტიც, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ხელისუფლებაში მოსულმა ყოფილმა მწვანეებმა ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილების რევიზიაც კი დაიწყეს.

ამასთან ერთად, 1990-იანი წლების ბოლოს მწვანეთა პარტიის ხმა ნაკლებად ისმოდა გარემოს დაცვის გარდა, სხვა მნიშვნელოვან საზო-

გადოებრივ მოთხოვნებზე რეაგირებისას, რაც გულისხმობდა ბუნებისდაცვითი პრინციპების გათვალისწინების მოთხოვნას, ეკონომიკური თუ სოციალური მიმართულების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას. პოლიტიკურ სისტემაში მწვანეთა პარტიის მონაწილეობამ ვერ შეძლო გაეზარდა ხელისუფლების მგრძნობელობა საზოგადოებრივი მოთხოვნების მიმართ, მწვანეთა პარტია ნაკლებად ინტერესდებოდა მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების დაცვით, რაც უზრუნველყოფდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ზრდას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოში, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, თანასწორობის, მონაწილეობითი დემოკრატიის იდეების დაცვა პრობლემას წარმოადგენდა დამოუკიდებლობის დღიდან.

4. დასკვნა

ამგვარად, განვითარების საწყის ეტაპზე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნებში მწვანეთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობის წარმატებამ და მათი იდეოლოგიური საფუძვლების გაზიარებამ. მსგავსად ევროპელი მწვანე პარტიებისა, ქართულ სინამდვილეშიც მწვანეთა მოძრაობა დაიბადა სამოქალაქო მოძრაობიდან, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ეკოლოგიურ და გარემოს დაბინძურების პრობლემებზე, რომელთაც სხვა საზოგადოებრივი მოძრაობები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მწვანეთა მოძრაობა და პარტია ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც თავისი რეალურად განხორციელებული ღონისძიებებით პასუხობდა ევროპელი მწვანეების სტანდარტებს და აქტიურად იყო ჩართული ეკოლოგიური თემების განხილვასა და განვითარების პოლიტიკურ პროცესში.

თუმცა, გასათვალისწინებელია საქართველოს მწვანეთა პარტიის და მწვანე მოძრაობის იდეოლოგიური თავისებურებებიც – ის სპეციფიკა, რომელიც მათ ევროპელი პარტნიორებისაგან გამოარჩევდა და რაც საქართველოს პოლიტიკური-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების ეტაპით იყო განპირობებული. საქართველოს მწვანეთა პარტია, როგორც დეკლარაციის დონეზე, ასევე კონკრეტული საქმიანობის ფარგლებში, ყურადღებას უთმობდა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის თემებს, აქტიურად მონაწილეობდა დისკუსიაში,

რომელიც ეხებოდა ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებს.

ამას გარდა, საქართველოს მწვანეები, განსხვავებით ევროპელი პარტნიორებისაგან, ნაკლებად ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკის დღის წესრიგში საზოგადოებისათვის ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი თემების შეტანას. ეს შესაძლებელი იქნებოდა მწვანე პოლიტიკის პრინციპების სახელმწიფო პოლიტიკაში დანერგვითა და საზოგადოებისათვის გაცნობით, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური თუ საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი პრინციპების მიმართ, დაცული უნდა იყოს ინდივიდუალური თავისუფლება, ინკლუზიური დემოკრატია, მრავალფეროვნება, სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპები, ისევე როგორც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა და მშვიდობის შენარჩუნება.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1990-იან წლებში მთლიანად საქართველოს პოლიტიკური სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გამო, მწვანეთა პარტია მგრძნობიარეა პარტიული პოლიტიკური სისტემის წინაშე არსებული პრობლემების მიმართ, როდესაც საკმაოდ მაღალია ცვლილებების მოლოდინი და სახეზეა პოლიტიკური რეჟიმის, ეკონომიკური და საკანონმდებლო გარემოს არაწინასწარმეტყველებადი ხასიათი. შესაბამისად, მწვანეთა პარტიის ლიდერები სისტემის არამდგრადობის გამოწვევების საპასუხოდ ყველა ცნობილ ხერხს მიმართავენ, რომ შეინარჩუნონ საკუთარი თავი პოლიტიკაში, ეძებენ ძლიერ პარტიულ პარტნიორს და ირჩევენ მის მიმართ მიდევნების პოლიტიკას, ან ერთიანდებიან კოალიციაში განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიებთან, ისევე, როგორც მწვანეთა ლიდერები ტოვებენ და გადადიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში იმ მიზნით, რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვონ. ამასთან, ისევე როგორც სხვა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, ქართულ პოლიტიკურ სისტემაშიც პარტიის ორგანიზებაში პიროვნების ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს და ნაკლებად არის დამკვიდრებული შიდაპარტიული დემოკრატიული ნორმები, ამომრჩეველი ნაკლებადაა მიბმული ერთ რომელიმე პარტიასთან, პარტიები კი ნაკლებად არიან დამოკიდებული პროგრამულ ვალდებულებებზე.

გამოყენებული მასალა და ლიტერატურა

1. ზ. ჟვანიას ინტერვიუ: „მწვანეთა მოძრაობა მხოლოდ ეკოლოგია როდია“. გაზეთი „შანსი“; ჟვანიას შეფასება, 2 ივლისი, 1992, საარქივო დოკუმენტი.
2. მწვანეთა პარტიის მიერ პოლიტიკური პროცესების შეფასება, საარქივო დოკუმენტი.
3. საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია, საარქივო დოკუმენტი.
4. საქართველოს მწვანეების დებულების პროექტი, მიღებული 1998 წლის 13 ივნისს, მე-6 კონგრესზე, საარქივო დოკუმენტი.
5. საქართველოს მწვანეთა პარტიის წესდება, რეგისტრირებული 1998 წლის 27 თებერვალს, საარქივო დოკუმენტი.
6. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება, 1995, საარქივო დოკუმენტი.
7. საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები, მიღებული 1991 წლის მე-2 კონგრესზე, საარქივო დოკუმენტი.
8. საქართველოს მწვანეთა პარტიის წესდება, მიღებული 1992 წლის 24 აპრილს, საარქივო დოკუმენტი.
9. 1994 წლის 27-31 იანვარს, ქალაქ ვენაში ჩატარებულ ევრომწვანეთა კონგრესში საქართველოს მწვანეების წარმომადგენელთა მონაწილეობის და კონგრესის რეზიუმე; ქართულ ენაზე, საარქივო დოკუმენტი.
10. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის („რუსთაველის საზოგადოებასთან“ არსებული ეკოლოგიური ასოციაციის) წესდების პროექტი, საარქივო დოკუმენტი.
11. საქართველოს გამოცხადება უბირთვო ზონად – წერილი მ. გორბაჩოვს და რ. რეიგანს, საარქივო დოკუმენტი.
12. მწვანეთა განცხადება სომხეთის ატომური ელექტროსადგურის შესახებ, საარქივო დოკუმენტი.
13. სახელმწიფო მოწყობა, მწვანეთა პროგრამა, საარქივო დოკუმენტი.
14. Ferdinand Müller-Rommel, 1994. Green Parties under Comparative Perspective, Wien Universität, Working Paper n. 99, Barcelona.
15. Noam Lupu, Rache Beatty Riedl, Political Parties and Uncertainty in Developing Democracies, Comparative Political Studies, preprint, XX(X) 1-27, 2012).
16. Scott W. Desposato, (2006). Parties for rent? Ambition, ideology and party switching in Brazil’s Chamber of Deputies. American Journal of Political Science, 50, 62-80.



ხუდონჰესის მშენებლობა
ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

საპროტესტო მსვლელობა „გადავარჩინოთ სვანეთი“, 1989 წელი
ფოტო ილია ჯღარკავას არქივიდან



ზურაბ ჟვანია და მერაბ კოსტავა აქციაზე სვანეთში, 1989 წელი
ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

II

1987-1992

ნინო ბექიშვილი

1987-1992

ნინო ბექიშვილი

1987 წლის იანვარში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხაილ გორბაჩოვმა „გარდაქმნა“ და „საჯაროობა“ სახელმწიფოს განვითარების მთავარ გზად გამოაცხადა. პარტიის ლოზუნგი გახდა – „მეტი საჯაროობა, მეტი დემოკრატია“, რაც იმას გულისხმობდა, რომ დაუშვეს კერძო კომერციული საქმიანობა, შემსუბუქდა ცენზურა, მიიღეს გადაწყვეტილება, აღარ ჩაეხშოთ დასავლური რადიოსადგურები, ოფიციალურად დართეს ნება და წაახალისეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა, გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები.

სწორედ ამ თარიღის შემდეგ დაიწყო სსრკ-ში ის ძირეული ცვლილებები, რომელთაც რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებული დემოკრატიზაციის პროცესი მალევე გადაიზარდა ფართომასშტაბიან ეროვნულ მოძრაობაში, რაც საბოლოოდ, 1991 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით და ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ და ზვიად გამსახურდიას მოსვლით დასრულდა.

ეს იყო ცვლილებებისა და საბჭოთა მოქალაქეებისთვის მანამდე არნახული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტიურობის ხანა, რომელიც თავიდან ერთგვარი სიფრთხილითა და შიშითაც კი დაიწყო.

ამ პერიოდში საზოგადოება ნელ-ნელა ისეთი საკითხებით დაინტერესდა, რომლებზეც მანამდე საბჭოთა მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორედ ეკოლოგიური, მწვანე თემატიკა გახლდათ.

პირველად საბჭოთა ხელისუფლებას საზოგადოების ნაწილი დაგეგმილი ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის გამო საჯაროდ დაუპირისპირდა. დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რკინიგზა უნდა გასულიყო ფშავ-ხევსურეთში, გაევლო ჩრდილო კავკასიაში და გადასულიყო რუსეთში.

მეცნიერებს, ვინც მაშინ რკინიგზის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ (ზაალ ქიქოძეს, აკაკი ბაქრაძეს, ლალი ჯავახიშვილს, ვახტანგ ლიჩელს და სხვებს), კარგად ესმოდათ ის საშიშროება, რასაც საქართველოს კიდევ ერთი „როკის გვირაბი“ უქადდა. მაშინ, საბჭოთა პრესაში, ცხადია, ამ მთა-

ვარი მიზეზის დასახელება შეუძლებელი იყო და მოხერხდა, ეს საფრთხე გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებით შეენიღბათ, მით უმეტეს, რომ მეცნიერების აზრით, ეს რკინიგზა აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებდა ფშავ-ხევსურეთის ეკოსისტემას. გეოლოგებმა, ჰიდროლოგებმა, არქეოლოგებმა, ერთობლივად იმუშავეს და დაასაბუთეს, რომ რკინიგზა ნაშალ ქანებში და მეწყერსაშიშ ზონაში უნდა გაეყვანათ, რაც კატასტროფულ შედეგებს მოიტანდა.

1987 წლის 20 მარტს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა აკაკი ბაქრაძის რეპლიკა[1] ტრანსკავკასიური რკინიგზის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ – 27 მარტს კი არქეოლოგ ვახტანგ ლიჩელის ვრცელი წერილი[2], სწორედ ამ ორმა პუბლიკაციამ დაუდო სათავე იმხანად უკვე გააქტიურებული სტუდენტობის ჩართვას ამ საკითხის განხილვაში – „ამ სტატიების წაკითხვის შემდეგ სტუდენტები მივედით აკაკი ბაქრაძესთან და ვახტანგ ლიჩელთან, – იგონებს ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი და მაშინდელი აქტივისტი ფიქრია ჩიხრაძე, – პროექტს ბევრი პრობლემა ჰქონდა – პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური. სწორედ მაშინ გავიგეთ პირველად სიტყვა „ეკოლოგია“ და ძალიან მოგვეწონა, დავინტერესდით ამ თემით... ამის პარალელურად გაჩნდა „კავკასიური კლუბი“ – ზალიკო ქიქოძე და მისი მეგობრები, რომლებიც ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობას აპროტესტებდნენ; გავიცანით ზურაბ ჟვანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი, მაგრამ უკვე ლიდერის თვისებებით გამორჩეული. აქტიურობდა მწერალი ნაირა გელაშვილიც. ჩვენ ყველანი ტრანსკავკასიის რკინიგზის თემამ გაგვაერთიანა. 1987 წლის 9 აპრილს უნივერსიტეტში შედგა სტუდენტების შეხვედრა პროექტის ავტორებთან. მაისში გაიმართა ხმაურიანი განხილვა მწერალთა კავშირში, სადაც ჭაბუა ამირეჯიბი იცავდა რკინიგზას და მერე ძალიან ცუდი წერილიც გამოაქვეყნა „კომუნისტში“[3]; მთელი ორთვიანი ჭიდაობის შემდეგ, 10 სექტემბერს „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩვენი ვრცელი სტატია, სადაც ეკოლოგიურ პრობლემებზეც იყო საუბარი და რომელსაც თან დაურთეს სარედაქციო წერილი, სადაც სულ უვიცები, მართულები და გზასაცდენილები გვეძახეს“[4].

---

1 აკაკი ბაქრაძე, „ჩვენ?!“. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 20 მარტი.

2 ვახტანგ ლიჩელი, „ერთად განვსაჯოთ“. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 27 მარტი.

3 ჭაბუა ამირეჯიბი, „საჭიროა თუ არა საუღელტეხილო მაგისტრალი?“. „კომუნისტი“, 1987, 18 ივლისი.

4 ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან. ჩაწერილია 2013 წლის 20 მაისს.

ნაირა გელაშვილი სტატიაში „დაღუპული შესაძლებლობები“, რომელიც ზურაბ ჟვანიას ხსოვნას ეძღვნება, აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებული ერთობა წარმოიქმნა ტრანსკავკასიური რკინიგზის წინააღმდეგ ბრძოლისას: ინტელიგენციის, მეცნიერთა და შემოქმედთა ძველი და ახალი თაობა, ყველა გაერთიანდა ამ როგორც ეკოლოგიური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით ბარბაროსული პროექტის შესაჩერებლად. და აქ ზალიკო ქიქოძე და ზურაბ ჟვანია განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ“[5].

ტრანსკავკასიის რკინიგზის საკითხში წარმატებამ ბიძგი მისცა სტუდენტობას და მეცნიერებს, რომ ხუდონჰესის თემაზე კიდევ უფრო აქტიურად ემუშავათ. სტუდენტურ მიტინგებზე, რომლებიც იმ დროს, ძირითადად, დავით გარეჯიდან სამხედრო პოლიგონის გადატანის მოთხოვნით იმართებოდა, აქტუალური იყო და ყოველთვის გაისმოდა ხუდონჰესის თემა.

„ვერ გამიჯნავდი, რა განაპირობებდა ამ პროტესტს – ეს იყო მწვანე პროტესტი თუ, ზოგადად, პოლიტიკური პროტესტი. დისიდენტური, რადიკალური ნაწილი ამ პროტესტს შემოუერთდა. თუმცა, უფრო ჩართული მერაბ კოსტავა გახლდათ. საბჭოთა ხელისუფლების არგუმენტი სწორედ ის იყო, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ამბობს – ჩვენ გვჭირდება ეკონომიკა, ჩვენ გვჭირდება ელექტროენერგია. ეს აუცილებელია, მხოლოდ ამას აქვს მომავალი“[6].

ხუდონჰესის საკითხში სტუდენტებმა და მეცნიერებმა იგივე გზა აირჩიეს, რაც ტრანსკავკასიის რკინიგზის შემთხვევაში – მეცნიერები წერდნენ დასაბუთებულ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა საფრთხე შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეწყერსაშიშ ზონაში დიდი კაშხლების მშენებლობას და ცდილობდნენ, ხმა მიეწვდინათ რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის. სტუდენტობა ქუჩის აქციებს მართავდა, პრესაში იწერებოდა სტატიები...

1987-1988 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაარსება ოფიციალურად იყო დაშვებული, კომუნისტური მმართველობა ციხიდან ახლადგათავისუფლებულ დისიდენტებს ჯერ კიდევ „არაფორმალებად“ მოიხსენიებდა, „რადიკალებს“ უწოდებდა და ყველას შევიწროებას ცდილობდა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას აშკარად და ღიად მოითხოვდა. მართალია, პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებს საბჭოთა რეჟიმი ისე აღარ ებრძოდა, როგორც, თუნდაც, რამდე-

5 წერილები ზურაზე. თბილისი, „სიესტა“. 2008. გვ. 141.

6 ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან. ჩაწერილია 2013 წლის 20 მაისს.

ნიმე წლის წინ, მაგრამ ხელისუფლება მაინც ცდილობდა, რაღაცნაირად გაენეიტრალებინა ისინი. მაშინ არც მრავალპარტიული სისტემა იყო დაშვებული; ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა.

1987 წელს შეიქმნა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელშიც დისიდენტების დიდი ნაწილი გაერთიანდა. მათ შორის, მერაბ კოსტავაც (მაშინ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია იმან, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ ზვიად გამსახურდია არ მიიღეს, რადგან თვლიდნენ, რომ დისიდენტისთვის შეუფერებლად მოიქცა, როცა 1978 წელს საჯაროდ, ცენტრალური ტელევიზიით მოინანია ანტისაბჭოთა საქმიანობა).

იატაკქვეშეთიდან ამოსული ან ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიების საპირწონედ, საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო „რუსთაველის საზოგადოების“ შექმნას, სადაც საბჭოთა ინტელიგენცია იყო გაერთიანებული. „რუსთაველის საზოგადოება“ 1988 წლის მარტში დაფუძნდა, თავიდან საზოგადოების თავმჯდომარედ ირაკლი აბაშიძე აირჩიეს, რომელიც მალევე გადაირჩიეს და „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე გახდა.

„რუსთაველის საზოგადოების“ დამფუძნებელ კრებაზე აქტიური სტუდენტებიც მიგვიწვიეს. ამ დროს რამდენიმე ადამიანი წამოდგა და გამოვიდა სიტყვით. მათ შორის – ზურაბ ჟვანია, რომელმაც უკვე იცოდა, რაზედაც ლაპარაკობდა, მან თქვა, რომ რუსთაველის საზოგადოებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გარემოსდაცვითი ორგანიზაციაც“[7].

1988 წლის 8 მაისს დაფუძნდა ბუნების დაცვის სექცია „რუსთაველის საზოგადოებაში“, რომელიც მალევე გადაიქცა „ეკოლოგიურ ასოციაციად“, რომლის გამოკვეთილი ლიდერიც თავიდანვე ზურაბ ჟვანია იყო.

მწვანეთა არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ ამ დროისთვის მწვანე მოძრაობის ლიდერებს უკვე შემუშავებული ჰქონდათ სამოქმედო გეგმა, რაც მოიცავდა ეკოლოგიური განათლების დანერგვას, დიდი ტექნოკრატიული პროექტების ზედამხედველობას, რეგიონული ორგანიზაციების დაარსებას, კანონმდებლობაზე მუშაობას და უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების დამყარების აუცილებლობას. 1988 წლის 27 მაისით დათარიღებულ დოკუმენტში[8] მოკლედაა გაწერილი სექციის ძირითადი მიმართულებები. დოკუმენტს ხელს საქართველოს სსრ ვახუშტი

7 ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან. ჩაწერილია 2013 წლის 20 მაისს.

8 „რუსთაველის საზოგადოების“ ბუნების დაცვის სექციის მუშაობის მიმართულებები. 27.05.1989. საარქივო დოკუმენტი.

ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიის განყოფილების გამგე, გივი თუმანიშვილი აწერს.

„ეკოლოგიურ ასოციაციაში“ შედიოდნენ ნაირა გელაშვილი, გივი თუმანიშვილი, შოთა ადამია, გია ბარამიძე, მარიკა დარჩია, რევაზ ხუნწარია, ეთერ მაისაშვილი და სხვები. „რუსთაველის საზოგადოება“ გამოსცემდა გაზეთ „მამულს“, ამ გაზეთში ჩვეულებრივი თაბახის ფურცელი ჩაიდო, სადაც ეწერა, რომ მწვანეთა მოძრაობა წარმოადგენს ადამიანთა ერთობას, რომლებსაც აქვთ ეკოლოგიური პრინციპები. დოკუმენტი სულ ნახევარ თაბახზე იყო და ხელს აწერდნენ: გივი თუმანიშვილი, ნაირა გელაშვილი, ნანა ნემსაძე და ბოლოს, ზურაბ ჟვანია, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. ეს იყო ზურას იდეა. ზურა ჟვანიამ შემოიკრიბა ეს ადამიანები და გააერთიანა მწვანეთა იდეის გარშემო. ამაზე საუბარი დაიწყო იმ ფონზე, როცა ხუდონი შენდებოდა, საბჭოთა კავშირი არსებობდა“[9].

1988 წლის 25 ნოემბერს გაიმართა „რუსთაველის საზოგადოების“ ეკოლოგიური ასოციაციის საჯარო განხილვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ დარბაზში. „დარბაზი სავსეა – იარუსის ჩათვლით“, წერია განხილვის ხელნაწერ ოქმში, რომელიც მწვანეთა არქივშია დაცული. მთავარი თემა ხუდონჰესი იყო. განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ ზურაბ ჟვანია, გივი გიგინეიშვილი, შოთა ადამია და სხვები.

1989 წლის 5 მარტს ეკოლოგიური ასოციაციის და ზურაბ ჟვანიას ორგანიზებით დიდი აქცია მოეწყო იპოდრომზე. აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ ზურაბ ჟვანია, ნაირა გელაშვილი. მესტიიდან ჩამოვიდა ადგილობრივი ექიმი, ლუბა ნიჟარაძე, რომელმაც ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოიმატა დაავადებების რიცხვმა სვანეთში მას შემდეგ, რაც ენგურჰესი აშენდა. აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდიაც.

ხუდონჰესის საკითხში ქართველმა მწვანეებმა წარმატებას ორი წლის ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს. აღსანიშნავია ადგილობრივი, სვანეთის და სამეგრელოს მოსახლეობის აქტიურობაც. მწვანეთა არქივში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს ადგილობრივების მაღალ ჩართულობას საკითხის გადაწყვეტაში – სვანეთის სოფლების მოსახლეობა იკრიბებოდა, წერდა პეტიციებს, სთხოვდა დახმარებას ეკოლოგიურ ასოციაციას და მთავრობას.

„რუსთაველის საზოგადოების“ ეკოლოგიურმა ასოციაციამ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 მაისს წარუდგინა დასკვნა, რომელსაც ხელს

9 ინტერვიუ ეთერ მაისაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 25 დეკემბერს.

აწერენ „რუსთაველის საზოგადოებასთან“ არსებული ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი გივი თუმანიშვილი და ეკოლოგიური ასოციაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე შოთა ადამია. დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ეკოლოგიური ასოციაცია აუცილებლად მიიჩნევს, საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ გამოხატოს თავისი პოზიცია ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელებასთან თუ მისი ლიკვიდაციის შესახებ უახლოეს ხანებში, რაც იქნებოდა ერთადერთი პირობა რეგიონში შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარების განსამუხტავად. დღეისთვის შეგროვებული მონაცემები სავსებით ნათლად მოწმობს, რომ აღნიშნული მშენებლობა მდ. ენგურის ხეობაში სრულიად დაუშვებელია“[10].

ამავე წლის 30 ივნისს კი საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება[11] ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ. „ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის ქ. ჯვრის მოსახლეობის და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნის გათვალიწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს: დაუყოვნებლივ შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა და შემუშავდეს სათანადო ღონისძიებანი მისი მშენებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სრული ლიკვიდაციისთვის“. დადგენილებას ხელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა აწერს.

ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტა მწვანეების, სტუდენტთა მოძრაობის და ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ჩართულობის შედეგად გახდა შესაძლებელი. ბუნებრივია, ამ გამარჯვებამ სტიმული მისცა მწვანეებს და მათ ლიდერებს.

1989 წლის 12 მაისს ეკოლოგიურმა ასოციაციამ პირველი ფართომასშტაბიანი ეკოლოგიური კონფერენცია[12] მოაწყო, სადაც 244 დელეგატი მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც აღწერილია ის გარემოსდაცვითი პრობლემები, რაც იმდროინდელ საქართველოშია (დიდი მშენებლობები, არსებული კანონმდებლობის დარღვევა, საჭირო კანონმდებლობის შემუშავება), ასევე რეკომენდაციები ეძლევა ხელისუფლებას: „თუკი საქართვე-

10 გივი თუმანიშვილისა და შოთა ადამიას მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. 20.06.89. საარქივო დოკუმენტი.

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება N330. საარქივო დოკუმენტი.

12 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის I კონფერენციის მასალები. 1989 წლის 12 მაისი. საარქივო დოკუმენტი.

ლოს მთავრობა და უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა დროულად არ იზრუნებს ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებისთვის, ძალზე ძნელი იქნება რესპუბლიკაში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის კონტროლი“.

ამ დროს მწვანეთა მოძრაობა ძალიან ბევრ საკითხზე მუშაობდა და თანამშრომლობდა მინისტრთა საბჭოსთან – იქნებოდა ეს მიწის, ტყეების, კერძო მებაღეობის, ჰაერის დაბინძურების თუ კავკასიის ცენტრალური გაზსადენის მიმდინარე სამუშაოები. „1991 წელს აზერბაიჯანელებთან ერთად მოეწყო ერთობლივი ექსპედიცია მტკვარზე, სათავეებიდან დავიყავით და აღვნუსხეთ ყველა პრობლემა, რაც აქვს მტკვარს, დავსახეთ, რა უნდა გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ მტკვრის ეკოსისტემა დაგვეცვა“[13].

1989 წლიდან ეკოლოგიური ასოციაცია იწყებს აქტიურ მუშაობას რეგიონებში. სწორედ ამ დროიდან ჩნდება რეგიონული ორგანიზაციები მთელი საქართველოს მასშტაბით. მწვანეთა არქივში წარმოდგენილია ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ასოციაციის თანათავმჯდომარე მარიკა დარჩია იგონებს, თუ როგორ დადიოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით და როგორ აარსებდნენ რეგიონულ ორგანიზაციებს. ერთხელ თურმე საკუთარ აგარაკზე სპექტაკლი დადგა და მოაგარაკეებს შორის ბილეთები გაყიდა – მთელი 76 მანეთი იშოვეს, და რადგანაც ავტობუსის ბილეთები იაფი ღირდა, ამ ფულით ნახევარი საქართველო მოიარეს.

მწვანეთა მოძრაობა იყო პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც ფართო ქსელი ჰქონდა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამას გარდა, ეკოლოგიურ ასოციაციაში ბევრი სტუდენტიც გაწევრიანდა, რასაც ასევე ადასტურებს მწვანეთა არქივში დაცული დოკუმენტები.

ეკოლოგიური ცნობიერების გაჩენაში და საზოგადოების ინფორმირებაში იმ პერიოდში ძალიან დიდი როლი ითამაშა 1990-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ერთ-ერთმა საუკეთესო ნიმუშმა, ნაირა გელაშვილის საპროგრამო სტატიამ „ეკოლოგია, ტექნოკრატია, პოეზია“, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1989 წლის თებერვალში. სტატია უპირველესად იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს მოსახლეობას აცნობდა გარემოსდაცვითი თემების მნიშვნელობას და ევროპული მწვანე მოძრაობების ისტორიას, რომელიც მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. საბჭოთა ადამიანებს მაშინ ამგვარ ინფორმა-

13 ინტერვიუ ნინო ჩხობაძესთან. ჩაწერილია 2013 წლის 3 ივნისს.

ციაზე ხელი, მცირედი გამონაკლისის გარდა, არ მიუწვდებოდათ.

„მე მსოფლმხედველობას ვქმნიდი, რომელიც ადამიანისთვის გასაგები იქნებოდა – რა არის ეს მწვანეთა მოძრაობა. რატომ არ უნდა აშენდეს ხუდონი? იმიტომ, რომ იმათ მხარეს იყო ფული, ტელევიზია და საჭირო იყო, რომ ადამიანისთვის გასაგებ ენაზე მიგეტანა სიმართლე, რომელიც ჩვენს მხარეს იყო“[14].

მწვანეთა პარტია 1990 წელს შეიქმნა. პარტიის ლიდერს, ზურაბ ჟვანიას ესმოდა, რომ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარება პოლიტიკაში მოსვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ჩანს, მას ამ გადაწყვეტილების მიღებაში ზოგადი პოლიტიკური ფონიც დაეხმარა: ეს პერიოდი სწორედ იმით ხასიათდებოდა, რომ იქმნებოდა ბევრი სხვადასხვა პარტია. არქივში შემორჩენილია მოძრაობის სხდომის 29 მაისის ოქმი[15], სადაც ზურაბ ჟვანია ითხოვს მოძრაობის აღმასრულებელი მდივნობისგან გათავისუფლებას, რადგან უკვე არის პარტიის სპიკერი. ამავე სხდომაზე გადაწყდა მწვანეთა მოძრაობის გაზეთის „დედამიწის“ გამოცემა.

1990 წელს მწვანეთა მოძრაობა ცალკე ოფისში გადავიდა. მარიკა დარჩია იხსენებს, რომ რახან „რუსთაველის საზოგადოებაში“ მუშაობის პირობები არ ჰქონდათ, გადაწყვიტეს, დაევლოთ თბილისში არსებული ბაღები. საბოლოოდ, მწვანეთა მოძრაობა მუშტაიდის ბაღში არსებული ბიბლიოთეკის შენობაში დამკვიდრდა და მთლიანად დასცილდა „რუსთაველის საზოგადოებას“.

მწვანეთა მოძრაობა, მწვანეთა პარტია და ეკოლოგიური ასოციაცია რამდენიმე წლის განმავლობაში ინტეგრირებულად თანაარსებობდნენ. ეკოლოგიურ ასოციაციაში გაერთიანებული მეცნიერები – გივი თუმანიშვილი, გივი გიგინეიშვილი, შოთა ადამია ექსპერტულ საქმიანობას აგრძელებდნენ, მოძრაობა თითქოს ცალკე იყო, ცალკე იყო პარტია, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ, ერთი ოფისი ჰქონდათ (მუშტაიდის ბაღში) და ერთი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდათ – ზურაბ ჟვანია.

ეთერ მაისაშვილი იხსენებს, რომ პარტიის შექმნის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც 1990 წელს ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა არჩევნებში, მწვანეთა მოძრაობა კი – დამარცხდა. რუსთავის ერთ-ერთ ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილმა ზურაბ ჟვანიამ, რომელიც იმხანად ხალხში უკვე საკმაოდ პოპულარული იყო, „მრგვალი

14 ინტერვიუ ნაირა გელაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 20 დეკემბერს.

15 საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის სხდომის ოქმი. 29.05.1990. საარქივო დოკუმენტი.

მაგიდის“ სრულიად უცნობ მაჟორიტართან წააგო. „ამის შემდეგ მწვანეთა მოძრაობაშიც შემოვიდა პოლიტიკა. ზურას გაუჭირდა აეხსნა გივი თუმანიშვილისთვის, ნანა ნემსაძისათვის, რომ ვერ განვითარდებოდა მოძრაობა, თუ პოლიტიკაში არ იქნებოდა. ჩამოყალიბდა მწვანეთა მოძრაობა და პარტია. მაგრამ ერთიანობა მაინც შენარჩუნდა. მწვანეთა მოძრაობის და პარტიის წევრთა წინაშე მოთხოვნა არ დამდგარა – პარტიაში შეხვალ ან მოძრაობაში დარჩები. მე თვითონ არასდროს ვყოფილვარ მწვანეთა პარტიის წევრი. თუმცა, პოლიტსაბჭოს წევრი ვიყავი, ერთი და იგივე საბჭო ჰქონდა ორივე სტრუქტურას“[16].

მწვანეთა მოძრაობა მოსახლეობაში მწვანე ცნობიერების დასანერგად და საკუთარი იდეების გასავრცელებლად აქტიურად იყენებდა მედიას. 1990 წლიდან მოძრაობის თანათავმჯდომარეს მარიკა დარჩიას მიჰყავდა გარემოსდაცვითი რუბრიკა რადიოს პირველ არხზე, მაშინ ყველაზე პოპულარულ გადაცემაში „პიკის საათი“, ამავე წლიდან გამოიცემოდა მწვანეთა გაზეთი „დედამიწა“.

მწვანეთა გამოცემა „დედამიწა“, რომლის ტირაჟიც თავიდან 50 000 იყო, მხოლოდ პარტიული გაზეთი არ ყოფილა. ეს უფრო მწვანეთა მოძრაობის გაზეთი იყო, რომელიც ცდილობდა მკითხველის ყურადღების მიპყრობას ეკოლოგიური თემებისადმი, თუმცა – არა პარტიული მუშაობის მიმართ. გაზეთში თითქმის არ გვხვდება მასალები შიდაპარტიული მუშაობის შესახებ. „აი, ახლა რომ ათვალიერებ გაზეთს, ვერ აღიდგენ იმას, თუ რა პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა მაშინ. მაგალითად, პოლიტსაბჭოს სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია ჩვენს გაზეთში არ იბეჭდებოდა, რაც შეცდომა იყო. ჩვენ ვაკეთებდით ეკოლოგიურ გაზეთს და არა პარტიულს, მაშინ მიგვაჩნდა, რომ ეს სწორი იყო. მე ვეუბნებოდი ზურას, რომ ვარ ეკოლოგიური გაზეთის და არა შენი პარტიის გაზეთის რედაქტორი“[17].

გაზეთ „დედამიწის“ პირველივე ნომერში (1990 წლის აგვისტო) ზურაბ ჟვანიას საპროგრამო სტატია „მწვანე ალტერნატივა“ დაიბეჭდა, სადაც უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკოსის ხმა ისმის: „რას ვგულისხმობთ ჩვენ საზოგადოების ცნობიერების შეცვლაში? არის თუ არა ეს უტოპიურ მოწოდებათა ახალი ტალღა, რითაც კომუნისტებმაც მოგვაბეზრეს თავი? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ შორს ვდგავართ ილუზიებისგან, მით უფრო პოლიტიკაში! შექმნილი ვითარება გვიბიძგებს მოქმედებისაკენ! ვხედავთ,

16 ინტერვიუ ეთერ მაისაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 25 დეკემბერს.

17 ინტერვიუ ეთერ მაისაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 25 დეკემბერს.

რომ რესურსები მთელ დედამიწაზე ამოწურვის პირასაა. [...] ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოში შევქმნათ ეკოლოგიური სახელმწიფო, ეს ნიშნავს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაინერგოს ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნათა უცილობელი პრიმატი. ეკონომიკის განვითარების მთავარი პრიმატი უნდა იყოს – ეკონომიკურია ის, რაც ეკოლოგიურია. [...] ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ მწვანეთა გზა გადაარჩენს არა მხოლოდ „საქართველოს ბუნებას", არამედ, „ქართულ ბუნებასაც", რომ ეს არის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გზა, რომელიც მიგვიყვანს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ, სულიერ დამოუკიდებლობამდე, გზა, რომელიც დაუმკვიდრებს საქართველოს მის საკუთარ, განუმეორებელ ადგილს მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა თანასაზოგადოებაში".

მწვანეთა მოძრაობა გამოირჩეოდა იმითაც, რომ თავიდანვე ეძებდა თანამოაზრეებს კავკასიაში, მთელ საბჭოთა კავშირში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პარტიის განვითარებისთვის – ევროპაში.

სწორედ ეს – გახსნილობა და სურვილი, რომ საქართველო საერთოკავკასიურ და ევროპულ მწვანეთა მოძრაობაში ჩართულიყო, გამოარჩევს მწვანეთა მოძრაობას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური სპექტრისგან.

ჯერ კიდევ მოძრაობის სათავეებიდან, 1988-89 წლებიდან იწყება კავშირების ძებნა კავკასიელ ხალხებთან და 1990 წელს ყალიბდება საზოგადოებრივ-კომერციული საერთოკავკასიური ასოციაცია „კავკაზი"[18]. ორგანიზაციის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა შეხვედრები, კონფერენციები. ამავე დროს, მთარგმნელთა კოლეგიის ბაზაზე დაფუძნდა „კავკასიური სახლი", ეს ნაირა გელაშვილის ინიციატივა იყო, რომელიც იმ დროს მწვანე მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

„უფრო განმტკიცდებოდა ჩვენი პოზიცია, თუ მარტო ქართული მოძრაობა კი არ იქნებოდა, საერთოკავკასიურ მასშტაბს მიიღებდა და ეს იქნებოდა წამყვანი მოძრაობა მთელ კავკასიაში. გათვლა ძალიან სწორი იყო, ეს მე და ზურაბ ჟვანიამ მოვიფიქრეთ. ლამის მთელი კავკასია ავამოძრავეთ მაშინ, დიდი ენთუზიაზმი, ენერგია და ფული იყო საჭირო. ფული არ გვქონდა, მაგრამ რაც გვქონდა, ვიყენებდით. მაშინ დავწერე მიმართვა ყველა კავკასიელი ხალხისადმი რუსულად და ვათარგმნინეთ მათ ენებზე. ამის მერე შევქმენით ცოცხალი დელეგაციები და ისინი გავუშვით ამ

18 Устав общественно-коммерческой ассоциации содействия содружеству стран и народов Кавказа – Кавказ. 1990. საარქივო დოკუმენტი.

ხალხებთან. ამ დელეგაციებში ძალიან ცნობილი ადამიანები შედიოდნენ. ყველასთვის მისაღები იყო ეს მოძრაობა, რომელიც აერთიანებდა საუკეთესო ძალებს, მეცნიერებს და განათლებულ ხალხს. რუსეთიდანაც ჩაერთვნენ, ჩრდილო კავკასია რუსეთის ნაწილია. ეს დელეგაციები ყველა ადგილას წავიდნენ: გროზნო, ჩერკესკი, მახაჩყალა, მაიკოპი. მიდიოდნენ ჩვენი ავტობუსით, მიდიოდნენ კვლევით დაწესებულებებში, მეცნიერებს ელაპარაკებოდნენ. მე თვითონ დავდიოდი და ძალიან დიდი გამოხმაურება იყო. 1990 წლის ივნისში გავმართეთ პირველი კონფერენცია. ის მაინც მოვახერხეთ, რომ ჩამოყალიბდა კავკასიის ეკოლოგიური საბჭო ძალიან კარგი წესდებით. პარლამენტივით იყო, ყველა ხალხის წარმომადგენელი შედიოდა. თავმჯდომარე იყო ჩეჩენი ეკოლოგი რამზან გოეტემიროვი. ჩეჩნეთსა და აზერბაიჯანში ძლიერი იყო ეკოლოგიური მოძრაობა, სხვაგან არ იყო“[19].

ზურაბ ჟვანიამ მოახერხა საკმაო პოპულარობა მოეხვეჭა ევროპელ მწვანეებში – ქართველი მწვანეები 1991 წლის 23 მარტს ევრომწვანეების წევრად მიიღეს. ქართველი მწვანეები ესტონელებთან ერთად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველები გაწევრიანდნენ ევრომწვანეებში[20]. 1992 წელს ზურაბ ჟვანია საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ შავი ზღვა“ პრეზიდენტი გახდა, ხოლო ამავე წლის ზაფხულში მწვანეთა პარტიების საერთაშორისო ფედერაციის თანათავმჯდომარედ აირჩიეს. ქართველი მწვანეების მოწვევით საქართველოშიც ჩამოდიოდნენ ევროპელი მწვანე აქტივისტები. გამოცდილებას, რომელსაც მწვანეთა მოძრაობის წევრები უცხოეთში იღებდნენ, აქტიურად იყენებდნენ საქმიანობაში. მაგალითად, მწვანეთა პარტია იყო პირველი პოლიტიკური პარტია საქართველოში, რომელმაც 1992 წლის არჩევნებისთვის დაიქირავა სოციოლოგების ჯგუფი, ჩაატარა ფოკუსჯგუფები, გამოკითხვები და ასე მოემზადა საარჩევნოდ.

უცხოეთთან კონტაქტების დამყარებაში უმნიშვნელოვანესია ზურაბ ჟვანიას პირადი წვლილი. საინტერესოა, რომ 1990 წლის არჩევნებამდე ამ აქტივობებს, როგორც მწვანეთა არქივში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს, აფინანსებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. შემორჩენილია რამდენიმე დოკუმენტი, სადაც ეკოლოგიური ასოციაცია თხოვნით მიმართავს ხელისუფლებას, გამოუყოს სახსრები სხვადასხვა კონფერენ-

19 ინტერვიუ ნაირა გელაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 20 დეკემბერს.

20 „დედამიწა“. აპრილი, 1991.

ციებზე დასასწრებად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაფინანსების საკითხი გართულდა, მწვანეთა მოძრაობის წევრები იხსენებენ, რომ ხშირად საკუთარი ფულით დადიოდნენ საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებზე.

ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მოსვლის შემდეგ ოპოზიციაში გადასული მწვანეთა პარტია ცდილობდა, საზოგადოების ყურადღება ეკოლოგიური საკითხებისთვის მიეპყრო. გაზეთ „დედამიწის" 1991 წლის 23 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან[21], სადაც ის ამბობდა, რომ მწვანეები მზად იყვნენ ეთანამშრომლათ პარლამენტის კომისიებსა და ქვეკომისიებში და რომ „მწვანეებს რჩებათ უზარმაზარი სამოქმედო ასპარეზი პარლამენტს გარეთ". ზურაბ ჟვანია აღნიშნავდა: „აქამდე თითოეული ჩვენგანი გატაცებით ანგრევდა ძველ, დრომოჭმულ სტრუქტურებს. ამჟამად ეს აღარ კმარა, უნდა ვისწავლოთ ძველის ადგილზე ახალი, სიცოცხლისუნარიანი სტრუქტურების შექმნა, რაც ბევრად უფრო რთულია, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვისწავლოთ აღმშენებლობითი, პოზიტიური აზროვნება"[22].

ზვიად გამსახურდიას მმართველობის ერთწლიან პერიოდში სახელისუფლებო დონეზე მწვანე საკითხების აქტიურობა არ ჩანდა. მწვანეთა მოძრაობის წევრებს ჰქონდათ მცდელობა, ემუშავათ იმდროინდელ უმაღლესი საბჭოს ეკოლოგიურ საკითხთა კომიტეტთან, მაგრამ ეს თანამშრომლობა არ შედგა. ამის მიზეზად, მარიკა დარჩია, რომელიც რამდენიმე შეხვედრაზე იყო იმდროინდელ უმაღლეს საბჭოში, საბჭოს წევრების არაკომპეტენტურობას ასახელებს.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის სიტუაცია მალევე დაიძაბა. ზურაბ ჟვანია და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ, სიტუაცია სამშვიდობო ინიციატივებით განემუხტათ. მწვანეები 1989 წლიდან 22 აპრილს დედამიწის დღეს აღნიშნავდნენ. „1991 წლის 22 აპრილს, დედამიწის დღის აღნიშვნას ბატონი ზვიადი არ დაესწრო, მოვიდა ნემო ბურჭულაძე, საპატრიარქოდანაც მოვიდნენ და ხოშარაულის გორაზე გავაშენეთ თანხმობის ტყე. მაგრამ არც ტყე გაშენდა და არც თანხმობა შედგა. ამის შემდეგ ბევრჯერ იყო ამის მცდელობა"[23].

---

21 „ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის", ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან. „დედამიწა",1990, 23 ნოემბერი.

22 იქვე.

23 ინტერვიუ ეთერ მაისაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 25 დეკემბერს.

პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებასთან ერთად, განსაკუთრებით, 1991 წლის 2 სექტემბრის შემდეგ (როცა კინოს სახლთან მომიტინგეებს ესროლეს), მწვანეები ღიად უპირისპირდებიან ხელისუფლებას. მათ იმავე დღეს გაავრცელეს განცხადება, სადაც ნათქვამი იყო: „საქართველოს მწვანეები მოითხოვენ, რესპუბლიკის ხელისუფლებამ განმარტოს და შეაფასოს მომხდარი ფაქტი. უზრუნველყოს საქართველოში სიტყვის, გამოსვლისა და პრესის სრული თავისუფლება“. ამავე განცხადებაში მწვანეები გამოდიოდნენ ინიციატივით, შექმნილი კრიზისული სიტუაციის განსამუხტად მოეწვიათ საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის კონფერენცია. მწვანეების პროტესტს ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

„ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ დამოუკიდებლობა არაფერია თავისუფლების გარეშე და თავისუფლება გულისხმობს თითოეული მოქალაქის, თითოეული პიროვნების თავისუფლებას, ჩვენ დავინახეთ, რაოდენ მცდარია ლოზუნგი – ჯერ დამოუკიდებლობა, შემდეგ დემოკრატია“, – ამბობს ზურაბ ჟვანია 1991 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში[24].

2 სექტემბრის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა – დაიწყო პერმანენტული შიმშილობის აქციები ჯერ უნივერსიტეტთან, შემდეგ ტელევიზიის კიბეებზე, სადაც მწვანეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

მწვანეთა არქივში შემორჩენილი დოკუმენტის მიხედვით, 24 სექტემბერს მწვანეები და სხვა ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას საპატრიარქოში შეხვდნენ და მიიღეს მოკლე დეკლარაცია „სამშვიდობო ინიციატივა“, სადაც საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებამ უნდა გაატაროს გარკვეული ზომები მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მაშინ მშვიდობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. 1992 წლის 23 ნოემბერს სამოქალაქო ომი დაიწყო. მიუხედავად ომისა და ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობისა, პარტიას და მოძრაობას მუშაობა არ შეუწყვეტია. მწვანეთა მოძრაობამ ომის დროს, ახლანდელ „ვარდების მოედანზე“ გამართა აქცია ლოზუნგით „არა ძალადობას“, მოძრაობის წევრებმა მოედანზე სათამაშო იარაღები მიიტანეს და ძირს დაყარეს[25]. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, მათი ეგიდით ოპერაში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, საიდანაც შემოსული თანხით გაწმინდეს თბილისი ნაგვისგან.

---

24 „სიყვარულის, ურთიერთგაგების, ურთიერთშეწყნარების კუნძული“. „დედამიწა“,1991, 26 სექტემბერი.

25 ინტერვიუ ეთერ მაისაშვილთან. ჩაწერილია 2012 წლის 25 დეკემბერს.

„მთელი ჩვენი აქტივი მიმაგრებული იყო ნაგვის მანქანებს, ან ნაგავსაყრელებს, მონიტორინგს ვახორციელებდით, ბოლომდე გაჰქონდათ თუ არა ნაგავი“[26].

მწვანეთა მოძრაობაში თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები, იყვნენ გამოკვეთილი ლიდერები, ეჭირათ თანამდებობები, მაგრამ ევროპელი მწვანეებისგან განსხვავებით, გენდერული თემატიკა არც მწვანეთა მოძრაობაში და არც პარტიაში იმ ეტაპზე აქტუალური ნამდვილად არ იყო. ნინო ჩხობაძე იხსენებს, რომ მწვანეთა მეოთხე კონგრესზე (1992 წლის ივლისი), დეკლარაციაში ქალთა საკითხის ცალკე შესვლის წინააღმდეგ ხმა მისცა კონგრესის მონაწილე ქალების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

მწვანეთა მოძრაობის დასაწყისშივე ცხადად ჩანდა, რომ ქართველი მწვანეებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა – ეს არც არის გასაკვირი, რადგან მწვანე მოძრაობა საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში დაიწყო, თუმცა, მწვანეებს დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისგან გამოარჩევდათ ეკოლოგიური თემებისადმი ერთგულება, ზომიერი ნაციონალიზმი, ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა, სამშვიდობო განწყობები, რაც ცოტა ხნის შემდეგ, 1992 წლის არჩევნებზე ლოზუნგადაც აქციეს: „ეკოლოგია, დემოკრატია, არაძალადობა“ – ეწერა მწვანეების საარჩევნო პლაკატზე.

26 ინტერვიუ ნინო ჩხობაძესთან. ჩაწერილია 2013 წლის 3 ივნისს.



ნანა ნემსაძე, ზურაბ ჟვანია, გივი თუმანიშვილი
და ზურაბ კიკნაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, 1989 წელი
ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

აკაკი ბაქრაძე და ზურაბ ჟვანია სავარაუდოდ „რუსთაველის საზოგადოების“ შეხვედრაზე, 1989 წელი
ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

ნაირა გელაშვილი, აქცია მესტიის ცენტრში, 1989 წელი
ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

მიტინგი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობასთან, თბილისი, თებერვალი, 1990 წელი
ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

III

1992-1995

დავით კოპალიანი

1992-1995

დავით კოპალიანი

1992 წელი მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის, ისე საქართველოს მწვანეებისათვის. ამ წელს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პირველი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მწვანეები ამ არჩევნებს ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს. საქართველოს მწვანეთა მეოთხე კონგრესი, რომელიც 1992 წლის 18-19 ივლისს თბილისში, კინოს სახლში ჩატარდა, თითქმის მთლიანად მოახლოებულ არჩევნებს მიეძღვნა. მწვანეთა პარტიის არქივში შემონახული კონგრესის რეზოლუციის პროექტში მიმოხილულია საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობა. მწვანეებს მიაჩნდათ, რომ შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსვლა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების და საბოლოო პოლიტიკური სტაბილიზაციის შედეგად იყო შესაძლებელი და ერთადერთი გზა საყოველთაო, დემოკრატიულ საპარლამენტო არჩევნებზე და ხალხის მანდატით აღჭურვილი ლეგიტიმური პარლამენტის მიერ გატარებულ რეფორმებზე გადიოდა. საქართველოს მწვანეთა მეოთხე კონგრესი „მოუწოდებს საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას, შეიმუშავოს ერთობლივი ღონისძიებები წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად“[1].

საქართველოს მწვანეთა წინასაარჩევნო პლატფორმაში, მწვანე პოლიტიკის გარდა, დეკლარირებული იყო ისეთი ზოგადპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო მოწყობის პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებდა მმართველობითი ორგანოების რეორგანიზაციას, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკაცრად გამიჯვნას, სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას, კორუფციასთან ბრძოლასა და სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიის საჯაროობას[2]. მწვანეებს ასევე ჰქონდათ ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, ეროვნული ვალუტის შემოღებას, საბანკო და საგადასახადო სისტემების გამართვას,

1 საქართველოს მწვანეთა მეოთხე კონგრესის რეზოლუციის პროექტი. საარქივო დოკუმენტი.

2 მწვანეთა პარტიის არქივი, „საქართველოს მწვანეთა წინასაარჩევნო პლატფორმა – 92“, საარქივო დოკუმენტი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობის ფართო ფენის ჩართვასა და მოქალაქეთა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სხვადასხვა პროექტების განხორციელებას[3].

მწვანეებისათვის ეს საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. მათი უმრავლესობა არჩევნებში წარმატებას მწვანეთა პარტიისა და მოძრაობის ბედსაც უკავშირებდა. არჩევნებამდე ორი თვით ადრე გაიმართა მწვანეთა დარბაზის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი, პარტია 1992 წლის არჩევნებზე დამოუკიდებლად უნდა გასულიყო თუ საარჩევნო ბლოკში უნდა გაწევრიანებულიყო. ამ სხდომის ამსახველი ხელნაწერი ოქმიდან ჩანს, რომ საქართველოს მწვანეებში საკითხისადმი დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი. მწვანეებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სახელისუფლებო პირის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერ ბლოკში[4] გაწევრიანების პერსპექტივები მწვანეთა პარტიის სპიკერმა ზურაბ ჟვანიამ გააცნო, რომელიც პოლიტიკური ძალების ერთიან ბლოკში კონსოლიდაციის საჭიროებას ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციით ხსნიდა. გაერთიანების მომხრეები ამ იდეის მოწინააღმდეგეთა მორალურ არგუმენტებს (მწვანეებს კომუნისტებთან ერთ ბლოკში მოუწევდათ გაწევრიანება) არასერიოზულად მიიჩნევდნენ. ზურაბ ნოღაიდელის აზრით, გადაწყვეტილების მისაღებად, სამი ამოსავალი წერტილიდან – სახელმწიფო ინტერესები, ორგანიზაციის ინტერესები და მორალური ინტერესები – მთავარი იყო პირველი ორი ინტერესის გათვალისწინება[5]. გაერთიანების მომხრეების პრაგმატული გათვლა ის იყო, რომ ბლოკში ყოფნით მწვანეებს ექნებოდათ გარანტირებული ადგილები პარლამენტში, ხოლო ცალკე გასვლით იყო რისკი, რომ მწვანეები დამარცხდებოდნენ არჩევნებში, რაც მათზე მძიმე შედეგად აისახებოდა.

---

3 მწვანეთა პარტიის არქივი, „საქართველოს მწვანეთა წინასაარჩევნო პლატფორმა – 92“, საარქივო დოკუმენტი.

4 საუბარია იმდროინდელი მთავრობის ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერ ბლოკ „მშვიდობაზე“, თუმცა, როგორც დარბაზის სხდომის ოქმიდან ჩანს, იმ პერიოდისათვის, როცა ბლოკში გაერთიანების საკითხი განიხილებოდა, ბლოკის სახელი არ იყო ცნობილი. როგორც ამ შეკრების მონაწილე, მწვანეთა მოძრაობის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ლიდერი თემურ კეპულაძე იხსენებს, შევარდნაძის მხარდამჭერ ბლოკში გაწევრიანების იდეას ბევრი იმის გამო ეწინააღმდეგებოდა, რომ ამ ბლოკში სხვებთან ერთად კომუნისტებიც შედიოდნენ. სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში გაერთიანებაში შემავალი სუბიექტები არ სახელდება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როცა ოქმში საარჩევნო ბლოკში გაერთიანება-არგაერთიანების მორალურ მხარეზე საუბრობენ, იგულისხმება საბჭოთა რეჟიმთან ასოცირებულ ძალებთან ერთ ბლოკში ყოფნა.

5 1992 წლის 11 აგვისტოს დარბაზის სხდომის ხელნაწერი ოქმი, გვ. 1, საარქივო დოკუმენტი.

როგორც ოქმიდან ჩანს, ბლოკში გაერთიანების იდეას განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდა მწვანეთა მოძრაობის წევრთა მხრიდან, მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქუთაისის, გორის, აჭარის რაიონული ორგანიზაციები. მწვანეთა მოძრაობის ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერის, თემურ კეპულაძისათვის ბლოკში გაწევრიანების მომხრეთა პრაგმატული გათვლები ნაკლებად დამაჯერებელი ჩანდა, რადგან, მისი აზრით, ამ ბლოკში შემავალი პარტიებიდან ბევრი სხვადასხვა რაიონებში არანაირ ძალას არ წარმოადგენდა[6]. უფრო მეტიც, გაერთიანების მოწინააღმდეგეთა აზრით, ბლოკში ყოფნით მწვანეები ბევრ რეგიონში, მაგალითად, აჭარაში დასაყრდენს დაკარგავდნენ. გაერთიანების მოწინააღმდეგეთა აზრით, არ არსებობდა იმის გარანტია, რომ მწვანეთა პარტია შეძლებდა, გავლენა მოეხდინა შევარდნაძის ბლოკზე და ამდენად, ნაკლებად ექნებოდათ თავიანთი შესაძლებლობების განხორციელების საშუალება. თავის გამოსვლაში კატეგორიული იყო მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გივი თუმანიშვილი. მისი თქმით, ბლოკში გაერთიანებით პარტია დაკარგავდა თვითმყოფადობას. მას ერჩივნა, პარლამენტში ყოფილიყო სამი მწვანე, ოღონდ, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შედეგად გასული. თუმანიშვილის განცხადებით, ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში, ის პროტესტის ნიშნად მოხსნიდა საარჩევნო სიიდან საკუთარ კანდიდატურას[7].

სხდომის ბოლოს კენჭი უყარეს ბლოკში გაერთიანება-არგაერთიანების საკითხს, თუმცა, ოქმში არ ჩანს კენჭისყრის ზუსტი შედეგი[8]. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბლოკში გაერთიანებას მხარს უჭერდა მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია და მისი უახლოესი გუნდი – ზურაბ ნოღაიდელი, გია ბარამიძე, ირაკლი ჩუბინიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, რევაზ ადამია, ლევან მამალაძე, საარჩევნო ბლოკში გაწევრიანების ინიციატივა ჩავარდა და 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში მწვანეთა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა.

დოკუმენტიდან იკვეთება, რომ პარტიის შიგნით არსებობდა მწვავე დებატები და მნიშვნელოვან საკითხებზე პარტიის ლიდერების მხრიდან გადაწყ-

6 1992 წლის 11 აგვისტოს დარბაზის სხდომის ხელნაწერი ოქმი, გვ. 1, საარქივო დოკუმენტი.

7 იქვე, გვ. 1.

8 ოქმის ბოლოს ჩამოწერილია ბლოკში გაწევრიანების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სია, სადაც მომხრეები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მოწინააღმდეგენი. მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეთა სიაც და კენჭისყრის წესიც დაზუსტებას საჭიროებს.

ვეტილებები ერთპიროვნულად არ მიიღებოდა. ასევე ჩანს, რომ პარტიაში იმთავითვე იყვნენ ლიდერები, რომლებიც მიისწრაფოდნენ სამთავრობო კოალიციაში გაწევრიანებისკენ და მზად იყვნენ, წარმატების მისაღწევად უფრო პრაგმატული ნაბიჯები გადაედგათ, ვიდრე – ღირებულებებით ნაკარნახევი.

1992 წლის არჩევნებში გაიმარჯვა შევარდნაძის ირგვლივ შექმნილმა ბლოკმა „მშვიდობამ“ 29 მანდატით. ამ ბლოკისაგან დამოუკიდებლად გასულმა მწვანეთა პარტიამ პარლამენტში მოიპოვა 11 მანდატი[9]. მწვანეთა პარტიის სიით პარლამენტში შევიდნენ: ზურაბ ჟვანია, გივი თუმანიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, როზა ლორთქიფანიძე, რევაზ ადამია, პეტრე მამრაძე, დავით ბაშალეიშვილი, გია ბარამიძე, ლევან მამალაძე, ზურაბ ნოღაიდელი, გია გვაზავა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ტარდებოდა მინიმალური ბარიერით და პარტიების უმრავლესობა მოხვდა პარლამენტში, არჩევნებში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 36 პოლიტიკური პარტია და ბლოკი და სადაც საპარლამენტო მანდატები მიღებული ხმების პროპორციულად გადანაწილდა, მწვანეთა პარტია მე-5 ადგილზე გავიდა და პარლამენტში შექმნა დამოუკიდებელი ფრაქცია[10], რაც შეიძლება მის წარმატებად ჩაითვალოს.

პარტიის წარმატება შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით: მართალია, არჩევნებში მონაწილეობას იღებდა პარტია, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, თუმცა, საარჩევნო მზადებაში საქართველოს მწვანეები გამოდიოდნენ ერთიანი ძალებით, ამიტომ ის აქტივი, რომელიც მოძრაობასა და პარტიას ჰყავდა როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ძლიერი რაიონული ორგანიზაციების სახით[11], გამოყენებული იყო, როგორც ერთიანი რესურსი. პარტია აწარმოებდა სხვადასხვა გამოკითხვებს ამომრჩეველთა პოლიტიკური მოლოდინებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დადგენის მიზნით[12], როგორც ჩანს, სწორედ გამოკითხული

9 საუბარია პარტიული სიით გასულ დეპუტატებზე. წყარო: მწვანეთა პარტიის არქივი, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1992 წლის 27 ოქტომბრის საარჩევნო ოქმის ასლი.

10 1994 წელს ეს ფრაქცია 11-დან 14 წევრამდე გაიზარდა.

11 რაიონული ორგანიზაციების გავლენა 1992 წლის 11 აგვისტოს დარბაზის სხდომის ხელნაწერი ოქმიდანაც ჩანს, სადაც იკვეთება რაიონული ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საქმეში.

12 მწვანეთა პარტიის არქივში არ არის შემორჩენილი საზოგადოებრივი აზრის კვლევებისა და კვლევის მეთოდოლოგიების ამსახველი დოკუმენტები, თუმცა შემორჩენილია კვლევის შედეგების შემაჯამებელი რეპორტი, რომელშიც გადმოცემულია ამომრჩეველთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ხდებოდა პოლიტიკური გზავნილების მიწოდება ამომრჩევლისათვის, რაც ნოვატორული მოვლენა იყო საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ სივრცეში. თავის პოლიტიკურ გზავნილებს პარტია ავრცელებდა არა მხოლოდ საარჩევნო ბუკლეტების სახით, მწვანეების განკარგულებაში იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „დედამიწა", რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მოცემულ პერიოდში. 1992 წლისათვის პარტიას ჰქონდა გამოკვეთილი პოლიტიკური პლატფორმა და გააჩნდა გარკვეული ცნობადობა საზოგადოებაში, როგორც გაწონასწორებულ პოლიტიკურ ძალას. მწვანეებს არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო ომში, კონსტრუქციული და ზომიერი პოლიტიკის წყალობით, ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე, მწვანეთა პარტია მეტ-ნაკლებად მისაღები იყო როგორც საზოგადოების ფართო ფენების, ისე იმდროინდელი პოლიტიკური ძალებისათვის.

არჩევნების შემდეგ, მწვანეები დამაჯერებლად იმყარებენ თავიანთ პოზიციებს პარლამენტში.

1993 წლისათვის მწვანეთა პარტიას უკავია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომისია: კომისიის თავმჯდომარეა ზურაბ ნოღაიდელი, მოადგილე როზა ლორთქიფანიძე, მდივანი ლევან მამალაძე, ქვეკომიტეტების თავმჯდომარეები გიორგი გაჩეჩილაძე და გივი თუმანიშვილი. თავად მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია არის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე არის მწვანეთა პარტიის წევრი რევაზ ადამია. 1994 წელს, გიორგი გაჩეჩილაძე გადადის დარგობრივი ეკონომიკის კომისიაში ენერგეტიკის ქვეკომისიის თავმჯდომარედ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომისიამ რთულ პირობებში დაიწყო მუშაობა. აფხაზეთის ომის და 1992-1995 წლების მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ინტერესი მეორე პლანზე იყო გადასული და კომისიას პარლამენტში ამ საკითხების ირგვლივ ყურადღების კონსოლიდაციისათვის დიდი ძალისხმევის გაღება უწევდა. დროში ჭიანურდებოდა კანონპროექტების წარდგენა, განხილვა და მიღება.

მწვანეთა ფრაქცია არ იფარგლებოდა მხოლოდ გარემოსდაცვითი საკითხებით, ევროპული მწვანე პარტიების მსგავსად, ის აქტიურად იყო ჩართული ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვაში, რაც მოცემულ წლებში იქნა შემოტანილი პარლამენტში.

გამოწვევები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომისიის წინაშე დიდი იყო: უნდა შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა, არსებული კანონები, რომლებიც არეგულირებდა გარემოსდაცვით და ბუნებათსარგებლობის საკითხებს, იმდენად ზოგადი იყო, რომ ხშირად პრაქტიკაში კანონის ფუნქციას კანონქვემდებარე აქტები ასრულებდნენ. საპარლამენტო კომისია მიიჩნევდა, რომ კანონშემოქმედებითი საქმე მთლიანად მის ხელში უნდა გადასულიყო, ხოლო სამინისტროს დეტალური კანონების საფუძველზე გაწერილი ინსტრუქციული ფუნქციები უნდა დარჩენოდა[13].

1993-95 წლებში მწვანეთა ფრაქციის ინიციატივით საქართველოს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილებები: კანონი საქართველოში ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების შესახებ – რომელმაც შექმნა ამ რესურსებით სარგებლობის მექანიზმი; შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ტყის კოდექსში, რომლითაც შეიქმნა ერთიანი სატყეო სამსახური და ყველა კატეგორიის ტყე (სახელმწიფო, საკოლმეურნეო, თავდაცვის ზონის) ერთიან სატყეო სისტემაში მოექცა; კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ – რომლითაც შეიქმნა ქვეყანაში რადიაციული ნარჩენების შემოტანისაგან თავდაცვის მექანიზმი; კანონი მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ. ამ პერიოდში მომზადდა აგრეთვე კანონპროექტი ცხოველთა დაცვის შესახებ (რომელიც მოგვიანებით, 1996 წელს დამტკიცდა). ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა გარემოს დაცვის ჩარჩოკანონის შემუშავებაზე.

პარლამენტის გარდა, მწვანეები აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც დამკვიდრდნენ: გარემოს დაცვის მინისტრი შოთა ადამია და მისი მოადგილე ნინო ჩხობაძე[14] მწვანეთა პარტიის აქტიური წევრები იყვნენ. გამოწვევების წინაშე იდგა გარემოს დაცვის სამინისტროც, რადგან გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად თავიდან იყო ჩამოსაყალიბებელი – გარემოსდაცვითი ფუნქციები გადანაწილებული ჰქონდათ სხვადასხვა სტრუქტურებს: გარემოს დაცვის სამინისტროს, სატყეო დეპარტამენტს, ნაკრძალების სამმართველოს, სანეპიდსამსახურს, საქტექზედამხედველობას, გეოლოგიის დეპარტამენტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ერთი პარტიისადმი კუთვნილების მიუხედავად, გარემოს დაცვის მწვანეთა საპარლამენტო კომისიასა და გარემოს

13 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 2.

14 იმ პერიოდისათვის ჩხობაძე მწვანეთა პარტიის პოლიტკომიტეტის წევრი იყო.

დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებს შორის იკვეთება ერთმანეთის მიმართ გარკვეული პრეტენზიების არსებობა, რომლებიც პერიოდულად შუქდებოდა თავად მწვანეების გაზეთის ფურცლებზე. მაგალითად, ერთი მხრივ, ისმის პრეტენზიები სამინისტროს მხრიდან[15] საპარლამენტო კომისიის მუშაობის მიმართ, არასაკმარისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის გამო, მეორე მხრივ, საპარლამენტო კომისია საუბრობს სამინისტროს მხრიდან საკანონმდებლო ინიციატივების ნაკლებობასა და ნაკლოვანებებზე[16].

იმ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, რაც 1993-95 წლებში ქვეყანაში არსებობდა, შეიძლება ითქვას, რომ მწვანეთა საპარლამენტო ფრაქციამ საკმაოდ დიდ შრომა გასწია, თუმცა, მისი მუშაობის მიმართ კრიტიკა თავად საქართველოს მწვანეების იმდროინდელ გაზეთ „დედამიწის“ ფურცლებიდანაც ისმის. თვალსაჩინოებისათვის, საინტერესოა ამონარიდი მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელ მდივან გიორგი ჭყონიას 1994 წლის ინტერვიუდან:

„ძალიან ბევრი ენერგია, შრომა, გარკვეულწილად, ჩვენი ავტორიტეტი შევალიეთ იმას, რომ მთელ რიგ სტრუქტურებში აღმასრულებელსა და სამთავრობოში მოსულიყვნენ მწვანეები, მაგრამ სამწუხაროდ, მოლოდინმა არ გაგვიმართლა. ვფიქრობ, გაცილებით უფრო მეტი შედეგი უნდა მოეტანა იმას, რომ პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიაში, გარემოს დაცვის სამინისტროში, ეკოპოლიციაში მოღვაწეობენ მწვანეები, საქმე წინ არ წასულა, არ გვაქვს კანონები გარემოს დაცვის შესახებ, გარემოს დაცვის სამინისტრო საერთოდ თუ არსებობს, ვერც კი იგრძნობს ადამიანი, ხოლო ეკოლოგიური პოლიცია რაღაც ხელოვნურ დანამატს უფრო ჰგავს“[17].

ეს კრიტიკა, ერთი მხრივ, მაგალითია საქართველოს მწვანეების შიგნით პარტიასა და მოძრაობის წევრებს შორის ბუნებისდაცვითი პოლიტიკის შესახებ განსხვავებული დამოკიდებულებების არსებობისა და ამ დამოკიდებულებების გამოხატვის თავისუფლებისა. მეორე მხრივ კი, არის გამოძახილი იმ უკმაყოფილებისა, რაც მწვანეთა საპარლამენტო ფრაქციის წევრების სამთავრობო კოალიციაში გადასვლამ გამოიწვია.

საქართველოს მწვანეების მიერ გაცხადებული პრიორიტეტებიდან უმთავრესი ყოველთვის იყო გარემოსდაცვითი საქმიანობა, მათი ქმედე-

15 საპარლამენტო კომისიის მიმართ იგივე პრეტენზიები აქვს მწვანეთა მოძრაობას.

16 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 2.

17 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 22 აპრილი, გვ. 5.

ბები – კი ეკონომიკის გარემოზე მავნე გავლენის წინააღმდეგ მიმართული. თუმცა, მიდგომები მწვანეთა მოძრაობაში და პარტიაში არასდროს იყო ერთგვაროვანი. მაგალითად, მოძრაობის ნაწილისათვის უპირველესი მნიშვნელობის იყო მხოლოდ სამოქალაქო აქტივობა ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ, რაც გამოიხატებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აქტუალურ გარემოსდაცვით პრობლემებზე ზედამხედველობაში, პრობლემურ საკითხებზე „ხმაურის ატეხვასა“ და საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი ამ საკითხების გადაჭრის ალტერნატიული გზების შეთავაზებაში, რაც ძირითადად ექსპერტული ცოდნის გაზიარებას გულისხმობდა. ასევე, აქცენტი კეთდებოდა გარემოს დაცვის მიმართ სამოქალაქო შეგნების ამაღლებაზე. ამ სულისკვეთების ერთერთი ნათელი მაგალითია ქუთაისის რაიონული ორგანიზაცია, რომლის არცერთი წევრი პრინციპულად არ ირიცხებოდა მწვანეთა პარტიაში, რადგან მიაჩნდათ, რომ თავისი მწვანე მიზნების განსახორციელებლად მოძრაობას პარტიული აქტიურობა არ სჭირდებოდა.

ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ეკოლოგია უკავშირდებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, მოძრაობის მეორე ნაწილი არ გამორიცხავდა მწვანეთა მუშაობაში პოლიტიკურ აქცენტებს[18]. მაგრამ, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაში – 1992-1994 წლებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ძლიერი რაიონული ორგანიზაციებით გამოირჩეოდა.

დამოკიდებულებების არაერთგვაროვნება იყო პარტიაშიც. მწვანეთა პარტიის გარკვეული ნაწილის აზრით, მწვანეების მუშაობაში ძირითადი ძალისხმევა პოლიტიკაზე აქცენტირებული უნდა ყოფილიყო, სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი პარტიაში, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო გარემოსდაცვითი მუშაობის შესუსტების ხარჯზე. მაგალითისათვის, თუნდაც გიორგი გაჩეჩილაძესა და ნინო ჩხობაძეს, რომელთაც გააჩნდათ გამოკვეთილი პოლიტიკური ამბიციები – პირველი აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა პარლამენტში, ხოლო მეორე აქტიურად მოღვაწეობდა, როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, მოგვიანებით კი მინისტრი, მაგრამ, მათი მოღვაწეობა მაინც, ძირითადად, გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობით შემოიფარგლებოდა.

განსხვავებული ხედვა გააჩნდათ ზურაბ ჟვანიას და მწვანეთა იმ გუნდს, რომელიც მასთან ერთად მოქალაქეთა კავშირში გადავიდა. მათ

18 ამ პოზიციას ანვითარებს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნანა ნემსაძე გაზეთ „დედამიწის“ 1995 წლის აპრილის ნომრისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ჯერ კიდევ 1992 წელს ჰქონდათ მცდელობა, შეერთებოდნენ სახელისუფლებო ბლოკს, მაგრამ მაშინ შიდაპარტიულმა ინტერესმა სძლია, და მათ მოუწიათ თანაგუნდელებისათვის დაეთმოთ. თუმცა, ამან მხოლოდ დროებით შეაჩერა მწვანეთა პარტიიდან მათი ლიდერების მიგრაცია. საბოლოოდ, ამ ჯგუფის ინტერესები მაინც გასცდა მწვანე მოღვაწეობის ჩარჩოებს.

1993 წლის ნოემბერში მწვანეთა პარტიის ლიდერთა ნაწილი ორ სხვა პარტიასთან გაერთიანებით[19] ქმნის სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის პარტიას – „მოქალაქეთა კავშირს“, რომლის გენერალურ მდივნად ირჩევენ მწვანეთა პარტიის ყოფილ თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. ჟვანიას თქმით, გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიეღოთ უფრო ფართომასშტაბიანი ორგანიზაციის შექმნაში, ქვეყანაში არსებული რთული ვითარებიდან მომდინარეობდა[20].

ზურაბ ჟვანიასა და მისი გუნდის პოლიტიკური ნახტომი კულმინაციური გამოდგა – მწვანეების გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, რისი საფასურიც მწვანეთა პარტია გახდა. პარტიასა და მოძრაობაში დარჩენილმა თანაგუნდელებმა მტკივნეულად აღიქვეს მწვანეთა ლიდერების პარტიიდან წასვლა. დაიწყო გზების ძიება, თუ რა ფორმით უნდა შენარჩუნებულიყო კავშირი ყოფილ თანაპარტიელებსა და თანაგუნდელებს შორის. ამის ერთ-ერთი მცდელობა იყო მწვანეთა ცენტრალური საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მწვანეთა ლიდერების „მოქკავშირში“ გადასვლასთან დაკავშირებით 1994 წლის თებერვალში ჩატარდა. სხდომაზე ზურაბ ჟვანიას წარდგინებით საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა ნანა ნემსაძეს, ხოლო პარტიის სპიკერის დროებითი მოვალეობის შესრულება – ალექსანდრე რუსეცკის. იმავე წლის 13 აგვისტოს შედგა საქართველოს მწვანეთა დარბაზის სხდომაც. ამ შეკრებას ესწრებოდა 22 რაიონული ორგანიზაციის და თბილისის ორგანიზაციის 14 წარმომადგენელი. სხდომის მიერ განსახილველ თემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მწვანეთა მოძრაობასა და პარტიას შორის მომავალი ურთიერთობა. კენჭი უყარეს 4 საკითხს და დაადგინეს, რომ: 1) მოძრაობა ნაწილობრივ გახსნილიყო სხვა პარტიებისათვის; 2) ურთიერთობა პარტიასა და მოძრაობას შორის განვითარებულიყო საერთო საბჭოს შექმნით; 3) პარტიის წევრი აუცილებლად დარჩებოდა მოძრა-

19 „თბილისის მოქალაქეები“ და „ერთობა და კეთილდღეობა“.

20 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 11 მაისი,, გვ. 3.

ობის წევრად; 4) რჩებოდა მწვანეების ძველი წესდება მასში შესატანი ახალი ცვლილებებით[21].

1995 წლის აპრილში გაზეთ „დედამიწისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნანა ნემსაძე საუბრობს საბჭოს სხდომაზე მიღებულ შეთანხმებაზე, რომ 1995 წლის მაისში გაიმართებოდა მწვანეთა კონგრესი, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდა პარტიისა და მოძრაობის წესდებაში. „საქართველოს მწვანეები“ კვლავ გააერთიანებდა მწვანეთა მოძრაობას და მწვანეთა პარტიას, მაგრამ მათი ურთიერთობა განხორციელდებოდა ხელშეკრულების საფუძველზე. დარჩებოდა მწვანეთა ცენტრალური საბჭოც, რომელსაც ექნებოდა ამ ორი ორგანიზაციის მაკოორდინირებელი და გამაერთიანებელი ფუნქცია.

ნანა ნემსაძის თქმით[22], ცვლილებების მიზეზი იყო საქართველოში არსებული იმჟამინდელი კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას. თუმცა გამიჯვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოქალაქეთა კავშირში გადასული მწვანეებისათვის, მათ აღარ შეეძლოთ მწვანეთა პარტიაში დარჩენა, სამაგიეროდ, შეეძლოთ ყოფილიყვნენ მოძრაობაში, თუკი ის იურიდიულად განთავისუფლდებოდა პარტიისაგან – პარტიისთვის დაკარგულ მწვანეებს მოძრაობა შეინარჩუნებდა. ამ ჩანაფიქრს ადასტურებს გაზეთ „დედამიწის“ 1994 წლის 11 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ყოფილ ლიდერებთან, სათაურით „ჩვენ მწვანეებად ვრჩებით“: ზურაბ ჟვანიას თქმით, „პარტიის წევრობა-არწევრობას არასოდეს ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა“, მათ არ დაუტოვებიათ საქართველოს მწვანეები, რადგან აპირებდნენ მოძრაობაში დარჩენას, რასაც არც კანონი უკრძალავდათ და არც სურვილი ჰქონდათ, ჩამოცილებოდნენ მწვანეთა საქმიანობას. იმავე სტატიაში, ჟვანიას მსგავსად, გიორგი ბარამიძე და ლევან მამალაძეც აღნიშნავენ, რომ მწვანეებში ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნებოდა მწვანეთა მოძრაობაზე. „ჩვენ ყველანი შევეცდებით, რომ მწვანეთა მოძრაობის ჩარჩოებში განვახორციელოთ ჩვენი იდეები, ჩანაფიქრი“, – ამბობს ბარამიძე[23].

---

21 საქართველოს მწვანეთა პარტიის არქივი, 1997 წლის 13 აგვისტოს სხდომის ოქმი #5/4.

22 გაზეთი „დედამიწა“, 1995 წლის 22 აპრილი, გვ. 2.

23 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 11 მაისი, გვ. 3.

აქცენტების გადატანა მწვანეთა პარტიიდან მოძრაობაზე განსაკუთრებით მძიმე და მტკივნეული უნდა ყოფილიყო მწვანეთა პარტიისათვის. თუკი, აქამდე პარტიას ჰქონდა წამყვანი როლი საქართველოს მწვანეებში, ეხლა სუსტდებოდა პარტია და ძლიერდებოდა მოძრაობა. უფრო მნიშვნელოვანი დარტყმა, რაც მწვანეთა პარტიას მიადგა, ის იყო, რომ მოქალაქეთა კავშირში, პარტიის ლიდერების გარდა, გადავიდა მწვანეთა პარტიის განკარგულებაში მყოფი რეგიონული აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა ამისა, მწვანეთა პარტიას ძალიან ცოტა დრო დარჩა იმისათვის, რათა მოეხდინა რეაბილიტაცია, ძალების რეორგანიზაცია და კონკურენტუნარიანად შეხვედროდა 1995 წლის არჩევნებს. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი, რის გამოც მწვანეთა პარტიამ მომავალ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. სანაცვლოდ, მწვანეთა პარტიამ „მოქალაქეთა კავშირისაგან“ მიიღო მათი სიით გასული ორი დეპუტატი 1995 წლის მოწვევის პარლამენტში: გიორგი გაჩეჩილაძე და გივი გიგინეიშვილი.

იმ ხელშესახები თუ შესაძლო ზიანის მიუხედავად, რაც მწვანეთა პარტიას მიადგა მათი თანაგუნდელების ხელისუფლებაში მოსვლისკენ სწრაფვით, აღსანიშნავია ამ მოვლენის დადებითი შედეგებიც: ის მნიშვნელოვანი პროექტები, რაც ამ წლებში მწვანეების ძალისხმევით განხორციელდა, გარკვეულწილად, შესაძლებელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ მწვანეებმა შეძლეს თავიანთი ინტერესების ლობირება, რადგან თანაგუნდელები მაღალ სახელისუფლებო თანამდებობებზე ჰყავდათ. „მოქალაქეთა კავშირის“ შექმნით 1993-1994 წლებში მწვანეთა პარტიამ შეიძინა მნიშვნელოვანი მოკავშირე მთავრობის მეთაურის სახით, ხოლო 1995 წლის არჩევნებში თავად ყოფილი მწვანეები მოვიდნენ ხელისუფლებაში და მწვანეთა პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი გახდა პარლამენტის თავმჯდომარე, რასაც წესით მწვანეთა პარტიისათვის გზა უნდა გაეხსნა პარლამენტში მწვანე ინტერესების ლობირების საქმეში.

1992-1995 წლები მწვანეთა საერთაშორისო აქტივობებითაც გამოირჩევა. ეკოლოგიურ პროექტებზე მუშაობა მიმდინარეობს როგორც საპარლამენტო კომისიის მხრიდან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, ასევე, საქართველოს მწვანეებისა და ევროპის მწვანეების ურთიერთობების ფორმატში. თუმცა, საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო, ხშირად ეს ურთიერთობები თავისი მაღალი მნიშვნელობის მიუხედავად არაეფექტიანი იყო. მაგალითად, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რომელსაც მწვანეთა ფრაქცია კურირებდა, სახელმწიფოს დახმარების სურვილი

გამოთქვა მსოფლიო ბანკმა, აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ და ჰოლანდიის გარემოს დაცვის სამინისტრომ, მაგრამ შეხვედრა, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო 1994 წლის ოქტომბერში, პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად ჩაიშალა[24].

ევროპის მწვანეებთან თავისი კავშირების გამოყენებით, საქართველოს მწვანეთა პარტია ცდილობდა, დასავლეთის ყურადღება მიეპყრო აფხაზეთის ომში რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისადმი. ასევე, მწვანეებმა შექმნეს აფხაზეთის ომში ჰუმანიტარული მისიის განმახორციელებელი შტაბი, რომლის ფორმატშიც წარმოებდა გარკვეული თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

მოცემული პერიოდისათვის საქართველოს მწვანეები გამოირჩევიან ქალთა სიმრავლით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც პარტიაში, ისე მოძრაობაში. მათ შორის არიან საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ნაირა გელაშვილი, საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე ნანა ნემსაძე, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის სწავლული მდივანი, პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე, გაზეთ „დედამიწის“ მთავარი რედაქტორი ეთერ მაისაშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომისიის წევრი, იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა ლორთქიფანიძე, ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის კონგრესზე საქართველოს მწვანეთა საერთაშორისო კოორდინატორი ნატო კირვალიძე (1995 წელს გახდა ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის კომიტეტის წევრი), რუსუდან სიმონიძე (1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საბჭოს წევრად და აღმასრულებელ მდივნად), მწვანეთა პარტიის რეგიონული განყოფილების გამგე ხათუნა გოგორიშვილი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე მარიკა დარჩია, მწვანეების ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი მაია მგალობლიშვილი, მწვანეთა პარტიის საორგანიზაციო განყოფილების რეფერენტი ქეთევან ჟღენტი, მწვანეთა პარტიის საორგანიზაციო განყოფილების რეფერენტი ნინო ჩობანიანი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საერთაშორისო კოორდინატორი ნინო სააკაშვილი, მწვანეების სამდივნოს უფროსი თამ-

24 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 2.

თა ვაჩიბერიძე, მწვანეთა მოძრაობის გამგეობის წევრი მარინე ჟორდანია, ფოთის მწვანეთა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ვიოლა კუცია, დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე თებრო აფციაური, მწვანეების ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ჟანა ფერაძე და სხვები[25]. ქალები ასევე გვევლინებიან რაიონული ორგანიზაციების ლიდერებად. ამ სიმრავლის მიუხედავად, მწვანეებში გენდერული საკითხი თითქმის არ ისმის. მწვანეების გაზეთ „დედამიწის" ფურცლებზე იბეჭდება რამდენიმე სტატია, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ინტერვიუს ფსიქოლოგთან, ოჯახში ქალის როლის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც ქალისთვის ოჯახის მარჩენლის ფუნქციის შეძენამ გამოიწვია. მაგრამ ეს სტატიაც (და მით უმეტეს სხვები) ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს გენდერული საკითხის დასმის მცდელობად.

თუკი შევაჯამებთ 1992-1995 წლებში საქართველოს მწვანეების მოღვაწეობას, ის ცალსახად შეიძლება შეფასდეს დადებითად. მძიმე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ფონზე, მწვანეები გვევლინებიან ორგანიზებულ, ზომიერ, პროგრესულად მოაზროვნე ძალად, რომლებმაც შეძლეს პარლამენტში გამარჯვება, სახელისუფლებო კოალიციაში შესვლა და მათმა ნაწილმა ხელისუფლებაში მოსვლაც. შექმნეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სივრცე ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ. თუმცა, ურთიერთობის იმ ფორმულამ, რომელსაც საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და ხელისუფლებაში მოსული მწვანეები ერთ ორგანიზმად უნდა დაეკავშირებინა, დიდხანს ვერ იმუშავა და მალე ყოფილ თანაპარტიელებს შორის ბზარი გაჩნდა, რომელმაც დროთა განმავლობაში საქართველოს მწვანეების ერთიანობა დაარღვია და მწვანეთა პარტია დაასუსტა.

25 გარდა იმ სახელებისა, რომელიც ცალკეულ დოკუმენტებში გვხვდება, მოცემული სია შევსებულია რუსუდან სიმონიძის მოგონებაზე დაყრდნობით. მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის არქივებში შემორჩენილი მასალები 1992-1995 წლებში საქართველოს მწვანეებში მოღვაწე ქალების სრული შემადგენლობის დადგენის საშუალებას არ იძლევა.

ზურაბ ჟვანია მწვანეთა პარტიის მუშტაიდის ოფისში
ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან



მწვანეთა პარტიის საარჩევნო პლაკატი,
1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან

ზურაბ ჟვანია, იგორ გიორგაძე, გია ჟორჟოლიანი და გია ბარამიძე, სავარაუდოდ 1994 წელი
ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

IV

1995-2003

ირაკლი აბსანძე, დავით კოპალიანი

1995-2003

ირაკლი აბსანძე, დავით კოპალიანი

1990-იანების შუა წლებიდან ეკოლოგიური თემატიკისთვის საქართველოში არავის ცხელოდა – სამოქალაქო და სეპარატიზმის წინააღმდეგ ომებში ჩათრეული ქვეყანა ძნელად უბრუნდებოდა ყოველდღიურობას. 1980-იანი წლების ბოლოსთვის დამახასიათებელი „მწვანე რომანტიზმი“ ქართულ პოლიტიკაში „მოქალაქეთა კავშირის“ გამოჩენით დასრულდა.

ზურაბ ჟვანია, რომლის სახელთანაც დიდწილადაა დაკავშირებული ქართველი „მწვანეების“ წარმატების ისტორია, დიდ პოლიტიკაში წავიდა. მისი პოლიტიკური გუნდი კარგად აცნობიერებდა, რომ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძოდნენ, მწვანე თემატიკა პოპულარული ვერ იქნებოდა.

ხუდონჰესის მშენებლობის ეკოლოგიური რისკების ნაცვლად, ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში მთავარი თემა ენერგოდეფიციტი გახდა. ოპონენტები ზურაბ ჟვანიასა და მის გუნდს აკრიტიკებდნენ, ბრალად სდებდნენ, რომ მწვანეებმა, რომლებიც პოლიტიკაში მოვიდნენ ხუდონჰესის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, ხელი შეუწყვეს ჰესის მშენებლობის შეჩერებას და შესაბამისად, ქვეყანა ენერგიის მნიშვნელოვანი წყაროს გარეშე დატოვეს, სახელისუფლებო ბლოკში გადასვლის შემდეგ ელექტროსადგურის მშენებლობის განახლების მომხრეთა რიგებში აღმოჩნდნენ[1]. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ კერესელიძე ინტერვიუში, რომელსაც საქართველოს მწვანეების გაზეთში „დედამიწა“ 1994 წლის 22 აპრილს გამოქვეყნდა, ამ კრიტიკას პასუხობს. კერესელიძე საუბრობს მწვანეების პოზიციის შესახებ ხუდონჰესის საკითხთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მწვანეები ამ ჰესის აშენებას კატეგორიულად არასდროს ეწინააღმდეგებოდნენ და მათი წინააღმდეგობა მიმართული იყო არა ზოგადად ჰესის, არამედ, სამშენებლო პროექტში არსებული ხარვეზებისადმი. მაშინაც, როცა ხელახლა დაისვა დღის წესრიგში ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი, კერესელიძემ ისევ პროექტის ხარვეზებზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მწვანეები პრინციპულად არ არი-

1 გაზეთი „დედამიწა“, 1994 წლის 22 აპრილის ნომერი, გვ. 3.

ან ჰესების აშენების წინააღმდეგი, მაგრამ მშენებლობის საკითხი იმდენად „თეთრი ძაფითაა ნაკერი, რომ მწვანეები სულ რომ არ იყვნენ პარლამენტში, ხუდონჰესის პროექტი ვერ გავა“[2]. მართლაც, ხუდონჰესის მშენებლობის პროექტი იმ პერიოდში არ გავიდა და აქტიური საუბრები ამ თემაზე მიჩუმდა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა – მხოლოდ რამდენიმე წლით. ქვეყანაში არსებული ენერგო მომარაგების პრობლემების კვალდაკვალ, ეს საკითხი ხელახალი სიმძაფრით ისმებოდა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სივრცეში[3]. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხელისუფლებაში მოსული ყოფილი მწვანეების წინაშე სულ სხვა ტიპის გამოწვევები გაჩნდა და მათ სოციო-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საკითხებს შორის კომპრომისული ვარიანტების ძიება უწევდათ.

ყოფილი მწვანეების „მოქალაქეთა კავშირში“ გადასვლა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ მომგებიანი პოლიტიკური ნაბიჯი, არამედ, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობრივი აცდენა ჟვანიას გუნდსა და მწვანეთა პარტიაში დარჩენილებს შორის. პარტიაში დარჩენილმა მწვანეებმა ვეღარ მოახერხეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფართო ხედვის შეთავაზება. ამის გარეშე კი შეუძლებელია გარემოსდაცვითი პრობლემატიკის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დღის წესრიგში ინტეგრირება. შესაბამისად, მწვანეთა პარტიამ პოლიტიკური გავლენა დაკარგა და მათ ერთგვარი მარგინალიზაციაც დაემუქრათ.

როგორც ჩანს, ამ საფრთხეს ჟვანიას გუნდშიც ხედავდნენ. ამიტომ, მწვანეთა პარტიაში დარჩენილი გუნდიდან 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირის“ სიით 2 დეპუტატი – გიორგი გაჩეჩილაძე და გივი გიგინეიშვილი გავიდა[4]. რომ არა ეს ფანჯარა პარლამენტში, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მწვანეები კიდევ უფრო ჩამოშორდებოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს. ამ ორი დეპუტატის ირგვლივ „მწვანეთა ფრაქციის“ შექმნაც იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. მართალია, 1995 წლის მოწვევის პარლამენტში მწვანეთა პარტიის ორი წარმომადგენელი „მოქალაქეთა კავშირის“ სიით მოხვდა, მაგრამ გია გაჩეჩილაძისა და გივი გიგინეიშვილის დეპუტატობა უფრო ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მწვანე მსოფლმხედველობის საარჩევნო წარმატება.

---

2 იქვე.

3 ხუდონჰესის მშენებლობის იდეა 2004 წელს, პრემიერმინისტრობისას, თავად ზურაბ ჟვანიამ გააცოცხლა. ამ პროექტს დღევანდელი მთავრობაც ლობირებს.

4 გივი გიგინეიშვილი აირჩიეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ.

რაც შეეხება ძირითადი ბირთვის გარეშე დარჩენილ მწვანეთა პარტიას, მისმა საპარლამენტო წარმომადგენლებმა მწვანეთა მოძრაობასთან ერთად აქტიური კამპანიები დაიწყეს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ინიციატივების წარსადგენად. 1995-1999 წლების პარლამენტმა ფაქტობრივად შექმნა მანამდე არარსებული საკანონმდებლო ბაზა გარემოსდაცვითი საკითხების დასარეგულირებლად. ამ კანონპროექტების შემუშავებაში მწვანეებში დარჩენილი ეკოლოგებიც მონაწილეობდნენ. თუმცა, ეს წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა ზურაბ ჟვანიასა და მისი გუნდის უზარმაზარი პოლიტიკური გავლენა იმ მოწვევის პარლამენტში. იმის გარდა, რომ ზურაბ ჟვანია გახდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სხვა ყოფილმა მწვანეებმა საკვანძო მნიშვნელობის მქონე საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების სავარძლები დაიკავეს: საგარეო ურთიერთობათა – კახა ჩიტაიამ, თავდაცვისა და უშიშროების – რეზო ადამიამ, აგრარულ საკითხთა – როზა ლორთქიფანიძემ. ასევე, ყოფილი მწვანეები ხელმძღვანელობდნენ პარლამენტის აპარატსა და პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს. იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟვანიას გუნდის გავლენის გარეშე ვერც გარემოსდაცვითი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება მოხერხდებოდა და მთავრობაც გარემოსთვის მეტად საზიანო გადაწყვეტილებებს მიიღებდა.

მწვანეებიდან საკანონმდებლო ხელისუფლებაში გადაბარგებული გუნდის მთავარი მონაპოვარი მაინც საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი გარემოსდაცვითი პარაგრაფებია. არასტაბილურ 1990-იანებში ქვეყნის მთავარ კანონში ჩაწერილი ტექსტი, იმ დროისათვის, სულ მცირე, ვიზიონერულად ჟღერს[5].

ცხადია, ეს პარაგრაფები ზედმიწევნით ვერც მაშინ სრულდებოდა და ახლაც ვერ სრულდება. რაციონალური ბუნებათსარგებლობა მხოლოდ საზოგადოების მთელი სპექტრის პრაგმატული შეთანხმების შედეგადაა შესაძლებელი. საქართველოში კი სამოქალაქო საზოგადოება კვლავ

5 საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლის 3-5: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“.

სუსტია და ახლა იძენს კონტურებს. თუმცა, ეს ჩანაწერი დღემდე უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია გარემოს დამცველი აქტივისტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ხელში.

კონსტიტუციაში შეტანილი მნიშვნელოვანი „მწვანე“ პარაგრაფების გარდა, 1990-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს პარლამენტმა გარემოს დაცვისთვის მნიშვნელოვანი თხუთმეტამდე კანონპროექტი მიიღო. ძირითადად ეს კანონები იმდროინდელი საპარლამენტო უმრავლესობის („საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“) ინიცირებით და მხარდაჭერით გადიოდა, თუმცა, მათ შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მწვანეთა პარტიისა და მოძრაობის წევრები. ამ კანონთაგან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ“. ამ საკითხზე მუშაობა საქართველოს მთავრობამ 1990-იანი წლების დასაწყისიდან WWF[6]-თან ერთად დაიწყო. კანონის მიხედვით, რომელსაც ხელი ედუარდ შევარდნაძემ 1996 წელს მოაწერა, დაცული ტერიტორიები ქვეყნის მთლიანი ფართობის არანაკლებ 20%-ს უნდა შეადგენდეს. ამ კანონის ფარგლებში დაარსდა სამი ნაციონალური პარკი – ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ნაციონალური პარკი (თუშეთი და ვაშლოვანის ეროვნული პარკები და ლაგოდეხის ნაკრძალი).

ამავე დროს მიიღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, რომელიც გარემოსდაცვითი ღონისძიების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ამ კანონით შესაძლებელი გახდა პოტენციური რისკების გამოვლენა და საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე შესაძლო ზეგავლენას შეფასება. თუმცა, კანონის აღსრულება პრობლემატური აღმოჩნდა, მათ შორის, საექსპერტო გამოცდილების არარსებობის, კონკრეტული პროცედურების, ფუნქციებისა და სტრუქტურების ჩამოუყალიბებლობის გამო.

ამავე პერიოდში, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის მიერ ინიცირებული იყო კანონპროექტი, რომელიც საქართველოდან ტყის ნედლეულის ექსპორტის აკრძალვას ითვალისწინებდა, თუმცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლის შედეგად ეს კანონპროექტი დაბლოკა.

მართალია, ამ წლებში საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდა, მაგრამ,

6 WWF – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია. აქვს კავკასიის, საქართველოს ოფისიც.

საბოლოოდ, ის მაინც განიხილებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი. შესაბამისად, მისი დარღვევა ან მასში ცვლილებების შეტანა არც აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის წარმოადგენდა პრობლემას და არც პარლამენტისთვის.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ 2000 წელი, როცა კოლხეთის ეროვნულ პარკში, „რამსარის კონვენციით“[7] დაცულ ტერიტორიაზე ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობა დაიწყო. კოლხეთის დაცულ ტერიტორიას, სადაც პლანეტის ერთ-ერთი უძველესი – გამყინვარების დროინდელი ეკოსისტემაა შენარჩუნებული, მსოფლიო ბანკი აფინანსებდა. მაშინ საქართველოს მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტიც კი ეწვია, რომ არ დაეშვა დაცულ ტერიტორიაზე ნავთობტერმინალის მშენებლობა. ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ პრობლემას მარტივი გადაჭრა მოუძებნა – პარლამენტმა ტერმინალისათვის გამიზნული ადგილი დაცული ტერიტორიებიდან ამორიცხა[8]. თანაც, „კოლხეთის ეროვნული პარკი“, სანაცვლოდ, არც თანაზომადი ტერიტორიით გაზრდილა, როგორც ამას მსგავს შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს.

იგივე განმეორდა 2003 წელს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გატარებისას. გარემოს დაცვის მინისტრი, ზეწოლის შედეგად, იძულებული გახდა გაეცა გარემოსდაცვითი ნებართვა ნავთობსადენის მშენებლობაზე[9], რამაც საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია საქართველოს პარლამენტში. საქართველოს საკუთარი კანონმდებლობა რომ დაეცვა, ეს პროექტები დაცული ტერიტორიების გარეთ უნდა განხორციელებულიყო. „საუკუნის პროექტად“ წოდებული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ ცხადად გვაჩვენა, რამდენად ბუტაფორიული და, ხშირ შემთხვევაში, რეალობას აცდენილი იყო 1990-იან წლებში პარლამენტის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი კანონები. სამოქალაქო აქტივისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ადგილობრივ თემებთან აქტიური თანამშრომლობით გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვა

7 რამსარის კონვენცია – კონვენცია, რომელიც იცავს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის ტერიტორიებს. მიიღეს 1971 წელს ირანის ქალაქ რამსარში. შემდეგში შესწორდა 1987 წელს კანადაში, ქალაქ რეჯაინაში. კონვენცია პირველი გლობალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ერთი ტიპის ეკოსისტემას.

8 http://books.google.ge/books/about/The_World_Bank_and_the_Environment_in_th.html?id=fKvwGwAACAAJ&redir_esc=y

9 http://www.civil.ge/eng/article.php?id=2814

ბევრ შემთხვევაში შეძლეს, თუმცა, ვერ შეძლეს მარშრუტის ცვლილება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, მწვანეთა პარტია ამ პროცესში ძალიან გვიან ჩაერთო და რეალურად ვერაფრის გაკეთება ვეღარ შეძლო. მწვანეებმა ამ შემთხვევაში ვერც ბუნებრივი მოკავშირის – ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ მშენებელი კომპანიები, ხშირად, მოსახლეობის კერძო საკუთრების უფლებასაც არღვევდნენ.

ამ მაგალითზე კარგად ჩანს, რომ იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესული ქართული კანონმდებლობა ხშირად ირღვეოდა, დარღვევებს კი მწვანეები კარგად დაგეგმილ, მასობრივ კამპანიებს ვერ უპირისპირებდნენ.

დღევანდელი გადმოსახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1990-იან წლებში მიღებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უფრო კეთილი განზრახვის მაჩვენებელი იყო, ვიდრე ქმედითი ინსტრუმენტი. ამ ნორმების ზედმიწევნით შესასრულებლად ქართული სახელმწიფო დღესაც არაა მზად. უფრო მეტიც, რეალობას აცდენილმა, ზედმეტად ოპტიმისტურმა კანონებმა ქართველ გარემოსდამცველებს ხელი შეუშალა საქმიანი, პრაგმატული, რეალობაზე ორიენტირებული ჯგუფის იმიჯის დამკვიდრებაში. იგივე შეიძლება ითქვას ბირთვული და სეისმური უსაფრთხოების თემებზე მწვანეთა პარტიის მიერ წარმოებულ კამპანიაზე, როცა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის ექსპლოატაციაში შესვლასთან დაკავშირებით ქართველმა მწვანეებმა რამდენიმეჯერ გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი განცხადებები გაავრცელეს. მაგალითად, სომხეთის ატომურ სადგურზე რადიაციის გაჟონვასთან დაკავშირებული ინფორმაცია. სომხეთის ხელისუფლებამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ცნობები. ასევე, არ დადასტურდა მწვანეთა პარტიის სპიკერის განცხადებები საქართველოში რადიაციული ფონის 500 რენტგენით დაბინძურების თაობაზე[10].

კიდევ ერთი გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომელიც მწვანეთა პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის მხრიდან გაჟღერდა და რაც არ დადასტურდა, შეეხებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეშერაში მიწისქვეშა სამეცნიერო ლაბორატორიის არსებობას[11].

---

10 გაზეთი „ალია“, 26-27 მარტი, 1996 წ.

11 გაზეთი „7 დღე“, 21 ივლისი, 1996 წ., გაზეთი „რეზონანსი“, 19 ნოემბერი, 1997 წ.

შეიძლება ითქვას, რომ პარტიისა და მოძრაობის სახელით გავრცელებულმა გადაუმოწმებელმა ინფორმაციამ გარკვეულწილად დააზარალა მწვანეების იმიჯი და სანდოობა, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა მათი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, თუმცა, მსგავსი აქტივობებიც არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს წარუმატებლად. მაგალითად, 1997 წლის 11 იანვარს, გიორგი გაჩეჩილაძემ და გივი თუმანიშვილმა, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, 1950 წელს აშენებული მცხეთის ბირთვული რეაქტორიდან, სადაც გამდიდრებული ურანი ინახებოდა, რადიაციის გაჟონვის შესახებ განაცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი არ დადასტურებულა, მწვანეებმა მედიაში გაშალეს საინფორმაციო კამპანია ქვეყნიდან ბირთვული და რადიაციული ნარჩენების გატანის მოთხოვნით.

რადიაციული საფრთხის შემცველი ნივთიერებები საქართველოდან ამერიკელების დაფინანსებითა და პირდაპირი დახმარებით გაიტანეს, რადგან შეერთებული შტატები ძალიან უფრთხოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უკონტროლოდ დარჩენილი ბირთვული ნარჩენების ტერორისტების ხელში მოხვედრას. შესაბამისად, ნარჩენების გატანა არ შეიძლება ჩაითვალოს მწვანეთა პარტიის დამსახურებად, მაგრამ ფაქტია, რომ „მწვანეების“ მიერ ატეხილმა ხმაურმა გარკვეული როლი შეასრულა ამ საკითხების წინ წამოწევის და მათზე ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით.

რიგი წარუმატებლობების მიუხედავად, საქართველოს მწვანეებს ჰქონდათ შედეგიანი გარემოსდაცვითი კამპანიებიც. მაგალითად, მდინარე ჭოროხზე მსხვილი ჰესის აშენების წინააღმდეგ მიმართული კამპანია. მდინარე ჭოროხზე ჰესის აშენების იდეა თურქეთის მთავრობას გაუჩნდა. 1986-1990 წლებში ჩატარებული ტექნიკური კვლევების შემდეგ შეთანხმდნენ 11 შედარებითი მცირე კაშხლის პროექტზე, რომელიც იუსუფელისა და ართვინის დიდ წყალსაცავს შეკრავდა. პროექტის იდეა პოტენციურ ინვესტორებთან ერთად განიხილებოდა. განხორციელების შემთხვევაში, ჰესის ოპერირება ორ ქვეყანას – საქართველოსა და თურქეთს ერთობლივად უნდა მოეხდინათ. პროექტი თურქეთის მთავრობამ 1997 წელს დაამტკიცა. 1998 წელს შეიქმნა ამ საკითხის შემსწავლელი ქართულ-თურქული სამთავრობო კომისიაც.

თურქმა გარემოს დამცველებმა პროტესტი ჰესის იდეის გაჩენისთანავე დაიწყეს, მაგრამ კამპანიამ კულმინაციას 2001-2002 წლებში მიაღწია. გარდა იმისა, რომ დატბორილ ტერიტორიაზე, როგორც ქართულ, ასევე თურქულ მხარეს, საფრთხე ექმნებოდა კულტურისა და ბუნების ძეგლებს,

საფრთხის ქვეშ ხვდებოდა შავი ზღვის მთელი მიმდებარე სანაპირო. მდინარე ჭოროხი შეწყვეტდა ნატანის ჩამოტანას, რაც, თავის მხრივ, ზღვისგან სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებას გამოიწვევდა.

თურქმა ბუნების დამცველებმა შეძლეს კამპანიით დასავლელი თანამოაზრეების დაინტერესებაც. კამპანიაში აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოს მწვანეებიც. შვეიცარიული „ბერნის დეკლარაცია“ და ფრანგული „დედამიწის მეგობრები“ ამტკიცებდნენ, რომ პროექტი არღვევს დიდი კაშხლების მშენებლობებისათვის შემუშავებულ საერთაშორისო სტანდარტს. ერთობლივი ძალისხმევით, ხანგრძლივი და აქტიური საპროტესტო კამპანიის შედეგად, თურქეთის ენერგეტიკის დეპარტამენტის პროექტი ვერ განხორციელდა[12].

კიდევ ერთი შედეგიანი კამპანია მწვანეებმა გენმოდიფიცირებული კარტოფილის საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ აწარმოეს.

1996 წელს ამერიკულმა კომპანია ICDI-მ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, ქვეყანაში 600 ტონა გენმოდიფიცირებული კარტოფილის თესლი შემოიტანა. კარტოფილის დათესვა, ფაქტობრივად, დაწყებული იყო, როცა მწვანეთა მოძრაობამ, Greenpeace-თან თანამშრომლობით, ჩაატარა დამოუკიდებელი გამოძიება და არგუმენტირებულად დაასკვნა, რომ გენმოდიფიცირებული კარტოფილის დათესვა განუზომლად ზრდიდა საფრთხეებს ტრადიციული მეურნეობისთვის, რადგან იმ დროისათვის პროცესის გასაკონტროლებლად არც საკანონმდებლო და არც ტექნოლოგიური მექანიზმი არ არსებობდა[13].

პროექტის შეჩერება 24 აპრილს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე გადაწყდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს მწვანეთა პარტიის წევრი გივი გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა, აგრარულ საკითხთა კომიტეტს კი – მწვანეებიდან ზურაბ ჟვანიასთან ერთად წასული როზა ლორთქიფანიძე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია მსხვილი პროექტების განხორციელების წინააღმდეგ კამპანიების კარგად დაგეგმვა და ქსელურად, საერთაშორისო თანამშრომლობით განხორციელება. ქართველ მწვანეებს ჰქონდათ ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვებისა და კონტაქტების გამყარების შანსი,

12 ბოლო ინფორმაციით, ჭოროხზე იგეგმება თავდაპირველ ჩანაფიქრზე პატარა – არკუნის კაშხლის მშენებლობა. პროექტი 2015 წელს უნდა დასრულდეს.

13 http://www.greens.org/s-r/17/17-18.html

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთობლივი კამპანიები, იშვიათი და, ძირითადად, ფრაგმენტული ხასიათისა იყო.

მწვანეებმა, ასევე, ვერ შეძლეს ერთიანობის შენარჩუნება, მაშინ როდესაც ერთი შეხედვით ამისი წინაპირობა თითქოს არ არსებობდა.

ჯერ კიდევ 1995 წელს, როდესაც ყველაზე მაღალი იყო ემოციები მწვანეთა მნიშვნელოვანი ბირთვის „მოქალაქეთა კავშირში" გადასვლის გამო, რამაც პარტიისა და მოძრაობის არაერთი წევრის უკმაყოფილება და უთანხმოებები გამოიწვია და იმ იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, რაც ამ გაყოფამ წარმოაჩინა, მწვანეები – ყოფილებიც და პარტიაში დარჩენილებიც, ერთიანობის შენარჩუნებას მაინც ცდილობდნენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1995 წლის 14-15 მაისს კინოს სახლში გამართული საქართველოს მწვანეების მე-5 კონგრესი. კონგრესი აერთიანებს ყველას, როგორც ყოფილ, ასევე პარტიასა და მოძრაობაში დარჩენილ მწვანეებს: კონგრესზე ანგარიშით გამოდის ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი გივი თუმანიშვილი, სადაც საუბრობს ასოციაციის, როგორც მწვანეთა „ტვინოვანი"[14] ნაწილის როლზე მწვანე საკითხების თეორიულ მომზადებაში; ანგარიშით გამოდის საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც საუბრობს კომისიის მიერ მომზადებულ, პარლამენტში მიღებულ ეკოლოგიურ კანონებსა და დადგენილებებზე; ანგარიშით გამოდის გარემოს დაცვის მინისტრი შოთა ადამია, სადაც საუბრობს სამინისტროს გაზრდილ ფუნქციებზე ბუნებრივი რესურსების მართვასა და განკარგვაში; კონგრესის წინაშე აკეთებს ანგარიშს ეკოლოგიური პოლიციის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი მათ მიერ გამოვლენილ ეკოლოგიური დანაშაულებების ფაქტებზე[15]. ამავე კონგრესზე ზურაბ ჟვანიას ირჩევენ საქართველოს მწვანეთა საპატიო თავმჯდომარედ[16].

მსგავსი სულისკვეთება იგრძნობა 1998 წელს გამართულ საქართველოს მწვანეთა მე-6 კონგრესზეც, რომელსაც ესწრება და მისასალმებელი სიტყვით მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. იგი თავის გამოსვლაში იხსენებს პარტიის ჩამოყალიბების ისტორიას, საუბრობს მწვანე ღირებულებებზე, გაწეული ღვაწლისათვის მადლობას უხდის მწვანეების ეკოლოგიური ასოციაციის პრეზი-

14 გივი თუმანიშვილის მიერ გამოყენებული ტერმინი.

15 საქართველოს მწვანეების მე-5 კონგრესის ოქმი, საარქივო დოკუმენტი.

16 კენჭისყრაზე მხოლოდ ერთი ადამიანი იყო წინააღმდეგი და ერთმა შეიკავა თავი.

დენტ გივი თუმანიშვილს, მწვანეთა მოძრაობის საბჭოს თავმჯდომარეს ნანა ნემსაძეს, იგონებს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს მწვანეთა სათავეებში იდგნენ. ჟვანიას შეფასებით, საქართველოს მწვანეები „უნიკალური გამოცდილების, ტრადიციისა და ღირებულებათა მატარებელ“ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც მომავალში დიდ სარგებელს მოუტანდა სახელმწიფოს[17].

თუმცა, მე-6 კონგრესზე გამოთქმული იმედები, რომ საქართველოს მწვანეები აქტიურად იქნებოდნენ ჩართულები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდნენ ქვეყნის მომავალ განვითარებაში, არ გამართლდა. საქართველოს მწვანეებმა ვერ შეინარჩუნეს ერთიანობა. გიორგი გაჩეჩილაძესა და ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური გზები გაიყო და მწვანეთა პარტია „მოქალაქეთა კავშირს“ გაემიჯნა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეებმა პარლამენტში მოხვედრა დამოუკიდებლად სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. მწვანეთა პარტიის უკანასკნელმა მოჰიკანმა პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალურ მიმღებთა შორის, ნინო ჩხობაძემ, რომელიც 2003 წლამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი იყო, 1999 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, მწვანეთა პარტია დატოვა, რითაც პარტიამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაკარგა. მწვანეთა პარტიის არქივში შემონახულია ნინო ჩხობაძის ორგვერდიანი განცხადება პარტიის დატოვებასთან დაკავშირებით. პარტიის დატოვების ძირითად მიზეზად ის სხვადასხვა ეკოლოგიური საკითხებისადმი პარტიის ხელმძღვანელობის, კერძოდ კი მისი სპიკერის, გია გაჩეჩილაძის მიერ გატარებულ პოლიტიკას ასახელებს. მისი აზრით, პარტიამ გადაუხვია მწვანეთა ძირითად პრინციპებს. ჩხობაძეს მაგალითად მოჰყავს „ტყის კოდექსზე“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონზე მუშაობისას მწვანეთა მიერ გატანილი ისეთ საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც უფრო მეტად აზიანებდა ბუნებას, ვიდრე იცავდა მას[18]. ასევე, მინისტრს პრეტენზიები აქვს პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომ არ იქნა შედგენილი და განხილული საარჩევნო პროგრამა. ჩხობაძისთვის მიუღებელია ის

17 საქართველოს მწვანეთა 1998 წლის 13 ივნისის მე-6 კონგრესის სხდომის ამსახველი ოქმის ასლი, საარქივო დოკუმენტი.

18 მწვანეთა პარტიის წევრის ნ. ჩხობაძის განცხადება პარტიის სპიკერის გია გაჩეჩილაძის სახელზე, პარტიის რიგების დატოვებასთან დაკავშირებით, საარქივო დოკუმენტი.

კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მწვანეთა საარჩევნო სია შეადგინეს[19]. ჩხობაძე არ ასაჯაროებს პარტიის დატოვების გადაწყვეტილებას საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე და მოითხოვს მისი განცხადება განხილულ იქნას მწვანეთა ცენტრალური საბჭოს სხდომაზე.

როგორც არქივში დაცული ოქმებიდან ჩანს, ნინო ჩხობაძის განცხადება განიხილეს საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 8 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გიორგი გაჩეჩილაძე, ნანა ნემსაძე, გივი თუმანიშვილი, გივი გიგინეიშვილი, ნატო კირვალიძე, რუსუდან სვიმონიძე და კიდევ საბჭოს 3 წევრი. ოქმში ნათქვამია, რომ საბჭო გაეცნო ჩხობაძის განცხადებას, რის შემდეგაც საბჭოს წევრებმა გამოხატეს თავისი დამოკიდებულება განცხადების შინაარსისადმი. ამ დამოკიდებულებებიდან ცალსახად ჩანს პარტიის შიგნით მომწიფებული უთანხმოება, ასევე ჩანს დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგის შეუძლებლობა. მაგალითად, საბჭო არ დაეთანხმა ჩხობაძის წერილობით ბრალდებებს, თუმცა, განცხადებაში დასმული საკითხები არც განუხილავთ, თუ არ ჩავთვლით ზოგად შეფასებებს საბჭოს წევრების მხრიდან, რომ ბრალდებები უსაფუძვლო იყო. ოქმიდან ირკვევა, რომ პარტიიდან გასვლის განცხადების დაწერის შემდეგ, ჩხობაძეს გამოუთქვამს სურვილი, მისი არგუმენტები მოესმინათ საბჭოზე, თუმცა სხდომამ ჩათვალა, რომ თუკი ჩხობაძეს სურდა საბჭოს წინაშე წამდგარიყო, მას ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარედგინა პარტიის დატოვების უარყოფის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი კვირის შემდეგ, როგორც პარტიიდან, ისე საბჭოდან ავტომატურად გასულად ჩაითვლებოდა[20]. როგორც ჩანს, ჩხობაძემ არ წაიღო უკან თავისი განცხადება, რის საფუძველზეც მწვანეთა ცენტრალურმა საბჭომ 16 ნოემბრის სხდომაზე გარემოს დაცვის მინისტრი ცნო პარტიიდან გასულად და ვინაიდან იგი ცენტრალური საბჭოს წევრად არჩეული იყო პოლიტკომიტეტის მიერ, ასევე გასულად ცნეს ცენტრალური საბჭოდან[21].

ამავე პერიოდში, საბჭოს წევრობიდან და პარტიიდან პირადი განცხადების საფუძველზე გასულად ცნეს ეთერ მაისაშვილიც. ოქმში, რომელშიც მისი საკითხი განიხილებოდა, ნათქვამია, რომ მაისაშვილი ბოლო 10

19 მწვანეთა პარტიის წევრის ნ. ჩხობაძის განცხადება პარტიის სპიკერის გია გაჩეჩილაძის სახელზე, პარტიის რიგების დატოვებასთან დაკავშირებით, საარქივო დოკუმენტი.

20 საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის სხდომის ოქმი, საარქივო დოკუმენტი.

21 საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის სხდომის ოქმი, საარქივო დოკუმენტი.

თვის მანძილზე არ ესწრებოდა სხდომებს მწვანეთა პარტიის სპიკერთან დაპირისპირების გამო[22].

პარტიიდან წასული მწვანეები ინარჩუნებდნენ მოძრაობის წევრობას, მაგრამ ვინაიდან პარტია და მოძრაობა მკვეთრად გამიჯნულები არ იყვნენ, საქართველოს მწვანეებში დაპირისპირების მუხტი შენარჩუნდა. ამავე მიზეზით, ჟვანიასა და მისი გუნდის მხარდაჭერას კარგავს არა მხოლოდ პარტია, არამედ მოძრაობაც. მოძრაობაში მყოფი მწვანეების აქტიური თანამშრომლობა სახელისუფლებო გუნდთან უფრო ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი გახდა და სცილდება მწვანეთა მოძრაობასთან ურთიერთობის ფორმატს. შედეგად, მოძრაობა პარტიის მსგავსად თანდათან დასუსტდა.

მწვანეთა პარტიისა და მოძრაობის გამიჯვნის საკითხი ყოველთვის პრობლემური იყო. მცდელობების მიუხედავად, პარტიისა და მოძრაობის სრული გამიჯვნა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხდა. პარტიასა და მოძრაობას შორის გამყოფი ხაზი თავიდანვე პირობითი იყო. ყველა მწვანე შედიოდა მწვანეთა მოძრაობაში, ხოლო მათგან ისინი, ვისაც „მწვანე ინტერესის“ გარდა პოლიტიკური ამბიციებიც გააჩნდათ, შედიოდნენ მწვანეთა პარტიაში[23]. გამიჯვნის საკითხი პირველად აქტუალური 1993-1995 წლებში გახდა, როდესაც „მოქალაქეთა კავშირი“ ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში. მაშინ დადგა საჭიროება სხვა პარტიაში გადასულ მწვანეებს შეენარჩუნებინათ მწვანე იდენტობა. მწვანეთა პარტია და მწვანეთა მოძრაობა ერთმანეთს იურიდიულად გაემიჯნა – მოქკავშირში გადასულმა მწვანეებმა მწვანეთა პარტია დატოვეს და მწვანეთა მოძრაობაში დარჩნენ. ხოლო საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და მწვანეთა პარტია ერთი საერთო ქოლგის – საქართველოს მწვანეების ქვეშ დარჩა. იურიდიული გამიჯვნის მიუხედავად, მწვანეთა პარტია და მწვანეთა მოძრაობა ერთმანეთისაგან სრულად დამოუკიდებელ ინსტიტუციებად ვერ ჩამოყალიბდა. ისინი ფიზიკურად ერთ ოფისში იყვნენ და მმართველი ორგანოს (საბჭოს) წევრებიც საერთო ჰყავდათ. მაშინ, როდესაც იმთავითვე არსებობდა საგრძნობი იდეოლოგიური განსხვავებები „მოქკავშირში“ გადასულ მწვანეებს, მწვანეთა პარტიაში დარჩენილ მწვანეებსა და მოძრაობაში მოღვაწე მწვანეებს შორის. საბოლოოდ, მწვანეების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფრთების გაუმიჯნაობამ ორივე სეგმენტი დააზარალა, რადგან, ამ პირობებში, მოძრაობა და

22 საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის სხდომის ოქმი, საარქივო დოკუმენტი.

23 საქართველოს მწვანეების დებულება, მიღებული საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და საქართველოს მწვანეთა პარტიის მე-6 კონგრესზე, 1998 წელს. თავი მე-3.

პარტია ერთმანეთზე, ორივენი კი ხელისუფლებაში გადასულ მწვანეებზე იყვნენ დამოკიდებულები. ხელისუფლებაში გადასულ მწვანეებს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად უწევდათ კომპრომისზე წასვლა ეკოლოგიური ინტერესების საზიანოდ, რაც, ერთი მხრივ, აღრმავებდა იდეოლოგიურ კრიზისს ყოფილ და მოქმედ მწვანეებს შორის, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერც მწვანეთა პარტია და ვერც მოძრაობა ვერ გამოდიოდა ხმამაღლა ყოფილი კოლეგების პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რაც არ უწყობდა ხელს მათ ავტორიტეტს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ის წარმატებებიც, რაც ამ წლებში მიღწეული იქნა ეკოლოგიის კუთხით მწვანეთა მოძრაობისა და პარტიის მხრიდან, არ აღიქმებოდა როგორც მათ მიერ დამოუკიდებლად მიღწეული წარმატება, რადგან ისინი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მმართველ გუნდში მყოფი ყოფილი მწვანეების ხელშეწყობით.

იმ პერიოდისათვის, როდესაც „მოქალაქეთა კავშირისა“ და საქართველოს მწვანეების გზები გაიყო და უკვე შემდგომში მოხდა მწვანეთა პარტიისა და მოძრაობის რეალურად გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მოძრაობას დაკარგული ჰქონდა მუდმივი კავშირი საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფთან, ხოლო პარტიას – რეალური გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.

მარტო დარჩენილი მწვანეთა პარტიისა და მოძრაობისათვის ამ დროის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ფინანსური რესურსების მკვეთრი დეფიციტი იყო. ჟვანიას გუნდის „მოქალაქეთა კავშირში“ გადასვლასთან ერთად შესუსტდა ქართველი მწვანეების კონტაქტები უცხოელ დონორებთან, რამაც გააღრმავა ფინანსური კრიზისი. ალბათ, ამის ბრალიც არის ის, რომ ვერ მოხერხდა პარტიასა და მოძრაობაში ახალი, ახალგაზრდული გუნდის შემოკრება და ძალების განახლება.

2000-იანი წლებიდან საგრძნობლად მცირდება საქართველოს მწვანეების აქტივობის გაშუქება მედიაში.

პარტიასა და მოძრაობაში დარჩენილ მწვანეებს საკითხთა ვიწრო სპექტრზე უწევდათ მუშაობა. მათ ვერ შეძლეს ევროპელი კოლეგების იმ გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკაში დანერგვა, როცა „მწვანე თემატიკა“ აბსოლუტურადაა ინტეგრირებული საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტებთან. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდისათვის, მწვავე სოციალური საკითხების ფონზე, გარემოსდაცვითი თემატიკა განსაკუთრებულად აქტუალური, დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, აღარ იყო.

გიორგი გაჩეჩილაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი
„მოქალაქეთა კავშირის“ დამფუძნებელთა ყრილობაზე, 1994 წელი
ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

ზურაბ ჟვანია სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრაზე, თბილისი, 1998 წელი
ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

ნინო ჩხობაძე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობა, 1997 წელი
ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

მწვანეების აქცია რუსეთის საელჩოსთან, 13 ივლისი, 2001 წელი
ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

გიორგი გაჩეჩილაძე მწვანეთა პარტიის ოფისში, სავარაუდოდ 2000 წელი
ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

ნაირა გელაშვილი, აქცია მესტიაში, 1989 წელი
ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

V

ზექნოკრაზია, ეკოლოგია, პოეზია

ტექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია*

ნაირა გელაშვილი

„ჩვენ ვიზიარებთ ტექნიკის კულტთან და ტექნიკის ფეტიშიზაციასთან ბრძოლის იდეას... ტექნიკურ პროგრესს ნამდვილად უკავშირდება არა მარტო ფიზიკური კატასტროფის, არამედ სულიერი გადაგვარების საფრთხეც. და ეს საფრთხე რეალური ხდება, როდესაც საზოგადოება ტექნიკას მეტისმეტად დიდ ადგილს უთმობს თავის ცხოვრებაში. თავაშვებული ტექნიკური გარდაქმნებით, ექსპლოატაციით და ბატონობით „გაუპატიურებული“ ბუნება უარს ამბობს – თავის წიაღში ბინა მისცეს ადამიანს“...

„ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობის საკითხი ეს ტექნიკის საკითხი კი არ არის, არამედ სწორედ ჰუმანიტარული საკითხია და ის, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაწყვიტონ ჰუმანიტარული აზროვნების წარმომადგენლებმა“.

ზურაბ კაკაბაძე

„მხოლოდ პოეტები გრძნობდნენ ოდითვე, რას ნიშნავს ბუნება ადამიანისთვის“.

„რაც უფრო მეტია პოეზია, მით უფრო მეტია სიახლოვე ჭეშმარიტებასთან“.

ნოვალისი

ვსურს ბუნების ტექნიკური დაკაბალებისა და ამის წინააღმდეგ შემართული ეკოლოგიური მოძრაობის საკითხს შევეხოთ ჰუმანიტარული კულტურისა და აზროვნების, ანუ იმ სულიერ ღირებულებათა პოზიციიდან, რომელთა უგულებელყოფითაც იწყება ყოველი საზოგადოების, მთელი ცივილიზაციის დეგენერაცია და დაღუპვა.

ყოველ პრაქტიკულ ქმედებას საფუძვლად უდევს გარკვეული (ცნობიერი და გაუცნობიერებელი) მსოფლგანცდა, მსოფლმხედველობა. ამიტომ დავსვათ კითხვა: რისი ნაყოფია ჟინვალჰესი, ენგურჰესი, ხუდონჰესი, ნამოხვანიჰესი თუ ტრანსკავკასიის რკინიგზის პროექტი, ანუ ის გიგანტური ნაგებობანი და პროექტები, რომლებიც დაღუპვით ემუქრებიან საქართველოს მთელ ბუნებას? ეს არის ნაყოფი ტექნოკრატიული აზროვნებისა, რადგან ჯერ კიდევ 60-იან წლებში ევროპულმა ჰუმანიტარულმა და მეცნიერულმა აზრმა ყოველი გიგანტური ნაგებობა, როგორც რადიკალური

---

* გამოქვეყნდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტში“ # 13, 14, 15, 1989 წ.

და დაუნდობელი ჩარევა ცოცხალი ბუნების ორგანიზმში, ტექნოკრატიული ცნობიერების კულმინაციურ გამოვლენად მიიჩნია. მაგრამ გამოთქმა „ტექნოკრატიული აზროვნება“ უკვე წარმოადგენს „წინააღმდეგობას განსაზღვრებაში“, რადგან ტექნოკრატია, როგორც ასეთი, გახლავთ სწორედ ის ფენომენი, რომელიც აზროვნებას მოწყვეტილია.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა მარტინ ჰაიდეგერმა განაცხადა: „მეცნიერება არ აზროვნებსო“. მაშასადამე, თუ მეცნიერება არსებითად მოსწყვეტია ზოგად აზროვნებას, და სპეციფიკურ, ვიწრო სფეროში ჩაკეტილა, რაღა უნდა ითქვას ტექნოკრატიაზე, რომელიც თვით მეცნიერულ აზრსაც მოკლებულია? ტექნოკრატია გახლავთ არა მხოლოდ სულიერი, აზროვნებითი ღირებულებებისაგან დაცლილი, არამედ ამ ღირებულებებს მტრულად დაპირისპირებული და მათი საბოლოოდ დამასამარებელი მოვლენა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ტექნოკრატიული ცნობიერება, როგორც სამყაროსთან, ბუნებასთან უკიდურესად არაეთიკური, აგრესიული მიმართულება, წარმოადგენს იმ პროცესის თანმიმდევრულ დაგვირგვინებას, რომელსაც წინა საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული. რა პროცესია ეს? ეს გახლავთ ცალმხრივი რაციონალიზმის, ე.წ. გონების კულტის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ვულგარულ მატერიალიზმში.

მთელი საკაცობრიო სიბრძნისათვის, რაც დაუნჯებული იყო მითოლოგიასა და პოეზიაში, რელიგიასა და ფილოსოფიაში, სამყარო წარმოადგენდა უმაღლესი ძალისა თუ გონის საკრალურ ქმნილებას, სულისა და მატერიის, ხილულ და უხილავ სინამდვილეთა უღრმეს ერთიანობას, ცისა და დედამიწის იდუმალ წონასწორობას; სამყარო წარმოადგენდა ორგანულ მთლიანობასა და მწყობრ, ჰარმონიულ სისტემას. ადამიანიც მოიაზრებოდა როგორც ამ უნივერსალური, ორგანული მთელის – სამყაროს, ბუნების განუყოფელი ნაწილი, ნაწილი, რომელიც იმეორებს მთელის მოდელს და თავისთავადაც წარმოადგენს ორგანულ მთლიანობას: ნაწილისა და ნაწილის, ნაწილისა და მთელის, სხეულისა და სულის ურთულეს ერთიანობას, სადაც, როგორც ამბობს დანტე ალიგიერი, „ნაწილის მიზანი მთელშია, ნაწილის წესრიგი მთელში ცხადდება“.

ადამიანის მიმართება სამყაროსადმი, როგორც წმინდა და მშვენიერი ქმნილებისადმი, აღბეჭდილი იყო მოწიწებით, სიყვარულით, გაფრთხილებითა და ზრუნვით, რაც გამოიხატებოდა უწმინდეს კულტმსახურებებში, ბუნების მოვლენათა – მზის, მთვარისა თუ წყლის – განდიდებაში, მათდამი აღვლენილ ჰიმნებსა და საგალობლებში; და რაც მარად და

მარად გამოიხატება ყოველი ეპოქის ჭეშმარიტ პოეზიაში. სამყაროს შებღალვა, მისი დაპყრობისა და დამორჩილების სურვილი, მაშასადამე, მასთან არაეთიკური მიმართება, იმთავითვე მიჩნეული იყო განსაცდელისა და დაღუპვის საწინდრად. გადავშალოთ თუნდაც ოცდახუთი საუკუნის წინანდელი დიდი ჩინელი ბრძენისა და მოძღვრის ლაო-ძის წიგნი „დაო დე ძინი". აი, რას ამბობს იგი: „ვინცა მძლავრობით ეუფლება სამყაროს – ვერ მიაღწევს საწადელს. სამყარო საიდუმლო ჭურჭელსა ჰგავს, შეხება მისი არ ეგების. ვინცა შეეხება: ხელყოფს მის თანხმობას. ვინცა დაეუფლება: დაჰკარგავს მას" (თარგმანი ლ. ალიმონაკისა). ამიტომ საკაცობრიო სიბრძნე-ზნეობის მატარებელი ყოველი დიდი პიროვნების ცხოვრებასა და ქმედებას (შემოქმედებას) საფუძვლად ედო ყოველწამიერი ხსოვნა და განდიდება იმ უზენაესი ძალისა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა".

ძველი ადამიანი აღსავსე იყო მადლიერებით ამ დიდებული საჩუქრის „უთვალავფერიანი ქვეყნის" გამო, მადლის – ცოცხალი და ლამაზი სამყაროს გამო, რომელიც მას არათუ არ შეუქმნია, არამედ არც დაუმსახურებია, რადგან სამყარო მანამდე ებოძა კაცს, ვიდრე ის რაიმეს დაიმსახურებდა (ფ. ჰოლდერლინი; მ. ჰაიდეგერი); რადგან ეს არის სწორედ ჭეშმარიტი საჩუქრის ანუ მადლის აზრი, რომ ის დამსახურების გარეშე ეძლევა ადამიანს და მან ის მერე უნდა დაიმსახუროს: დააფასოს და გაუფრთხილდეს მას, ანუ მადლს მადლიერებით უპასუხოს. ეს არის ადამიანის გამოცდა. როცა ადამიანი ამ გამოცდას ვერ აბარებს, ეს გამოიხატება იმით, რომ მადლიერების ნაცვლად მას ეუფლება უმადურობა, ის საჩუქარს აღარაფრად აგდებს, არ უფრთხილდება. უმადურობა სამყაროს მიმართ თანამედროვე ადამიანის ძირეულ თვისებად იქცა. ადამიანი აღარ არის მადლიერი, რომ არსებობს მზე, ბალახი, წყალი, ტყე... მადლიერება აღარ არის მისი შინაგანი მდგომარეობა.

მადლიერება და მოწიწება სამყაროს, ბუნების მიმართ იყო სამყაროს შეცნობის აუცილებელი ეთიკური საფუძველი, რადგან სიწმინდე და ჭეშმარიტება (საიდუმლო) განუყოფელ ერთიანობაში მოიაზრებოდა („საიდუმლო აღმოცენდება სიწმინდიდან", ფ. ჰოლდერლინი, „ვერ ვსაზღვრავთ ჩვენის ტვინითა იმას, რაც წარმოდინდება სიწმინდის ჭურჭლის პირითა...", ვაჟა). ამიტომ ჭეშმარიტების შეცნობა გულისხმობდა ადამიანური სინდისის, გულის, სულის, გონების, ინტუიციისა და რწმენის ერთიანობას, მათ სინთეზურ ქმედებას („გული, ცნობა და გო-

ნება ერთმანეთზედა ჰკიდია“, რუსთაველი. „როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა, მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“, ვაჟა).

მაშასადამე, ტრადიციული, საკაცობრიო სიბრძნის მიხედვით, უწმინდური ადამიანი, ადამიანი, რომელსაც განუვითარებელი გული აქვს, დაქვეითებული სინდისი, მგრძნობელობა, ინტუიცია, თანალმობის უნარი და ა.შ., რა დიდ გონებრივ შესაძლებლობებსაც არ უნდა ფლობდეს – ვერასოდეს მივა ჭეშმარიტებასთან. ზნეობა ჭეშმარიტების წვდომის აუცილებელი საფუძველია, რადგან თავად სამყარო, როგორც საიდუმლო, ამოზრდილია სიწმინდიდან. სამყარო თავად არის შექმნილი სიყვარულის ძალითა და პოეზიის კანონით. სიყვარული სამყაროს შინაგანი ერთიანობის საფუძველია (ეს აზრი ჯერ კიდევ მითოლოგიებიდან მოკიდებული, ძველი ბერძნული ფილოსოფიის გავლით ლამის მთელ საკაცობრიო აზროვნებასა და პოეზიას გამსჭვალავს). ამიტომ მისი შეცნობა სიწმინდის, სიყვარულისა და პოეზიის გარეშე შეუძლებელია. რადგან არსებობს უძველესი აქსიომა: „მსგავსი შეიცნობა მსგავსით“.

სიყვარულის მოძღვრება ქრისტიანობამ მისთვის დამახასიათებელი ეთიკური მაქსიმალიზმით ჩამოაყალიბა. კერძოდ, „ახალ აღთქმაში“ ნათქვამია, რომ თუ ადამიანი არ არის აღვსილი სიყვარულით, თუ სიყვარული არ ამოძრავებს, თუ სიყვარულის ნიჭი არ გააჩნია (იგულისხმება სიყვარული სამყაროსადმი, კაცობრიობისადმი, მოყვასისადმი, ნებისმიერი საგნისადმი, რომელთან მიმართებაშიც იგი მოქმედებს), რა ყოვლის შემძლეც არ უნდა შეიქნეს: გინდაც მთებს ადგილი შეუცვალოს; რა მსხვერპლიც არ უნდა გაიღოს: გინდაც საკუთარი ხორცი მისცეს დასაწველად; რა მეცნიერებებსა და საიდუმლოებებსაც არ უნდა დაეუფლოს – ეს ადამიანი ვერასოდეს მოიტანს სიკეთეს, ვერასოდეს მოიქცევა სწორად, სასარგებლოდ და სასიკეთოდ, და მაინც არარად დარჩება. უსიყვარულობა საბოლოო ჯამში ნიშნავს არარაობას.

ანიჭებს რა სიყვარულს ფუნდამენტურ მნიშვნელობას: ამით ქრისტიანობა (და საერთოდ მრავალი მოძღვრება) ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს გულს, როგორც სიყვარულის მატარებელს.

ძველი ქართული მედიცინაც, ეყრდნობა რა ძველ საკაცობრიო წარმოდგენას ადამიანის შესახებ, აღიარებს: „გული ხელმწიფე არს ტანისა და გონება ვაზირი არს ტანისა...“, „კაცი გულით ცოცხალა და გულით მოკუდების, და სიცოცხლის ნიჭიცა და საძირკველიც გული არს“ (“წიგნი სააქიმოი“). ხელმწიფისა და მისი ნაზირ-ვეზირის სიმბოლოთი ზუსტადაა გაცხადებული გულისა და გონების იდეალური თანამშრომლობა,

როგორც სამყაროს შემეცნების, სწორი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის საფუძველი, იმ ჯანმრთელობისა, ნაწილისა და მთელის ჰარმონიულ კავშირში, ბუნებასთან თანხმობაში რომ მოიაზრებოდა; იმ ჯანმრთელობისა, რომელიც მთლიანობაში მდგომარეობს, და რასაც ასე ზუსტად მიგვანიშნებს ქართული ენა: „მთელი-მრთელი"; იმ სულიერი და, შესაბამისად, ფიზიკური ჯანმრთელობისა, ასე ბრწყინვალედ, ასე უცოდველად და გულისშემძვრელად რომ ჟღერს ძველთაძველ ქართულ ლექსში: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი". სამყარო: დედა (მზე, მიწა). სამყარო: ერთი ოჯახი. ადამიანი და ყოველი ქმნილება: და-ძმანი. აი, ის უზენაესი, ერთადერთი ჭეშმარიტი მსოფლგანცდა, რომლის საფუძველზედაც შეიძლებოდა ადამიანური ღირსებისა და მთელი ცოცხალი სამყაროს შენარჩუნება. მთელი სამყაროს განცდა ერთ მშობლიურ ოჯახად ედო საფუძვლად ძველი საუკუნეების არა მხოლოდ სულიერ კულტურას, არამედ მედიცინასაც. დავით ბატონიშვილი, შემკრებ-მთარგმნელი ბრწყინვალე სამკურნალო წიგნის „იადიგარ დაუდისა", წერს, რომ სნეულს ყოველ წამალზე მეტად მოუხდება არა მხოლოდ გულით საყვარელი ადამიანის ნახვა, არამედ ლამაზი პირუტყვის ნახვა, ლამაზი ალაგის ნახვა და „ცოტად რომ წყლის ხმა ესმოდეს ან ქარი რომ ხესა არხევდეს და მისი ხმა ესმოდეს... ავადმყოფსა უსათუოდ ორივ კარგად მოუხდების", რადგან ქარიცა და წყალიც, ბუნებაც მისთვის ისევე მშობლიურია, როგორც გულით საყვარელი ადამიანი, რადგანაც ადამიანიცა და ბუნების ქმნილებანიც ერთი დიდი და მშობლიური ოჯახის წევრები არიან. ადამიანის გულს კი მშობლიურობა კვებავს და აცოცხლებს, სიუცხოვე კი კლავს. „ხოლო კაცი გულით ცოცხალა და გულით მოკუდების"...

მაგრამ თანდათან, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ადამიანმა დაჰკარგა შეგნება იმისა, რომ სამყარო დედაა, თვითონ – შვილი; ანუ რომ თვითონ ბუნების განუყოფელი ნაწილია; მაშასადამე, დაირღვა ადამიანის მორალური საფუძველი, არაეთიკური გახდა მისი მიმართება „უთვალავფერიანი ქვეყნისადმი". ადამიანმა დაივიწყა, რომ სამყარო საჩუქარია, მადლია. დაივიწყა მომმადლებელი; მისი დამოკიდებულება ცოცხალი სამყაროსადმი, ბუნებისადმი უმადურობით, უსიყვარულობითა და უპატივცემულობით, მისი დაპყრობის სურვილით აღიბეჭდა, რისი შედეგიცაა დღევანდელი პატივაყრილი და განადგურებული ბუნება, დაღუპვის პირას მისული დედამიწა, ტოტალურ საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის სიცოცხლე (რადგან, როგორც ჩვენივე ზღაპრებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ: უკეთური და უმადური შვილები მწარედ ისჯებიან).

ადამიანმა დაჰკარგა საუკუნოებრივი იდეალი: ზნესრულობა, სამყაროს ზენა წესრიგთან შერწყმის, საიდუმლოსთან ზიარების სურვილი ("მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა" – რუსთაველი), ნაცვლად ამისა, სწავლას, ცოდნას, გონებას მიზნად დაუსახავს სამყაროს დაპყრობა, მისი, რაც შეიძლება, ფართოდ „მოხმარება". შესაბამისად, დაირღვა ხელმწიფისა და მისი ვაზირის, ანუ გულისა და გონების წონასწორობა და გონებას ყოვლად აღმატებული მნიშვნელობა მიენიჭა. იგი აღმოჩნდა სამეფო ტახტზე. მაგრამ კაცობრიობის სულიერ მოძღვართა აზრით, გულსა და რწმენას ანუ სულიერ საწყისს მოწყვეტილი გონების ნამუშაკარი თუ პრაქტიკული ქმედება: „საქმე" წარმოადგენს ეშმაკისეულ გზას. ამას გვამცნობს, მაგალითად, მსოფლიო ლიტერატურის შედევრი გოეთეს „ფაუსტი" (ასევე გრიგოლ რობაქიძე რომანში „გრაალის მცველნი" მიუთითებს, რომ ნებისმიერი ძალაუფლება ეშმაკისეულია, თუ ის არ მოდის უფლისაგან. რადგან „უფლება" – უფლის ნებაა. გავიხსენოთ რუსთაველის მიმართვა ღმერთისადმი „უფალო უფლებათაო", და კიდევ მისი აზრი იმის შესახებ, რომ ნამდვილი ძალა, ძლიერება მხოლოდ ღვთისგან მოდის: „კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი, არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი").

მაგრამ კაცობრიობის გადამწყვეტი ნაწილი წავიდა ეთიკური პრინციპების უარმყოფელი, ერთპიროვნულად და თვითმიზნურად მოქმედი გონების მიერ სამყაროსა და ბუნების დაუნდობელი, საბედისწერო დაპყრობისაკენ.

სულიერ ღირებულებათა აღარაფრად ჩამგდები საუკუნე თავიდან აღტყინებულ-აღტაცებული შეჰხაროდა ბუნების დასაპყრობად შემართულ ტექნიკურ-ინდუსტრიულ რევოლუციას, ვითარცა მიწიერი სასუფევლისაკენ მიმავალ ძლევამოსილ გზას და მანქანებს „რკინის ანგელოზებს" უწოდებდა. მაგრამ არც ისე დიდი ხანი დასჭირდა იმის გამოაშკარავებას, რომ „ცივი გონება" – ახალი ღმერთი თავის „რკინის ანგელოზებიანად" იმ პირქუშ მონსტრად გადაიქცა, რომელმაც იწყო „დიდი დედის" – დედამიწის შებღალვა, ფლეთვა და მოწამვლა, ზეცის რბევა, მდინარეებისა და ზღვების მოკვდინება; მან დედამიწაზე სიკვდილისა და სნეულების საუფლო დაამკვიდრა და მჭვარტლისა და ბოლის შავი ბაირაღები ააფრიალა, მან ღმერთისგან, ბუნებისგან და საკუთარი თავისაგან გაუცხოებულ ადამიანს მიუსაჯა ყოველგვარ მონობაზე უარესი: მონობა მანქანისა, დაუმონა და ამსხვერპლა იგი მისსავე პირმშოსა და კერპს: ულმობელ ტექნიკას, აღავსო ადამიანის სული ძრწოლითა და სასოწარკვეთით.

ეს საყოველთაო სულიერი კრიზისი წინასწარ იგრძნო და იწინასწარმეტყველა ხელოვნებამ და ფილოსოფიამ, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ის ფაქტად გადაიქცეოდა. მხოლოდ ერთი მაგალითი რომ დავასახელოთ: გერმანული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელი, პოეტი და მოაზროვნე, ამავე დროს, პროფესიული ბუნებისმეტყველი ნოვალისი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს ზღაპრის ფორმით გადმოგვცემს სამყაროს გამყინვარებას, მისი გახევებისა და მომაკვდინებელი ლეთარგიის ტოტალურ სურათს. სამყაროს ამ სულიერ დამბლას და შემდეგ ფიზიკურ კატასტროფას: ნგრევასა და ხანძარს იწვევს ცივი, პრაქტიკული გონების აღზევება, მის მიერ პოეზიისა და სიყვარულის შევიწროება და განდევნა. გულს მოწყვეტილი, ცივი გონება აქ წარმოდგენილია კალმოსნის სახით, რომელიც გაუთავებლად წერს რაღაც ფორმულებს. ვერც ერთი მისი ნაწერი ვერ უძლებს ღვთაებრივ შემოწმებას. მოხვდება თუ არა წმინდა წყალი – ერთიანად იშლება. სამაგიეროდ, მარადიულად რჩება პოეზიის ნაწერი, პოეზიისა, რომელიც აქ პატარა ბავშვის სახითაა წარმოდგენილი.

XX საუკუნის მთელი სულიერი კულტურა – პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება გადაიქცა ნამდვილ იერემიადად, ერთიან განგაშად და მოთქმად პატივაყრილი სამყაროს გამო, დაკარგული რწმენისა და სულიერი საყრდენების გამო, იმის გამო, რომ „ცივი გონების“ გაბატონებით „კვდება გული – მსოფლიო ღერძი“, როგორც იტყოდა ტერენტი გრანელი, იმის გამო, რომ „ცივი გონებით“ წარმართული საუკუნე არაადამიანურად სუსხიანი, გულგრილი და დაუნდობელი აღმოჩნდა; რომ ტექნიკური პროგრესი ადამიანის წინააღმდეგ შებრუნდა და გამანადგურებელ ძალად გადაიქცა. მარტინ ჰაიდეგერმა მსოფლიოს კრიზისს უწოდა: „ტექნიკის პლანეტარული მოძრაობა“. „დაავადებული არიან ევროპული ერები... თვით ევროპა იმყოფება კრიზისში“, – წერდა დიდი ფილოსოფოსი ედმუნდ ჰუსერლი. „თანამედროვე დასავლეთის მოაზროვნეები და ხელოვნების წარმომადგენელნი ერთსულოვანნი არიან არა მარტო ეპოქის კრიზისის აღიარებაში, არამედ ამ კრიზისის კონკრეტული შინაარსის გაგებაშიც. თანამედროვე ეპოქის კრიზისს ისინი „ტექნიკურ გაუცხოვებაში“ ხედავენ“, – წერს ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე. ხოლო გრიგოლ რობაქიძემ 1936 წელს ასე შეაჯამა საკაცობრიო სულიერი დაღმასვლა რომანში „გრაალის მცველნი“: „ჩვენ დედამიწას ან არაფრად ვაგდებდით, ან ვებრძოდით... ეს ბარბაროსობა თანდათან იზრდება. ჩვენ შევბღალეთ „დიდი დედა“, წავბილწეთ და უკვე ვიმკით ამ საშინელი დანაშაულის ნაყოფს... ჩვენ დავჩლუნგდით და დავკარგეთ ნიჭი

ღვთისშვილობისა. ჩვენ აღარა ვართ ღვთისშვილნი, ჩვენ დამნაშავენი ვართ“.

ჰუმანიტარული კულტურის წარმომადგენელთა განგაშს, მათ მიერ აღვირახსნილი ტექნიკის კატეგორიულ უარყოფას მალევე შეუერთდა ევროპელ მეცნიერთა და მკვლევართა, ტექნიკური ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის ხმაც: „ვინ არ აღივსება ძრწოლით, თუკი თავისი სარკმლიდან გარეთ გაიხედავს და დაინახავს, როგორ თანდათან დაკარგა სახე ევროპის ლანდშაფტმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დედამიწაზე ხარბი და გაუმაძღარი შეტევის შედეგად, როგორ დაიმარხა და იმარხება ბეტონის საფარქვეშ ყანები, მდელოები და ტყეები, როგორ აღიმართება მწვანე ბორცვების ადგილას ჯართისა და ნაგვის მთები, როგორ გადაიქცევა ტბები და მდინარეები დამდორებულ არხებად და აყროლებულ წუმპეებად? როგორ არ აღივსება ძრწოლით იმ ადამიანთა გულები, რომელთა სულზე და სხეულზე თავაწყვეტილი ტექნიკა ჩუმ თუ ხმამაღალ, ხილულ თუ უხილავ შეტევებს ახორციელებს და რომლებმაც ხმაურით, მჭვარტლითა და მომწამვლელი გამონაბოლქვებით აღვსილ ევროპულ ქალაქებში უნდა გალიონ სიცოცხლის დღენი?!“ – წერს რობერტ იუნკი, რომლის სახელგანთქმული, 60-იან წლებში შექმნილი წიგნები („მომავალი უკვე დაიწყო“, „ათას მზეზე უფრო კაშკაშა“, „სხივები ფერფლიდან“) ხატავენ ტექნიკური სინამდვილის გლობალურ, შემაშინებელ სურათს და სახავენ სიცოცხლისა და განვითარების ალტერნატიულ, ჰუმანურ გზებს. დაწვრილებით აანალიზებს რა ტექნიკისა და ფუფუნების განსაკუთრებულ ფეტიშიზაციას ამერიკაში და მის მორალურ საფუძველს, იგი წერს: „ამერიკელები დღესდღეობით უფრო მეტს უმიზნებენ, ვიდრე ქვეყნებისა და მიწების ფლობაა. ისინი გაცილებით უფრო მომხვეჭელნი არიან... ისინი ესწრაფვიან დაიმორჩილონ არა კონტინენტი თუ მთელი დედამიწის სფერო, არამედ: სამყარო, მოიპოვონ აბსოლუტური ძალაუფლება ბუნებაზე: მართონ ღრუბლები და ქარი, მცენარეები და ცხოველები, ცის უსასრულო სივრცე. საქმე ეხება არა დიქტატორთა და პრეზიდენტთა სავარძლებს, არამედ თვით ღმერთის საკურთხეველს. მათ სურთ დაიკავონ ღმერთის ადგილი, გაიმეორონ მისი ქმედებანი და იცხოვრონ და იმოქმედონ ადამიანის მიერ შექმნილ კოსმოსში, ადამიანის მიერ შექმნილი კანონებით. ეს არის ჯადო-მიზანი, რომელსაც ნერგავენ სახელმწიფო მმართველნი, ტაშს უკრავენ მასები, იცავს პოლიცია, რადგან ის ყველას ჰპირდება სიმდიდრეს და არავის არაფერს ეცილება თითქოს“. რ. იუნკის 1973 წელს გამოქვეყნებულმა წიგნმა („ათასწლოვანი ადამიანი“) განაპირობა 1975 წელს უაღრესად

მნიშვნელოვანი საზოგადოების „სოციალური სტიმულირების ფონდის“ ჩამოყალიბება, რომელიც ადგენს უფრო ჰუმანური ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ბიოლოგი კონრად ლორენცი ბიოლოგიური კვლევა-ძიებებით არ კმაყოფილდება და სულიერ ღირებულებათა საფუძველზე განაზოგადებს ეპოქის კრიზისს ცნობილ წიგნში: „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“. ეს ცოდვებია: 1. ჭარბი მოსახლეობა (რომელსაც ქმნის დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები); 2. ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის განადგურება (ეკოლოგიური ბოროტმოქმედება); 3. ადამიანის შეჯიბრი საკუთარ თავთან (იგულისხმება თანამედროვე ცხოვრების არანორმალური ტემპი, ახალ-ახალი ყალბი მიზნების დასახვა, რომლებიც სულ უფრო მეტად |ძაბავენ ადამიანის ძალებს); 4. ძლიერი გრძნობების ჩაქრობა ანუ ემოციური გაქვავება და სიკვდილი; 5. გენეტიკური რღვევა; 6. ტრადიციის გაწყვეტა (თაობათა შეურიგებელი კონფლიქტი, შვილების აგრესია მამათა მიმართ); 7. დოქტრინათა ბატონობა (არაინდივიდუალური, მასიური, სტერეოტიპული ცნობიერების გაბატონება); 8. ატომური იარაღი. კონრად ლორენცს მიაჩნია, რომ პირველი შვიდი ცოდვა გაცილებით უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე მერვე. მათი მიზეზ-შედეგების მოგვარება-მოწესრიგება ატომური იარაღის პრობლემასთან შედარებით გაცილებით უფრო რთულია, თითქმის წარმოუდგენელი. და ყველა ამ „ცოდვის“ უმთავრესი საფუძველია ტექნიკურ-ინდუსტრიული ტოტალობა, ანუ ჰაიდეგერის სიტყვები რომ გავიხსენოთ: „ტექნიკის პლანეტარული მოძრაობა“.

უკვე 60-იანი წლებისათვის ევროპულ ჰუმანიტარულ და მეცნიერულ აზრს საბოლოოდ შეჯამებული ჰქონდა უკონტროლო, ზემძლავრი ტექნიკის იმ დამღუპველი ზემოქმედების მექანიზმი, რომელსაც ეს ტექნიკა ახდენს მთელ ცოცხალ პლანეტაზე. ამიტომ ადამიანთა მორალურმა და მოაზროვნე ნაწილმა კატეგორიულად მოითხოვა თავაწყვეტილი ტექნიკის ალაგმვა, მკაცრი კონტროლი მის განვითარებაზე, პირველ რიგში კი გიგანტურ მშენებლობათა შეწყვეტა. წამოყენებულ იქნა განვითარების ალტერნატიული ვარიანტი, რომელსაც ეწოდა „ლმობიერი ტექნიკა“ (sanfte Technik, soft technology). „ლმობიერი ტექნიკა“ ცდილობს თავიდან აირიდოს რისკი. იგი იყენებს ბუნებრივ ნივთიერებებს, რომელთაც შეუძლიათ თვითგანახლება და მცირე ენერგიებს“ (რობერტ იუნკი).

ამ მიმართულების ერთ-ერთი დამაარსებელი და დაუღლელი პროპაგანდისტი გახლდათ ინგლისელი მწერალი რობინ კლარკი, რომელიც

60-იან წლებში ლონდონის ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორი იყო. მალე ამ მიმართულებას შეუერთდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენელნიც. ე.წ. კრიტიკულად განწყობილ მკვლევართა და ინჟინერთა ჯგუფები წარმოიქმნა ჰოლანდიაში, საფრანგეთში, შვეციაში, ინგლისსა და ამერიკაში. ისინი დაუპირისპირდნენ ტექნოკრატიულ ცნობიერებას და მიზნად დაისახეს გაეანალიზებინათ და ემხილათ დამპყრობლური, ანტიჰუმანური ტექნიკისა და მეცნიერების მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, მათი ნებსით თუ უნებლიეთ დანაშაულებრივი პოზიცია, რაც მდგომარეობს ბუნების აღვირახსნილ ექსპლოატაციაში. „ვინც იბრძვის ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მან უნდა გაარკვიოს, რამდენადაა დამნაშავე, რამდენად მონაწილეობს მეცნიერი თავისი აზროვნებისა და მოქმედების წესით ეპოქის გამანადგურებელ ტენდენციებში“, – ასეთი იყო მათი აზრი, ხოლო მომავლის კვლევის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე კიოტოში კატეგორიულად იქნა გაცხადებული: „ჩვენ გვჭირდება სრულიად სხვაგვარი ტექნიკა, ვიდრე დღემდე გვთავაზობდნენ. არა გიგანტური კომბინატები და ნაგებობანი, არამედ ენერგიის გამომმუშავებელი მცირე და მრავალრიცხოვანი ცენტრალები და საწარმოები, რომლებიც განაწილებული იქნებიან მთელ ქვეყანაში. მცირე ინდუსტრია თავად უნდა მივიდეს სოფლის მოსახლეობასთან და არა მოსახლეობა მასთან. ინდუსტრიამ არ უნდა მოახდინოს სამუშაო ძალების მეტისმეტი და დამღუპველი კონცენტრაცია“.

„ლმობიერი ტექნიკის“ ერთ-ერთ უმთავრეს დევიზად იქცა: „პატარა – ლამაზია“. იგულისხმება ის, რომ ნებისმიერი გიგანტური ტექნიკური ნაგებობა წარმოადგენს ესთეტიკური პრინციპის, სილამაზის სრულ უგულებელყოფას. მას მოაქვს სიმახინჯე. ბუნების უსახურობა, ანუ ტექნიკური ლანდშაფტი (რითაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგვიძლია „დავტკბეთ“ საქართველოში). ეს კი არც ისეთი უწყინარი რამაა, როგორც ჰგონიათ. რადგან სიმახინჯე ავადმყოფობის შედეგი და ავადმყოფობის მიზეზია: დამახინჯებული ბუნება, რომელიც დამახინჯებული სულის ადამიანთა ქმედების ნაყოფს წარმოადგენს, თავის მხრივ, განუხრელად იწვევს ადამიანთა სულიერ დასნეულებას, რადგან ესთეტიკური და ეთიკური უმჭიდროესადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ცნობილია ურბანისტულ-ტექნიკური გარემოს მკვიდრთა მთელი რიგი სულიერი დაავადებანი: უსიხარულობა, სიუხეშე, სიცივე, აგრესიულობა და სხვ. უსახური ბუნება არ იწვევს ადამიანში აღტაცების, მოწიწების, სინაზის, გაფრთხილების განცდას. უსახური ბუნებისადმი ადამიანს უვითარდება აგრესია, რომელიც შემდეგ მთელ ადამიანურ გარემოზეც შეიძლება

გავრცელდეს. ამასთან დაკავშირებით ისევ კონრად ლორენცს მოვუსმინოთ: „იმ ადამიანებისათვის, რომლებიც წყვეტენ, უნდა აშენდეს თუ არა ელექტროსადგური თუ ფაბრიკა, რის შედეგადაც მთელი იმ მხარის სილამაზე სამარადჟამოდ განადგურდება, ესთეტიკური მოსაზრებანი არავითარ როლს არ ასრულებენ. პატარა კუთხის მმართველიდან მოკიდებული სახელმწიფოს მინისტრით დამთავრებული სრული თანხმობა არსებობს იმის თაობაზე, რომ ბუნების სილამაზეს არ შეიძლება მსხვერპლად მოვუტანოთ სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესები. ხოლო ბუნების მცირერიცხოვანი დამცველნი და მეცნიერნი, რომელნიც ხედავენ ჩამომხობილ უბედურებას, უძლურნი არიან... როგორც ბუნების სილამაზე, ისე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული გარემოს სილამაზე აუცილებელია ადამიანის სულიერ-გონებრივი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად... ტოტალური სულიერი სიბრმავე ყოველივე ლამაზის მიმართ, დღეს რომ ასე ბარბაროსულად თარეშობს ყველგან – გახლავთ სულიერი დაავადება, რომელსაც ძალზე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პიროვნების ეთიკური დაქვეითების მაუწყებელია“. მაშასადამე, სილამაზის აღქმის უუნარობა კლინიკური დაავადებაა. და ამ დაავადებით ყოფილა შეპყრობილი ტექნოკრატია.

ამიტომ, დევიზი „პატარა – ლამაზია“ ნიშნავს, რომ დასავლეთში ტექნიკის წარმომადგენლების ნაწილი განთავისუფლდა სილამაზის ზედაპირული გაგებისაგან და გააცნობიერა მისი ფუნდამენტური ღირებულება, მისი სულიერი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, ახლოს მივიდა დოსტოევსკის გამონათქვამის სიღრმესთან: „სამყაროს სილამაზე გადაარჩენს“.

***

და აი, 60-იან წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ანტიტექნოკრატიულ, ჰუმანიტარულ-მეცნიერულ მსოფლპოზიციას დაეფუძნა ეკოლოგიური მოძრაობა, რომელმაც თანდათან მთელი მსოფლიო მოიცვა და მშობლიური დედამიწის, სამყაროსა და ადამიანის გადასარჩენად გააერთიანა საღი აზრისა და ზნეობის ადამიანები, ქალები და კაცები, ახალგაზრდები და მოხუცები.

ეკოლოგია სწორედ ძველთაძველი სიბრძნის გაცოცხლებაა, იმ სიბრძნისა, რომლის მიხედვითაც სამყარო წარმოადგენდა ორგანულ მთლიანობას, ნაწილისა და მთელის ურთულეს კავშირს, სადაც „ნაწილის მიზანი მთელშია“. ეკოლოგია ახალი ტერმინოლოგიით,

მეცნიერული კვლევის შედეგთა მოხმობით იმეორებს ძველ აზრს: ნაწილის დაზიანება გარდაუვლად იწვევს მთელის დასნეულებას, მათი წონასწორობის რღვევას, და როგორც ადამიანს სისხლის არტერიაზე რომ რაღაც გადაუჭირო და სისხლი დაუგუბო, ნელი სიკვდილი არ ასცდება, ასევე სიკვდილი უწერია იმ გარემოსაც, სადაც დაგუბებულია – ბუნების სისხლძარღვი – მდინარე, ოღონდ ეს სიკვდილი დროში უფრო გახანგრძლივებული იქნება. როგორც ადამიანის ორგანიზმში რომელიმე ორგანოს დასნეულება, მაგალითად, ნაღვლის ბუშტის ანთება თანდათან ჩაითრევს კუჭ-ნაწლავს, გულს, სახსრებს და საბოლოოდ მთელ ორგანიზმს, ასევე ბუნებაშიც ერთი ტბის დასნეულება და სიკვდილი მთელ იმ გარემოში გამოიწვევს ხილულ თუ უხილავ სნეულებებს, რაც საბოლოოდ ადამიანის, როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილის დასნეულებასა და ნაადრევ სიკვდილს ნიშნავს. ეკოლოგია იმ ძველთაძველი სიბრძნის გახსენება და გაცოცხლებაა, რომლის მიხედვითაც ბუნებას მეგობარივით უნდა მოექცე, მოუარო და მიესიყვარულო, უპატრონო და გაუფრთხილდე და ისიც ბარაქას არ მოგაკლებს. ამას გულისხმობს კონრად ლორენცი, როდესაც წერს: „გლეხმა იცის ის, რაც მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაივიწყა, კერძოდ, რომ: პლანეტის სასიცოცხლო საფუძვლები ამოუწურავი არ არის. მას შემდეგ, რაც ამერიკის მთელ რიგ რაიონებში ნაყოფიერი სავარგულები ნიადაგის ეროზიის შედეგად უდაბნოდ გადაიქცა, მას შემდეგ, რაც უზარმაზარი ტერიტორიები ტყეების გაჩეხვის შედეგად, გამოიფიტა, კარსტად გადაიქცა და სასარგებლო ცხოველთა ურიცხვი სახეობა ამოწყდა, დაიწყეს ამ ფაქტების ნელ-ნელა გაცნობიერება. მაგრამ ეს მოვლენები მაინც არ არის საყოველთაოდ აღიარებული და საზოგადოების შეგნებაში საკმაოდ ღრმად შეჭრილი“, – წერდა ამას მეცნიერი 60-იან წლებში. მას შემდეგ ეკოლოგიური მოძრაობა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება, რომ მთელი საზოგადოებისთვის გაეხილვადებინა ცოცხალი პლანეტის შემზარავი დასნეულება, დედამიწისა და კოსმოსის ულმობელი რბევა და მოწამვლა, რაც შედეგად მოჰყვა ტექნიკური საუკუნის ბარბაროსულ პოზიციას ბუნების მიმართ, ბუნების სასტიკ და უგუნურ ექსპლოატაციას. ეკოლოგიურმა მოძრაობამ მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია დასავლეთში და მწვანეთა მოძრაობებად და მწვანეთა პარტიებად ჩამოყალიბებულმა მოიპოვა რა დიდი სოციალურ-პოლიტიკური წონა, სერიოზულად აღუდგა წინ ტექნოკრატიის თარეშს.

ჩვენ?

ჩვენ უსასრულოდ ჩამოვრჩით ამ ცნობიერებას და მოძრაობას. იმდენად გვიან ჩამოაღწია ჩვენამდე დასავლეთის ამ ახალმა ქარმა, რომ მან ახლაღა დაიწყო ჩვენი გულებისა და გონების შეტოკება (საკმარისია ითქვას, რომ ამდენი სამინისტროებისა და უწყებების მქონე სახელმწიფოში მხოლოდ 1988 წელს შეიქმნა ბუნების დაცვის საკავშირო კომიტეტი). ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილი კი გიგანტური ტექნიკის მიმართ „ხბოს აღტაცების“ იმ ეტაპზეა, რაც ევროპამ დიდი ხანია უკან ჩამოიტოვა. ამის შედეგია სწორედ, რომ თითქოს ენგურჰესი და ჟინვალჰესი – ეს საქართველოს თავზე დაკიდებული ორი გიგანტური „დამოკლეს მახვილი“ – არ იყოს საკმარისი, თითქოს მათ მიერ გამოწვეული მსხვერპლი – ბუნების გადაგვარება, წყალში ჩაძირული ტყეები, სავარგულები, ისტორიული ადგილები და ძეგლები, ადამიანთა ფსიქიკაში წარმოქმნილი პანიკური დაძაბულობა და სხვა უარყოფითი ცვლილებები არა გვქონდეს უბედურებად ქცეული, ისევ წარბშეუხრელად გვატეხენ თავს ახალ-ახალ „გიგანტებს“: ტრანსკავკასიის რკინიგზას, ხუდონჰესს, ნამოხვანიჰესს, მინაძის წყალსაცავს, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ გრანდიოზულ ტექნიკურ ნაგებობას! მათი ნება რომ ყოფილიყო, და ყველა მათი საოცნებო პროექტი განხორციელებულიყო – საქართველოს უდიდესი ნაწილი წყლის ფსკერზე ან რკინა-ბეტონის ქვეშ ამოყოფდა თავს: „პროგრესის“ სახელით!

რა ჯადო უნდა ჰქონდეს ქვეყანას შეყრილი, რა ძილქუში უნდა აწვეს მის შეგნებას, რომ იმ უბედურებამაც ვერ გამოარკვიოს, რაც 1987 წელს სვანეთს დაატყდა თავს! ეს ხომ იყო გაფრთხილება სამყაროს ძალების მხრიდან: საბედისწერო გზაზე დგახართ და გონს მოდით, ბუნებას ნუ ეთამაშებითო! მაგრამ სწორედ უაღრესად დაბალი ეკოლოგიური განათლების გამო, საერთოდ, დაბალი ინტელექტისა და აზროვნების გამო, ტექნიკური ინტელიგენციის ერთ ნაწილს არაფრით არ სურს გაიგოს და აღიაროს, რომ სვანეთის ტრაგედია და კიდევ სხვა, მოსალოდნელი სტიქიური უბედურებანი დარღვეული ეკოლოგიური ბალანსის შედეგად უნდა ჩაითვალოს! ხოლო ეკოლოგიურ ბალანსს არღვევს ყოველი რადიკალური ჩარევა ცოცხალი ბუნების ორგანიზმში: როგორც ტყის უგუნური ჩეხვა, ისე ზემძლავრი აფეთქებები (რაც თან ახლავს გიგანტურ მშენებლობებს და სადაც არავინაა პატრონი, ვინც მკაცრად დაადგენდა ასაფეთქებელი ნივთიერებების ზუსტად საჭირო დოზას), დედამიწისა და მთების ბურღვა, მდინარისათვის კალაპოტის შეცვლა, მდინარის დაგუბება, ამა თუ იმ ბუნებრივი გარემოსათვის არაორგანული უზარმაზა-

რი წყალსაცავი, რომელიც, როგორც დადგენილია, ამ გარემოს მიმართ უცხო სხეულია და ავთვისებიანი უჯრედივით მოქმედებს, და ა.შ. გავიხსენოთ რამდენი ასეთი ბარბაროსული აქციაა განხორციელებული საქართველოს ბუნების მიმართ! სწორედ მათი ერთობლიობა, მაშასადამე: ბუნების ლოკალური ნგრევა – გადაჯაჭვული მსოფლიოს გლობალურ ეკოლოგიურ კრიზისთან იწვევს და გამოიწვევს ათას უბედურებას. და რაკი მსოფლიოში, ჩვენგან დამოუკიდებლად, ისედაც ხდება ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, მას აღარ უნდა დავუმატოთ გეოლოგიურად ურთულესი რეგიონის, აქტიური მიწისძვრების ზონის – საქართველოს ბუნების გაუმართლებელი, უკონტროლო რბევა.

რატომ ჩამოვრჩით ასე ამ ჰუმანურ მსოფლპოზიციას – ეკოლოგიურ მსოფლმხედველობას?

ცხადია, იმიტომ, რომ საერთოდ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ: როგორც განათლების დონით, ისე ეკონომიკურად. მაგრამ ჩვენში ეკოლოგიური აზროვნების ესოდენი დაგვიანების მიზეზი კიდევ უფრო დაკონკრეტდება, თუ კიდევ ერთხელ მივაპყრობთ ყურს დასავლეთის სოციოლოგთა და სხვა მეცნიერთა აზრს ტექნოკრატიული ცნობიერების, როგორც ასეთის, შესახებ. მათი აზრით, ტექნოკრატიის აღზევება და ბუნების ბარბაროსული ექსპლოატაცია გადაჯაჭვულია „დემოკრატიის, ქრისტიანული რელიგიისა და პიროვნული ეთიკის რღვევასთან“ (რ. იუნკი). ჩვენში რომ უკანასკნელ წლებამდე დემოკრატიას არ გაუჭაჭანებია, ეს ხომ ვიცით. მაშასადამე, ბუნებისადმი აგრესიული მიმართება დიქტატორული სახელმწიფოს დამპყრობლური, მოძალადე კურსის გამოვლენაა. იგი ტოტალური ძალადობის ნაწილია, ძალადობისა ადამიანისა და ბუნების მიმართ. და იგი არის შედეგი მთელ ქვეყანაზე გაბატონებული მატერიალიზმისა.

გამოცხადდა რა ბუნება – მცენარე, მიწა, ზეცა – უსულო მატერიად, გამდიდრების საშუალებად, და არა ღმერთის შესაქმედ, არა განსულიერებულ, ცოცხალ ორგანიზმად, წმინდა ქმნილებად, რასაც ის წარმოადგენდა ძველი რელიგიური თუ პოეტურ-ფილოსოფიური აზრისთვის, ამავე დროს, გადაფასდა რა რელიგიათა ეთიკური კატეგორიები, – აგრესიას ადამიანისა და ბუნების მიმართ მწვანე გზა მიეცა; მორალურ-სულიერ ფასეულობათა უარმყოფელი, წმინდად ეკონომიკურ-პრაქტიკული მიზნები დაედო საფუძვლად აღვირახსნილ ძალადობას ცოცხალი სამყაროს მიმართ. ამიტომაა, რომ ტექნოკრატიას არადემოკრატიული სინამდვილის პირმშოდ მიიჩნევენ. განა ეს გიგანტური ჰესები მაშინ არ გვიბრძანეს და დაგვიკვეთეს უმაღლესი ინსტანციიდან ისე, რომ თავი

არ აუტკიებიათ ჩვენი ურთულესი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით? ხოლო დასავლეთს რაც შეეხება, ტექნოკრატია ზეობს იქ, სადაც დასავლეთის დემოკრატიას დიდი ნაპრალები აქვს: სადაც საზოგადოების ნება ითრგუნება უმძლავრესი მონოპოლიებისა და კონცერნების ინტერესებით, სადაც უზარმაზარი საქმოსნური გაერთიანებები ახშობს საზოგადოების ხმასა და წუხილს და, რაც მთავარია, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ახდენენ შეფარულ ძალადობას ადამიანის ფსიქიკაზე და სულიერ ღირებულებათა ნაცვლად სთავაზობენ ფუფუნებას, გართობას, დროსტარებას, რათა სხეულებრივ სიამოვნებებს დახარბებული საზოგადოება ტექნოკრატიის – სიმდიდრისა და კომფორტის აღმთქმელი „გმირის“ მოკავშირედ და მეხოტბედ იქცეს.

მაგრამ დასავლეთში ბოლოს და ბოლოს იმძლავრა ჭეშმარიტების ხმამ და ეკოლოგიური მოძრაობის სახით წინ აღუდგა ტექნოკრატიულ ბოროტმოქმედებას. ჩვენში კი ტექნოკრატიული „გიგანტომანიის“ და საქმოსნობის მფარველი აქამდე თავად ადმინისტრაციულ-მბრძანებლური აპარატი იყო.

მაგრამ თვით დიქტატურის პერიოდშიც ქართულმა ჰუმანიტარულმა კულტურამ, კერძოდ, ფილოსოფიურმა აზროვნებამ, ღრმად გააანალიზა რა დასავლეთის სულიერი და პრაქტიკული ყოფა, საყოველთაო კრიზისი, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ტექნიკური ინდუსტრიალიზაციის გამანადგურებელ შედეგებზე, ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთმიმართებაზე, და ეკოლოგიური მოძრაობის შესახებაც სერიოზული და დროული ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. მხედველობაში გვყავს პირველ რიგში ჩვენი შესანიშნავი ფილოსოფოსის, ჰუმანისტისა და მოქალაქის, ჩვენდა სავალალოდ უდროოდ გარდაცვლილი – ზურაბ კაკაბაძის მთელი შემოქმედება, რომლის ცენტრალური თემაა „ტექნიკური გაუცხოვება“ და ადამიანის სული და ბედისწერა ურბანისტულ-ტექნიცისტურ სინამდვილეში. ჯერ კიდევ როდის, იგი წერდა: „ადამიანმა თავნება ბატონისა და ექსპლოატატორის პოზიცია უნდა დასთმოს და ბუნებასთან მეგობრობა ეძიოს, მისი თავდაპირველი წყობის პატივისცემა, მისი „ენა“ ისწავლოს და ამგვარად, მასთან ჰარმონიული ურთიერთობა დაამყაროს. ბუნების შემეცნება, ცოდნა აღარ შეიძლება უპირატესად იმ სახისა იყოს, რომელიც ბუნებაზე გაბატონების პირობა და... „ძალა“ და „ძალადობაა“. იგი ბუნებისადმი სიყვარულისა და თანაგრძნობის საფუძველზე უნდა დადგეს და... მის გაგებამდე ამაღლდეს“. „იმისათვის, რომ ავიცილოთ გამანადგურებელი ტექნიკის... გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სიცოცხლისადმი საერთოდ, განსაკუთრებით კი ადა-

მიანის და მისი სამყაროსადმი თანაგრძნობისა და სიმპათიის გაძლიერება. ხოლო ტექნიკურ-ინდუსტრიული პროცესი სწორედ ამ თანაგრძნობისა და სიმპათიის განელებას და ქრობას უწყობს ხელს“.

„რახან ბუნების სხვადასხვაობა კულტურათა სხვადასხვაობას განაპირობებს, რახან ბუნების თავისებურება მის წიაღში მცხოვრები ხალხის ხასიათისა და კულტურის თავისებურებას განსაზღვრავს, ნათელი უნდა იყოს, რომ ბუნების, ბუნებრივი გარემოს გადაგვარება შესაბამისი ხალხის ხასიათისა და კულტურის, მისი ეროვნული სახის გადაგვარებას მოასწავებს. თუკი თავაშვებული, უკონტროლო ინდუსტრიული პროცესების შედეგად მთები ტრამალებად ჩამოქვეითდებიან, ხოლო სწრაფ მდინარეებს ელსადგურებით მოთოკავენ, „დაიმონებენ“ და „დაამდოვრებენ“, თუკი ინდუსტრიის ერთგვაროვანი მოთხოვნების თანახმად, ბუნება ბოლოს და ბოლოს ერთგვაროვან სახეს მიიღებს, მაშინ თანდათან წაიშლება და დაიკარგება ეროვნულ კულტურათა თავისებურება და სხვადასხვაობა... და კიდევაც რომ მოხერხდეს... სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება, გადასაწყვეტი დაგვრჩება ერის სიცოცხლის გადარჩენის პრობლემა“. აი, რას გვიქადის ინდუსტრიალიზაციის ფეტიშიზაცია და გიგანტომანია!

მაგრამ იმ სინამდვილეში, სადაც სულიერ კულტურას გავლენა აღარა აქვს პრაქტიკულ ყოფაზე, სადაც სულიერ ღირებულებას მატერიალური თრგუნავს, ჰუმანიტარულ დარგებს ტექნიკური დარგები ავიწროებენ, სათნოებას პრაქტიკული ჭკუა ახშობს (ეს მეტ-ნაკლებად საერთო მსოფლიო მოვლენაა) – ზ. კაკაბაძის გაფრთხილებანი და შეგონებანი დარჩნენ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოს შინა“.

და წარმოიდგინეთ, რამდენად წარღვნამდელ საფეხურზე დარჩა ქართველი ტექნიკოს-მშენებელთა ერთი ნაწილის ცნობიერება: მთელი მსოფლიო რა ხანია შეძრა ეკოლოგიურმა მოძრაობამ, რომლის ამოსავალი დებულებაა: არ შეიძლება ბუნების დაპყრობა! ბუნებისადმი აგრესია აღსასრულის საწინდარია! – ხოლო მდინარე ენგურს უკანასკნელ ხანებამდე „ამშვენებდა“ წარწერა: „Ингури, мы покорим тебя!“ აი, ამაზე წამოიძახებ სწორედ გალაკტიონის სიტყვებს: „არსებობს ქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?“ (ენგურჰესის ხელმძღვანელობას უფიქრია, რუსულად რომ წერია, ალბათ, ამიტომ არ მოსწონთ ჩვენი ლოზუნგიო და განუზრახავთ მისი ქართულად თარგმნა!).

დიახ: როცა უზარმაზარი ჩინეთი მცირე და მიკროჰესებს აგებდა, ერთი ბეწო საქართველო – ურთულესი გეოგრაფიული და საშიში სეისმური ზონა, „გიგანტებს“ ნერგავდა და თავის ისედაც მცირე მიწებს თხრიდა,

ბურღავდა, აფეთქებდა და ათასი ჰექტრობით წყალში ძირავდა! (ამას შთამბეჭდავად გვიჩვენებს კინორეჟისორ თ. ბაქრაძის დოკუმენტური ფილმები, რომელთა მასობრივი ჩვენება, სამწუხაროდ, დღემდე არ ხერხდება). და სავალალო ის არის, რომ გიგანტური ტექნიკის აპოლოგეტებს დღესაც პროგრესად მიაჩნიათ ეს ჩამორჩენილი, დანაშაულებრივი კურსი, რაც ასე გამომჟღავნდა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?“, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

და სავალალო კიდევ ის არის, რომ თვითონ ტექნიკური ინტელიგენციისა და სპეციალისტთა მხრიდან მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანის ხმა შეუერთდა ჰუმანიტარული აზრის განგაშს, გამოწვეულს საქართველოს ბუნების უკონტროლო რბევით. ასეთი მოქალაქეობრივი, პროფესიული უკომპრომისობით აღბეჭდილი პოზიციის ნიმუშად უნდა დავასახელოთ საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, საბჭოთა კავშირის საპატიო ენერგეტიკოსის ლევან ასათიანისა და მისი კოლეგების, ვ. აბაშიძის, ბ. მხეიძის, ნ. გაგნიძის, მ. ებრალიძისა და რ. ებრალიძის (ეს უკანასკნელნი, სამწუხაროდ, აღარ არიან ცოცხალნი) დაუღლელი ბრძოლა ნამოხვანიჰესის დამანგრეველი პროექტის წინააღმდეგ, პროექტისა, რომელიც ითვალისწინებდა მაღლივ კაშხალსა და უზარმაზარ წყალსაცავს (მდინარე რიონზე), რის შედეგადაც დატბორვის ზონაში ხვდებოდა რამდენიმე სოფელი თუ სოფლის ნაწილი და ვრცელი სავარგულები. ამასთან, წყალსაცავის ერთი ნაწილი მეწყერიანობის ზონაში ექცეოდა. „ელსადგურის ტექნიკურ მონაცემებში არასაკმარისად იყო დამუშავებული წყალსაცავის გეოლოგია, სეისმურობისა და ეკოლოგიის საკითხები“. თუმცა ამ სპეციალისტთა რუდუნების შედეგად, ზემდგომმა ორგანოებმა 1981 წელს გააფრთხილეს პროექტის მესვეურნი, სერიოზულად გადაეხედათ პროექტის ნაკლოვანებებისათვის და დაავალეს საქართველოს სახმშენსა და მეცნიერებათა აკადემიას, ხელმძღვანელობა და კონტროლი გაეწიათ საპროექტო ორგანიზაციის მუშაობისათვის, „ხსენებული ორგანიზაცია თავს არ იწუხებდა მასალების დაზუსტებაზე და განაგრძობდა ტექნიკური პროექტის შედგენას. ბოლოს, საკავშირო ორგანოების ჩარევის შემდეგ – საპროექტო ორგანიზაციამ მხოლოდ ის გამოსავალი მოძებნა, რომ არჩია კაშხლის დადაბლება 50 მეტრით და ნამოხვანიჰესის ორსაფეხურიანი კასკადი სამსაფეხურიანად გადააკეთა, ისე რომ გეოლოგიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა პრობლემები მაინც დაუზუსტებელი და გადაუჭრელი დარჩა“. ეს ყოველივე დაწვრილებით არის გადმოცემული ლევან ასათიანის წერილში „ისევ ნა-

მოხვანიჰესის შესახებ“, რომელიც რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ეკოლოგიურ ასოციაციაში შემოვიდა. ამ წერილში ვკითხულობთ: „თავიდანვე ვიცოდით, რომ ნამოხვანიჰესის დაგეგმილი წყალსაცავის მარცხენა ნაპირი მეწყერიანია, ამისთვის არ იყო საჭირო ძებნა და ბურღვა, არქივებში უნდოდა წესიერად მოძებნა დოკუმენტაციას. ნაწილობრივ გადასინჯვამაც დაადასტურა მარცხენა ნაპირის სისუსტე, ბოლოს 1987 წლის წყალდიდობამ დაადასტურა ეს საშიშროება; ორხევი-ტვიშის უბანზე ჩამოსულმა მეწყერმა მთლიანად გადაღობა რიონი, დაგუბებულმა წყალმა საშიშროება შეუქმნა მთელ რიგ სოფლებს, გუმათჰესსა და თვით ქალაქ ქუთაისს. იგივე მარცხენა ნაპირის დამეწყვრამ გამოიწვია სოფელ დერჩში მდინარესთან უახლოესი მოსახლეობის გადასახლება“. და კიდევ: „ფაქტია, რომ გიგანტომანია დაგვჩემდა, გვინდა გვქონდეს ყველაზე მაღლივი კაშხალი, ყველაზე დიდი გვირაბი და სხვ. გვავიწყდება, რომ ჩვენი რესპუბლიკა პატარაა და საეჭვო ახირება კარგს არაფერს მოგვიტანს. რატომ ვთქვით უარი მცირე სადგურების აშენებაზე? ვის ვეჯიბრებით? რისთვის? კილოვატსაათი რომ იაფი იყოს? ჩვენში ხომ ჰიდროსადგურების აგების სულ სხვა პირობებია? არ შეიძლება ენერგეტიკის განვითარებას მხოლოდ კილოვატსაათის ღირებულებით უყურებდე და აფასებდე“ და ა.შ.

და გონივრულ პოზიციაზე ბატონი ლევან ასათიანი დემოკრატიის პერიოდში კი არ დამდგარა, არამედ ადრე, იმ ძნელ დროში ათეული წლების მანძილზე პრინციპულად იბრძოდა საღი, პატიოსანი მეცნიერული აზრის გამარჯვებისთვის, რითაც ის და მისი თანამებრძოლნი უსასრულოდ ირთულებდნენ ცხოვრებას, რადგან ადამიანები, ვისაც ენერგეტიკის ბედის საჭე ეპყრა ხელთ, „გიგანტების“ ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისინი ბრძანდებოდნენ.

ეკოლოგიური აზროვნების განმტკიცებისათვის, ბუნების დაცვისათვის ბრძოლაში ჰუმანიტარულ ინტელიგენციას აქტიურად დაუდგა გვერდით ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებათა რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთა სიტყვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრისას (თუმცა, წესით, ჰუმანიტარული ინტელიგენციის არგუმენტაციაც საკმარისი უნდა იყოს, როცა ადამიანთა ბედ-იღბალს ეხება საქმე. განა ამას არ ამბობს სრულიად სამართლიანად ზ. კაკაბაძე: „ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობის საკითხი, ეს ტექნიკის საკითხი კი არ არის, არამედ სწროედ ჰუმანიტარული საკითხიაო“!). ეს მეცნიერები დღეს აქტიურად არიან ჩართულნი ეკოლოგთა ასოციაციის მუშაობაში და პირუთვნელად იცავენ საქართველოს

ბუნებას, როგორც ფუნდამენტურ ფასეულობას. ესენი გახლავან ჩვენი მეცნიერები: ემილ კობახიძე, შოთა ადამია, გივი გიგინეიშვილი, მიხეილ ღოღობერიძე, რევაზ ხუნწარია და სხვები. აქ არ ვასახელებთ შესანიშნავ ბიოლოგებსა და ბოტანიკოსებს, რომლებიც აქტიურად იცავენ საქართველოს ბუნებას, რადგან მათ სწორედ ცოცხალ ორგანიზმებთან აქვთ საქმე და რა გასაკვირია, რომ დაიცვან.

საგანგებო მადლიერება უნდა გამოვთქვათ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ მიხეილ ღოღობერიძის მიმართ, რომლის პროფესიული უკომპრომისობა უმთავრეს დაბრკოლებად ექცა ტრანსკავკასიის რკინიგზის ბარბაროსული პროექტის განხორციელებას და გადაგვარჩინა ნამდვილი ეკოლოგიური განსაცდელისაგან. თავის წერილებში („საქართველოს ბუნება“ 7, 8, 9 და სხვ.) აანალიზებს რა წყალმომარაგებისა და ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების პრობლემებს ეკოლოგიასთან მიმართებაში, მ. ღოღობერიძე თანმიმდევრულად ამხელს გიგანტური ჰესების უარყოფით ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებს და მოითხოვს ალტერნატიული გზის დანერგვას – მცირე ჰესების, მზისა და ქარის ენერგიათა გამოყენებას. იგი წერს: „...მთიან რეგიონებში დიდი წყალსაცავების შექმნისას განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოსთან მათი შეთავსების“ საკითხი.

ყოველი ახალი წყალსაცავი მოქმედებს არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე, დასახლებული პუნქტების სანიტარულ მდგომარეობაზე... ერთი სიტყვით, იწვევს მოცემულ რაიონში სოციალურ-ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, გეოქიმიურ და სხვა სახის ცვლილებებს... წყალსაცავების მოწყობის შედეგად აკვატორიაში მატულობს რადიაციული ბალანსი, ჰაერის ტემპერატურა გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ხანებში დაბლა იწევს... იზრდება ჰაერის აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, მცირდება ნალექების რაოდენობა უშუალოდ აკვატორიაზე და შესაძლებელია მათი გაზრდა მეზობელ ტერიტორიებზე. წარმოიქმნება ნისლების სპეციფიკური ფორმები, იზრდება წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლება“ და ა. შ.

„...დიდი წყალსაცავების ხელოვნურად შექმნა ხშირად იწვევს „აღძრულ მიწისძვრებს“, ასეთი მიწისძვრები შეინიშნებოდა ისეთ კაშხლებზე, როგორიც არის კოინა, კარიბა, კრემასტა, მიდი, ვაიონტი, მონტენარი... 1980 წელს ლონდონში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მონაცემებით დადგინდა, რომ 236 შესწავლილი დიდი კაშხლიდან 64 კაშხალზე ადგილი ჰქონდა „აღძრულ მიწისძვრას“. „ასეთი მიწისძვრებით გამოწვეული ზარალი არაფრით ჩამოუვარდება

ჩვეულებრივი მიწისძვრებით მიყენებულ ზარალს. ...მსოფლიო პრაქტიკა ბევრ ისეთ მაგალითს იცნობს, როდესაც მათი (გიგანტური ჰესების. – ნ. გ.) არასაიმედო მუშაობა იწვევდა არა მარტო მნიშვნელოვან ზარალს... არამედ ადამიანურ მსხვერპლსაც და ეროვნულ უბედურებასაც. ამჟამად ყოველწლიურად აღირიცხება კაშხალთა დანგრევის 3 და ავარიების 10 შემთხვევა".

კიდევ კარგი, რომ ეს მხოლოდ მიხეილ ღოღობერიძის აღმოჩენა არ გახლავთ! ეს მონაცემები დღეს აქსიომად ითვლება, დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ გიგანტურ ჰესებს მიწისძვრის პროვოცირება შეუძლია, ჩვენი ტექნიკოსების ნაწილი კი ჯიუტად „ამტკიცებს", არა და არაო! არც ჟინვალჰესს, არც ენგურჰესს გამოუწვევია რაიმე სერიოზული ეკოლოგიური ცვლილება და ხუდონჰესი ხომ მთლად უვნებელია, ყველანაირ რისკზე ლაპარაკი გამორიცხულიაო! ზოგი მათგანი ასეთ განსაცვიფრებელ ფორმულირებას გვთავაზობს: ენგურჰესმა, რაც დასანგრევი იყო, დაანგრია და წაახდინა, ხუდონჰესი აღარაფერს მიუმატებსო! ხუდონჰესის მშენებელი და ყველა, ვისი მატერიალური მდგომარეობაც ამ ჰესის აშენებაზეა დამოკიდებული, იმის მტკიცებას რომ დაიწყებს, ხუნდონჰესის გარეშე ჩვენი სიცოცხლე შეუძლებელია და ის აბსოლუტურად უხიფათოაო, – ამას რა დიდი მისნობა სჭირდება! აკი ტრანსკავკასიის პროექტის მესვეურნიც ამას ამტკიცებდნენ!

ცხადია, გვყავს ისეთი პროფესიონალი ინჟინრებიც, ისეთი მშენებელნიც, რომლებიც გულწრფელად და უანგაროდ არიან დარწმუნებული ახალი „გიგანტის", ხუნდონჰესის აშენების აუცილებლობაში და იცავენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ სწორედ ესენი სრულ მზადყოფნას ამჟღავნებენ, მოისმინონ ყველა კონტრარგუმენტი და აცხადებენ: თუ ეკონომიკის საერთო გარდაქმნა გააუქმებს ხუდონჰესის აუცილებლობას, თუ ეს ჰესი ეკოლოგიურად საშიშია, მაშინ არ უნდა აშენდესო: ასე განაცხადა პირად საუბარში ხუდონჰესზე დასაქმებულმა რამდენიმე მუშამ, სწორედ ასე განაცხადა ანზორ ჭითანავამ რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ეკოლოგიური ასოციაციის სხდომაზე, სადაც განხილული იქნა ხუდონჰესის საკითხი. და ეს სრულიად ნორმალური პოზიციაა. რასაც ვერ ვიტყვით გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ კოლექტიურ წერილზე „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?", რომლის ავტორები ყოველნაირად აფუჩეჩებენ და აქარწყლებენ დიდი ჰესების, კერძოდ, ენგურჰესის და ხუდონჰესის უკვე არსებულ და მოსალოდნელ უარყოფით, დამანგრეველ გავლენას ბუნებრივ გარემოზე. კი მაგრამ, თუკი ნებისმიერ გიგანტურ ნაგებობას, კერძოდ, წყალსაცავს, როგორც რადიკალურ ჩარევას ბუნე-

ბის ორგანიზმში, ყველგან ზიანი მოაქვს და საშიშია, რაც, კიდევ ვიმეორებთ, უკვე აქსიომაა მსოფლიო მეცნიერული აზრისათვის, – ეს განსაკუთრებით რთული გეოგრაფიული რეგიონი – ენგურის ხეობა და მთელი საქართველო რა ისეთი ზენა ძალებით დაცული და ჯადოსნური საუფლოა, რომ აქ საფრთხე არაფერს უქადის და მხოლოდ ზეციურ მანანას აბნევს, ფურჩქნის და აყვავებს მთელ არემარეს? აი, მოვუსმინოთ ხსენებული წერილის ავტორთა „რკინის ლოგიკას“. „დღეს... ვიცით ბუნების უჩვეულო კაპრიზების შესახებ, რომელიც ჩვენი პლანეტის რომელ წერტილში გინდა რომ არ ხდებოდეს... და ეს ხდება იმ ქვეყნებშიც, სადაც დიდი წყალსატევები არც კი არის და თუ ყველაფერი ენგურჰესის წყალსაცავს დავაბრალეთ, მაშინ იგივე უნდა განმეორებულიყო (იგულისხმება სვანეთის ტრაგიკული ზამთარი – ნ. გ.) 1987-88 წლის ზამთარშიც“. ჯერ ერთი, „ბუნების კაპრიზი“ ცოტა რბილი გამოთქმა ხომ არ არის გამანადგურებელი მიწისძვრების, წყალდიდობების, ხანძრებისა თუ წამლეკავი ქარიშხლების აღსანიშნავად, ასე რომ მძვინვარებენ მთელ მსოფლიოში? მერე: აქ ლოგიკის ელემენტარული წესების არცოდნასთან გვაქვს საქმე. როდესაც ვიმეორებთ მეცნიერული აზრის მონაპოვარს და ვამბობთ: „დიდ წყალსაცავს აქვს პოტენცია მიწისძვრათა პროვოცირებისა“ – ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წყალსაცავი ერთადერთი მიზეზია მიწისძვრებისა, ზვავებისა და მეწყრების. ის არის ერთ-ერთი მიზეზი, ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ეკოლოგიური ბალანსის რღვევისა, რაც რაიმე სახით აუცილებლად გამოვლინდება. და ყოველ წელს კი არა, როგორც სტატიის ავტორებს წარმოუდგენიათ, არამედ ბუნების და, კერძოდ, მისი დაავადების შინაგანი, ჩვენთვის ფარული რიტმით! და მისი გავლენა შეიძლება გავრცელდეს არა მარტო ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე, არამედ შორეულ რეგიონებზეც. რადგან ბუნება იზოლირებული ნაწილებისაგან კი არ შედგება, იგი მთლიანი ორგანიზმია, სადაც ნაწილის დაავადება იწვევს მთელის რღვევას. ადამიანის ერთი დასნეულებული ორგანო ტკივილს გადასცემს სულ სხვა ადგილას, რის გამოც ჭირს ხოლმე სნეულების პირველადი კერის დადგენა. მაგალითად, შეიძლება ხორხში რაღაც წარმონაქმნი ფილტვის კავერნის წინასიმპტომი იყოს და ა.შ. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ თუ ფილტვია დაზიანებული, ცვლილებები მხოლოდ ფილტვში უნდა ხდებოდეს და სხვაგან არა? ან თუკი ადამიანს კუჭი სტკივა, სულ უნდა სტკიოდეს განუწყვეტლივ და მუდამ უნდა ჰქონდეს შეტევები? ადამიანის ქრონიკულ დაავადებას გამწვავებათა თავისი რიტმი აქვს და ის პირადი რეჟიმის დარღვევის გარდა წელიწადის დროებთანაცაა მჭიდროდ დაკავშირებული.

ასეთი ქრონიკული დაავადების კერაა ბუნებრივი გარემოსათვის დიდი წყალსაცავი (ისევე, როგორც ნებისმიერი რადიკალური ჩარევა), დაავადებისა, რომელიც ხშირად უმწვავეს შეტევად ამოიფრქვევა და ჩვენ წინასწარ დაბეჯითებით ვერასდროს ვიტყვით როდის მოხდება ეს. რადგან ბუნების კანონები საერთოდ, და მით უმეტეს, ხელოვნურად გამოწვეული ცვლილებების მექანიზმი ჩვენთვის ძირითადად უცნობია. ჩვენ ვიცით და უნდა ვიცოდეთ ბუნებასთან ადამიანის სწორი მიმართების ზოგადი საფუძველი, რაზედაც ასე ვრცლად შევჩერდით ჩვენს წერილში. ჩვენ მიერ ხშირად ციტირებული უდიდესი თანამედროვე მეცნიერი კონრად ლორენცი ამბობს, რომ ავთვისებიანი სიმსივნის მიკროსკოპული სურათი განსაცვიფრებლად წააგავს ტექნიკური ლანდშაფტის საჰაერო ფოტოს. და ადგენს რა მათი მსგავსების საფუძველს, მეცნიერი თვლის, რომ ავთვისებიანი უჯრედების არსებითი სპეციფიკა გამოიხატება სიტყვებით: „ინფორმაციის დაკარგვა“, „ინფორმაციის უქონლობა“, ე.ი. ეს უჯრედი, როგორც არაორგანული, უცხო სხეული, არ არის ჩართული მთელი ორგანიზმის სისტემაში, არ იღებს მისგან (მისი ნაწილებისაგან) ინფორმაციას, არ მონაწილეობს მის ჰარმონიულ მთლიანობაში, რის გამოც სწორხაზობრივად, მექანიკურად, თვითმიზნურად ანუ გამანადგურებლად ვითარდება. ასევე: ტექნიკური ნაგებობა და მისი ტექნიკური ლანდშაფტი არ არის ჩართული ბუნების ცოცხალ ორგანიზმში, იგი უცხო სხეულია, „ამოვარდნილი“ საერთო ჰარმონიიდან, რის გამოც, ავთვისებიანი სიმსივნის მსგავსად, გამანადგურებელ ცვლილებებს იწვევს: დიდი ხნის მანძილზე უხილავს, შემდეგ კი – აშკარას. ხსენებული სტატიის ავტორები კი, რომელნიც, როგორც ნათლად ჩანს, თავს არ იტკივებენ ეკოლოგიური მეცნიერების მონაპოვართა ათვისებით, ერთი ხელის დარტყმით „წყვეტენ“ ურთულეს პრობლემებს: „დასავლეთ საქართველოს კლიმატური პირობების მარეგულირებელია... შავი ზღვა, მასთან შედარებით ჯვარის წყალსაცავის ზეგავლენა... უმნიშვნელო და მიზერულია“. კი მაგრამ, მეცნიერული აზრის მონაპოვარსაც რომ თავი დავანებოთ, ელემენტარული ლოგიკითაც არ არის ცხადი, რომ თუ შავი ზღვის სიახლოვე ისედაც განსაზღვრავს დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიანობას, მით უფრო გამორიცხული არ უნდა იყოს იქ ყველანაირი გიგანტური წყალსაცავის, როგორც ტენიანობისა და ნალექების მასტიმულირებელი ფაქტორის შექმნა? რომელი ლოგიკის ძალით ვამტკიცებთ, რომ ერთ გიგანტურ წყალსაცავს მეორე, მესამე, მეშვიდე რომ დაემატება – ამით არაფერი არსებითად არ შეიცვლება და „ხუდონჰესი ეკოლოგიური თვალსაზრისით სადავო საკითხებს არ წარმოშობს“?

აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ის ტელეგადაცემა, რომლის ზოგი მონაწილე, გიგანტური ჰესების აპოლოგეტი საოცარ ეკოლოგიურ მოუმზადებლობას, ზოგადი ლოგიკის სისუსტესა და ჰუმანიტარული საფუძვლების სრულ იგნორაციას ამჟღავნებდა. მათი საერთო პოზიცია ის გახლდათ, რომ ისინი ჰაიჰარად უარყოფენ ენგურჰესისა და დაგეგმილი კასკადის რამდენადმე მაინც სერიოზულ გავლენას (გავლენის შესაძლებლობას) ბუნებაზე, ისინი ოდნავადაც არ აცნობიერებენ გიგანტურ ჰესებთან დაკავშირებულ მომაკვდინებელ საფრთხესა და რისკს. თუ რამდენად უპასუხისმგებლო და არასერიოზულია ეს განცხადება, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ნათლად ჩანს და ამაზე აღარ შევჩერდები, მაგრამ ერთ მომენტზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რათა ერთხელ კიდევ გავიხილვადოთ, რა ფსიქოლოგიური ტიპი დგას უმეტესად გიგანტურ ნაგებობათა მიღმა: ეს გახლავთ ტიპური „ჰომო ფაბერი“. მხედველობაში გვაქვს ის, რომ აკადემიკოსმა გივი სვანიძემ საკმაოდ აგდებული ტონით განაცხადა, რა სოფელია ხაიში, ერთი ღარიბ-ღატაკი სოფელია, ხალხი ქოხმახებში ცხოვრობს, ტყეები კი არა, რაღაც ბუჩქნარია და დიდი ამბავი, თუ წყალში ჩაიძირება, იქაურები უკეთეს სახლებში გადავლენ და უფრო მდიდრულად იცხოვრებენო. არავის პიროვნულ შეურაცხყოფას არ ვაპირებთ, მაგრამ ადამიანს, ვისაც ასეთი დაბალი წარმოდგენა აქვს ეთიკურ ღირებულებებზე, უფლება არ უნდა ჰქონდეს საერთო-სახალხო საქმეები წყვიტოს! განა ადამიანის, ოჯახის, სოფლის მნიშვნელობა მისი მატერიალური დონით განისაზღვრება? განა ღარიბი სოფლის ღარიბ-ღატაკი შვილი არ იყო ვაჟა-ფშაველა? განა რაკი ვინმე ღარიბია, უფლება გვაქვს, როგორც ნივთს ისე მოვექცეთ და საითაც მოგვეპრიანება, იქით ვუკრათ თავი? ვინ მოგვცა უფლება, ძალით ავყაროთ ეს ისტორიული, ძველი ადათ-წესების მქონე 2000-კაციანი სოფელი, რომელთა მკვიდრთათვის ის ამქვეყნად ერთადერთი, უბადლო და უსაყვარლესია? სულ აღარა გვაქვს იმის შეგნება, რას ნიშნავს ადამიანისთვის მშობლიური კუთხის, სოფლის გაუქმება და განადგურება? გვავიწყდება, რომ ამ ადამიანებს მკერდში გული აქვთ და ეს გული სტკივათ, რადგან ასე გაიმეტეს და (სხვა მხრივაც დიდად საეჭვო და სახიფათო წამოწყებისათვის) მშობლიური მიწიდან აყრა მიუსაჯეს? აბა, თვით სვანებს მოვუსმინოთ, რომელთა წერილებიც რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ეკოლოგიურ ასოციაციაში შემოვიდა:

„მე მოგმართავთ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებას უდიდესი გულისტკივილითა და აღშფოთებით, რაც გამოიწვია ზოგი სპეციალისტის

უპასუხისმგებლო, ცინიკურმა გამოსვლებმა საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით ამა წლის 21 ნოემბერს ენგურის ხეობაში ჰესების მშენებლობიდან გამომდინარე ეკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით... დაუშვებელია, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებსა თუ განყოფილებებს ხელმძღვანელობდნენ ბუნებისა და ბუნებასთან შეზრდილ ადამიანთა სატკივრისაგან ასე შორს მყოფი ადამიანები... თურმე თვალთაც დაგვკლებია და საქვეყნოდ ცნობილი ისტორიული ძეგლები უბრალო ქოხმახებისაგან ვერ გაგვირჩევია, ასწლოვანი, ცადაშოლტილი ხეები – ბუჩქებისაგან, ნაყოფიერი მიწები და სათიბები – ჭაობებისა და ხრიოკებისაგან. მე არ დავიწყებ იმის გამეორებას, რაც დაიწერა და ითქვა ენგურის წყალსაცავის მიერ გამოწვეულ ეკოლოგიურ პრობლემებზე. ერთი რამ კი ცხადი გახდა ჩვენთვის, რომ მისგან ბოძებული „სიკეთის“ შედეგად სვანეთი ვერ იარსებებს და უახლოეს პერიოდში ნასახლარიღა დაგვრჩება“, – გვწერს ნოდარ გადრანი სოფელ ჭუბერიდან.

„მე ყველას ვთხოვ, ნუ დაუჯერებენ იმ „სპეციალისტებს“, რომლებიც ცინიკურად აცხადებენ – ხაიში რა სოფელია, ქოხმახებია და მეტი არაფერიო... თუმცა, ქოხმახებიც რომ იყოს, არც ისინი გვემეტება წყალში ჩასაძირად, იმ „ქოხმახების“ გვერდით ეკლესიებია, სადაც თამარს ულოცნია, იმათი საძვალეებია, ვისაც საქართველოს დიდება და სიწმინდე ეწერათ დროშებზე... ვისაც თავიანთი მკერდით დაუცავთ საქართველოს მიწა-წყალი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, ქართლისა და კახეთის სადროშოთა გვერდით“, – გვწერს გაზეთ „ახალი სვანეთის“ თანამშრომელი ეთერ მჭედლიანი.

და ტექნოკრატებმა ისეთ ადამიანთაგან უნდა ისწავლონ მოწიწება სულიერ ღირებულებათა წინაშე, წარსულის ფასეულობათა წინაშე, მარტო რიცხვებისა და ფორმულების კორიანტელს რომ დააყენებენ ხოლმე, როცა საქმე ადამიანთა ბედ-იღბალს ეხება.

ჩვენ დღემდე სიწმინდეთა შებილწვის გზით ვიარეთ და იმიტომაც არის ჩვენი საქმე კარგად! მამა-პაპათა სალოცავები და ზედაშეები ფურთხითა და ნაგვით ავავსეთ, ეკლესიები – ფუნითა და ნაჭამ-ნათქვლეფით, ახლა კი ის ხალხი შემოგვღაღადებს, ვინც ყველაზე დიდხანს და მტკიცედ იცავდა სიწმინდეს: უნიკალურ ჯვარ-ხატებსა და საყდრებს, წყალში ნუ ჩაგვილპობთ მამა-პაპათა საძვალეებსა და სალოცავებსო, – და ისევ იმ ბარბაროსული გზით ვიაროთ? თუკი ყველანაირი სულიერი ღირებულება ეკონომიკის, ისიც მცდარად აგებული ეკონომიკის სამსხვერპლოზე მივიტანეთ – ასე ხომ მხეცებად ვიქცევით და ერთმანეთს

დავჭამთ?! როდემდე „ვაშენოთ“ ადამიანურ და სულიერ მსხვერპლზე? როდის უნდა შევიგნოთ, რომ სიწმინდეთა განადგურება უბედურების მომტანია?

იგივე გივი სვანიძეს თვალწარმტაც პეიზაჟად მიაჩნია დაგუბებული ენგური და მოითხოვს მის ირგვლივ რესტორნებისა და პიონერთა ბანაკების, ჯანმრთელობისა და დასვენების კერების გაშენებას. ნეტავ შეიძლებოდეს, რომ პირველ რიგში ამ მოსაზრების ავტორი და მისი თანამოაზრენი გავამწესოთ იქ, იმ „კულტურისა“ და დასვენების კერებში. წუმპედ ქცეული ენგურის სანაპიროზე, ენგურისა, სადაც უაზროდ ნაჩეხი და ჩაყრილი ასობით ხე და მორი ლპება, იხრწნება და ანტისანიტარულ კერად იქცევა, იქ, სადაც ლამისაა ნესტმა შეჭამოს ყველაფერი (და ხაიშიდან მესტიამდე ერთ შენობას ვეღარ ნახავთ, რომლის კედლებიც სველი არ იყოს), იქ, სადაც სხვის ბავშვებს აგზავნის დასასვენებლად. მაგრამ ისევ სვანების გოდებას მივაპყროთ ყური:

„ჩვენო ძმებო და დებო, თბილისის ინტელიგენციავ და ახალგაზრდობავ! მოგმართავთ დაღუპვის პირას მყოფი... სვანეთის მოსახლეობა, იმ სვანეთისა, ვინც საქართველოს საუკუნეთა მანძილზე შეუნახა უწმინდესი განძი!.. ნუთუ თქვენ გულს არ შესძრავს ის, რომ ენგურჰესმა გუბედ გადააქცია ჩვენი დიდებული ენგური, ის, რომ ნესტმა შეჭამა სვანეთის სოფლები, კედლებს რომ ობი და ნესტი მოედო, მიწაში რომ გვილპება ხახვი და კარტოფილი, ხეზე კი – ვაშლი? ნუთუ თქვენ არ გეხებათ რევმატიზმით დაავადებული სვანების სახსრები, ჩვენი ბავშვების დაავადებული გულები?.. ესეც არ გვაკმარეს – ხუდონჰესის გულისათვის უნდა დაიტბოროს სოფელი ხაიში, ხოლო დაგეგმილი დანარჩენი ჰესების აგება ნიშნავს მთელი სვანეთის გაქრობას! რატომ გაგვწირეს ასე? შეუფერხებლად გრძელდება სვანეთის ხე-ტყის უწყალოდ კაფვა და ჩეხვა! გაკაფული ტერიტორიები მთლიანად ეროზირებულია, სისტემატიური ხასიათი მიიღო ღვარცოფებმა, ზვავებმა, მეწყრებმა. სვანეთში ცხოვრება შეუძლებელი გახდა...“ – გვწერს მანანა ჯაფარიძე მესტიიდან. ამასვე გვატყობინებს ცნობილი ექიმი, შრომის გმირი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლუბა ნიჟარაძე მესტიიდან: „ჩვეულებრივ ამბად იქცა ღვარცოფები, მეწყერები და ზვავები. მოსახლეობას ზაფხულობით წვიმის ეშინია, ზამთარში – ზვავების. გამეჩხრებული ტყე ვერ აკავებს სტიქიას, ნადგურდება სავარგულები, ინგრევა კოშკები, ხავსი და ობი მოეკიდა სახლებს, სალოცავებს, ფრესკებს, იფშვნება და ხელიდან გვეცლება უნიკალური ხატ-ჯვარი, ხეხილი ხეზე ლპება, მოსავალს დაავადებები ანადგურებს, მარილი სახლებში წყლად იქცევა.

მიკროკლიმატის შეცვლამ უარყოფითად იმოქმედა ადამიანის ჯანმრთელობაზე, გახშირდა სასუნთქი გზებისა და სახსართა დაავადებები. იმატა ასთმატური სინდრომით მიმდინარე სასუნთქი გზების დაავადებებმა, დამძიმდა დაავადებათა მიმდინარეობა... დღეს ბევრი აღიარებს, რომ ენგურჰესის აგება დიდი შეცდომა იყო... ახალი წყალსაცავი მთლად უვარგისად გახდის ენგურის ხეობას ადამიანის საცხოვრებლად, მთა დაიცლება...

ცნობილია, რომ ჭარბი მოსახლეობა ყველა დროში გადიოდა სვანეთიდან და სახლდებოდა ბარში. მაგრამ რჩებოდნენ სხვები, რომელთათვისაც სიცოცხლე სვანეთის გარეშე არ არსებობს. ისინი არ ტოვებდნენ მამა-პაპათა საძვალეს და თუ ასეთ ადამიანებს ვაიძულებთ დასტოვონ თავიანთი ფუძე და სახლ-კარი, ეს იქნება ადამიანის უფლებათა ხელყოფა".

ხოლო ხაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პიმენ კვანჭიანი ჟურნალში „საქართველოს ბუნება" (#9) წერს: „ეს ზღაპრული უნიკალური ხეობა უგუნური დევკაცების პოლიგონს დაემსგავსა – ინგრევა მთები, ნადგურდება ფლორა და ფაუნა, იქმნება გიგანტური ეროზიების დაუშრეტელი საბადო... ხუდონჰესის (უნდა ერქვას „ხაიშჰესი", რადგანაც სოფელ ხაიშთან შენდება და არა ენგურჰესის წყალსაცავში ჩამარხულ ხუდონთან) მშენებლობის გამო ჯერ მარტო ხაიშიდან უნდა გადასახლდეს 300-მდე ოჯახი... გამოდის, რომ ეს „ჰესი" კი არა, აღა მაჰმად ხანის ურდო ყოფილა. სოფელი ხაიში მესტიის რაიონის ჭიშკარი იყო, რომელიც ერთი „რეტუშით" აღგავა პროექტის ავტორმა პირისაგან მიწისა". აი, ასეთია სვანეთის მოსახლეობის სულიერი მდგომარეობა, მისი აზრი ენგურის ხეობაში მიმდინარე ეკოლოგიურ ცვლილებებზე. „გიგანტთა" მესვეურნი კი აცხადებენ: ადამიანებს არ უნდა დავუჯეროთ, ხელსაწყოები არ აჩვენებენ კლიმატურ ცვლილებებსო! ჰეგელის პერიფრაზით რომ ვუპასუხოთ: არ აჩვენებენ და მით უარესი ხელსაწყოებისათვის! ადამიანის ორგანიზმზე ნატიფი ხელსაწყო არ არსებობს! ხშირად არც სისხლის ანალიზი თუ რენტგენი აჩვენებს რაიმეს, ადამიანი კი ცუდად არის: სტკივა, იტანჯება, წუხს. ჩვენ ადამიანის რეალურ სულიერ-ფიზიკურ მდგომარეობას უნდა მივაპყროთ გულისხმა. სვანეთის მოსახლეობის სულიერ-ფიზიკური მდგომარეობა კი ტრაგიკული გახდა! მუდმივი პანიკური დაძაბულობა, რასაც იწვევს საფრთხის სიახლოვე და შერყეული ფიზიკური მდგომარეობა. ვინ მოგვცა უფლება მთელი რეგიონის (თან რა რეგიონის! უმკაცრეს ბუნებრივ პირობებთან შერკინებული, უამრავი გაჭირვების უდრტვინველად ამტანი კუთხის!) მოსახლეობას წავართვათ ჯანმრთელობა, მშვიდი ძილი, ბუნებაც მოვუსპოთ და

ამ გზით აღვუთქვათ „ბედნიერი ცხოვრება“? ან შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველოს ბედნიერება მისი ყველა კუთხის ბედნიერების გარეშე? აკაკის „ჩონგურიც“ აღარ გვახსოვს?

უმთავრესი, მართლაც „წყევლა-კრულვიანი“ საკითხავი კი აი, ეს არის; ვინ არიან ეს ადამიანები, როდის ჩამოყალიბდა ეს ჩლუნგი ფსიქიკა, როდის აღმოცენდა ამდენი „ჰომო ფაბერი“ – დედაქალაქის კაბინეტებში რომ მოკალათებულან და „ერთი რეტუშით“ რომ უსჯიან სიკვდილს ძველთაძველ ისტორიულ სოფლებს, წყალში ძირავენ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, სამარხ-სალოცავებს, ათასობით ჰექტარ მიწას, მიწას, რომლის ყოველი გოჯი ჩვენი წინაპრების ტანჯვა-წამებით არის შენარჩუნებული! ერთნი წყალში ძირავენ, მეორენი რკინა-ბეტონის ქვეშ მარხავენ, მესამენი – პირდაპირ ფულზე ჰყიდიან! სადღა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა? და ვიდრე უკვე ცნობილ წყალსაცავებზე ვვიშვიშებდით, ჩუმად და უხმაუროდ ჩადგა მწყობრში ახალი „გიგანტი“ – აღმოსავლეთ საქართველოში „დალის მთასთან“ მოწყობილი უზარმაზარი წყალსაცავი, რომლის ფართობი (14 კმ^2) ენგურჰესის წყალსაცავის ფართობს აღემატება!

მეგობრებო, თუნდაც მხოლოდ ეკოლოგიურ დანაშაულობათა შემხედვარეებმა, ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავუსვათ ჩვენს თავს დიაგნოზი: საქართველო თვითმკვლელობის გზაზე დამდგარა!

თუმცა გიგანტომანიით შეპყრობილი ტექნოკრატია გონებას, ეკონომიკურ აზროვნებას და ლოგიკას თავის კომპეტენციად თვლის, მოწინააღმდეგეებს კი – „უაზრო ემოციებს“ აყოლილ დილეტანტებად, უნდა ითქვას, რომ ტექნოკრატიის წყალობით საქართველოში შექმნილი ეკოლოგიური დილემა არათუ არ მიანიშნებს გონების მუშაობაზე, გონების მასიურ დაბნელებას უფრო წააგავს. თუმცა, ხომ უკვე ვთქვით, რომ ტექნოკრატია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სილამაზის აღქმა დაქვეითებული აქვს, მეცნიერთა აზრით, სულიერადაა ავად (კონრად ლორენცი). აბა, როგორ არ იტყვი ამას, როცა გაიხსენებ, რა აბსურდული სიტუაცია შეიქმნა საქართველოში (ეკოლოგიურად და ეკონომიკურად), სიტუაცია, რომელიც სასაცილო იქნებოდა, კატასტროფული რომ არ იყოს: ელექტროენერგიის მოსაპოვებლად აგებენ ელექტროსადგურს, რაც შეიძლება მაღალი კაშხლითა და რაც შეიძლება დიდი წყალსაცავით (რათა რაიმენაირად მოხსნან „სიდიდის“ მსოფლიო რეკორდი), დაგუბებულ მდინარეს, თანაც მთის უხვნატანიან მდინარეს, ნატანი ზღვაში აღარ ჩააქვს, იგი გროვდება ბიეფში; ზღვა, რომელსაც წაართვეს საზრდო, იტაცებს ხმელეთს. წელიწადში 15 ჰექტარს. რათა ზღვა რაიმენაირად „გააჩერონ“, გადაჰყავთ იგი „ხელოვნურ კვება-

ზე“. ხელოვნურად აწვდიან სილა-ხრეშს, რასაც, ცხადია, თხრიან ბუნებრივი გარემოდან: ფერდობებიდან, მთებიდან; რაც თავისთავად ნიშნავს იმ ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ რბევას. თან ზღვის „ხელოვნური კვება“, რაც ჯდება უზარმაზარი თანხა, საჭიროა უსასრულოდ, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და არც სრული გარანტიაა ზღვისა და ხმელეთის ურთიერთობის საბოლოოდ მოგვარებისა. ამასობაში, ბიეფი ივსება ნატანით და ელსადგური ჩერდება. მდინარე მდინარედ კვდება, მთა მთად ოხრდება. ზღვა წალეკვით გვემუქრება. სანაპირო იღუპება. ათასობით ჰექტარი წყალსაცავში ჩავძირეთ, დანარჩენი ზღვას მიაქვს. და აი, ჩვენი ენერგეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით გიგანტური ჰესები საქართველოსათვის აუცილებელია. განა ეკოლოგიური რღვევით გამოწვეული ეს უზარმაზარი ზარალი და, საბოლოოდ, კატასტროფა – შეიძლება ამ გზით მოპოვებულმა ელექტროენერგიამ ოდნავ მაინც გადასწონოს და გაამართლოს? ეს არის „ეკონომიკური აზროვნება“, რომლის დეფიციტსაც ზოგი ეკონომისტი ჰუმანიტარულ ინტელიგენციას საყვედურობს? გიგანტური ჰესისა თუ წყალსაცავის მოქმედება იმ ქიმიური მედიკამენტის მოქმედებას წააგავს, რომელიც დროებით მოგიშუშებს, დავუშვათ კუჭის წყლულს, მაგრამ დაგმართებს კიბოს.

დღეს ნებისმიერი სპეციალისტი, ვისაც პროფესიონალიზმის პრეტენზია აქვს, ამავე დროს, ეკოლოგი უნდა იყოს: სისტემატურად უნდა ეუფლებოდეს ეკოლოგიურ აზროვნებას: იქნება ეს ეკონომისტი, ენერგეტიკოსი თუ სოფლის მეურნეობის მუშაკი. და სწორედ დროულად გაისმა ახალგაზრდა ქართველ ეკონომისტთა ხმა, რომელნიც სწორედ ეკონომიკის პოზიციიდან აკრიტიკებენ გიგანტურ ნაგებობებს და „ინდუსტრიალურ მაქსიმალიზმს“. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების რ. გოცირიძის, გ. შიხაშვილის, დ. ადეიშვილის, ცაგარელისა და სხვათა გამოსვლებსა თუ სტატიებში გამოკვეთილია გონიერი, პროფესიული და ჰუმანური პოზიცია. ისინი მოითხოვენ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეგმა მთლიანად დაექვემდებაროს მის ეკოლოგიურ მდგომარეობას, საქართველოს ეროვნულ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, მის სამეურნეო, ისტორიულ ტრადიციას. ისინი მიუთითებენ, რომ საქართველოს ბუნებაზე ისედაც დიდი და აუტანელი „სამრეწველო დატვირთვა“ მოდის, ამიტომ მძიმე მრეწველობის თვითმიზნური ინტენსიფიკაცია და „ინდუსტრიული მაქსიმალიზმი“ დაუშვებელია. ისინი მიუთითებენ, რომ ელექტროენერგიის დეფიციტი, რასაც ენერგეტიკოსები გიგანტური ჰესების აგების უმთავრეს მიზეზად ასახელებენ, ხელოვნური დეფიციტია, რადგან იგი არის შედეგი უკულმარ-

თად და მცდარად აგებული ეკონომიკისა, ელექტროენერგიის უაზროდ ფლანგვისა: „ელექტროენერგია ჩვენს ქვეყანაში ძირითადად იხარჯება ზედმეტად წარმოებულ ფოლადზე, ჩარხებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე, მინერალურ სასუქებზე, ზედმეტად მოპოვებულ სასარგებლო წიაღისეულზე და ა.შ. მოკლედ, ვაწარმოებთ იმას და იმდენს, რაც არ გვჭირდება“. „ჩვენ გვჭირდება არა ენერგოტევადი და რესურსტევადი, არამედ შრომატევადი და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება“. „2005 წლისათვის 120 ათასი ტონა ხორცი და 806 ათასი ტონა რძე უნდა შემოვიტანოთ, ამავე დროს, ჩვენს ნაყოფიერ (თუნდაც ნაკლებად ნაყოფიერ) მიწებზე ქარხნებს ვაშენებთ და საძოვრებს წყალსაცავებით ვტბორავთ“. „საჭიროა ახალი ეკონომიკური და სამართლებრივი ნორმების შემუშავება, აუცილებელია ახლებური ეკოლოგიური ცნობიერების ფორმირება, ეკოლოგიური აღზრდა“.

„ადამიანი არა მარტო უნდა თანაუგრძნობდეს ბუნებას, საკუთარ თავს მის ნაწილად უნდა თვლიდეს“, – წერს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რომან გოცირიძე. მისივე აზრით, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მომავალში დაგეგმილი მრავალი მძლავრი საწარმოს აშენებაზე, რადგან საქართველოს ბუნება ასეთ სამრეწველო-ინდუსტრიულ დატვირთვას ვერ გაუძლებს, ეს დატვირთვა ახლაც უკვე სცილდება ზღვარს. ჩვენ უნდა დავუმატოთ, რომ არათუ მომავლისთვის გათვალისწინებული მრავალი საწარმოს აგებაზე მოგვიწევს უარის თქმა, არამედ ისეთი ეკოლოგიურად საშიში ცენტრალების არსებობაზეც, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თუ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რადგანაც ისინი ადამიანთა დასნეულების კერებს წარმოადგენენ (ამისათვის ახლავე უნდა ვამუშავებდეთ იქ დასაქმებული მუშახელის კვალიფიკაციის შეცვლის პრობლემას, რაც სახელდახელო დისპუტებზე ვერ გადაიჭრება, და ისეთ სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, როგორიც ხორციელდება ხოლმე დასავლეთში, სადაც დინამიკური ეკონომიკის შედეგად ხშირია მუშათა ხელახლა დასაქმების ფაქტი). როცა გემი იძირება, იქიდან ყველაფერს ყრიან – ოქრო-ვერცხლსაც კი – სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეკოლოგიური თვალსაზრისით, საქართველო კარგა ხანია ასეთ გემს წარმოადგენს, რომლის გადასარჩენად მძიმე მრეწველობის უკონტროლო მაქსიმალიზმის ალაგმვაა საჭირო. ჩინეთში ეკოლოგიური მოსაზრებით 24 ათასი საწარმო დაიხურა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა ქართველ ეკონომისტთა ეს პროგრესული, გონივრული პოზიცია, დაფუძნებული პროფესიულ და ეკოლოგიურ ერუდიციაზე, – გაიმარჯვებს და სულზე მიუსწრებს ჩვენს აღრეულ ეკონომიკასა და დაღუპვის პირას მისულ ბუნებას.

ჩემი წერილის ამ ადგილზე მომისწრო სომხეთში დატრიალებულმა უბედურებამ და კარგა ხნით შემაწყვეტინა წერა. ამან მაინც ვერ უნდა გამოგვარკვიოს და ვერ შეგვასმინოს, რომ ასეთ საშიშ სეისმურ ზონაში, როგორსაც წარმოადგენს ამიერკავკასია, გიგანტურ ტექნიკურ ნაგებობებზე ფიქრიც კი გამორიცხული უნდა იყოს?! წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, მიწისძვრის ეპიცენტრი სომხეთის ატომური რეაქტორის, ჩვენი ჟინვალჰესისა თუ ენგურჰესის მიდამოებში რომ ყოფილიყო! მე შენ გეტყვი, მშენებლობის ხარისხით დავიმშვიდებდით თავს! ერთგვარი უკმარობის განცდა დამიტოვა ამ ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალურად გამოთქმულმა მოთხოვნამ: რომ ხუდონჰესი, თუკი ის აშენდება, გათვლილი იყოს 9 ბალზე. კი მაგრამ, 9-ბალიანი მიწისძვრა თუ მოხდა და ქვა ქვაზე აღარ დარჩა, რა შეღავათი და ნუგეში იქნება ჩვენთვის, თუკი ჩვენი „ტექნიკური შედეგრი“ ხუდონჰესი დარჩება ამაყად წამომართული ჩვენს ნაცარტუტაზე! განა გეოფიზიკის ინსტიტუტი პირველი არ უნდა ითხოვდეს, რომ ჩვენს გეოგრაფულად, გეოლოგიურად და სეისმურად ურთულეს რეგიონში გამოირიცხოს ყველა ტექნიკური ნაგებობა, რომელსაც მიწისძვრების პროვოცირების თუნდაც თეორიული შანსი აქვს?!

და ბოლოს, ისევ პოეზიას მივუბრუნდეთ.

ეპოქის საბედისწერო შეცდომათა რიგს განეკუთვნება პოეზიის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების გადაფასება: დავიწყება იმისა, რომ იგი „სიბრძნის დარგია“. „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“. დიახ, საბედისწერო შეცდომაა პოეზიის გამოცხადება „ზედნაშენად“, ყოფიერების სამკაულად, ცხოვრების ზედაპირზე მიბნეულ ფერად გულსაბნევად, რომელიც თუ არის – ხომ კარგი, თუ არა და – დიდი არაფერი შავდება. სინამდვილეში პოეზია ყოფიერების ძირისძირი და „ისტორიის შემაკავებელი საფუძველია“, როგორც ამბობს დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. ხოლო არისტოტელე წერს: „პოეზია უფრო სერიოზულია, უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია“. კაცობრიობის სულიერ მოძღვართა აზრით, „რაც უფრო მეტია პოეზია, მით უფრო მეტია სიახლოვე ჭეშმარიტებასთან“.

რატომ არის პოეზია სიბრძნე? რატომ არის იგი ყოფიერების საფუძველი? რადგან თავად სამყარო, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფი, როგორც მწყობრი ანუ ჰარმონიული, ცოცხალი, მშვენიერი მთლიანობა – აგებულია პოეზიის კანონით. და პოეზია გულისხმობს ადამიანის სწორ დგომას სამყაროს პირისპირ ანუ მის ადეკვატურ აღქმას, სწორ,

ნორმალურ რეაქციას მასზე: მის განცდას საკრალურ, ცოცხალ და ლამაზ ქმნილებად, ორგანულ მთელად, მადლად და საჩუქრად. პოეზია არის მუდმივი ხსოვნა, ცოდნა და განცდა უდიდესი საიდუმლოსი – მშვენიერი საჩუქრის – წმინდა სამყაროსი. პოეზია არის მადლიერება მადლის გამო, მოწიწება სიწმინდის წინაშე, აღტაცება მშვენიერებით, თანალმობა ყოველი ცოცხალი არსების, მთელი სამყაროს მიმართ, და ბოლოს: ტკივილი და სასოწარკვეთა, როცა ირღვევა ჰარმონია (ნაწილისა და მთელის კავშირი), როცა იბღალება სიწმინდე, ნადგურდება სილამაზე, იტანჯება ცოცხალი არსება (ამიტომ წარმოშვა ჩვენმა ეპოქამ, როგორც შებღალულ სიწმინდეთა, განადგურებული სილამაზისა და დარღვეული ჰარმონიის ხანამ, ასეთი სასოწარკვეთილი, მოთქმითი პოეზია და ხელოვნება). პოეზია სიბრძნეა, რადგან, ნოვალისის თქმით, ის არის უმჭიდროესი კავშირი ნაწილისა და მთელისა, ანუ „უმოკლესი გზა ნაწილიდან მთელისაკენ“ ანუ ადამიანისა – სამყაროსაკენ, საიდუმლოსაკენ, მარადიული სულიერი საწყისისაკენ. „პოეზია არის ღმერთთა პირისპირ დგომა და საგანთა არსის სიახლოვით გათანგულობა“, – წერს მარტინ ჰაიდეგერი.

ამ უფართოესი აზრით, პოეზია არის სულის პირველადი, ჯანმრთელი ანუ ნორმალური მდგომარეობა. ვისაც სამყაროს, ბუნების, მარადიულ სულიერ ღირებულებათა მიმართ აქვს მოწიწება, მადლიერება და მზრუნველობა – ის არის პოეტური ანუ ნორმალური სულის ადამიანი, იმისდა მიუხედავად, წერს ლექსებს თუ არა. ამიტომ ამბობს ვაჟა: „ვისაც კარგად ესმის ბუნება თუ ცხოვრება, თუნდაც ლექსებს არ წერდეს, მაინც პოეტია“. მაშასადამე, ბუნების, სამყაროს „გაგება“ არის პოეზიის არსი.

რაკი პოეზია სულის ჯანმრთელობას ნიშნავს, ამიტომ უწოდებდა ნოვალისი პოეტს „ტრანსცენდენტურ ექიმს“. ასე რომ, სულის ნორმალური მდგომარეობა არის პოეტური მდგომარეობა, რადგან იგი გულისხმობს სამყაროს ადეკვატურ აღქმას, ადეკვატურს ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში, ხომ გვახსოვს, ზემოთ კონრად ლორენცის აზრი რომ მოვისმინეთ: სილამაზის აღქმის დაქვეითება სულიერი დაავადებაა, პიროვნების ეთიკურ რღვევას რომ გულისხმობსო. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: სილამაზის აღქმის დაქვეითება (ანუ სულიერი დაავადება) – პოეზიის დეფიციტია. ჩვენ კი ხშირად გვისაყვედურებენ „ეკონომიკური“, „პოლიტიკური“ თუ „ისტორიული“ აზრის დეფიციტს და ხელს წამოჰკრავენ ხოლმე პოეზიას, პოეტურობას, როგორც რაღაც ზედმეტს, ზედაპირულსა და მეტიჩრულს. ეს პოეზიის არსის ზედაპირული გაგებიდან მოდის (რაც საყოველთაო მოვლენად იქცა ტექნიკური საუკუნისთვის). „ზედაპირული“ და „პოეტური“

ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია. და საგანგაშო სწორედ პოეზიის დეფიციტია – ანუ სამყაროსთან, სიცოცხლესთან უღრმესად სერიოზული დამოკიდებულების დეფიციტი. სადაც არ არის პოეზია ანუ სამყაროს, სულის ცოცხალი ბუნების აღიარება უმაღლეს ღირებულებად, მოწიწება, სიყვარული და მადლიერება ამ უმაღლესი ღირებულების მიმართ, გულისა და გონების, ინტუიციისა და სინდისის უღრმესი სინთეზი – იქ არაფერი ნამდვილი და სასიკეთო არ წარმოიშობა და არც წარმოშობილა. მეცნიერება და პრაქტიკა, რომელიც დაცლილია პოეზიისაგან ანუ მთელთან, სამყაროსთან ინტუიტური, გრძნობადმორალური, აზრობრივი კავშირისაგან – წარმოადგენს ნაწილის (დარგის) მეტ-ნაკლებად სწორ ცოდნას. იგი ვიწრო, დარგობრივ ცოდნად რჩება და ამის გამო მის უკიდურეს გამოვლინებას უწოდებენ „დარგობრივ იდიოტიზმს“. ამიტომ დიდი მეცნიერება ცდილობს არ დაკარგოს კავშირი სულიერ კულტურასთან. აინშტაინი ამბობდა, რომ მას „დოსტოევსკი უფრო მეტს აძლევს, ვიდრე, მაგალითად, გაუსი“. ამიტომ ნოვალისის ზემოთ მოხმობილ ზღაპარში, სადაც პრაქტიკული, მშრალი, ცივი გონების აღზევებას კატასტროფამდე მიჰყავს სამყარო – მხსნელ ძალებად პოეზია და სიყვარული ჩნდებიან. პოეზიას, როგორც სამყაროსა და ყოფიერების საფუძველს, როგორც სულის პირველად, „უპირველეს“ მდგომარეობას – რომელიც ზუსტად არეკლავს სამყაროს მშვენიერებასა და საიდუმლოს; პოეზიას, როგორც შემეცნების უმაღლეს გზას, აღიარებს გალაკტიონი: „სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა, მეგობრებო, სიკვდილამდე მექნება, მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება – პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

არც რელიგიას, არც ფილოსოფიას ასეთი განუხრელი თანმიმდევრობით, არსისეულად და ემოციურად, დაჟინებით და შემაგონებლად არ განუდიდებია ცოცხალი ბუნება, ასე გულისშემძვრელად არ გამოუკვეთია მისი ფუნდამენტური მნიშვნელობა ადამიანისათვის, როგორც პოეზიას. საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდნენ ფილოსოფიური მოძღვრებანი, ხდებოდა მათში აქცენტების გადაადგილება, ღირებულებათა ცვლა, რელიგიებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, პოეზია კი საყოველთაო საუფლოდ რჩებოდა და დასაბამიდან დღემდე მოიყოლებდა უმთავრეს და მარადიულ ღირებულებას: სიცოცხლის მშვენიერებას, სულსა და ბუნებას; ხალხებს სხვადასხვა ღმერთები ჰყავთ, მაგრამ ბუნება ერთი აქვთ. თუ ქრისტე არაფერს ნიშნავს ბუდისტისათვის, ან იმას არ ნიშნავს, რასაც ქრისტიანისათვის, და ა.შ. – ბუნება საერთო ღირებულებაა ყველა პოეტური სულის ადამიანისათვის: პოეზია და ბუნება ყველაზე საყოველთაო საუფლოებია.

პოეტი ხომ ის არის, ვინც ყველა დროში თავისი სულის ყველა შრით ეფერებოდა და ესიყვარულებოდა, ყურს უგდებდა და განადიდებდა ცოცხალ ბუნებას, ებრალებოდა ყოველი სულდგმული, ყველა ქმნილება: მთაცა და კენჭიც, იაცა და ხარაბუზაც, შვლის ნუკრიცა და რეგიის ღერიც. და კაცობრიობამ გადააფასა რა პოეზია, როგორც ცენტრალური ღირებულება, დაკარგა ის ფუნდამენტური ინფორმაციაც, რასაც პოეზია გვაწვდის ცოცხალი სამყაროს შესახებ. პოეზიის სიტყვები უსაგნო მეტაფორებად მიიჩნია და არა უზუსტეს ცოდნად. პოეზია კი მაქსიმალურ სიზუსტეს ნიშნავს, როგორც „უმოკლესი გზა ნაწილიდან მთელისაკენ“. რაინერ მარია რილკესთან ვკითხულობთ: „ის პოეტი იყო და სძულდა უზუსტობა“. და როდესაც პოეტი ღაღადებს: „ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“, ეს უსაგნო სენტიმენტალობა კი არ არის, არამედ გულისმიერი ცოდნა, ზუსტი ინფორმაციაა იმის შესახებ, რომ ცოცხალი ბუნების, საერთოდ მეორე არსების დაზოგვა უძირითადესი წესია, რომლის დარღვევითაც დაირღვევა ადამიანისა და სამყაროს წონასწორობა. მაგრამ ამას პოეზია თავის ენაზე ამბობს, ენაზე, რომელიც ადამიანთა დიდმა ნაწილმა დაივიწყა. მთელი საკაცობრიო პოეზიის უდიდესი ნაწილი „ბუნებისმეტყველების“ ერთიანი კონტექსტია. ეს არის უღრმესი მოძღვრება ბუნებისა და ადამიანის უშინაგანესი ერთიანობის შესახებ, რომელიც თავის უღრმეს გამოხატულებას ვაჟას განზომილების პოეტებში აღწევს. ამ აზრით. ვაჟა-ფშაველას ჭეშმარიტად შეიძლება, „ბუნების მესია“ ვუწოდოთ: მის პოეზიაში, ისევე როგორც წარმართულ ქართულ ლექსში („მზე დედაა ჩემი...“), პირველყოფილი ძალით ფეთქს სამყაროს განცდა ერთ ოჯახად; დედაშვილობით, მამაშვილობით, და-ძმობით შეწნულ ოჯახად (ოღონდ უკვე ქრისტიანული სამყაროს შვილისთვის მამა უხილავ ძალას, ქვეყნის შემქმნელსა და პატრონს ჰქვია, ხოლო მთელი ცოცხალი სამყარო, ბუნება – დედაა, რომლის ძუძუთიც იზრდება პოეტი, და ამდენად: მთები და ყვავილები, წყარონი და ნადირ-ფრინველნი ერთმანეთის და მისი და-ძმანი არიან („იამაც მომცა სალამი, დამ კვლავ ძმა იცნო თავისა“. ან ასე მიმართავს მთას: „შენი ძმა არის ბარიცა, სთველ-ზაფხულ ბარაქიანი...“). ვაჟას პოეზია არის სისხლხორცეული განცდა ბუნების შინაგანი ერთიანობისა და ადამიანის უშინაგანესი კავშირისა ბუნებასთან: „ჩვენ ბუნებაში ვართ, – იგი – ჩვენშია... ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც“, წერს იგი და ამაზე აფუძნებს პოეზიის არსს. იქ, სადაც არის „ბუნებრიობა“, ანუ ბუნებასთან მაქსიმალური შინაგანი მიმსგავსებულობა, პირველადობა, იქ არის, მისი აზრით, პოეზიაც. მაშასადამე, ვაჟასთვისაც პოეზიის არ-

სი განისაზღვრება ცოცხალ ბუნებასთან უღრმესი ერთიანობით („სად არის პოეზია?“). აქედან ამოიზრდება მისი ლექსიც, როგორც ნაწილისა და მთელის კავშირის, ბუნების იდუმალი წონასწორობის ყოველწამიერი ინტუიტურ-აზრობრივი ხსოვნა, ხედვა და ცოდნა: „ხევი მთას ჰმონებს, მთა ხევსა, წყალი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ, ყვავილნი – მიწას და მიწა თავის აღზრდილთა მცენარეთ და მე ხომ ყველას მონა ვარ პირზედ ოფლგადამდინარედ“, – ვაჟას ეს სტრიქონები დღევანდელი ეკოლოგიური მოძღვრების ყველაზე ტევად და ლაპიდარულ დევიზად გამოდგებოდა. და საერთოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკოლოგიას არა ჰყავს პოეზიაზე უფრო დიდი მოკავშირე.

ამიტომ არის სრული აბსურდი, როდესაც ჩვენი ტექნიკოსმშენებელნი, რომელიმე გიგანტური ტექნიკური წამოწყების გასამართლებლად, ჩვენი დიდი პოეტების დამოწმებას ცდილობენ ხოლმე. ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებელნი თავიანთ მოკავშირეთა რიგებში თამამად აყენებდნენ ვაჟას და ილიას. მთაში რკინიგზის გაყვანას ნატრობდნენ და აჰა, ახლა ვასრულებთ მათ ოცნებასო. ხუდონჰესის აპოლოგეტნი კი ისევ ილიას „იმხრობენ“, ელსადგურის აგება, ელექტროენერგიის გამოყენება ეწადა და საზოგადოების რეაქციულმა ნაწილმა ხელი შეუშალაო („ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?“). ამით თავიანთ თავს ჩვენს დიდ პოეტებთან ერთად პროგრესის პიონერებად რაცხავენ, ხოლო ბუნების დასაცავად შემართულ, მათ მოწინააღმდეგე ინტელიგენციას რეაქციონერებად, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ რკინიგზისა და ელექტროენერგიის გამოყენების წინააღმდეგი იყოს. თავი დავანებოთ იმას, რომ ილიასა და ვაჟას დროს სხვა სახის ტექნიკური ტრანსპორტი არ არსებობდა და რკინიგზა ერთადერთი საშუალება იყო. განა ისინი, ვინც განწირულნი დაჰკანკალებდნენ თავს საქართველოს მიწაწყალს, წინაპართა სისხლით შენარჩუნებულ ყოველ გოჯსა და მტკაველს, ვინც აღმერთებდნენ ბუნებას, როგორც ღვთის ქმნილებას, და ესიყვარულებოდნენ ყოველ ცოცხალ არსებას – ხმელ წიფელსა თუ უტყვ მთას – იმაზე მისცემდნენ დასტურს, რომ დაუნდობელ, ზემძლავრ ტექნიკას ენგრია და ეფეთქებინა ჩვენი საცხოვრისი, გაენგრია კავკასიონის ქედი, წყალში ჩაეძირა სოფლები, ტყეები, სახნავ-სათესი მიწები და ისტორიული ძეგლები! განა ისინი, ვინც უმღეროდნენ ანკარა მტკვარს, გააფთრებულ, მქუხარე თერგს, ალაზანს, ენგურს თუ შეუპოვარ არაგვს – ახლა საფლავში არ ტრიალებენ, როცა ჩვენი ლაღი და ანკარა მდინარეები საარაკოდ დაბიძურებულან, სნეულების კერებად და დამდორებულ არხ-გუბეებად ქცეულან? როდემდე ჩავრთოთ

გარდაცვლილები ჩვენს უგუნურ და უწმინდურ თამაშში? საფლავშიც აღარ მოვასვენოთ? როდემდე ვაკეთოთ მათი სახელით მათივე საწინააღმდეგო საქმე?

სწორედ იმიტომ, რომ პოეტი მქუხარე, ველურ მდინარეთა შვილი იყო – დუღდა მასში მოძრაობის სტიქია: „...თერგო! იმითა ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს, მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ნეტავ რას იტყოდა „ჩვენი საწყლობის მოზარე“, ის გუბედ ქცეული, აშმორებული ენგური და აოხრებული არაგვი რომ ენახა?! მოთოკილი, დამდორებული მდინარე ასეთ ხასიათებს ვეღარ წარმოშობს, ვეღარც ასეთ ნაწარმოებებს, რადგან ბუნების თავისებურება ერის თავისებურებას განსაზღვრავს.

და ბოლოს, ეკოლოგიური პრობლემების კიდევ ორ ასპექტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: შეგნება იმისა, რომ ბუნება დასნეულებულია, რომ მოწამლულია წყალი, მიწა, ჰაერი, საკვები, იწვევს რა ფსიქოლოგიურ ტრავმას და მომავლის შიშს საზოგადოების გაცნობიერებულ ნაწილში – ცნობიერად თუ არაცნობიერად ამუხრუჭებს შვილების ყოლის სურვილს. ის არის ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება ერის გამრავლებისა.

და მეორე: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საყოველთაო და საგანგაშო პრობლემადაა ქცეული შვილების აგრესია მამათა მიმართ, რაც დასავლეთში ხშირად სოციალური კატასტროფის სახეს იღებს. ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ ტექნიკურ-ინდუსტრიული გარემო, მის მიერ დამახინჯებული ბუნება თავად წარმოშობს აგრესიულ ფსიქიკას. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყოველგვარ აგრესიას მოკლებული ახალგაზრდებიც კი არ პატიობენ „მამებს“, მშობელთა თაობას, რომ მათ დასნეულებული, მოშხამულ-მოწამლული სამყარო, გადაგვარებული ბუნება დაახვედრეს და ამ სამყაროში მიუსაჯეს სიცოცხლე, უფრო სწორად: ავადმყოფობა. ან ქართველი ბავშვები როგორ გვაპატიებენ, რომ მათ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხოლოდ პოეზიაშიღა დაატკბობთ, ცხოვრება კი მომწამვლელი გამონაბოლქვებით გაძეძგილ ჰაერში, აშმორებული მდინარეების, გაჩანაგებული ტყეების პირას, ეროზირებულ-დაწყლულებულ, მაზუთიან დედამიწაზე მოუწევთ; როგორ გვაპატიებენ იმას, რომ ხილის გემო აღარ იციან, ქიმიური სასუქებითა და შხამ-საწამლავებით განოყიერებულ ხილ-ბოსტნეულს ვთავაზობთ და ყოველივე ამის გამო ვუსჯით: ასთმასა

და ანემიას, რევმატიზმებსა და ალერგიას, სისხლის გათეთრებასა და დიაბეტს და ათასი ჯურის დაავადებას.

გავიხსენოთ, რომ ბავშვთა დაავადებითა და სიკვდილიანობით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას. ნუ დავაბრალებთ ყველაფერს მედიკოსებს. მედიცინა ვერაფერს გააწყობს დასნეულებულ ბუნებრივ გარემოსთან. არ არსებობს წყლის, ჰაერისა თუ ბალახის შემცვლელი მედიკამენტი. ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავენი დაბადებული და დაუბადებელი ბავშვების წინაშე.

ბავშვები კი დგანან დედამიწაზე და ეძებენ ლამაზ, სუფთა ბუნებას, სწყურიათ და ახარებთ მცენარისა და ნაკადულის, ჩიტისა და ხის დანახვა. იბადებიან და თან მოჰყვებათ პოეზია – მარადიული სათავიდან, სამყაროს გულისგულიდან მომდინარე თავანკარა წყარო: რომელიც მათ ესტაფეტად გადასცემს ხმელი წიფლისა და შვლის ნუკრის, მთის წყაროს, იისა და რეგიის ღერის სიყვარულსა და შეცოდებას. და ვიდრე ცხოვრება, გაგულქვავებული უფროსები არ ჩაახშობენ მათში ამ ნიჭს, უტყუარი ალღოთი გრძნობენ, რომ ყოველი არსება სიყვარულისა და შებრალების ღირსია. ამიტომ მსურს ეს წერილი დავამთავრო შვიდი წლის ბავშვის ლექსით: ეს არის განაჩენი ბავშვისა, რომელიც მარტო თვითონ კი არ „გვებუტება“, არამედ იცის, რომ „ყველა“ – მთელი სამყარო გაებუტება ჩვენს უხეშ ხელებს, რომლებმაც ამდენი დანაშაულის ჩადენა მოასწრეს ბუნების მიმართ:

ერთი ხე იდგა არხეინად
ხეივნის ბოლოს
მოვიდნენ უხეშები და
ცული დაარტყეს.
ეხ – ამოიოხრა ხემ
და გაჩუმდა.
უხეშებო, უხეშებო,
თქვენს ხელებს ყველა გაებუტება.

ინტერვიუ 24 წლის შემდეგ

"თუ ადამიანი გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის"[1]

ეკა მაღალდაძე

ინტერვიუ მწერალთან, „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელთან და „მწვანე აქტივისტთან“ ნაირა გელაშვილთან

საქართველოს ენერგეტიკული განვითარების მიმართულებაზე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, ეკოლოგიური ცნობიერების გაზრდაში საზოგადოებისა და სოციალური ინსტიტუტების როლზე „ლიბერალის“ შეკითხვებს მწერალი და „მწვანე აქტივისტი“ ნაირა გელაშვილი პასუხობს.

ქალბატონო ნაირა, თქვენ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით, სიტყვით გამოხვედით საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ყრილობაზეც. ის, რომ გარემოსდაცვითი საკითხები კოალიციამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა, იყო თუ არა თქვენი გადაწყვეტილების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი?

ჩვენ ყველამ „ქართული ოცნება“ იმ ერთადერთ ძალად აღვიქვით, რომელსაც შესწევდა უნარი დაესრულებინა ჩვენს თავს დატეხილი ცხრაწლიანი კოშმარი. ეს კოშმარი კი მდგომარეობდა არა მხოლოდ „დაუვიწყარ“ ძალადობაში ადამიანის, არამედ, ჩვენი სასიცოცხლო სივრცის მიმართაც. ამიტომ მეც და სხვებიც „ქართული ოცნებისგან“ ველოდით ყველა ფუნდამენტური ფასეულობის, მათ შორის, ბუნებრივი მემკვიდრეობის: მდინარეების, მთების, ტყეების და ა.შ. დაცვას. მართლაც, მათ პროგრამაში აშკარად გამოკვეთილი იყო ეკოლოგიური და გა-

1 გამოქვეყნდა ჟურნალში „ლიბერალი“, 28.05.2013; http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115000/

რემოსდაცვითი ცნობიერების ნიშნები და დაპირებები. ერთადერთხელ მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრა. ვუთხარი, რამდენი ჰესის აშენებას გეგმავდნენ „ნაციონალები“, რამდენი მდინარის განადგურებას ნიშნავდა ეს და რამდენად იზრდებოდა ამით ბუნებრივი კატასტროფების რისკი. ჩემი შთაბეჭდილებით ჩემ წინ იდგა ადამიანი თანდაყოლილი მგრძნობელობით ცოცხალი ბუნებისა და მისი სილამაზის მიმართ (ამიტომ იმ წუთებში იგი ვეღარ დავუკავშირე იმ სრულიად დამთრგუნველ სასახლეს თბილისის თავზე, რომელსაც მუდამ ვაკრიტიკებდი). ამანაც განაპირობა, რომ საბოლოოდ სიტყვით გამოვედი. ცივილიზებული საზოგადოებისთვის უკვე ძალზე ნაცნობი აზრის გამოთქმას ვცდილობდი, კერძოდ, რომ ადამიანის პასუხისმგებლობის არეალი უნდა გაიზარდოს და მეორე ადამიანის გარდა, ბუნების საგნებიც, ყველა სულიერი არსებაც უნდა მოიცვას, ანუ ადამიანმა ბოლოსდაბოლოს უნდა გააცნობიეროს, რომ მას მართებს იყოს ეთიკური არა მხოლოდ სოციუმის, არამედ მთელი სამყაროს, მცენარეებისა და ცხოველების მიმართაც. ეს არის უკანასკნელი საუკუნეების ევროპული აზროვნების ყველაზე კეთილშობილური და ღრმა ნაკადი, ერთადერთი, რომელიც მომავალს უხსნის გზას. ჩვენთან კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მსოფლგანცდას უპირველესად ვაჟა-ფშაველას პოეზიაში აქვს ფესვი გადგმული. ეს არის ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა და ჩვენი მსოფლხატის საფუძველი, და როცა მთებს და ხეობებს ანადგურებ თუ შვლის მოკვლას კანონით აწესებ, საკუთარ ფესვებს ხრავ და ეროვნულ უსახობას, არარაობასა და კანიბალიზმს უხსნი გზას. სამწუხაროდ, იქვე ვიგრძენი, რომ ეს რეგისტრი რაღაც უადგილოდ ჟღერდა და იმ მაჟორულად განწყობილი დარბაზის დიდი ნაწილი ამ პრობლემის მიმართ გვარიან უგრძნობლობას ამჟღავნებდა. იგრძნობოდა „ძველი ნაღმების“: კლიშეებისა და ლოზუნგური „სიმართლეების“ სუნთქვა.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კახა კალაძის ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნისა და მისი ბიზნესინტერესების შესახებ, თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ „პირველი მძიმე ჩრდილი დაეფინა“. რას ფიქრობთ ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობაზე?

ეს ჩრდილი დღეს კიდევ უფრო გამუქდა. თავიდანვე მთელი საზოგადოების განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ მინისტრად არაპროფესიონალი ადამიანი დაინიშნა. ჩვენ ყველა მთავრობას ამას ვუჩიოდით და ახლაც ეს მოხდა: ასეთი რთული და სტრატეგიული დარგის მინისტრად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც დარგთან შეხება არ ჰქონდა. მოგვია-

ნებით კი ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან შევიტყვეთ ის, რაც დაგვიმალეს, რომ კახი კალაძე თურმე სწორედ საკუთარი ფინანსური ინტერესების გამო მოხვდა ამ ადგილას. ვის და როგორ გადაუფორმა მან თავისი 49%-იანი წილი, ეს კიდევ საკითხავია.

ადამიანები ახალი ხელისუფლებისგან ზნეობრივ განახლებას ელოდნენ და არა მხოლოდ პურს. თუმცა ძალიან კარგად შემიძლია წარმოვიდგინო ის უზარმაზარი სიძნელეები, რომელთა წინაშეც პირადად ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა.

გზა, რომელსაც „ოცნება“ და ენერგეტიკის სამინისტრო დაადგნენ, ნიშნავს, რომ საქართველო ადამიანთა საცხოვრისად აღარ ივარგებს და უბრალოდ ტერიტორიად გადაიქცევა. განათლების, სოფლის მეურნეობისა თუ ბევრ სხვა სფეროში დაშვებული შეცდომები ადრე თუ გვიან შეიძლება გამოვასწოროთ. მაგრამ ის, რაც აღარასდროს აღდგება, არის განადგურებული, დანგრეული და აფეთქებული ხეობები, მკვდარი ტბები და მდინარეები. აქ, კალაძის ფანტაზიით, აღარც თერგი უნდა ქუხდეს, აღარც არაგვი და მათ ნაცვლად გიგანტური რკინის მილები უნდა გაწვნენ ხეობებში. ნამდვილი აპოკალიფსური ლანდშაფტია!

ჩვენს შვილებს კარგი და ლამაზი ვერაფერი დავახვედრეთ. ერთადერთი ბუნება დარჩა, მთები, ხეობები, ტყეები და ველ-მინდვრები – სილამაზის, სიმშვიდის, სილაღის საუფლო, სადაც ქალაქის სნეული ცხოვრებით გამოფიტულ ახალგაზრდებს სულიერი ძალების აღდგენა შეუძლიათ. მახსოვს, როგორ ავივსეთ პოეზიით და ახალი სასიცოცხლო ძალებით მე და ჩემი მეგობრები, როდესაც პირველად მოვხვდით ალპინიადაზე უნიკალურ ხდის ხეობაში, რომელსაც ახლა განადგურება დაუპირეს. მაინტერესებს, მისი მოსპობის სანაცვლოდ, რა უნდა მოგვცენ? ისედაც როგორაა ეს საკითხი გადაბმული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებთან, როცა არსებობს მცირემიწიანი ქვეყნის 2000 ჰექტარის წყლით დაფარვის გეგმა?

საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, ეს ტექნოკრატები მართლა ეშმაკებივით შეუჩნდნენ ხაიშისა და სხვა სვანური სოფლების მოსახლეობას: გაყიდეთ თქვენი მიწა-წყალი, წყალში ჩაძირეთ თქვენი მამა-პაპის, შვილებისა თუ და-ძმის საფლავები! სიწმიდეები, ეკლესიები, სავარგულებიო! ამისკენ მოვუწოდებთ ხალხს? ის, რასაც ამდენი წელია ხაიშელები უძლებენ – გმირობის ტოლფასია. ეს მატერიალისტი ტექნოკრატები რომ მიუშვა, რაც საქართველოს თავზე ვარსკვლავებია, იმათაც გაყიდიან. არ ესმით, რომ ყველაფრის გაყიდვა და ფულად ქცევა არ შეიძლება!

ამასობაში კი კახა კალაძე უკვე იმ გარემოსდამცველების შეურაცხყოფაზე გადავიდა, რომლებიც ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციას არ ეთანხმებიან. შეიძლება, ვთქვათ, მინისტრი არ იყოს დარგის სპეციალისტი, მაგრამ იყოს მგრძნობიარე მშობლიური ბუნებისა და ცოცხალი სილამაზისადმი, თავისი დაუმახინჯებელი, პირველადი შეგრძნებებით სწორი დამოკიდებულება ჰქონდეს სამყაროს, სიცოცხლისა და საკუთარი ხალხის ბედის მიმართ. მაგრამ არც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საზოგადოებაში ტრიალებს აზრი, რომ კალაძე მხოლოდ ფიგურაა, რომლის ხელითაც გარკვეული საქმე კეთდება და ამ პროცესების უკან დიდი ფინანსური ინტერესების მქონე ჯგუფი დგას, მათ შორის – ნაციონალებიც. ეს არ ვიცი, მაგრამ რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ ამ „ენერგეტიკულმა სტრატეგიამ“ „ქართულ ოცნებას“ უამრავი საუკეთესო ადამიანი დააკარგვინა, რადგან ისე გამოდის, რომ ეს ხელისუფლება ერთი ხელით აშენებს და მეორეთი ანგრევს. ამას ღრმა გულისტკივილით, თითქმის სასოწარკვეთით ვამბობ, რადგან არც ჩემი ქვეყანა მემეტება ამისთვის და არც ბიძინა ივანიშვილი ამ „მისიისთვის“. ის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებაა, ეს კი დიდ ჩრდილს მიაყენებს მას. უმეტესობას მის ირგვლივ დასაკარგი ხომ არაფერი აქვს.

გარემოსდამცველებს ბოლო დროს ხშირად უწოდებენ განვითარების მტრებს. პრემიერმინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი და სხვებიც ამბობენ, რომ ქვეყანას ეს პროექტები ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისთვის სჭირდება. რა შეგიძლიათ მათ უპასუხოთ?

ეს უკვე შაბლონურ ფრაზად იქცა, რადგან მაგის მეტი, როგორც წესი, არაფერი აქვთ სათქმელი. ამას ამბობდა ყველა, საბჭოთა ტექნოკრატიული მაფიიდან დაწყებული. ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნა გარემოს დამცველმა ირაკლი მაჭარაშვილმა, სადაც აჩვენა, რომ ასეთ მითებს თვითონ წარსულში ჩარჩენილი ენერგეტიკოსები თხზავენ, შეგნებულად ან გულწრფელად. სამწუხაროდ, ის ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან, ჩვეულებრივ, არ გამოირჩევიან ფართო ჰუმანიტარული განათლებით, რისი ნაწილიცაა ეკოლოგიური აზროვნება.

მთელ დასავლურ სამყაროშიც უკვე აქსიომაა, რომ თუ ადამიანი ეკოლოგი და გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის და მომავალს ვერ ააშენებს. ის, ვისაც კი ბუნების მიმართ მგრძნობელობა აქვს, ღიაა სამყაროსათვის, მომავლისთვის. გამუდმებით ადამიანის უფლებებზე რომ ვსაუბრობთ, განა ადამიანის უპირველესი უფლება მისი სი-

ცოცხლის უფლება არ არის? როგორ უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება სასიცოცხლო სივრცის განადგურების პირობებში?

ჩვენ, ეკოლოგიური კატასტროფების ეპოქაში მცხოვრებთ, ტექნიკის გამანადგურებელი ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე, კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა თუ მოგონილი გვგონია, თუ რადიაციის მატება არ გვაშინებს, თუ მოწამლული, „აგრესიული" წყალი და ჰაერი არ გვაფიქრებს, მაშინ წარსულს ვეკუთვნით და ვერ გადავრჩებით.

ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია იმ სიტუაციას ჰგავს, გასათბობად რომ სახლი დაწვა. პრობლემა ცნობილია, მაგრამ მისი გადაჭრის სხვა გზებიც არსებობს. ისე იწუნებენ ე.წ. განახლებადი ენერგიების გზას, რომ არც სწავლობენ სერიოზულად.

ვისაც მართლა აინტერესებს პრობლემის გადაჭრა, ის სერიოზულად უნდა მუშაობდეს ამ საქმის სპეციალისტებთან და არა მხოლოდ იმ საბჭოთა ენერგეტიკოსებთან, რომლებითაც სავსეა ენერგეტიკის სამინისტრო. რომლებსაც მას მერე ახალი ცოდნა აღარ შეუძენიათ და საბჭოთა დროის დაწუნებული პროექტების ამოქმედებაზე ოცნებობენ.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ენერგია გვჭირდება, რომ ენერგოდამოუკიდებლობა გვჭირდება, იქნებ სჯობდეს, ჯერ ის გვითხრან, როგორ ქვეყანას ვაშენებთ. არ გვეღირსა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომელსაც დაეფუძნებოდა ენერგეტიკული სტრატეგია. შევთანხმდეთ, რას ვაშენებთ, ინდუსტრიულ სახელმწიფოს, უზარმაზარი საწარმოებითა და ენერგიის მშთანთქმელი ცენტრალებით? რას ვავითარებთ: ენერგიატევად თუ მეცნიერებატევად დარგებს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცირე მრეწველობის დარგები, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, ტურიზმი და ა.შ., ანუ ბუნების დამზოგავი დარგები უნდა განვითარდეს, რადგან ჩვენ ურთულესი ეკოსისტემების, აქტიური მიწისძვრების ზონაში ვცხოვრობთ და ძალიან ფრთხილად უნდა ვმოქმედებდეთ, რომ ეს ფაქიზი და საშიში შენობა თავზე არ დავიმხოთ.

საქართველო, როგორც „მწვანე" ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებს – თავისთავად საკმაო ფინანსებსაც მოიზიდავდა და ჩვენი მოსახლეობის სრულიად შერყეულ ჯანმრთელობასაც აღადგენდა. შეგნებული ტურისტი ტექნოლოგიური მიღწევების სანახავად არ დადის. ის იქ მიდის, სადაც სიცოცხლე, უნიკალური ბუნება და კულტურაა დაცული, სადაც სუფთა წყალს დალევს და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიიღებს.

რას ფიქრობთ მწვანეთა პარტიის საქმიანობაზე, რომლის ლიდერიც კოალიციის პარტიული სიის ოცეულში შედიოდა და კოალიციის გამარჯვების შემდეგ, პრაქტიკულად, არ გვახსოვს გია გაჩეჩილაძის კრიტიკული გამოსვლა?

ვფიქრობ, გიორგი გაჩეჩილაძე ხელისუფლებაში სწორედ იმიტომ შეიყვანეს, რომ მისი გაუვნებელყოფა მომხდარიყო. ახლა საზოგადოების მხრიდან უზარმაზარი შეკითხვა არსებობს გია გაჩეჩილაძის მისამართით. პროფესიონალი გარემოსდამცველი, მწვანეთა პარტიის ლიდერი არის კოალიციის წევრი, რომელიც ლამის ყველა მდინარეს ყიდის და წირავს. ის, რომ იგი არც გარემოს დაცვის მინისტრად დაინიშნა და არც კომიტეტის თავმჯდომარედ, უკვე ავბედითი ნიშანი იყო.

„მწვანე აქტივიზმი“, როგორც ასეთი, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს, გარემოსდამცველები ხშირად მიუთითებენ, რომ დაბალია ეკოლოგიური ცნობიერებაც. ეკოლოგიური პრობლემების შესახებ გამართულ აქციებზეც, როგორც წესი, ძალიან ცოტა ხალხია. რატომ ხდება ასე, რატომ არის ამ მიმართულებით ნაკლები ინტერესი და აქტივობა?

ყველაზე მთავარი ისაა, რომ იდეის დისკრედიტაცია მოხდა. უფრო ადვილია თავიდან შექმნა რაღაც ახალი, ვიდრე ძველი ააღორძინო. 90-იან წლებში მწვანეთა მოძრაობა ზურაბ ჟვანიას წყალობით ძალიან პოპულარული და ძლიერი გახლდათ. ეკოლოგიური იდეა ქვეყანაში ყველაზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. მწვანეთა მოძრაობა ყველაზე ნათელი და პროგრესული ძალა იყო, რომელმაც სხვადასხვა თაობისა და დარგის საუკეთესო სპეციალისტები, დიდი ინტელექტუალური რესურსი გააერთიანა, ბევრი ხმაც მიიღო და პარლამენტშიც შევიდა. მაგრამ შემდეგ თავისივე იდეებს უღალატეს. შევარდნაძის პერიოდში რომ დაიწყო ტყეების უკონტროლო მასობრივი ჩეხვა, პარკების გაპარტახება და სხვა პროცესები, მერე ამან შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა, მზარდი სიღატაკე არც ეკოლოგიისთვის და, საერთოდ, არც დემოკრატიისთვის არ ტოვებს სივრცეს. დემოკრატია იმ ქვეყნებში ძლიერდებოდა, რომლებიც აღმავალი კეთილდღეობის გზით მიდიოდნენ. ჩვენ კი იმ დროში მოგვიწია სიღატაკემ, როცა დრო აღარ ითმენს. როცა მთელი პლანეტა დასნეულებულია და უკვე სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების პრობლემა დგება. გლობალური დათბობა იმაზე

სწრაფად მიიწევს წინ, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ და ვიდრე მას შეიძლება მეცნიერული აზრი დაეწიოს. ეკოლოგიურ კატასტროფებს ჩვენნაირი ღარიბი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება.

რას ფიქრობთ გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე?

გარემოს დაცვის მინისტრი პროფესიონალია, სამინისტრო ამოძრავდა და თითქოს ცდილობს თავის სიმაღლეზე იდგეს. მაგრამ მეტი მოეთხოვებათ. მინისტრი ისეთი მებრძოლი უნდა იყოს, რომელსაც არავისი ეშინია, ის პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე უნდა აწყობდეს და განუწყვეტლივ აწვდიდეს საზოგადოებას ინფორმაციას. ზოგადად კი მგონია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო განათლებისა და კულტურის სამინისტროებთან ერთად უნდა მუშაობდეს. მათი ერთობლივი მოვალეობა და მიზანი ახალი თაობის აღზრდა უნდა იყოს. კულტურა ხომ მხოლოდ ხელოვნება არაა, როგორც ჩვენთან ჰგონიათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ყოფითი კულტურაა – მისი ქცევის წესები, მისი მიმართებები სხვა ადამიანებთან, ბუნებასთან და ყველაფერ ცოცხალთან. დღეს არანაირი განათლება არაფერს აღარ ნიშნავს, თუ ის ეკოლოგიურ განათლებასაც არ შეიცავს. საჭიროა ბავშვობიდანვე გაიზარდოს ადამიანი დედამიწის მოქალაქედ. ამისთვის საჭიროა შესაბამისი საბავშვო ლიტრატურის, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების, სპექტაკლების და ა.შ. სტიმულირება.

რამდენად აქტიურები არიან გარემოსდამცველი ორგანიზაციები ან სხვა სოციალური ინსტიტუტები, თუნდაც მედია, ეკლესია და ა.შ.?

სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს პრობლემა არ აწუხებთ არც ჩვენს ჟურნალისტებს, არც „ექსპერტებს“, არც „ინტელექტუალებს“, არც სულიერ მწყემსებს და არც პარტიებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებიც არ არიან საკმარისად აქტიურები. შეიძლება არ ჰყოფნით ძალები და ფინანსები. თუმცა, ბევრია მართლა პროფესიონალი და თავდადებული გარემოსდამცველი, განსაკუთრებით „მწვანე ალტერნატივაში“ და ორგანიზაცია „სტეფანწმინდაში“.

საინტერესოა, რატომ დუმს ეკლესიაც. მიკვირს, რომ ეკლესია პასიური იყო მაშინაც, როცა მის სამწყსოს ფეხქვეშ იგდებდნენ და მაშინაც, როცა ბუნება ნადგურდებოდა. ბუნება ღმერთის შესაქმე არ არის? ღმერთს ბუნების გარდა არაფერი შეუქმნია, ხილულ სამყაროს ვგულისხმობ. ადამიანიც ბუნებაა, მისი გვირგვინი (რომელიც ბუნების გამნადგურებლად იქცა). როცა ნადგურდება ტბა, მდინარე, სასი-

ცოცხლო სივრცე, ნუთუ ეკლესია ამ დროს განგაშის ზარებს არ უნდა რეკდეს?

რაც შეეხება ჩვენს ტელევიზიებს, მათ რომ ფასეულობები ესმოდეთ და მათი დაცვის სურვილი ამოძრავებდეთ, რაღა გვიჭირდა. თუ ხალხს არ მიაწოდე ინფორმაცია, რა ელის აჭარას, სვანეთს, რაჭას, ყაზბეგს, იქნება ბურანში და ამ ბურანში ეწვევა კატასტროფა.

ეკოლოგიური საკითხები სწორედ იმითაა გამორჩეული, რომ არ არსებობს ლოკალური ეკოლოგიური პრობლემა, ეს ყველას ეხება. მწვანეთა მოძრაობები მთელ მსოფლიოში ნებისმიერ ფაქტს ერთად აპროტესტებენ, რადგან იციან, რომ ზიანი და შედეგები ყველასთან მივა, სულერთია სად ზიანდება სიცოცხლე და დედამიწა.

როგორია თქვენი, როგორც „მწვანე აქტივისტის“ ალტერნატივა, როგორ განვითარებას სთავაზობთ ქვეყნის მესვეურებს?

პირველ ყოვლისა, უნდა დაიდოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ამას დაეყრდნოს ენერგეტიკული სტრატეგია, დღევანდელი მსოფლიოს ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით. როდესაც ვამბობთ, რომ ორიენტაცია დასავლეთზე გვაქვს აღებული, იციან კი, რომ იმავე ევროპაში, როდესაც ტექნოკრატები დამანგრეველ გზას დაადგნენ, ამას სწორედ ის მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა, რის გამოც ევროპას ვცემთ პატივს – არა იმიტომ, რომ იქ ტექნიკამ მოსპო სიცოცხლე, არამედ იმიტომ, რომ მათ ამისგან მწარე გაკვეთილი მიიღეს, დაკარგეს ბრწყინვალე ევროპული ლანდშაფტები, მაგრამ მიხვდნენ შეცდომას და ამ ყველაფერს საწინააღმდეგო ეკოლოგიური ცნობიერებით გაჯერებული მწვანეთა მოძრაობები დაუპირისპირდა. ჩვენ ევროპისგან ვიღებთ დესტრუქციულ და არა კონსტრუქციულ ტენდენციებს. ნეკროფილურ, გამანადგურებელ ტენდენციებს და არა იმას, რაც მართლა პატივისცემის ღირსია, რითაც ისინი მომავალს ქმნიან და თავისივე წიაღში წარმოქმნილ გამანადგურებელ ტენდენციებს ებრძვიან.

ყველაზე მოწინავე, ზუსტი მეცნიერულ-ეთიკური დასკვნა კი ის არის, რომ კაცობრიობამ მომჭირნე, ეკონომიური, თავმდაბალი ცხოვრება და უბრალოების სიყვარული უნდა ისწავლოს. გაიაზროს, რომ ეს გაუმაძღრობა და ზღვარგადასული ფუფუნებისკენ ლტოლვა, რაც უამრავ ენერგიას მოიხმარს და ბუნებას ფიტავს – საბოლოოდ, ნებისმიერ საზოგადოებას დაღუპავს.

მწვანეთა პარტიის ოფისის საარქივო დოკუმენტები, 2012 წელი

VI

დანართი: დოკუმენტები

სვანეთის მკვიდრ ც. გულედანის წერილი რუსთაველის საზოგადოებას ხუდონჰესის მშენებლობასთან დააკავშირებით, 6.11.1988



სვანეთის მკვიდრ ც. გულედანის წერილი რუსთაველის საზოგადოებას ხუდონჰესის მშენებლობასთან დააკავშირებით, 6.11.1988



მწვანეთა ცენტრალური ოფისის საორიენტაციო სტრუქტურის სქემები, ხელით შესრულებული, დაუთარიღებელი



მწვანეთა ცენტრალური ოფისის საორიენტაციო სტრუქტურის სქემები, ხელით შესრულებული, დაუთარიღებელი


ბიბლიოთეკა
ინსპექტორები
ბანკოვანი
ინსპექტორები
ინსპექტორები
ინსპექტორები
ინსპექტორები
ბიბლიოთეკა
ბანკოვანი
ბანკოვანი
ბანკოვანი

საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები, მიღებული 1991 წლის მე-2 კონგრესზე

საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები

მიღებულია
საქართველოს მწვანეთა მოძრაობის
და საქართველოს მწვანეთა პარტიის
გაერთიანებულ, II კონგრესზე, 1991 წელს.

ჩვენ ვართ საქართველოს მწვანეები, ადამიანთა ერთობა, რომელთაც გვაერთიანებს პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და მომავალ თაობათა წინაშე და ჩვენი საარსებო გარემოს, ჩვენი დედა-ბუნების კატასტროფული მდგომარეობის სრულად გაცნობიერებული განცდა.

ჩვენ გავერთიანდით, რათა შევქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელშიც გვსურს ცხოვრება: საზოგადოება, რომელშიც ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი; საზოგადოება, რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ურთიერთს ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს; საზოგადოება, რომელიც ორიოდ ათწლეულში არ ამოწურავს საუკუნეებისთვის განკუთვნილ რესურსებს; საზოგადოება, რომელშიც მოქალაქე კი არ იარსებებს სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფო - მოქალაქისთვის; საზოგადოება, რომელშიც ყოველ მოქალაქეს ექნება საკუთარ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საშუალება; საზოგადოება, რომლისთვისაც თითოეული ადამიანის სიცოცხლე იქნება უდიდესი ფასეულობა.

ჩვენი მიზანია შევქმნათ მდგრადი, ჰუმანური და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოება.

ჩვენთვის უმთავრესი ღირებულებაა ადამიანი. ადამიანთა სიცოცხლე დღეს საფრთხეშია საარსებო გარემოს საყოველთაო დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების უმოწყალო გაჩანაგების გამო. ამ საფრთხის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად ჩვენი თითოეული მოქმედება.

ჩვენთვის უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს თავად ბუნების დაცვა, იმისდა მიუხედავად, დაკავშირებულია თუ არა იგი კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანთა მატერიალურ კეთილდღეობასთან.

ჩვენ განვიხილავთ ადამიანს, როგორც ბუნების ერთიან, განუყოფელ ნაწილს და არა როგორც მის ზემოთ მდგომს, რომლის ინტერესებსაც უნდა შეეხამოს ბუნებრივი პროცესები. ადამიანის განსაკუთრებულობას ბიოსფეროში განსაზღვრავს მისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და არა განსაკუთრებული უფლებანი.

საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები, მიღებული 1991 წლის მე-2 კონგრესზე

ჩვენი პრინციპია მოსალოდნელ გართულებათა პროფილქტიკა, და არა მომხდარ ფაქტებთან ბრძოლა. ამ პრინციპის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო სისტემის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რესურსსარგებლობის პრინციპების ძირეული შეცვლის გზით. ამისთვის ჩვენ ვქმნით და ვატარებთ ჩვენს მწვანე პოლიტიკას. ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება გრძელვადიანი განზომილებებით. პროგრამებისა და პროექტების, ინიციატივების შემუშავებისას

ჩვენი ორიენტირია არა მხოლოდ დღევანდელი ამომრჩევლის ინტერესები, არამედ იმათიც, ვინც ჯერ არ დაბადებულა და ამდენად არც საკუთარი ინტერესების დაცვა შეუძლია. ეკონომიკური ზრდა და მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა არ არის ჩვენი თვითმიზანი.

სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში ჩვენ ვიზიარებთ ტრადიციული დასავლური დემოკრატიის პრინციპებს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრულ გამიჯვნას.

ჩვენ ვიღწვით საპარლამენტო სახელმწიფოს შექმნისთვის, რომელშიც არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელში იქნება მოქცეული რეალური ძალაუფლება და რომელშიც სასიცოცხლო გადაწყვეტილებების მიღება არ მოხდება უმაღლესი სახელმწიფო ჩინოვნიკების კაბინეტებში. ჩვენ ვიღწვით იმგვარი სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელშიც მოქალაქე არ იქნება დამოკიდებული ბიუროკრატული აპარატის თავნებობაზე და რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი პრინციპი კანონის უზენაესობა იქნება.

ჩვენთვის მიუღებელია ხელისუფლების განუსაზღვრელი ცენტრალიზაცია: ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია დემოკრატიული სისტემის დაფუძნება. ცენტრალური მმართველობის ხელში მხოლოდ ის ფუნქციები უნდა იყოს, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, ერთიანი ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ახლობელია ძირეული დემოკრატიის პრინციპები. ჩვენ ვიღწვით დემოკრატიზმის პრინციპების დამკვიდრებისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ვინაიდან მათ გარეშე შეუძლებელად მიგვაჩნია საზოგადოების სტაბილური, ჰარმონიული, გაწონასწორებული განვითარება.

თავისთავად დემოკრატია არ წარმოადგენს ჩვენს თვითმიზანს, რადგან ვერავითარი დემოკრატია ვერ უზრუნველყოფს ჩვენს მირ დასახულ მიზანთა მიღწევას, თუ არ მოხდება საზოგადოების ცნობიერების ძირეული შეცვლა, თუ მოსახლეობა სრულად და სიღრმისეულად არ გაიცნობიერებს მის წინაშე მდგარ პრობლემებს.

ეკონომიკაში ჩვენ ვიღწვით საბაზრო მექანიზმების დამკვიდრებისათვის, ვინაიდან ვთვლით, რომ კონკურენციის მექანიზმი საფუძვლად უნდა დაედოს რესურსების რაციონალურად გამოყენების პრინციპს. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი რესურსების საწარმოო მოხმარების სათანადო რეგლამენტაციის გარეშე საბაზრო ურთიერთობებს მივყავართ გარემოს დაბინძურებამდე, შემოსავლის უაღრესად არათანაბარ განაწილებამდე, საერთო განვითარების კრიზისამდე. ამდენად, საბაზრო სტრუქტურებს უნდა საზღვრავდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და შემოსავლის განაწილების რაციონალური პარამეტრები. ამ საზღვრებს შორის კი რჩება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა არე, გახსნილი ყოველგვარი კერძო ინიციატივისთვის.

საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები, მიღებული 1991 წლის მე-2 კონგრესზე

ჩვენ სათუთად ვინახავთ და პოპულარიზაციას ვუწევთ ეროვნულ ფასეულობებს. ეროვნული კულტურა შეიცავს გარემომცველ სამყაროსთან მრავალათასწლოვანი მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეგუების უნიკალურ გამოცდილებას. ეროვნული კულტურის რღვევა იწვევს საარსებო გარემოს ნგრევას და პირიქით. ამდენად ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ტრადიციული ინსტიტუტების, ბუნებასთან თანაარსებობის გამოცდილების აღდგენას. საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი საზოგადოება ვერასდროს ვერ გადაწყვეტს განვითარების პრობლემებს.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ძალადობას. თანამდროვე მსოფლიო არ იცნობს ძალადობით რომელიმე პრობლემის წარმატებით გადაჭრის არც ერთ მაგალითს. ძალადობას მივყავართ მხოლოდ საპასუხო ძალადობამდე, რაც აფერხებს განვითარებას, საშიშროებას უქმნის თავად ჩვენს არსებობას, ამდენად ჩვენს მოქმედებებში ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ არაძალადურ, მშვიდობიან მეთოდებს.

ჩვენთვის უცხოა ადამიანთა ყოველგვარი შევიწროება თუ დევნა მათი რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი შეხედულების გამო. საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს თავისუფლება შეუძლებელია თითოეული მოქალაქის თავისუფლების გარეშე.

ჩვენ, საქართველოს მწვანეები, წარმოვიშვით და განვვითარდით, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი.

ვინაიდან ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური თუ ნებისმიერი სხვა პრობლემის საბოლოო გადაჭრის აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და გამტკიცება.

ჩვენ დღესაც სულიერად ვართ დაკავშირებული ქართული ეროვნული მოძრაობის იმ ძალებთან, რომლებიც იღწვიან საქართველოში რეალურად დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოების შექმნისთვის, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ ეროვნული და პიროვნული თავისუფლების იდეებს. ამავე დროს.

ჩვენ ვართ ნაწილი მსოფლიო მწვანე მოძრაობისა. ჩვენ სოლიდარულნი ვართ ყველა იმ ძალასთან, რომელიც იღწვის მდგრადი, სამართლიანი საზოგადოების შექმნისთვის მთელ დედამიწაზე. ჩვენ სოლიდარულნი ვართ ყველა იმასთან, ვინც ცდილობს აღმოფხვრას არსებული უთანასწორობა განვითარებული და მესამე მსოფლიოს ქვეყნებს შორის, ვინც იბრძვის ტოტალიტარიზმის, იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ მის ნებისმიერ გამოვლინებაში.

ჩვენი პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოთი. ჩვენ გვაწუხებს ის რაც ხდება კავკასიაში, მთელს პლანეტაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა პლანეტარულია.

ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს, სადაც წაიშლება დაპირირსირებულობა სახელმწიფოთა შორის, ერთიან და ინტეგრირებულ მსოფლიოს, სადაც თითოეული ხალხი შეინარჩუნებს საკუთარ თვითმყოფადობასა და თავისუფლებას.

ჩვენ, საქართველოს მწვანეები არავის არ ვთავაზობთ გაბატონებული იდეოლოგიის ახალი იდეოლოგიით შეცვლას: ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ ბუნებრივი აუცილებლობით ნაკარნახევ ცხოვრების ახლებურ წესს.

საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992



საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992



საქართველოს მწვანეთა მეოთხე კონგრესის

რეზოლუცია.

ჩვენ წიდად გვერგო უდიდესი პასუხისმგებლობა – ვიცხოვროთ და ვიმოღვაწეოთ საქართველოს მთელი სამომავლო განვითარების განმსაზღვრელ ეპოქაში. მსოფლიო პოლიტიკურმა პროცესებმა მოგვცა რეალური შესაძლებლობა დავიბრუნოთ საკუთარი ადგილი თავისუფალი ხალხების თანამეგობრობაში, ავაგოთ დემოკრატიული საზოგადოება. უზრუნველყოთ თითოეული მოქალაქის ღირსეული არსებობა. ამდენად სწორედ ყოველ ჩვენთაგანზე დღეს დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ამ ისტორიული მომენტის გამოყენებას და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მკვიდრი საფუძვლის შექმნას, თუ ისევ სხვის საპატრონოდ გავიხდით თავს.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური ავბედითობის გამო, საქართველო დღეს ღრმა კრიზისშია. არსებითად მოშლილია ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, საზოგადოებაში გამეფებულია ანარქია და განუკითხაობა, არნახულ დონეს მიაღწია კორუფციამ; მოსახლეობის დიდი ნაწილი მიყვანილია სიღატაკის უკიდურეს მიჯნამდე; ძალადობა, ტერორიზმი, შეიარაღებული დივერსიები იქცა ყოველდღიური ცხოვრების წესად.

არსებული ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ნაწილი დაუფარავად ცდილობს ვითარების მკვეთრ დესტაბილიზაციას, მიმართავს უკიდურეს ზომებს, თუნდაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის, შელახვის გზით. უაზრო პოლიტიკურ ავანტიურებს უკვე შეეწირა ათეულობით ადამიანის, მათ შორის ბარაბაროსულ ტერორისტულ აქტებში დაღუპულ ბავშვთა, სიცოცხლე; ქვეყანამ, ამ უკიდურესი ეკონომიკური სიღუნჯირის ჟამს, მიღიონობით მანთის ოდენობის ზარალი განიცადა.

ამავე დროს ,ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები ვერ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულებით. ბოროტმოქმედთა გაუვნებელყოფის ნაცვლად, ხშირად აქვს ადგილი სავსებით უდანაშაულო, შემთხვევით ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების შელახვას, მათ მიმართ რეპრესიული ზომების გამოყენებას. უფრო მეტიც, ჩვეულ მოვლენად იქცა უსასტიკესი დანაშაულობანი ხელისუფლების შეიარაღებულ ფორმირებათა წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთა დიდი ნაწილი დაუსჯელი რჩება. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა შექმნილი ამ მხრივ სამეგრელოს რაიონებში.

თვითდინებაზეა მიშვებული შეიარაღებული ნაწილების მომარაგება, მათთვის ელემენტური ადამიანური პირობების უზრუნველყოფა, თვით უძლიერეს საკონფლიქტო ზონებშიც კი. არსებითად არ არსებობს სამხედრო დისციპლინა, სამხედრო ბრძანების გაცემისა და მიღების სისტემა, არ არის უზრუნველყოფილი სამხედრო წვრთნა და შესაბამისი პროფესიული მომზადება, არ ხორციელდება არანაირი კონტროლი იარაღის გაცემისა და ტარების წესებზე. ყველა ეს გარემოება მკვეთრად ართულებს ვითარებას, განაპირობებს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის უმძიმესი პრობლემების შექმნას, ხშირად ხდება მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი პოლიტიკური მოხესრიგების საშუალებათა ძიებისას.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმ მრავალი ახალგაზრდით, ვინც ამგვარ პირობებშიც კი, ხშირად თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად, პატიოსნად ანერხებს სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე საკუთარი

საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992

ვაღის მოხდას.

მაგრამ რიგით მებრძოლთა თავდადება ვერანაირად ვერ ამსუბუქებს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, ვინც ასე დაუშვებლად აყოვნებს საქართველოს ეროვნული არმიის ჩამოყალიბებას. ყველა არსებულ ფორმირებათა გაერთიანებას ერთიანი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

აღარავისთვისაა დასამალი, რომ შეიარაღებულ ფორმირებათა დიდი ნაწილი სახელმწიფო სტრუქტურებს კი არ ემორჩილება, არამედ დღესათვის ამ სტრუქტურებში მყოფ ცალკეულ პიროვნებებს. არც ისაა საიდუმლო, რომ შეიარაღებული ფორმირებანი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება, რაც უდიდეს საშიშროებას უქმნის ქვეყნის შემდგომი განვითარების ყოველგვარ პერსპექტივებს.

ნაზგასასმელია, რომ ამგვარ ვითარებაში მიმდინარეობს ე.წ. სამხედრო კომპლექსის უალრესად მახინჯი ფორმით ჩამოყალიბება, როდესაც სამხედრო უწყებას გადაეცემა თავდაცვითი ინტერესებისაგან ისე შორს მყოფი ობიექტები, როგორიცაა ნაკრძალები, სამონადირეო და სასოფლო მეურნეობები, მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკები და ა.შ. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არც კი განხილულა ქვეყნის სამხედრო დოქტრინა. მსგავსი ქმედებები სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნის მცდელობას უფრო გავს, ვიდრე ეროვნული ინტერესების დაცვას.

საგანგაშოა ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობაც. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებისა და კავშირების მოშლამ, ეკონომიკური რეფორმების ტემპების შენელებამ, პრივატიზაციის პროცესის შეჩერებამ საქართველოში სოციალური პრობლემების გამწვავება გამოიწვია.

შემოსავალი სულ უფრო დიფერენცირებული ხდება. ერთნი დღითი-დღე მდიდრდებიან, სხვები სულ უფრო ღარიბდებიან. თუ ადრე საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაახლოებით თანაბრად ცხოვრობდა, რაც სოციალური სტაბილურობის უმთავრესი გარანტი იყო, დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი, ოჯახი უახლოვდება სიღატაკის მიჯნას. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავალი არის სიღატაკის ზღვარს ქვემოთ. ჩვენ რეალურად ვუახლოვდებით იმ ზღვარს, როცა ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას სოციალური დაძაბულობანი.

სახელმწიფო სოციალური პროგრამები პრაქტიკულად ვერ მუშაობს. ძალიან მწირია პენსიები, სტიპენდიები და სხვა სახის სოციალური დახმარებანი.

მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობს მიწისა და სამრეწველო ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა. სამაგიეროდ გამაღებით მიდის ფარული პრივატიზაცია. არის საშიშროება, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრე, რომლის შექმნაშიც მეცნაკლებად ყველას მიგვიღია მონაწილეობა, ერთი მუჭა ადამიანების ხელში მოხვდება. ამ აზრს კიდევ უფრო გვიმტკიცებს ჩვენს ქვეყანაში გამეფებული კორუფცია.

პრივატიზაციის პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმები.

განსაკუთრებული შეშფოთებით აღვნიშნავ, რომ საქართველოში არსებული ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგები უპირველესად ბუნებას დაატყდა თავს.

სათბობის გაძვირების გამო უმწყაღოდ იჩეხება ტყეები. იჩეხება ფერდობებზე, რაც ზრდის მეწყერ და ზვავსაშიშროებებს. იჩეხება ქარსაცავი ზოლები, რაც სულ ძალე გამოიწვევს მოსავლის დეგრადაციას. იჩეხება უნიკალური ტყეები, რაც იწვევს კლიმატური პირობების შეცვლას.

თითქოს ეკონომიკური კავშირების რღვევის შედეგად გაძნელდა საქართველოში შხამ – ქიმიკატების შემოტანა და წელს უფრო ნაკლებად უნდა გვაღელვებდეს სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების ეკოლოგიური

საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992

სისუფთავის პრობლემები, მაგრამ მოსახლეობა იყენებს, და თანაც უკონტროლოდ ძველ სასუქებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის ძალზედ სახიფათოა.

არარაციონალური მიწათმოქმედების გამო საქართველოში ეროზირებულია და დეგრადირებულია ნიადაგების 60 %. დაჭუჭყიანებულია მდინარეები და გრუნტის წყლები. კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი შავ ზღვაზე. ორგანული ნაერთებით, ნავთობპროდუქტებით, მძიმე ლითონებით და ქიმიური ნივთიერებებით დაჭუჭყიანება ბევრჯერ აღემატება ყოველგვარ დასაშვებ ნორმებს.

გაჩანაგების პირასაა ცხოველთა სამყარო. სარეწაო მნიშვნელობა დაკარგა მრავალი ჯიშის ცხოველმა, ფრინველმა და თევზმა.

რთული ეკოლოგიური ვითარებაა შექმნილი ქალაქებში. განსაკუთრებით თბილისში. გაძნელებულია ნარჩენების გადამუშავება და ეზო-მიდამოების წესრიგში მოყვანა. ცუდი ხარისხის ბენზინის და გაუმართავი ძრავების გამო მკვეთრად გაიზარდა ნახშირჟანგის შემცველობა ჰაერში. საქართველოს ქალაქები რეალურად დგანან მჟავე წვიმების საშიშროების ქვეშ.

პრაქტიკულად არ ფუნქციონირებენ ის სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც უშუალოდ ევალებათ საქართველოს ბუნების დაცვა და გადარჩენა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ამ ორგანოების, სხვა მმართველობითი სტრუქტურების წარმომადგენელთა განწყობილება, რომ დღეს თითქოსდა ბუნების დრო არაა.

მსგავსი მდგომარეობა რეალური საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ იერსახეს, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ჩვენი უნიკალური ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას.

აღნიშნული და სხვა მრავალი პრობლემების მოგვარება მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების, საბოლოო პოლიტიკური სტაბილიზაციის შედეგად იქნება შესაძლებელი. ამისათვის ერთადერთი გზა არსებობს – საყოველთაო, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები!

მხოლოდ ნაღდის ნდობით აღჭურვილ, ლეგიტიმურ და ყოველმხრივ კანონიერ პარლამენტს ძალუძს ყველა სფეროში გადამწყვეტი რეფორმების ჩატარება. იმ რეფორმების, რომელთა გარეშეც საქართველოში ყოველგვარი პროგრესი განწირულია. მხოლოდ ხალხის მანდატის მქონე ხელისუფლება შეძლებს საერთაშორისო საზოგადოებისაგან სრულფასოვანი დახმარების პროგრამების მიღებას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. და მხოლოდ ამგვარი ხელისუფლების მქონე სახელმწიფო, დემოკრატიის პრინციპების თანმიმდევრული დამკვიდრების შემთხვევაში, შეძლებს თანასწორუფლებიანი პარტნიორობის გაწევას დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობაში.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმ საფრთხესაც, რაც ემუქრება არჩევნების ნორმალურ ჩატარებას. თუ არ მოხდება ვითარების მოწესრიგება სამეგრელოში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, არ გაუქმდება საკომენდანტო საათი დედაქალაქში, არ იქნება უზრუნველყოფილი მოსახლეობის თავისუფალი ნების გამოხატვის პირობები, არჩევნები ან საერთოდ ვერ ჩატარდება, ან მათ არსებითად არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

შეცდომა იქნება არჩევნების ჩატარების მტრები, მხოლოდ ექს-პრეზიდენტის ყველაზე რადიკალურ მხარდამჭერთა რიგებში ვეძებოთ. აშკარაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც არიან პირები, რომელთაც სავსებით აკმაყოფილებს შექმნილი მდგომარეობა, და მეტიც, ვინც ხედავს, რომ არჩევნების შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მათი თანამდებობრივი მდგომარეობა. ეს ის ძალებია, რომელთათვისაც ძნელად მოინახება საარსებო სივრცე არჩევნების შემდგომი საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე. ისინი, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებიან მარტივად გავლენის დაკარგვას, და სავარაუდოა, რომ

საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992



სამომავლოდაც იღონებენ ყოველივეს არჩევნების ჩასაშლელად.

ამას უნდა დაუპირისპირდეს ყველა რეალური პოლიტიკური ძალა, ყველა ვისთვისაც თავისუფლებისა და დემოკრატიის ღიზუნგები ცარიელი სიტყვები არ იყო. ყველა ვისაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საქართველოს ისტორიისა და მომავლის წინაშე. მხოლოდ ერთიანი ბრძოლით შეეძლებთ მოვუტანოთ ნანატრი მშვიდობა ჩვენს ქვეყანას.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე საქართველოს მწვანეთა მეოთხე კონგრესი :

1. მიიჩნევს ღლევანდელობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას დემოკრატიულ ვითარებაში, ზუსტად დადგენილ ვადებში – 11 ოქტომბერს!

2. მოუწოდებს საქართველოში მოქმედ ყველა დემოკრატიულ პოლიტიკურ გაერთიანებას გამართოს ერთობლივი პოლიტიკური კონფერენცია არჩევნების ჩაშლის საშიშროებასთან დაკავშირებით, სადაც მიეცემა პრინციპული შეფასება ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების მოქმედებას, დაიგეგმება პარტიათა ერთობლივ ღონისძიებები წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად.

3. მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპტოს, არ დაუშვას არჩევნების ჩატარების ვადის შეცვლის პრეცედენტი არანაირ ვითარებაში.

4. ავალებს მწვანეთა პარტიის პოლიტიკურ კომიტეტს, უზრუნველყოს ყველა შესაძლო საშუალებებით ამ რეზოლუციის გადაწყვეტილებათა და დებულებების შესაბამის ღონისძიებათა გატარება.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება, 1995

რეგისტრირებულია
საქართველოს რესპუბლიკის
იუსტიციის სამინისტროს
სარეგისტრაციო კოლეგიის 1995 წლის
13 ივლისის №13/20 დადგენილებით

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება

I ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /სმმ/ თვითმმართველობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი წესდების შესაბამისად.

1.2. სსმ თავის სამოქმედო პრინციპად აცხადებს სრულ საჯაროობას, პლურალიზმს, აზრთა თავისუფალ გაცვლას, არაძალადობას.

1.3. სსმ არის იურიდიული პირი, გახსნილი აქვს თავისი ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, გააჩნია ბლანკი, შტამპი საკუთარი სახელწოდებით და მრგვალი ბეჭედი ემბლემითა და წარწერით "მწვანეთა მოძრაობა".

1.4. სსმ-ს აქვს თავისი დროშა, ემბლემა და სხვა სიმბოლოები, რომელთაც ამტკიცებს სსმ-ს კონგრესი.

1.5. სსმ მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.6. სსმ არის მსოფლიო მწვანეთა მოძრაობის შემადგენელი ნაწილი.

1.7. მოძრაობის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის 182.

II სმმ-ს საქმიანობა და მიზნები

სმმ მიზნად ისახავს ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნისა და ცნობიერების პროპაგანდას მასებში, ბუნებისადმი ტექნოკრატიულ-მომხმარებლური დამოკიდებულების აღმოფხვრას, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას.

თავისი მიზნების მისაღწევად კანონით დადგენილი წესით:

- ხელს უწყობს შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებას;
- იბრძვის იმ პირთა და უწყებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ზიანს აყენებენ საარსებო გარემოს;

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება, 1995

- ახორციელებს სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროექტების საზოგადოებრივ ექსპერტიზას;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აფუძნებს საწარმოებს, სააგენტოებს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს. სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლებით ან უამისოდ, რომელთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი მოხმარდება მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.
- ავრცელებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას საკუთარი პრესცენტრისა და ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით, თანამშრომლობს პრესასთან, ტელევიზიასთან და რადიოსთან;
- აწყობს სიმპოზიუმებს, სემინარებს, საჯარო განხილვებს, გამოკითხვებს;
- ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან;
- მართავს მიტინგებს, დემონსტრაციებს, პიკეტებს, მიმართავს პროტესტისა და აგიტაციის სხვა მშვიდობიან ფორმებს;

თავისი ამოცანებიშესრულებისათვის შეუძლია ისარგებლოს მუშაობის სხვა ფორმებითაც.

III სმმ-ს წევრები და მათი უფლება მოვალეობანი

3.1 სმმ შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

სმმ წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს და სხვა ქვეყნების ნებისმიერი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი 16 წლის ასაკიდან, რომელიც იზიარებს და პრაქტიკულად ახორციელებს მწვანეთა იდეებს, თავისი მოქმედებით არ ეწინააღმდეგება მწვანეთა წესდებას, მიზნებსა და ამოცანებს.

სმმ-ში შესვლის მსურველს იღებს მოძრაობის საბჭო ან ის ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს იურიდიული პირის სტატუსი და ამტკიცებს მოძრაობის საბჭო პირადი განცხადების საფუძველზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს მათი სურვილისა და განცხადების საფუძველზე აერთიანებს მოძრაობის საბჭო. კოლექტიურ წევრთა მიღება ხდება მოძრაობის საბჭოს მიერ.

3.2 სმმ-ს წევრს უფლება აქვს:

აქტიური მონაწილეობა მიიღოს სმმ-ს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ამ ორგანოებში

სურვილისამებრ გავიდეს სმმ-ს წევრთა რიგებიდან;

ისარგებლოს სმმ-ს კუთვნილი ქონებით დადგენილი წესისამებრ.

3.3 სმმ-ს წევრი ვალდებულია:

- ასრულებდეს სმმ-ს წესდებას, ახორციელებდეს სმმ-ს სამოქმედო პრინციპებს, პროპაგანდას უწევდეს ეკოლოგიურ მოძრაობას;

- სსმ-ს ხელმძღვანელი ორგანოების დავალებით ნებაყოფლობით საფუძველზე მოახდინოს მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის მობილიზაცია სმმ-ს წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად;
- უზრუნველყოს სმმ-ს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ყველა იმ საშუალებებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

3.4 სმმ-ს მოძრაობის საბჭოსა და რეგიონალურ საბჭოებს უფლება აქვთ გარიცხონ სმმ-ს რიგებიდან ის წევრები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხენ სმმ-ს და ეწინააღმდეგებიან მის მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სამოქმედო პრინციპებს.

IV სმმ-ს სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

4.1 სმმ-ს სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ პირველადი რაიონული /ან საქალაქო/, სამხარეო ორგანიზაციები და საგანგებო სატატუსით მასთან შექმნილი კოლექტიური გაერთიანებები.

4.2 საგანგებო სტატუსით სმმ-თან შექმნილი კოლექტიური გაერთიანებები ვალდებული არიან იცავდნენ და ახორციელებდნენ მწვანეთა პრინციპებს და მოქმედებდნენ მოძრაობის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

საგანგებო სტატუსით სმმ-თან შექმნილი კოლექტიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ აწარმოონ დამოუკიდებელი ფინანსური საქმიანობა, ხოლო ანგარიშწორებას ისინი ახდენენ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4.3 თითოეული პირველადი ორგანიზაცია იქმნება არანაკლებ 3 წევრისგან და თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს, საჭიროებისამებრ ხელმძღვანელობს სხვა ორგანოებს.

4.4 რაიონული /საქალაქო/ ორგანიზაცია, როგორც წესი, შედგება პირველადი ორგანიზაციებისაგან, რაიონული ორგანიზაციის მოქმედებას ადგილზე წარმართავს მისი შემადგენლობიდან არჩეული რაიონული საბჭო და თავმჯდომარე.

4.5 რაიონული ორგანიზაციის საბჭოში შედიან მასში შემავალი პირველადი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი და აგრეთვე არჩეული სმმ-ს წევრები /არჩეულ წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს რაიონული ორგანიზაცია/.

4.6 რაიონული /საქალაქო/ და სამხარეო ორგანიზაცია მწვანეთა მოძრაობის სახელით მოქმედების უფლებას იძენს მოძრაობის საბჭოში რეგისტრაციის შემდეგ. პირველადი ორგანიზაცია რეგისტრაციას გადის მოძრაობის საბჭოში. პირველადი ორგანიზაციის შექმნისა და რეგისტრაციის შესახებ მოძრაობის საბჭოს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის რაიონული საბჭო.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება, 1995

4.7 სამხარეო ორგანიზაცია იქმნება რაიონული /საქალაქო/ ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ერთიანდებიან ნებაყოფლობით საფუძველზე. სამხარეო ორგანიზაციის მოქმედებას წარმართავს მისი შემადგენლობიდან არჩეული საბჭო და თავმჯდომარე.

4.8 სამხარეო და სარაიონო ორგანიზაცია იურიდიული პირის უფლებას იღებს მოძრაობის საბჭოს გადაწყვეტილებით.

4.9 სმმ-ს ხელმძღვანელი ორგანოებია:

სმმ-ს კონგრესი, სმმ-ს დარბაზი და მოძრაობის საბჭო, მთავარი აღმასრულებელი ორგანოა სმმ-ს ცენტრალური სამდივნო, სარევიზიო ორგანოა სმმ-ს სარევიზიო კომისია.

4.10 სმმ-ს კონგრესი წარმოადგენს სმმ-ს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს.

სმმ-ს კონგრესის დელეგატებს ირჩევენ რაიონული და ის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან რომელიმე რაიონულ ორგანიზაციაში, აგრეთვე საგანგებო სტატუსით შექმნილი და სხვა კოლექტიური გაერთიანებები. ორგანიზაციებისაგან დელეგატთა რაოდენობას განსაზღვრავს მოძრაობის საბჭო ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის მიხედვით. დელეგატები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სმმ-ს ცალკეული წევრები, რომელთაც ასახელებს სმმ-ს მოძრაობის საბჭო.

4.11 სმმ-ს კონგრესი მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

4.12 სმმ-ს კონგრესი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორ მესამედზე მეტი.

4.13 სმმ-ს კონგრესი:

- ირჩევს ხმების უბრალო უმრავლესობით ორი წლის ვადით მოძრაობის თავმჯდომარეს, სარევიზიო კომისიის წევრებს და თავმჯდომარეს, მოძრაობის საბჭოს 7 არჩევით წევრს;
- ისმენს, იხილავს და ამტკიცებს მოძრაობის საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;
- იხილავს სხვა საკითხებს თავისი შეხედულებისამებრ.

4.14 სმმ-ს დარბაზში ერთიანდება ყოველი რაიონული ორგანიზაციის /ან საქალაქო ორგანიზაციის/, საგანგებო სტატუსით შექმნილი კოლექტიური გაერთიანებების თითო წარმომადგენელი მოძრაობის საბჭო, კონგრესის მიერ არჩეული 7 წევრი, ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი და აღმასრულებელი მდივანი.

4.15 სმმ-ს დარბაზი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4.16 დარბაზი და მოძრაობის საბჭო ხელმძღვანელობს სმმ-ს საქმიანობას კონგრესის სხდომებს შორის და იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც.

- მოძრაობის საბჭოსთან ერთად წყვეტს საქართველოს მწვანეებისათვის სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობის საკითხებს;
- რეკომენდაციებს აძლევს მოძრაობის საბჭოს მის კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით;

4.17 სმმ-ს დარბაზი იწვევს კონგრესის სხდომებს. სმმ-ს დარბაზი-უფლებამოსილია მოიწვიოს კონგრესის რიგგარეშე სხდომა. კონგრესის რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს ნებისმიერი პირველადი ან რაიონული ორგანიზაციიდან და სხდომა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ დარბაზის წევრთა ნახევარზე მეტი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. მოძრაობის საბჭო ვალდებულია ამ ინიციატივის შესახებ შეატყობინოს ყველა პირველად ორგანიზაციას.

4.18 მოძრაობის საბჭო:

ხელმძღვანელობს მწვანეთა მოძრაობის საქმიანობას კონგრესისა და დარბაზის სხდომებს შორის, იწვევს კონგრესისა და დარბაზის სხდომებს.

- აქვს სამხარეო, სარაიონო და პირველადი ორგანიზაციების გაუქმების უფლება;
- ნიშნავს აღმასრულებელ მდივანს, რომელიც თანამდებობით მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილეა და შედის მოძრაობის საბჭოს შემადგენლობაში;
- საზღვრავს აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურას და შემადგენლობას, იხილავს და ამტკიცებს სამდივნოს ანგარიშს აღმასრულებელი აპარატის შემადგენლობისა და მუშაობის, სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფების შექმნის, სამეურნეო და სხვა საქმიანობის შესახებ;
- იღებს მიმართვებს, დეკლარაციებს, დადგენილებებსა და სხვა საპროგრამო დოკუმენტებს;

4.19 უმაღლეს წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს მოძრაობის თავმჯდომარე.

სმმ თავის გარემოსდაცვით საქმიანობაში ხელმძღვანელობს სმმ-ს ეკოლოგიური ასოციაციის /მრჩეველთა საბჭოს/ რეკომენდაციებით. მრჩეველთა საბჭო აერთიანებს მეცნიერებს, ექსპერტებს, სხვა კომპეტენტურ პირებს, რომელთა პოზიცია არ ეწინააღმდეგება მწვანეთა მოძრაობის ძირეულ პრინციპებს.

- ეკოლოგიურ ასოციაციას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სმმ-ს კონგრესი.

4.20 სმმ-ს სარევიზიო კომისია პერიოდულად კონტროლს უწევს პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციების, აღმასრულებელი აპარატის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას. სარევიზიო კომისია ანგარიშს აბარებს კონგრესს და სჭიროების შემთხვევაში დარბაზსა და მოძრაობის საბჭოს.

V სმმ-ს სახსრები

5.1 სმმ-ს ფინანსური სახსრებია:

- სმმ-ს ინდივიდუალურად შესასვლელი თანხა და ყოველწლიურად შესატანი, კოლექტიური წევრების გადასახადი, კვარტალში ერთხელ რომელთა რაოდენობას აწესებს კონგრესი

საწევრო შენატანს არ იხდიან სკოლის მოსწავლეები, სმმ-ს საპატიო წევრები/.

- სპონსორთა შესატანები;
- საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;
- ნებაყოფლობითი შეწირულობანი კერძო პირთაგან და ორგანიზაციებისაგან.
- რაიონული და სამხარეო ორგანიზაციებიდან გადმორიცხული თანხა მათი საერთო შემოსავლის არანაკლებ 20% ოდენობით.

5.2 სმმ-ს სახსრებისა და ხარჯვის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

5.3 სმმ-ს ფულადი სახსრები ხმარდება მხოლოდ მისი ამოცანებიას და ფუნქციების განხორციელებას და გამოიყენება იმ ხარჯთ-აღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს მოძრაობის საბჭო.

VI საგადასახადო და ქონებრივი უფლებები

6.1 საგადასახადო და ქონებრივ უფლებებს განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა, მოძრაობის საწარმოებისა და ორგანიზაციების წევრი მოქალაქეების შემოსავლის ფონდში გაცემული ნაწილი დადგენილი წესით შეიძლება განთავისუფლდეს გადასახადისაგან.

6.2 მოძრაობა თავისი ვალდებულების მიხედვით პასუხს აგებს მისი კუთვნილი ქონებით.

VII სმმ-ს საკუთრება

სმმ-ს საკუთრებას შეადგენს შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, ინვანტარი, ფულადი სახსრები და ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

VIII სმმ-ს რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა

8.1 სმმ-ს რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა ხდება მწვანეთა კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად. კონგრესის მიერ ინიშნება სალიკვიდაციო კომისია, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის წესი.

8.2 სმმ საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ამ შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიას ქმნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული სამეცნიერო სესიის წერილი ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, 1993

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის
თავმჯდომარეს – სახელმწიფო მეთაურს
ბატონ
ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

მკვლევრის ცნობილია საქართველოში ეროვნული პარკების შექმნის პრობლემა. ხელუხლებელი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის წინადადებით საქართველოში გამოვლენილია შვიდი ეროვნული პარკის შექმნა; ამ იდეას საფანდი გაუფიმაურება კი მეცნიერთა და სპეციალისტთა შორის, რასაც მოჰყვა ეჭვი სხვადასხვაობა, აღტერნატიული მოსაზრებები და წინადადებები.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ, აგრეთვე ურთიერთგაცვლისა და ერთიანი მიდგომის გამომუშავების მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის მიერ 1993 წლის 23 ფებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული იქნა სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოს ეროვნული პარკების აზრსა და მოთავისებლად. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები, ამ პრობლემით დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და სხვანი წარმომადგენლები. განხილული იქნა ეროვნული პარკების შექმნასთან დაკავშირებული ოთხეულის ყველა ძირითადი საკითხი, გაანალიზდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ შემუშავებული წინადადებები საქართველოში ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული სამეცნიერო სესიის წერილი ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, 1993

სესია ერთსულოვნად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული თბილისის ეროვნული პარკი, რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1973 წლის მარტის დადგენილების -"ბაღაანების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაჯანსაღებისა და მშვენიერება მასობრივი დასვენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" - საფუძველზე მინიმალურადაც ვი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა ეროვნული პარკების ქსელის გაჯანსაღება ცალკეული რეგიონების ბუნებრივი, ეკონომიკური, ისტორიული თავისებურებების, საკურორტო მეურნეობის სპეციფიკასა და განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობის დღევანდელი თუ სამომავლო სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით. ყურადღება გამახვილდა, რომ ეროვნული პარკების შექმნა ერთი და ორი წლის საქმე არაა, იგი ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს დაფიქრებულ მიდგომას, ყველა პრობლემის გულდასმით გაანალიზებასა და განხილვას.

სესიაზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რომ რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 31 % / 2 მლნ. 134 ათასი ჰა/ ეროვნულ პარკებს დაეთმოს; ეს უპირველესდენტო შემთხვევაა. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იგი 10 %-ს არ აღემატება. ევროპის უმეტეს ქვეყნებში ეროვნული პარკების ფართობები მათი საერთო ტერიტორიების 0,1 %-დან /გერმანია/ 4-5 %-მდე /ნორვეგია, ისლანდია/ მერყეობს.

სამეცნიერო სესიაზე გამოკვეთილად იქნა მითითებული, რომ ისეთი მთავრიანი, მეირქმიწიანი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა დიდ ტერიტორიაზე ეროვნული პარკების მშენებლობა უდაოდ უარყოფით გავლენას მოახდენს ფაღარული რეკრეაციის პრობლემების ოპტიმალურ გადაწყვეტაზე, განსაკუთრებით კი ბუნებათსარგებლობის, სოფლის მეურნეობის თუ მრეწველობის ტრადიციული დარგების შენარჩუნებასა და სრულყოფაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული სამეცნიერო სესიის წერილი ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, 1993

სესიაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ შემოთავაზებული წინადადებებს საჭიროა სხვა სერიოზული ღონისძიების ნაკლოვანებებიც, კერძოდ ოპტიმალურად არაა გადაწყვეტილი ეროვნული პარკების ფუნქციონალურ ზონირებად დაყოფა, აგრეთვე უნიკალური საბელმწიფო ნაკრძალების ეროვნული პარკების შემადგენლობაში ჩაერთიანება, ჩაანგარიშებული არაა ეროვნული პარკების მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის საორიენტაციო მაჩვენებლები, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ჩანვითარების ინტერესები და სხვა.

სამეცნიერო სესიამ მიიჩნია, რომ წინადადებები ეროვნული პარკების შექმნის შესახებ მოითხოვს სერიოზულ გადამუშავებას, დახვეწა-დაზუსტებას ჩვენი ბუნებრივი პირობების, ქარაფშელი ერის ყოფის, ზნეობის, კულტურის თავისებურებებისა და სამეურნეო საქმიანობის ტრადიციების გათვალისწინებით. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ეროვნული პარკების შექმნის პრაქტიკული განხორციელება, არსებული წესის შესაბამისად, უნდა მოხდეს მხოლოდ წინასწარი კომპლექსური ექსპერტიზის საფუძველზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. სესიაზე წამოყენებული იქნა აღძერნატიული წინადადებები საქართველოში ეროვნული პარკების შექმნის შესახებ. სესიამ მიუთითა, რომ ეროვნული პარკების ნექმნაში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაწილეობა დავას არ იწვევს. პირიქით, საჭიროა აქტიურად კოორდინირებული მასთან, მაქსიმალურად და მიზანდასახულად გამოვიყენოთ მისი დახმარება. მაჩარმ, ამასთან ერთად ბოლო პირდაპირობით აღინიშნა, რომ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს, ჩვენ უნდა მივხედოთ. საქართველოს საბჭოთა სკოლა ძალები და საშუალებები გააჩნია, ჩარკვეული დროის განმავლობაში, ოპტიმალურად გადაწყვიტოს ეროვნული პარკების მშენებლობის საკითხი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული სამეცნიერო სესიის წერილი ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, 1993

ბატონო ედუარდ,

მიგვასალმებს, რა ბეჭიანდნიშნულს მიბანშეწერილად მიგვაჩნია წინადადებები ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, მქვენი 1992 წლის 24 აპრილის დავალების შესაბამისად, განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და მიიღოს საფანადო გადაწყვეტილებები.

პატივისცემით

აკადემიკოსი	გივი სანაძე
აკადემიკოსი	ფრანგიზ ოფიანი
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი	ბეჟიტ გიგაური
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი	ფრანგიზ ფიფიანი
მეც. კანდიდატი	ბერიდ ბოლოქავი
მეც. დოქტორი, პროფ.	ანზორ გელეიშვილი
მეც. დოქტორი, პროფ.	მიხეილ ლოლიაშვილი
მეც. დოქტორი, პროფ.	ალი წიკლაური
მეც. დოქტორი, პროფ.	ალიგაბარ ფისარიშვილი
აკად. წევრ-კორ.	ზურაბი ედიანა
მეც. დოქტორი	ნიკო ხაფიანშვილი
მეც. დოქტორი	შოთა ჩანტურია
მეც. დოქტორი	რევაზ რევაზიშვილი
მწერალი	ჯუმბერ ალაბური
მეც. კანდიდატი	ნოდარ ბოკუჩავა
მეც. კანდიდატი	ბარამ ციციშვილი
ინჟ. გეოლოგი	გიორგი ჯანელიძე

"___" მარტი 1993 წ.

„კავკასიური სახლი – რიტორიკული ფორმულა თუ რეალისტური მიზანი“, რახმან ბადალოვი, 1990

"Кавказский дом": риторическая формула
или реалистическая цель?

Рахман Бадалов

"Кавказский дом" - метафора. Для намерений, связанных с поиском цивилизованного сосуществования, когда реальные механизмы со-жития во многом утрачены /добавим: а разрушающие факторы налицо/, использование метафоры вполне приемлемо. Вместе с тем, если используемая метафора не способна актуализироваться в тех или иных формах жизнедеятельности человека, метафора в качестве раздражающей риторики может оказать негативное воздействие. При таком подходе хочется обратить внимание на ряд следующих обстоятельств:

I. "Кавказский дом" - следует рассматривать с глобально-экологической, культурно-экологической и социально-гуманитарной точек зрения, а следовательно:

а/данная среда обитания должна рассматриваться не только как взаимосвязанная, целостная природно-космическая сфера, но и как антропогенная среда /антропогенный ландшафт/ со сложившейся этнодемографической динамикой;

б/приоритетатми культуры, как в моральном, так и в эстетическом плане, должен стать акцент на соглашение, примирение, компромисс, которыми только и обеспечивается выживание в "антропогенном ландшафте" и постепенное искоренение тенденций культивирующих образ врага и шире, соперника, победителя;

в/ национальные суверенитеты и вытекающие отсюда принципы социально-государственного устройства должны включать в себя максиму общечеловеческой /общерегиональной/ всеобщности.

2. Встречи под эгидой "Кавказского дома" должны исходить из известного медицинского принципа "не навреди" и иметь согласительно-гуманитарную направленность, используя понятия типа "экологически чистый поступок", "экологически чистое намерение", "экологически чистое соглашение". По мере выработки таких соглашений распространять их на официальные решения.

3. Трудно сегодня до конца разобраться как соотносятся "общий дом" /"взгляд на землю не как на собственность этноса"- Г.Гусейнов/, "европейский дом" как "европейский проект человечества"/М.Гефтер/, а с другой стороны представление о биосфере как этносфере /Л.Гумилев/. Постепенное сближение позиций /или отказ от этнического экстремизма/ позволят наполнить метафору "кавказский дом" реальным содержанием.

სხდომის ოქმი, საქართველოს კონსტიტუციის პროექტში
მწვანეთა დამატეტებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ,
დაუთარიღებელი

Ო Კ Მ Ი №5

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1) საქართველოს კონსტიიტუციის პროექტში საქართველოს მწვანეთა დამატებებისა და ცვლიღებების შეტანა

(ნ. ნემსაძე)

მოისმინა ნანა ნემსაძემ სხდომას მოახსენა, რომ ბ.გია გაჩეჩიღაძის მიერ წინა სხდომაზე წარმოდგენილ იყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტში შესატანი დამატებები და ცვლიღებები 6პუნქტად რომელთაგან აზრთ სვადასხვაობა გამოსწვია მხოლოდ 5_ე პუნქტმა, სადაც ნათქვამია,რომ: საქართველოს სახელმწიფოში უზრუნველყოფილია გარემოს დაცვითი პრიორიტეტები სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და ნებისმიერი მოქმედებისას.
ქ.ნ ნემსაძემ აღნიშნა,რომ ეს პუნქტი მისი საქმიანობის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ბ.ზურაბ ნოღაიდელის მიერ წარმოდგენილი "საქსრთველოს მწვანეების წინადადებები საქართველოს კონსტიტუციაში ახალი მუხლების შეტანის შესახებ. "
(წინადადებები თან ერთვის ოქმს)

აზრი გამოთქვეს: მაღხაზ ბიწაძემ---მე_ 5 პუნქტიდან სიტყვა პრიორიტეტის ამოღება "მწვანეობის" ეჭვ ქვეშ დაყენებას ნიშნავს
გია გვაზავა__გ.გაჩეჩიღაძის მიერ წარმოდგენილი წინადადებების მე_5 პუნქტის შეტანა კონსტიტუციაში ჩადებს იმ მექანიზმს რომელიც გადაარჩენს გარემოს
გივი თუმანიშვილმა---კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, ამიტომ კონსტიტნციაში მუხლი უნდა შევიდეს ისე როგორც საჭიროა და არა ისე როგორც ჩვენ გვესმის.
ეთერ მაისაშვილმა---თუ კი კონსტიტუციის პროექტში შევა ჩვენს მიერ მიწოდებული წინადადებები იგი

სხდომის ოქმი, საქართველოს კონსტიტუციის პროექტში
მწვანეთა დამატეტებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ,
დაუთარიღებელი

მაქსამაღურად უნდა იყოს დაცული.
ვახტანგ ზარქუამ--- საჭიროა მე_ 5 პუნქტიდან
ამოღებულ იქნას სიტყვა ნებისმიერი
გივი გიგინეიშვილმა სხდომას შესთავაზა
მე-5 პუნქტისათვის კომპრომისული ვარიანტი
"საქართველოს რესპუბლიკაში ნებისმიერი
გადაწვეტილების მიღების დროს პრიორიტეტი
უნდა ეკუთვნოდეს ბუნების დაცვის საკითხებს
თუ, ეს შესძლებელია ან თანაბრად უნდა იქნას
გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებული
გარემოს დაცვის სოციალური და ეკონომიკური
ასპექტები.

დაადგინა საქართველოს მწვანეებმა სახელმწიფო საკონსტიტუციო
კომისიას წარუდგინოს კონსტიტუციის პროექტში
შესატანი შემდეგი დამატებები და წინადადებები:
(ტექსტი თან ერთვის ოქმს.)
თუ საკონსტიტუციო კომისია არ მიიღებს მწვანეთა
მიერ მიწოდებულ წინადადებებიდან მე-4პუნქტს
კომისიას მიეწოდოს მე-4 პუნქტი შემდეგი სახით:
საქართველოს სახელმწიფოში უზრუნველყოფილია
გარემოს დაცვა სოციალურ ეკონომიკური განვითარების
დაგეგმვისა სამეურნეო მოქმედებისას.

2) მოწვეულ იქნას 1995 წლის 1 ივლისს საქართველოს
მწვანეთა ეროვნული სხდომა, შემდეგი დღის წესრიგით: ა)
1) საქართველოს სახელმწიფო საკონტიტუციო კომისიაში
მშვანეთა მიერ მოწოდებული დამატებებისა და
წინადადებები
ბ) საქართველოს მწვანეთა მიერ უკანასკნელ ხანს
ჩატარებული ღონისძიებების გაცნობა.
გ) საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს მწვანეთა წინადადებები, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში დამატებითი მუხლების შეტანის თაობაზე, დაუთარიღებელი

საქართველოს მწვანეთა წინადადებები, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში დამატებითი მუხლების შეტანის თაობაზე.

1. ადამიანის ძირითადი უფლებაა იცხოვროს მისი ჯამრთელობისათვის უვნებელ გარემოში, იყოს დაცული ტექნოგენური ავარიებისა და ბუნებრივი კატასტროფებისაგან.
2. სახელმწიფო იცავს ბუნებას და სარგებლობს ბუნებრივი რესურსებით ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებიდან გამომდინარე.
3. სახელმწიფო ვალდებულია (ადამიანს უფლება აქვს) მიიღოს (მიიღოს) სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ
4. საქართველო უბირთვო სახელმწიფოა
5. საქართველოს სახელმწიფოში უზრუნველყოფილია გარემოს დაცვითი პრიორიტეტები სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და ნებისმიერ სამეურნეო მოქმედებებისას
6. [(მუხლი 109, თ)]...ეტალონები, გარემოს მდგომარეობის ნორმები..... [ი)] ....რეგისტრაცია, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი ....[ნ)] კანონმდებლობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ....[ლ)] სტრატეგიული რესურსები,.....

საქართველოს მწვანეების წინადადებები საქართველოს კონსტიტუციაში ახალი მუხლების შეტანის შესახებ, დაუთარიღებელი

საქართველოს მწვანეების წინადადებები საქართველოს კონსტიტუციაში
ახალი მუხლების შეტანის შესახებ

1. ადამიანებს უფლება აქვთ იცხოვრონ მათი ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, იყვნენ დაცული ავარიებისა და კატასტროფებისაგან, მათ საცხოვრებელ გარემოზე სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

2. საქართველოს ბუნება, საქართველოს ტერიტორიაზე, მის წიაღში, ტერიტორიულ ზღვაში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული ბუნებრივი რესურსები საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრეა და მათ იცავს სახელმწიფო.

3. საქართველოს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას:
-ჯანსაღი, სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის;
-ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის;
-საზოგადოების უწყვეტი და მდგრადი განვითარების პირობები.

4. ადამიანებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მათი სააარსებო გარემოს მდგომარეობის შესახებ

5. ადამიანებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ეს შეეხება მათ სასიცოცხლო ინტერესებს.

6. საქართველო ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონაა. საქართველო უარს ამბობს ატომური და ბირთული ტექნოლოგიების განვითარებაზე, როგორც სამხედრო, ასევე სამშვიდობო მიზნით.

7. საქართველოს რესპუბლიკაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებული (პრობლემის) გარემოს დაცვის (ეკოლოგიური), სოციალური და ეკონომიკური ასპექტები.

8. [მუხლი 109, თ)] ... ეტალონები, ეკოლოგიური ნორმები... [ი)] ...რეგისტრაცია, დაკვირვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე... [ნ)] კანონმდელობა გარემის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ და .... [ლ)] სტრატეგიული რესურსები, ...

მწვანეთა ცენტრალური საბჭოს წერილი ედუარდ შევარდნაძეს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს,
პარლამენტის თავმჯდომარეს,სახელმწიფოს
საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს კონსტიტუციის პროექტში საქართველოს მწვანეთა
დამატებებისა და წინადადების შესახებ

ჩვენ საქართველოს მწვანეები გამოვდივართ რა უმაღლესი ზნეობრივი კრიტერიუმებიდან, ქართველი ხალხის ეთნოფსიქოლოგიური და საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობის თავისებურებებიდან, აგრეთვე რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციისა, გაეროსა და ევროგაერთიანების 1994 წლის ერთობლივი დოკუმენტის, "გარემოს დაცვის კომპლექსური მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის" ძირითადი დებულებებიდან. იმ მიზნით, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, ადამიანისათვის ღირსეულ პირობებში მცხოვრები და ბუნებასთან კეთილგანწყობილი საზოგადოება, შემოვდივართ წინადადებით საქართველოს ახალ კონსტიტუციაში აისახოს უკვე საერთაშორისო ნორმად ქცეული, ძირითადი გარემოსდაცვითი პრინციპები. კერძოდ:

კონსტიტუციის პროექტის 35-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ადამიანის ძირითადი უფლებაა იცხოვროს მისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, იყოს დაცული ტექნოგენური ავარიებისა და ბუნებრივი კატასტროფებისაგან;

2. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით და საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებიდან გამომდინარე;

3. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ მას;

4. საქართველოს სახელმწიფოში უზრუნველყოფილია გარემოს დაცვითი პრიორიტეტები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისას;

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

6. საქართველო უბირთვო (არაბირთვული) სახელმწიფოა. საქართველოს

მწვანეთა ცენტრალური საბჭოს წერილი ედუარდ შევარდნაძეს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

ტერიტორიაზე აკრძალულია მასობრივი განადგურების ნებისმიერი იარაღი, ან მისი შემადგენელი ნივთიერებების და ნარჩენების წარმოება იმპორტი და ტრანზიტი.

109-ე მუხლში შევიდეს ცვლილებები და პარაგრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოლოგია-კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; ...., საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური;

კ) სტრატეგიული_რესურსები; თევზჭერა ოკეანესა და ზღვაში;

ნ) კონფლიქტების_გარემოს_დაცვისა_და_ბუნებრივი_რესურსების და ფარმაცევტული პრეპარატების შესახებ.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო

მწვანეთა პარტიის მიმართვა ცესკოს, ედუარდ შევარდნაძის წარდგენა პრეზიდენტად. 8.09.1995

საქართველოს მწვანეები

GEORGIA GREENS

03/544
8 09. 95წ.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

საქართველოს მწვანეები გამოდიან რა ქვეყნის ერთიანობის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, სტაბილურობისა და პროგრესის სასიცოცხლო ინტერესებიდან 1995 წლის 5 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებში პრეზიდენტად წარადგენს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ედუარდ შევარდნაძე დაბადებულია 1928 წლის 25 იანვარს, პროფესიით ისტორიკოსია, არის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე. საქართველოში ცხოვრობს დაბადებიდან 1985 წლამდე და 1992 წლიდან დღემდე. ქ.თბილისში, მცხეთის ქ. №2.

პრეზიდენტის არჩევნებში საქართველოს მწვანეების პასუხისმგებელი წარმომადგენელია მწვანეთა პარტიის სპეციალური გია გაჩეჩილაძე, მეცნიერებათა დოქტორი, დაბადებული 1954 წელს, საქართველოს პარლამენტის წევრი, მცხოვრები ქ.თბილისში ფალიაშვილის ქ. №96 ტელ.: 222 662

ნანა ნემსაძე

საქართველოს მწვანეთა
ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი 380012, დავით აღმაშენებლის 182,
(ბუშთაიდის ბაღი, მწვანე სახლი)
ტელ.: 34-80-68 ფაქსი: 33-16-74
ტელექსი: 212289 GREEN SU

David Aghmashenebeli ave.182, Tbilisi 380012
REPUBLIC OF GEORGIA
Phone:00/7-8832/348068 Fax:00/7-8832/351674
Telex:212289 GREEN SU E-Mail: GLAS:gagreens

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიმართვა ცესკოს, ედუარდ შევარდნაძის წარდგენა პრეზიდენტად. 7.09.1995

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი

საქართველოს მოქალაქეთა
კავშირი
მდივარი კანცელარია
№ 524
7 • 09 1995 წ.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 1995 წლის 5 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენს ედუარდ შევარდნაძეს.

ედუარდ შევარდნაძე დაბადებულია 1928 წლის 25 იანვარს, პროფესიით ისტორიკოსია, არის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე. საქართველოში ცხოვრობს დაბადებიდან 1985 წლამდე და 1992 წლი-დან დღემდე. ქ. თბილისში, მცხეთის ქ. 2.

პრეზიდენტის არჩევნებში სმკ-ის პასუხისმგებელი წარმომადგენელია ელდარ შენგელაია, დაბადებული 1933 წელს, პროფესიით კინორეჟისორი, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, მცხოვრები ქ. თბილისში, იოსელიანის ქ. 37, ბ. 58, ტელ. 99-80-80.

ზურაბ ჟვანია

გენერალური მდივანი,
სმკ საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე

თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №4ᵃ
ტელ. (8832) 959823; 370036; 384787
ფაქსი: (8832) 959146

საქართველოს მწვანეთა განცხადება თურქული რესპუბლიკის მიერ განზრახული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ჭოროხის აუზში. 9.07.1997

9 ივლ 1997 წ.

საქართველოს მწვანეთა განცხადება

როგორც ცნობილია, თურქეთის რესპუბლიკას განზრახული აქვს მდ. ჭოროხის აუზში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. არსებული ინფორმაციის თანახმად უნდა აიგოს 10 კაშხალი, რომელთა შორის ყველაზე მაღალია იუზუველის კაშხალი - 220 მ. იგი განლაგებული იქნება ჭოროხის შესართავიდან 110 კმ-ზე. უფრო ქვემოთ დაგეგმილია კიდევ ხუთი კაშხალის მშენებლობა სიმაღლით 40-დან 170 მ-მდე.

ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელება გამოიწვევს მდ. ჭოროხის მყარი ნატანის დინების შეწყვეტას შავი ზღვის მიმართულებით და აჭარის სანაპიროზე განლაგებული პლიაჟები (ბათუმი, ქობულეთი, ურეკი და სხვა) გარანტირებული მოსპობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან, ვინაიდან მათ მოაკლდებათ ე.წ. "მასაზრდოებელი მასალა 5,3 მლნ. მ³" წელიწადში. ჯერ განადგურდება 1981 წლის შემდეგ დიდი რაოდენობით აღდგენილი და აშენებული პლიაჟები, ხოლო შემდეგ ზღვა გააგრძელებს თავის დამანგრეველ მოქმედებას ხმელეთის სიღრმისკენ. მხოლოდ ბათუმი-ქობულეთის მონაკვეთზე გაირეცხება 1400 ჰა და ზღვა წელიწადში 150-200 მეტრით შემოიჭრება აჭარის ტერიტორიაზე. ~~პლიაჟებიანი ნაპირი~~, ჭოროხის მყარი ნატანის შემოსვლის შეწყვეტის შემდეგ ეს პროცესი სულ 2-3 წელიწადში მიაღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს. გარდა ამისა, ჭოროხის მყარ ნიადაგზე დაფუძნებული სამშენებლო კომპლექსი დარჩება ძლიერ დეფიციტური ინერტული მასალის გარეშე.

შექმნილი ვითარება დაყოვნების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს ქმედითი ღონისძიებების გატარებას, ჩვენი ქვეყნის ამ შესანიშნავი კუთხის გადასარჩენად.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს მთავრობას მიიღოს გადამჭრელი ზომები და სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება თურქეთის რესპუბლიკასთან ამ პრობლემის სასწრაფოდ გადასაჭრელად.

საქართველოს მწვანეთა პრესცენტრი

ნინო ჩხობაძის წერილობითი განცხადება გია გაჩეჩილაძის სახელზე. 29.10.1999





საქართველოს მწვანეთა პარტიის
სპიკერს ბ-ნ გია გაჩეჩილაძეს
მწვანეთა პარტიის წევრის ნ. ჩხობაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, ნინო ოთარის ასული ჩხობაძე, დაბადებული 1961 წელს ვაცხადებ, რომ ვტოვებ მწვანეთა პარტიის რიგებს (და არა მწვანეთა მოძრაობას) იმის გამო რომ, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია პარტიის ის კურსი, რომელსაც თქვენ ბოლო წლების მანძილზე ანხორციელებთ,

ჩემი აზრით, პარტიის ხელმძღვანელობამ გადაუხვია მწვანეთა ძირითად პრინციპებს, კერძოდ:

1. მწვანეთა პარტიის უშუალო „დამსახურებაა“ დღევანდელი „ტყის კოდექსი“, რომელიც უფრო მეტად დააზიანებს ბუნებას ვიდრე დაიცავს მას.

2. ჩემდა გასაკვირად, თქვენ (მწვანეთა პარტიის სპიკერმა), პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მოითხოვეთ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონიდან ამოღებული ყოფილიყო მუხლი რომელიც არეგულირებდა ტყვიაშემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების საკითხს, იმ მოტივით, რომ თითქოს ის ეწინააღმდეგე-

ნინო ჩხობაძის წერილობითი განცხადება გია გაჩეჩილაძის სახელზე. 29.10.1999

ბოდა საქართველოს მთავრობის პოზიციას. შედეგად მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ითვალისწინებს ეთილირებული ბენზინის მხოლოდ შემოტანის შეზღუდვას და უშვებს ადგილზე მის წარმოებას და საბითუმო რეალიზაციას, რამაც საგრძნობლად შეამცირა კანონის ეფექტურობა გარემოსდაცვითი კუთხით.

3. ასევე, თქვენი ინიციატივით ადგილობრივ საკრებულოებს არ მიეცათ უფლება აეკრძალათ ტყის ჭრები მის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

რაც შეეხება არჩევნებს:

1. გაუგებარია რატომ არ იქნა შედგენილი და განხილული მწვანეთა წინასაარჩევნო პროგრამა, რაზეც ჩვენ ჯერ კიდევ იანვარში შევთანხმდით,

2. აბსოლუტურად გაუგებარია და მიუღებელია ის კრიტერიუმი, რის მიხედვითაც შედგა მწვანეთა ე. წ. „საარჩევნო სია“ და ამ საარჩევნო სიაში მონარქისტებისა თუ სხვა ისეთი პიროვნებების გამოჩენა, რომელთათვის მწვანეთა პრინციპები არასოდეს პრიორიტეტად არ ყოფილა.

3. ასევე მიუღებელია წინასაარჩევნო კამპანიის დროს მწვანეთა პარტიისათვის იმ ქმედებები მიწერა, რაც მას ბოლო წლებში არ განუხორციელებია. ასეთი განცხადებებით თქვენ შეცდომაში შეგყავთ ამომრჩეველი, რაც მწვანეების ისტორიაში არ მომხდარა.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მიზეზებისა, რამაც ამ ნაბიჯის გადადგმა გადამაწყვეტინა.

მოგახსენებთ, რომ გადაწყვეტილება განცხადების დაწერაზე მიღებული მქონდა გაცილებით ადრე და მხოლოდ იმიტომ შევიკავე თავი, რომ ჩემი ეს ნაბიჯი არ გამხდარიყო საბაბი თქვენი შემდგომი განცხადებებისა, რომ მწვანეთა წინასაარჩევნო კამპანიას შევუშალე ხელი.

ამიტომაც, ამ განცხადებას ვაკეთებ არჩევნებამდე ორი დღით ადრე და არა მის შემდეგ, რათა არ გქონდეთ იმის თქმის საბაბი, რომ დავტოვე არჩევნებში წაგებული პარტიის რიგები.

ნ. ჩხობაძე
29.10.99.

P.S. გაცნობებთ, რომ ჩემი განცხადება მწვანეთა პარტიის დატოვების შესახებ არ გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის არჩევნების ჩატარებამდე. აგრეთვე მოვითხოვ იგი განხილულ იქნას მწვანეთა ცენტრალური საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

ო ქ მ ი

8 ნოემბერი, 1999წ.	შედგა საქართველოს მწვანეთა ცენ-ტრალური საბჭოს სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ:	ბატონები და ქალბატონები: გიორგი გაჩეჩილაძე, ნანა ნემსაძე, გიორგი მელაძე, გივი თუმანიშვილი, გივი გიგინეიშვილი, მამუკა სალუქვაძე, ზურა მგალობლიშვილი, აკთანდილ გელაძე, ნატალია კირვალიძე, რუსუ-დან სიმონიძე.
დღის წესრიგი:	1 არჩევნების შედეგების მიმოხილვა. 2 ქალბატონ ნ. ჩხობაძის განცხადების განხილვა პარტიიდან გასვლაზე. 3. საბჭოს ზოგიერთი წევრის პერსონა-ლური საკითხი.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

გიორგი გაჩეჩილაძე
ბატონმა გ.გაჩეჩილაძემ მიმოიხილა არჩევნებთან დაკავშირებული სიტუაცია. აღნიშნა, რომ მივიღეთ 0,53%. არჩევნები გარკვეულ წილად გაყალბდა. 80 000 წევრი ჰყავდა ჩვენთან შემომავალ ერთ-ერთ ალიანსს. იყო იმედი დახმარების, რომ გადაგველახა 7%. მაგრამ დახმარების დაპირება ბოლო დღეს ჩაიშალა. ეხლა მოხდება პოლიტიკურ სპექტრში გადანაწილება. საჭიროა ვიყოთ საქმის კურსში. როგორც ჩანს, ჩვენ მარტო ვერ შევძლებთ არჩევნებში მონაწილეობას. საჭირო იქნება გარკვეული კავშირები.

წაიკითხეს ქალ-ონ ნ. ჩხობაძის განცხადება. რის შემდეგაც აზრი გამოთქვეს:

გიორგი გაჩეჩილაძე
ამ წერილიდან გამომდინარე ქალ-მა ნინომ დატოვა პარტია. ხოლო იმ ბრალდებებს, რაც განცხადებაშია, არცერთს არ ვეთანხმები და არ არის სწორი. მწვანეებს არაფერი არ მიუწერიათ თავისთვის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რაც მათი გაკეთებული არაა.

მამუკა სალუქაძე
რამოდენიმე დღის უკან შევხვდი ქალ-ონ ნ.ჩხობაძეს, რომელმაც თქვა, რომ ის პარტიიდან გასული არაა და საჭიროა მისი განცხადების განხილვა. რის შემდეგაც ის ჩაითვლება გასულად. წერილში მოყვანილ ფაქტებს დაადასტურებს საბჭოზე. აქ მოსვლა უნდა ქალ-ონ ნ.ჩხობაძეს.

ნატო კირვალიძე
ნინომ ეს წერილი რომ დაწერა, თავი ჩათვალა პარტიიდან გასულად. ბოლო დღეებში შეიცვალა აზრი.

გიგა გიგინეიშვილი
ამ წერილში მოყვანილი ყველა ბრალდება, რბილად რომ ვთქათ, არასწორია. მინდა გავუგო ადამიანურად, მაგრამ განსაკუთრებით ამ წერილის შემდეგ არ ხერხდება. ამ წერილის შემდეგ გასულია პარტიიდან.

ნანა ნემსაძე
თუკი ნინოს მოვუსმენთ, კიდო იქნება უარყოფითი აზრი. მე შემიძლია პუნქტებად ჩამოვუყალიბო, რა გააკეთა სამინისტრომ.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის
8 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

გივი თუმანიშვილი
ერთი საკითხია რამდენად შეეფერება სინამდვილეს, და მერე, მე მგონი კომიტეტის პრობლემები უფროა, ვიდრე მწვანეების.

ავთანდილ გელაძე
არ ვეთანხმები მე წერილში გამოთქმულ ბრალდებებს.

გიორგი გაჩეჩილაძე
ამ წერილიდან გამომდინარე და წესდების თანახმად ქალ-ნი ნ.ჩხობაძე გასულია პარტიიდან. ნ. ჩხობაძე ამ განცხადების საფუძველზე ითვლება პარტიიდან გასულად. იგი საბჭოს წევრია პოლიტიკური კომიტეტიდან . წესდების და დებულების თანახმად იგი ითვლება საბჭოდან გასულად და მას--როგორც საბჭოს წევრს, საბჭოზე გამოსვლის უფლება არ აქვს. თუკი იგი როგორც საბჭოს წევრი კვლავ მოისურვებს დასწრებას, მან უნდა წერილობით გამოგზავნოს განცხადების უარყოფის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი ერთი კვირის განმავლობაში.

გიგა გიგინეიშვილმა და ნანა ნემსაძემ დაადასტურეს ზემოთ ნათქვამი.

გიორგი გაჩეჩილაძე
რამდენიმე თვეა (10 თვე) საბჭოს სხდომებს არ ესწრებიან ეთერ მაისაშვილი და მალხაზ ბიწაძე. დებულების თანახმად საბჭოს სხდომების სისტემატიური გაცდენების შემთხვევაში საბჭოს აქვს უფლება გამცდენები გაიყვანოს საბჭოდან. ცენტრალური საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილის დაკავება შეუძლია დარბაზის არჩევით წევრს დარბაზის გადაწყვეტილებით.

გივი თუმანიშვილი
ეთერ მაისაშვილი საბჭოდან გასულად ითვლება თავისი განცხადების საფუძველზე. სადაც წერს, რომ სანამ გაჩეჩილაძე იქნება მწვანეებში, არ მოვალო.

ნანა ნემსაძე
მალხაზ ბიწაძეს კიდევ ერთხელ ვთხოვოთ საბჭოზე მოსვლა და თუ არ მოვა, შემდეგში გადავწყვიტოთ მისი გასვლაც.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1. საბჭო დაინიშნოს მომავალ სამშაბათს 5 სთ-ზე.

2. ქალბატონი ეთერ მაისაშვილი საბჭოდან გასულად ითვლება თავისი განცხადების საფუძველზე.

3. ქალბატონი ნინო ჩხობაძე პარტიის და საბჭოს წევრად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი წერილობით უარყობს თავის განცხადებას ერთი კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალბატონი ნ. ჩხობაძე იქნება ავტომატურად გასული პარტიიდან და ცენტრალური საბჭოდან.

4. დაევალოს რ. სიმონიძეს საბჭოს გადაწყვეტილება აცნობოს ქალბატონ ნ. ჩხობაძეს.

5. საბჭოს ზოგიერთი წევრის პერსონალური საკითხი გადაწყდეს მომავალ სხდომაზე.

ცენტრალური საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე: *გიორგი გაჩეჩილაძე*

სწავლული მდივანი: *ლიანა სიმონიშვილი*

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

ო ქ მ ი

16 ნოემბერი, 1999წ. შედგა საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1.საქართველოს მწვანეთა სამომავლო გეგმები და სტრატეგიული მიმართულებანი.

2.ქალბატონ ნ. ჩხობაძის პარტიიდან გასვლის საკითხი.

სხდომას ესწრებოდნენ: ბატონები და ქალბატონები: გიორგი გაჩეჩილაძე, გივი გიგინეიშვილი, მამუკა სალუქვაძე, რუსუდან სიმონიძე, ავთანდილ გელაძე, ზურაბ მგალობლიშვილი, გიორგი მელაძე,ნანა ნემსაძე, გივი თუმანიშვილი, ლიანა სიმონიშვილი.

<u>გიორგი გაჩეჩილაძე</u>

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

გიორგი გაჩეჩილაძე
1. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ურთიერთობების დალაგება საინ-ფორმაციო საშუალებებთან . ამიტომ საჭიროა ურთიერთობების აღდგენა. ეს არის სტრატეგიული ამოცანა. წინააღმდეგ შემთხვევაში არავიხგაიგებს არაფერს ჩვენზე. სტრატეგიული ამოცანა იქნება მმართველი პარტიისათვის, რომ კონსოლიდაცია არ მოხდეს გარეთ დარჩენილი პარტიების. მეორე მომენტია მმართველ პარტიასთან ურთიერთობების აღდგენა იმ პირობით, რომ წინ არ გადაგვეღობებიან.

ავთანდილ გელაძე
ჩვენი ადგილი იქნება მიზერული გარეთაც და შიგნითაც. იმიტომ, რომ არ ვართ ძალა. ნათელაშვილმა იპოვა თემატიკა ხალხთან ურთიერთო-ბისათვის. პრინციპულია, რომ ჯერ ვიყოთ ძალა. თუარადა სად ვიქნებით, არ აქვს აზრი. პოლიტიკური სახურავი გამოჩნდება მერე.

მამუკა სალუქვაძე
პირიქით მიმაჩნია: პოლიტიკური სახურავი თუ არ იქნა, არ ვიქნებით ძალა.

გიორგი გაჩეჩილაძე
2. მეორე არის პრობლემატიკის შერჩევა. უპირველესად უნდა ავიღოთ კვების პროდუქტების და სასმელი წყლის საკითხი. ხოლო მეორე იქნება ტყე. ეს უნდა იყოს სტრატეგიული მიმართულება. ამათ უნდა მიგცეთ მიზანდასახული მიმართულება.

ავთანდილ გელაძე
წყალთან დაკავშირებით პატარა შედეგს თუ მივიღებთ.

ხურაბ მგალობლიშვილი
არის მსოფლიო ბანკის პროგრამა სოფლებში წყალთან დაკავშირებით. თბილისის წყალმომარაგებაში ვერ იპოვი რამეს. რაიონებში მძიმე მდგომარეობაა.

გიორგი გაჩეჩილაძე
მერე შევადგენთ გეგმას და დავაკონკრეტებთ. საშინელი პრობლემაა ტყეც. ისევ უნდა ამოვატივტივოთ ტყის, მორების გარეთ გატანის კანონი. მოსახლეობასთან უნდა მივიდეთ იმ საკითხით, რაც აწუხებს. რეგიონებში სასმელი წყალი, თბილისში -- კვების პროდუქტები.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

ავთანდილ გელაძე
ეკონომიური ბუნტი დაიწყება მალე.

გიორგი გაჩეჩილაძე
რაიონული ორგანიზაციებიდან ინფორმაციებს უნდა ვღებულობდეთ.
3. საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობა გაიგივებულია დაპირის-პირებასთან. ამიტომ პოლიტიკური დაპირისპირების ნიშნები უნდა მოვძებნოთ. შეიძლება აჭარასთანაც.
4. მწვანეთა პარტია აღიქმება ერთი კაცის პარტიად. უნდა ვაჩვენოთ ჩვენი სიმრავლე. სხვებმაც ჩაატარონ პრესკონფერენციები.
5. უნდა მოვიყვანოთ ავტორიტეტული ახალი ხალხი. იქნებ გადავხედოთ იმ ხალხს, რომლებიც ვერ მოხვდნენ პარლამენტში. იქნებ დამატებითი სტრუქტურაც შევქმნათ, რომ ამ ხალხმა იფიქროს ხელმძღვანელობაზე. და მერე ცენტრალურ საბჭოშიც ავირჩევთ ზოგს.
6. ფინანსური პრობლემები. საკუთარი შემოსავალი თუ არ შევქმენით, არ შეიძლება. კრედიტზეც ვიფიქრებთ. იდეა მაქვს 1ლარიანი სასადილოები გავხსნათ. ეკოლოგიურად სუფთა და მრავალრიცხოვანი. პროპაგანდის საშუალებაც იქნება.
7. საპატრიარქოსთან ჩვენი ურთიერთობის საკითხი. ერთობლივი დონისძიებები უნდა ჩავატაროთ.

მამუკა სალუქვაძე
ახალი პარკი გაშენდეს. პროექტი გაიგზავნა უცხოეთში კონცეფციის შექმნის შესახებ. უნდა შევხვდეთ პატრიარქს. ქორწინების საკითხი მოგვარდეს უნდა.

გიორგი მელაძე
35%-ზე ავიდა არარეგისტრირებული ქორწინება 33%-დან.

გიორგი გაჩეჩილაძე
8. საერთაშორისო ურთიერთობების საკითხი. ზურამ წაიღო წერილი კიევში. შეიძლება დაგვეხმარონ ევრომწვანეები რადიოს ან ტელევიზიის შექმნაზე, ან კომპიუტერული ცენტრის.

ზურაბ მგალობლიშვილი
გავიგებ თუ არის რამე. დამპირდნენ. შევეცდები მოვძებნო სხვა ფონდები.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

გიორგი გაჩეჩილაძე
9. რეგიონალური ფონდების შექმნა.

ზურაბ მგალობლიშვილი
ჰოლანდიიდან შეიძლება თანხების მიღება. საწყისს თანხებს იძლევიან, რომ რამე გააკეთო. საქართველოშიც იქნება ფონდები.

ავთანდილ გელაძე
ჩვენი კანონმდებლობა ვასწავლოთ სხვებს.

გიორგი გაჩეჩილაძე
მსოფლიო ბანკს მივწეროთ, რომ გვაქვს უნიკალური კანონმდებლობა. გამოიყენონ ჩვენი ხალხი.

რუსუდან სიმონიძე
პროექტები მზადდება: 1. სუფთა საკვების კამპანია და 2. კლიმატის ცვლილებები.

ავთანდილ გელაძე
სამწლიანი, ნახევარმილიონიანი პროექტია .ამ საქმეში თუ ჩავერთვებით, ეს იქნება ფინანსური უზრუნველყოფა საზოგადოებასთან მისასვლელად. დავამზადებთ ბუკლეტებს და სხვა. მსოფლიო ბანკის ყველა პროექტში დევს მსგავსი. დაევალოს მანანას ინფორმაციები.

გიორგი გაჩეჩილაძე
წინა საბჭოზე განხილულ იქნა ქალ-ონ ნ. ჩხობაძის პერსონალური საკითხი—განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ. წინა ოქმიდან გამომდინარე, იგი ერთი კვირის ფარგლებში თუ არ უარყოფდა თავის განცხადებას წერილობით, მაშინ ჩაითვლებოდა გასულად. ვინაიდან არ გამოცხადდა და არაფერი მოიტანა, წინა ოქმიდან გამომდინარე, ქალ-ნი ნ.ჩხობაძე დღეიდან ითვლება პარტიიდან გასულად. როცა იქნება ქორუმი, ცენტრალურმა საბჭომ შეიძლება მოუსმინოს მას როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და მწვანეთა მოძრაობის წევრს.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის
16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1.საქართველოს მწვანეებს მომავალი მუშაობისათვის ექნებათ ორი სტრატეგიული მიმართულება:
ა. კვების პროდუქტები და სასმელი წყლის საკითხი;
ბ. ტყე. მორების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა.

2. მიღებულ იქნეს ბატონ გ.გაჩეჩილაძის მიერ წარმოდგენილი სამუშაო გეგმის ყველა პუნქტი;

3. ქალბატონი ნ. ჩხობაძე ჩაითვალოს საქართველოს მწანეთა პარტიიდან გასულად და ვინაიდან იგი ცენტრალური საბჭოს წევრად არჩეული იყო პოლიტკომიტეტის მიერ, ამიტომ ავტომატურად გასულად ითვლება ცენტრალური საბჭოდან.

სხდომის თავმჯდომარე: *გიორგი გაჩეჩილაძე*
სწავლული მდივანი: *ლიანა სიმონიშვილი*

აქცია იპოდრომზე, 1988 წელი
ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

პირთა საძიებელი

პირთა საძიებელი

ირაკლი აბაშიძე (1909-1992) – ქართველი საბჭოთა პოეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი (1970); „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე (1963-დან); ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1966-დან).

რევაზ ადამია (1952) – ბიოლოგი, მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. რევაზ ადამია საქართველოს პარლამენტის წევრი იყო 1992-2002 წლებში, 1992 წელს პარლამენტში შევიდა მწვანეთა პარტიის სიით. რამდენიმე წლის განმავლობაში ეკავა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი. 2001 წელს აირჩიეს „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარედ. საქართველოს ელჩი გაეროში (2002-2006), 2006 წლიდან სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

შოთა ადამია (1929) – გეოლოგი, პროფესორი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი (1991-1996). 1953-1988 – საქ. მეცნ. აკად. გეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, 1988-1995 – გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, 1992-1995 – საქართველოს მთავრობის წევრი, გარემოს დაცვის მინისტრი, 1991 – მიენიჭა გეოლოგიის პროფესორის წოდება, 1993-დან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. 1996-2006 – საქ. მეცნ. აკად. გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 2006-დან – ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1986 – საქ. მეცნ. აკად. ჯანელიძის სახ. პრემიის ლაურეატი, 1994-დან – საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი.

ჭაბუა ამირეჯიბი (1921-2013) – ქართველი მწერალი. 1943 წელს დაეპატიმრეს იმ ჯგუფთან ერთად, რომელსაც ბრალად ედებოდა შეიარაღებული აჯანყების მზადება საქართველოში საბჭოთა წყობილების და-

სამხობად. ორგანიზაციას „თეთრი გიორგი“ ერქვა. წერა ბანაკებიდან გათავისუფლების შემდეგ დაიწყო. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში“ 1960 წელს. მას ეკუთვნის რომანები „დათა თუთაშხია“ (1973-75), „გორა მბორგალი“ (1999), „გიორგი ბრწყინვალე“ (2003). 1979 წელს მიიღო სსრკ სახელმწიფო პრემია, 1999 წელს – რუსთაველის პრემია. 2009 წელს – პრემია „საბა“ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. 2010 წელს აღიკვეცა ბერად.

გიორგი ბარამიძე (1968) – საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას გარემოს დაცვის კათედრაზე. 1989 წლიდან იყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და ცენტრალური საბჭოს წევრი. 1990 წელს საქართველოს მწვანეთა პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ამ პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი.

1992 წელს მუშაობა დაიწყო ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომიტეტში, სამმართველოს უფროსად. 1992 წლიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. 1995, 1999 და 2003 წლების საპარლამენტო არჩევნებზე აირჩიეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად დიდუბის რაიონიდან, 2012 წლიდან საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით). 1995 წლის ნოემბრიდან 1996 წლის მარტამდე იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი. 1996 წლის სექტემბრიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარედ. 1999 წლის ოქტომბერში ბარამიძე კვლავ აირჩიეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრად დიდუბის საარჩევნო ოლქიდან. 2000 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აპრილამდე იყო პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში სხვადასხვა დროს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის და საქართველოს ვიცეპრემიერმინისტრის თანამდებობებს იკავებდა.

აკაკი ბაქრაძე (1928-1999) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1955-1960 წლებში მუშაობდა კინოსტუდია

„ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორად და მთავარ რედაქტორად, ხოლო 1964-1968 წლებში სასცენო-სარედაქციო განყოფილების მთავარ რედაქტორად.1973-1980 წლებში იყო რუსთაველის თეატრის დირექტორი, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი (1968-1988), მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1988-1989), რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი (1989-1991). იყო სსრკ სახალხო დეპუტატი, სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი (1989-1991 წწ.). კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1995 წელს აირჩიეს გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

დავით ბაშალეიშვილი (1963) – 1990 წლიდან იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ომის დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს მწვანეთა მიერ შექმნილ აფხაზეთის დახმარების შტაბს.

ზვიად გამსახურდია (1939 – 1993) – საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

1976 წელს გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ თბილისში საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი დააფუძნეს. ზვიად გამსახურდია სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე. ჯგუფი გამოსცემდა იატაკქვეშა გამოცემებს (ჟურნალები: „საქართველო“, „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“ და სხვა). გამსახურდიას ინიციატივით თბილისში პირველად დაიბეჭდა რუსი დისიდენტი მწერლის ალექსანდრე სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი“. 1975 წელს, გამსახურდია და კოსტავა აირჩიეს ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრებად. იგი აქტიურად თანამშრომლობდა მოსკოვში გამომავალ დისიდენტურ ჟურნალში „მიმდინარე ამბების ქრონიკა“ (რედაქტორი: ს. კოვალიოვი). დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან „ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის“.

1988 წლიდან გამსახურდია სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას. 1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა

იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვებით. 1992 წლის იანვარში, სამოქალაქო ომის შემდეგ, ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. გარდაიცვალა 1993 წელს. ერთ-ერთი ვერსიით, თავი მოიკლა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გიორგი გაჩეჩილაძე (1954) – საქართველოს მწვანეთა პარტიის გენერალური მდივანი და საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი. 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი.

1976 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ინჟინრად, უფროს ინჟინრად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, გარემოს გაჭუჭყიანების მონიტორინგის ლაბორატორიის გამგედ, ეკოლოგიის განყოფილების გამგედ, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად; 1991 წელს ყოფილი სსრკ-ის, ჰიდროქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი; 1995 წელს არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად; 1992 წლიდან არის საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრი; 1992-1995 და 1995-1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; 1994-1995 წლებში იყო საქართველოს „ბუნებრივი წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის“ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1995-დან 2007 წლამდე იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე; 2007 წლიდან დღემდე არის საქართველოს მწვანეთა პარტიის გენერალური მდივანი; 1995-1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1995 წლიდან არის ЮНЕСКО-ს ოკეანოგრაფიის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი.

ნაირა გელაშვილი (1947) – ქართველი მწერალი, გერმანისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. „კავკასიური სახლის“ დამაარსებელი და დირექტორი (1993 წლიდან). ავტორია რომანებისა – „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ (1983), „დედის ოთახი“ (1987), „სარკის ნატეხები“ (2006), „ჩვენი გრძელი ამბავი“ (2009), „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ (2009), „მე ის ვარ“ (2012).

პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი საუკეთესო რომანის ნომინაციაში (2010, 2013).

გია გვაზავა (1952) – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1968-1970 წლებში ქ. მუშაობდა სოხუმის სასწრაფო დახმარების სანიტრად. 1974-1976 – გულრიფშის საშუალო სკოლის პედაგოგი; 1974 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, 1976-1981 წლებში იყო თსუ-ს გენეტიკის კათედრის ასპირანტი, 1981 წელს მოსკოვის სამედიცინო გენეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი. 1991 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 2009 წლიდან დღემდე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1992-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი ჯერ მწვანეთა პარტიის, ხოლო შემდეგ „მოქალაქეთა კავშირის“ სიით. პარლამენტში ეკავა დაცული ტერიტორიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა.

გივი გიგინეიშვილი (1935-2007) – გეოგრაფი, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1999), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. არის ასზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის – 8 მონოგრაფიის ავტორი. ითვლება ჰიდროლოგიის მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში.

ხათუნა გოგორიშვილი (1964) – 1987 წელს დაამთავრა ბიოლოგიის ფაკულტეტი. იყო სოფ. კიკეთის საშ. სკოლის პედაგოგი (1987-1990). 1989-93 წლებში – საქართველოს მწვანეთა პარტიის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი. 1993-95 წლებში – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვანი სპეციალისტი; 1995-2003 წლებში – პარლამენტის აპარატის უფროსი, ხოლო 1995-2002 წლებში – ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი. საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრია 1990დან 1995 წლამდე, პარტია მოქალაქეთა კავშირის წევრი – 1995-დან 2001 წლამდე, ზურაბ ჟვანიას პარტია გაერთიანებული დემოკრატების წევრია 2001 წლიდან 2004 წლამდე. 2004 წლიდან არის პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, ამავე წლიდან იყო პარლამენტისა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე.

მარიკა დარჩია (1953) – ბიოლოგი, დოცენტი, ჟურნალისტი, მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს მწვანეების

თანათავმჯდომარე (1989-1994), ამერიკის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ასოციაციის წევრი. მუშაობდა საქართველოს მორფოლოგიის ინსტიტუტში, ტელე-რადიო კომიტეტში „ალიონისა“ და „პიკის საათის“ რედაქტორად. ამჟამად მუშაობს „პალიტრა მედიაში“.

გივი (გრიგოლ) თუმანიშვილი (1925-2007) – ქართველი ბიოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი (1992-1995). მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

თეიმურაზ კეპულაძე (1952) – საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დარბაზის სპიკერი. 1974 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. მუშაობდა ჭიათურშახტმშენის სამმართველოში. 1975-1984 წლებში მოღვაწეობს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1984-1995 წლებში იყო ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროსი მასწავლებელი, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის დეკანი. 1990 წლიდან გაწევრიანდა მწვანეთა მოძრაობაში. 1992-95 წლებში იყო ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე. 1995-2006 წლებში მუშაობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იმერეთის რეგიონალური, ხოლო 2006-2011 წლებში დასავლეთ საქართველოს ცენტრალური სამმართველოს უფროსად.

ნატო კირვალიძე (1963) – 1989-1997 წლებში მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობა – „დედამიწის მეგობრების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი იყო. მისი ძირითადი ფუნქცია პარტიისა და მოძრაობის საქმიანობის ევროპულ კონტექსტთან დაახლოება და „დედამიწის მეგობრებში“ ინსტიტუციურად ინტეგრირების და გაწევრიანების მხარდაჭერა იყო. 1997-1998 წლებში გლობალური გარემოსდაცვითი ინსტრუმენტის შავი ზღვის გარემოსდაცვით პროგრამას ხელმძღვანელობდა. 1998-1999 წლებში საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინასა და რუსეთში რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების შექმნის მიზნით კონსულტაციებს უწევდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის ტექნიკური დახმარების პროგრამას (TACIS). სამხრეთ კავკასიაში დაფუძნებული სწორედ ამგ-

ვარი ცენტრის (REC – Regional Environmental Centre) აღმასრულებელი დირექტორი იყო 1999-დან 2007 წლამდე. 2008 წლიდან დღემდე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მდგრადი განვითარების ცენტრ – რიოს ხელმძღვანელობს.

მერაბ კოსტავა (1939-1989) – ქართველი დისიდენტი, მუსიკათმცოდნე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ზვიად გამსახურდიას უახლოესი მეგობარი. მერაბ კოსტავა იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს ავარიაში დაიღუპა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ვახტანგ ლიჩელი (1948) – ისტორიკოსი, არქეოლოგი. 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია („შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურა ძვ.წ. III-I სს-ში“) 1991 წელს – სადოქტორო დისერტაცია („ძველი საქართველო ელინისტური სამყაროს სისტემაში“), არის 3 მონოგრაფიისა და 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების სრულ პროფესორად. თანამშრომლობს ინსბრუკის (ავსტრია), ბორდოს (საფრანგეთი), ფერარას (იტალია) უნივერსიტეტებთან. ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს სხვადასხვა ძეგლზე.

როზა ლორთქიფანიძე (1954) – 1980 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მუშაობდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1980-1988), ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმერეთის ფილიალში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ლაბორატორიის გამგედ (1988-1990). იყო სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995), 1995 წლიდან კი საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ეთერ მაისაშვილი (1962) – ჟურნალისტი, მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1990-1993 წლებში გაზეთ „დედამიწის“ რედაქტორი. 1993-1995 წლებში გაზეთ „მოქალაქეს“ რედაქტორი. 1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს პარლამენტსა და კანცელარიაში.

ია მამალაძე (1964) – ჟურნალისტი. 1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1991-1993 წლებში იყო გაზეთ „ჩოხატაურის მაცნეს“ რედაქტორი; 1998 წლიდან დღემდე არის გაზეთის „გურია news“ გამომცემელი; 2002 წელს გახდა „ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრის“ თანადამფუძნებელი; 2003 წლიდან „საქართველოს რეგიონული მედიისასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

ლევან მამალაძე (1968) – 1980 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი, 1991-94 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. 1989 წელს გახდა მწვანეთა მოძრაობის სწავლული მდივანი, 1991 წელს კი მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი. 1992 წლიდან ხდება მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე მოწვევის პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მდივანი. 1994 წელს ხდება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დატოვა სახელმწიფო პოსტი და ქვეყნიდან წავიდა.

პეტრე მამრაძე (1952) – პროფესიით ფიზიკოსია. 1975 წელს მუშაობდა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, ინჟინერ-პროგრამისტად. 1975 წლიდანვე იყო აბასთუმნის ობსერვატორიის ქალაქ თბილისის განყოფილების თანამშრომელი (1992 წლამდე). 1992 წლის აპრილ-ნოემბერში საქართველოს მინისტრთა კაბინეტში დაიწყო მუშაობა პრემიერმინისტრის მოადგილის თანაშემწედ და, იმავდროულად, ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩევლის მოვალეობასაც ასრულებდა. 1992 წელს მწვანეთა პარტიის სიით მოხვდა პარლამენტში და იყო თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისიის მდივანი. 1995 წლიდან ჯერ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის

ხელმძღვანელი იყო, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გადავიდა და 2004 წლამდე იყო სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე – სახელმწიფო კანცელარიის უფროსი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004-2008 წლებში იყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი. 2008 წლის ივნისში გახდა საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი.

ნანა ნემსაძე (1937) – ბიოლოგი, დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე. 1993-1995 წლებში იყო პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის ექსპერტი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიისა.

ლუბა ნიჟარაძე (1927) – საბჭოთა ექიმი, მოღვაწეობდა მესტიაში. საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი (1974), სოციალისტური შრომის გმირი (1978).

ზურაბ ნოღაიდელი (1964) – ქართველი პოლიტიკოსი. 1988 – დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1991 წლიდან არის საქართველოს მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის წევრი, 1992 წლისათვის საქართველოს მწვანეთა აღმასრულებელი მდივანი, საერთაშორისო ცენტრ „შავი ზღვის“ ხელმძღვანელი. 1992-95 წლებში – იყო საქართველოს პარლამენტის წევრი მწვანეთა სიით და პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. 1995-99 წლებში – მეორე მოწვევის პარლამენტის წევრი. 1996- 97 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი. 1999 წლიდან – საქართველოს პარლამენტის წევრი, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე. 2000-2001 და 2003-2005, თებერვალი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი. 2005-2007 წლებში საქართველოს პრემიერმინისტრი. ამის შემდეგ ის დროებით ჩამოშორდა პოლიტიკას და კახა კალაძის ბიზნესს ჩაუდგა სათავეში. 2008 წლის შემოდგომაზე ნოღაიდელმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“.

ზურაბ ჟვანია (1963- 2005) – ქართველი პოლიტიკოსი, მწვანეთა მოძრაობის და პარტიის დამაარსებელი და ლიდერი. 1988-1993 წლებში იყო

„საქართველოს მწვანეთა“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, მწვანეთა პარტიის სპიკერი და ევროპის მწვანეთა გაერთიანების თანათავმჯდომარე. 1992 წლის ივნისიდან ნოემბრამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარეა. 1992-1995 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი, მწვანეთა ფრაქციის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.1995-1999 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა.1999-2001 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. 2001 წელს პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან. 1993-2001 წლებში იყო „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ წევრი, ხოლო 2002 წლიდან „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარე. 2003 წლის ნოემბრიდან სახელმწიფო მინისტრი იყო. 2004 წლის თებერვლიდან საქართველოს პრემიერმინისტრი. გამოქვეყნებული აქვს ათამდე სამეცნიერო ნაშრომი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის საკითხებზე.

ალექსანდრე რუსეცკი (1969) – 1994 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო და ეკონომიკური ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1989-1991 წლებში იყო გაზეთ „რეზონანსის“ დამაარსებელი, რედაქტორი. 1991 წლიდან არის ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს ნაციონალური კომიტეტის დამაარსებელი და კოორდინატორი. 2002 წლიდან დღემდე – სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი. საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონსტიტუციური უფლებებისა და ძალაუფლების განაწილების საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის წევრი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის სოციალური კოორდინაციის ცენტრის წევრი. CIS და NGO კონფლიქტების გადაჭრისა და პრევენციის სამუშაო ჯგუფის წევრი; საერთაშორისო ეკონომიკური კომისიის ასამბლეის თანათავმჯდომარე; სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის დამაარსებელი; თბილისის მერიის სახალხო საბჭოს წევრი.

ნინო სააკაშვილი (1962) – ფონდ „ჰორიზონტის“ აღმასრულებელი დირექტორი. ბიოლოგი. 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1985- 86 წლებში იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-

თანამშრომელი. 1990-1993 წლებში იყო მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის წევრი და ხელმძღვანელობდა საქართველოს მწვანეების პრესსამსახურს, 1992-93 წლებში წარმოადგენდა მწვანეებს საქსონიის პარლამენტში. 1994-95 წლებში არის ISAR Georgia-ს სასწავლო პროგრამების კოორდინატორი. 1997 წლიდან არის ფონდ „ჰორიზონტის" აღმასრულებელი დირექტორი. 2000 წლიდან შეფასების პროგრამების საერთაშორისო ქსელის IPEN თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი, IOCE-ს გამგეობის წევრი 2003 წლიდან.

რუსუდან სიმონიძე (1955) – 1978 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი; ბოლონიის უნივერსიტეტში სწავლობდა ბიოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიის მენეჯმენტს (1991წ); 1998 წელს გაიარა ბერლინის საზოგადოებრივი მმართველობის ცენტრის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის მეთოდიკაში. 1972-1973 წლებში მონაწილეობდა ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო გეოლოგიურ ექსპედიციაში, როგორც უმცროსი ტექნიკოსი; 1978-1980 წლებში იყო საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალური კომპლექსური ლაბორატორიის ლაბორანტი; 1982-1987 წლებში მუშაობდა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალურ კომპლექსურ ლაბორატორიაში, ჰაერისა და მიწის დაბინძურების განყოფილების უფროს ინჟინრად, ხოლო 1987-1988 წლებში განყოფილების გამგედ. 1988-2006 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკი. მწვანეთა მოძრაობის წევრია 1988 წლიდან. 1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საბჭოს წევრად; 1996-2006 წლებში იყო მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელი დირექტორი; 2006-2009 წლებში – საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პროექტების კოორდინატორი. 2009 წლიდან დღემდე არის საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე.

ზაალ ქიქოძე (1948-2005) – არქეოლოგი, ანთროპოლოგი, სამოქალაქო აქტივისტი, მაშველი, ალპინისტი. მუშაობდა კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში. სწავლობდა ქვის ხანის ძეგლებს. 90-იანი წლებიდან სამოქალაქო აქტივისტი. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" პირველი დირექ-

ტორი, სამაშველო ორგანიზაცია „სანთელის“ დამაარსებელი. დაიღუპა მწვერვალ უშბაზე 2005 წელს.

კახა ჩიტაია (1951) – დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1974-1992 წლებში მუშაობდა თსუ ნახევარგამტარების ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიაში. 1979-1980 წლებში იყო საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების მდივანი. პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. იყო ჯერ მწვანეთა პარტიის, შემდეგ მოქალაქეთა კავშირის წევრი. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ.

ფიქრია ჩიხრაძე (1966) – პოლიტიკოსი, ახალი მემარჯვენეების ლიდერი, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი. 1994-1995 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ყოველდღიური გაზეთის „ივერია-ექსპრესის“ მთავარი რედაქტორი; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს იყო უნივერსიტეტის პრესკლუბის დამფუძნებელი და სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი; 1999-დან 2008 წლამდე იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის „სახალხო ფრაქციის“ წევრი; გაყალბებულ არჩევნებზე პროტესტის ნიშნად 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებულ მანდატზე უარი თქვა და თანაგუნდელებთან ერთად პარლამენტში არ შევიდა; 2013 წლის 26 იანვარს არჩეულ იქნა პ/გ „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარედ.

ირაკლი ჩუბინიშვილი (1970) – დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი მოქალაქეთა კავშირის სიით. ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ჯერ გახდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო 2012- 2013 წლებში საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში.

ნინო ჩხობაძე (1961) – ბიოლოგი, გარემოს დამცველი, მწვანეთა მოძრაობის და პარტიის წევრი. იყო ეკოლოგიური ასოციაციის სწავლული მდივანი (1988), საქართველოს მწვანეთა დარბაზის წევრი (1989), მწვანეთა პარტიის წევრი (1994), „საქართველოს მწვანეთა“ ცენტრალური საბჭოს წევრი (1995). საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი. ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეების“ ხელმძღვანელია.

გიორგი ჭყონია (1961) – მეტყევე, ინჟინერი. 1994 წელს გახდა მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი.

რევაზ ხუნწარია (1926-1992) – ინჟინერი, მეცნიერებათა დოქტორი, იყო ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის თბომომარაგებისა და ვენტილაციის კათედრის პროფესორი. მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე.

ლალი (ალექსანდრე) ჯავახიშვილი (1917-1997) – არქეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1976). მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ჯავახიშვილის სამეცნიერო ინტერესები ძირითადად მიმართული იყო საქართველოს და კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებისა და განსაკუთრებით მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლისადმი. არის არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

მწვანეთა პარტიის ოფისის საარქივო დოკუმენტები, 2012 წელი

გამოყენებული საარქივო დოკუმენტაციის ნუსხა

გამოყენებული საარქივო დოკუმენტაციის ნუსხა

ფოტოები:

გვერდი 9 – აქცია მესტიის ცენტრში, 1989 წელი, ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

გვერდი 30 – ხუდონჰესის მშენებლობა, ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

გვერდი 31 – საპროტესტო მსვლელობა „გადავარჩინოთ სვანეთი“, 1990 წელი, ფოტო ილია ჯღარკავას არქივიდან

გვერდი 33 – ზურაბ ჟვანია და მერაბ კოსტავა აქციაზე სვანეთში, 1989 წელი. ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

გვერდი 49 – ნანა ნემსაძე, ზურაბ ჟვანია, გივი თუმანიშვილი და ზურაბ კიკნაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, 1989 წელი, ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

გვერდი 50 – აკაკი ბაქრაძე და ზურაბ ჟვანია სავარაუდოდ „რუსთაველის საზოგადოების“ შეხვედრაზე, 1989 წელი, ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

გვერდი 51 – ნაირა გელაშვილი, აქცია მესტიის ცენტრში, 1989 წელი, ფოტო ანა მარგველაშვილის არქივიდან

გვერდი 53 – მიტინგი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობასთან, თბილისი, თებერვალი, 1990 წელი, ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

გვერდი 68 – ზურაბ ჟვანია მწვანეთა პარტიის მუშტაიდის ოფისში, ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

გვერდი 69 – მწვანეთა პარტიის საარჩევნო პლაკატი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან

გვერდი 71 – ზურაბ ჟვანია, იგორ გიორგაძე, გია ჟორჟოლიანი და გია ბარამიძე, სავარაუდოდ 1994 წელი, ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

გვერდი 86 – გიორგი გაჩეჩილაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი „მოქალაქეთა კავშირის“ დამფუძნებელთა ყრილობაზე, 1994 წელი. ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

გვერდი 86 – ზურაბ ჟვანია სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრაზე, თბილისი, 1998 წელი, ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

გვერდი 87 – ნინო ჩხობაძე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობა, 1997 წელი. ფოტო ზურაბ ბიგვავას არქივიდან

გვერდი 88 – მწვანეების აქცია რუსეთის საელჩოსთან, 13 ივლისი, 2001 წელი, ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

გვერდი 89 – გიორგი გაჩეჩილაძე მწვანეთა პარტიის ოფისში, სავარაუდოდ 2000 წელი, ფოტო მწვანეთა პარტიის არქივიდან

გვერდი 91 – ნაირა გელაშვილი, აქცია მესტიაში, ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

გვერდი 137 – მწვანეთა პარტიის ოფისის საარქივო დოკუმენტები, 2012 წელი

გვერდი 183 – აქცია იპოდრომზე, 1988 წელი. ფოტო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას არქივიდან

გვერდი 199 – მწვანეთა პარტიის ოფისის საარქივო დოკუმენტები, 2012 წელი

საარქივო დოკუმენტები:

გვ. 139-140 – სვანეთის მკვიდრის ც. გულედანის წერილი რუსთაველის საზოგადოებას ხუდონჰესის მშენებლობასთან დააკავშირებით, 6.11.1988.

გვ. 141-142 – მწვანეთა ცენტრალური ოფისის საორიენტაციო სტრუქტურის სქემები, ხელით შესრულებული, დაუთარიღებელი.

გვ. 143-145 – საქართველოს მწვანეების ძირითადი პრინციპები, მიღებული 1991 წლის მე-2 კონგრესზე.

გვ. 146-150 – საქართველოს მწვანეთა მე-4 კონგრესის რეზოლუცია.1992.

გვ. 151-156 – საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება, 1995.

გვ. 157-160 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეული სამეცნიერო სესიის წერილი ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, 1993

გვერდი 161 – „კავკასიური სახლი – რიტორიკული ფორმულა თუ რეალისტური მიზანი“, რახმან ბადალოვი, დაუთარიღებელი.

გვ. 162-163 – სხდომის ოქმი, საქართველოს კონსტიტუციის პროექტში მწვანეთა დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, დაუთარიღებელი.

გვ. 164 – საქართველოს მწვანეთა წინადადებები, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში დამატებითი მუხლების შეტანის თაობაზე, დაუთარიღებელი

გვერდი 165 – საქართველოს მწვანეების წინადადებები საქართველოს კონსტიტუციაში ახალი მუხლების შეტანის შესახებ, დაუთარიღებელი.

გვ. 166-167 – მწვანეთა ცენტრალური საბჭოს წერილი ედუარდ შევარდნაძეს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ.

გვერდი 168 – მწვანეთა პარტიის მიმართვა ცესკოს, ედუარდ შევარდნაძის წარდგენა პრეზიდენტად. 8.09.1995.

გვერდი 169 – საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიმართვა ცესკოს, ედუარდ შევარდნაძის წარდგენა პრეზიდენტად. 7.09.1995.

გვერდი 170 – საქართველოს მწვანეთა განცხადება თურქული რესპუბლიკის მიერ განზრახული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ჭოროხის აუზში. 9.07.1997.

გვ. 171-172 – ნინო ჩხობაძის წერილობითი განცხადება გია გაჩეჩილაძის სახელზე. 29.10.1999.

გვ. 173-176 – საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 8 ნოემბრის შეხვედრის ოქმი.

გვ. 177-181 – საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს 1999 წლის 16 ნოემბრის შეხვედრის ოქმი.

ავტორების შესახებ

ირაკლი აბსანძე – ჟურნალისტი, ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორი და ტელეკომპანია „მაესტროს“ ტოქშოუს „სუბიექტური აზრის“ პროდიუსერი. არის ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ორი მოწვევის საბჭოს არჩეული წევრი. წლების განმავლობაში თანამშრომლობს გერმანიის პრესის სააგენტოსთან (dpa).

ნინო ბექიშვილი – ჟურნალისტი, ფილოლოგი. მუშაობდა ჟურნალებში „ცხელ შოკოლადსა“ და „ლიბერალში“. თანამშრომლობს გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივასთან“.

დავით კოპალიანი – ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB) მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, უახლესი ისტორიის სპეციალობით. მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიბერალური განათლების ქართულ-ამერიკული საბაკალავრო პროგრამის მენეჯერად და საბჭოთა ისტორიის მკვლევრის, პროფესორ ჩარლზ ფერბენკსის ასისტენტად.

თამარ პატარაია – პოლიტოლოგი, მუშაობს „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტში“, ხელმძღვანელობს ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის პროგრამას. არაერთი კვლევის, პოლიტიკის ანგარიშისა თუ შეფასების თანაავტორია. მისი პროფესიული ინტერესის სფეროში შედის დემოკრატიული მმართველობა, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, საერთაშორისო და საგარეო ურთიერთობები.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს, დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე, განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის, ან, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან თანამშრომლობით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მიისწრაფვის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ასევე, ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი | Editor: Nino Bekishvili
კორექტორი: ნინო საითიძე | Proofreading: Nino Saitidze
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე | Layout: Tornike Lortkipanidze
გარეკანის დიზაინი: Print|ock | Design: Print|ock
გარეკანზე: კარლო კაჭარავას ნახატი | Cover painting: Karlo Kacharava
დაბეჭდილია: შპს „სეზანი“ | Printed at Sezanne Ltd